

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი

## **ქეთევან ხუციშვილი**

გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის  
საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და  
კომპლემენტარული კომპეტენციები

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირინე ქურდაძე  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი



თბილისი, 2010

**გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის  
საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენ-  
ტარული კომპეტენციები**

ქეთევან ხუციშვილი

შინაარსი

1. შესავალი 5
  - 1.1. მეთოდოლოგია
  - 1.2. გამოყენებულ წყაროთა ტიპები
  - 1.3. კვლევის შედეგების გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შექმნის არსი და კომპეტენცია 16
3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საჭიროება და კომპეტენცია 23
  - 3.1 სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად XX საუკუნის განმავლობაში განხორციელებული მცდელობები
    - 3.1.1 პირველი მსოფლიო ომის შემდგომი გამოცდილება
    - 3.1.2 მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ტრიბუნალები და საგამოძიებო კომისიები
    - 3.1.3 სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად გაეროს ფარგლებში წარმართული მუშაობა
  - 3.2 რა ფუნქციები დაეკისრა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს?
  - 3.3 სისხლის სამართლის რომელ პრინციპებს ითვალისწინებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება?
  - 3.4 რომელი დანაშაულებია გათვალისწინებული რომის სტატუტით?
    - 3.4.1 გენოციდი
    - 3.4.2 კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები
    - 3.4.3 ომის დანაშაულები
    - 3.4.4 აგრესია
    - 3.4.5 დანაშაულთა ელემენტები
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საქმიანობა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან 51

- 4.1 ზოგადი ფონი: ცივი ომი და „ძველი რეჟიმი“
- 4.2 სამართლებრივი ანალიზი
- 4.3 უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მორალური ლეგიტიმურობა
  - 4.3.1 ყოფილი იუგოსლავია
  - 4.3.2 რუანდა
- 5. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობა 71
  - 5.1 რამდენად ფართოა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია და რა შემთხვევაში მიიღებს იგი საქმეს განსახილველად?
    - 5.1.1 *სასამართლოს იურისდიქცია*
    - 5.1.2 *სასამართლოს მიერ საქმის განსახილველად მიღება*
  - 5.2 კომპლემენტარობა: ორწვერა თუ სამგანზომილებიანი?
    - 5.2.1 *სასამართლოსა და სახელმწიფოს შორის?*
    - 5.2.2 *სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს შორის?*
  - 5.3 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაწყებული საქმეები
- 6. ზოგიერთი საინტერესო საკითხი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობაში: საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა დაცვა იმუნიტეტით; საერთაშორისო დანაშაულების მსხვერპლთა მონაწილეობა საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში 81
  - 6.1 სუვერენული იმუნიტეტების დაცვამ უნდა გადაწონოს თუ არა ადამიანების დაცვა უფლებათა მასობრივი დარღვევებისგან?
    - 6.1.1 *იმუნიტეტებისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა. რატომ უნდა ენიჭებოდეს ამ ყოველივეს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ადამიანთა დაცვას მათი უფლებების სასტიკი დარღვევებისგან?*
    - 6.1.2 *როგორი ურთიერთმიმართებაა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის არსებულ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებასა და იმუნიტეტებს შორის?*
    - 6.1.3 *უნივერსალური იურისდიქცია და ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი მცდელობა: ჰუმანიტარული ინტერვენცია?*
    - 6.1.4 *განსახილველი თემის ჭრილში რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ პინოჩეტის საქმესთან დაკავშირებით?*
    - 6.1.5 *იმუნიტეტები კვლავაც უნდა უშლიდნენ ხელს საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისას ადამიანის უფლებათა დაცვას?*

*6.2 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლთა სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა: ფიქტიური თუ რეალური მექანიზმი?*

6.2.1 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმის წარმოებაში მსხვერპლთა მონაწილეობის რეგულირება

6.2.2 ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი სისხლის სამართლის ტრიბუნალების მიდგომა მსხვერპლთა მონაწილეობის საკითხისადმი

6.2.3 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ადმინისტრაციაში მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა

6.2.4 რამდენად ეფექტური და რეალურია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მექანიზმები

7. აგრესიის განსაზღვრება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს განმარტებით 123
8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ურთიერთობა საერთაშორისო დანაშაულის სავარაუდო ჩადენის შემთხვევაში საქმის წარმოებასთან დაკავშირებით 129

9. დასკვნა

134

## შესავალი

*[რომის სტატუტის მიზნები] „გაეროს მიზნებს ნაწილობრივ გადაფარავს. [...] ჩვენი ერთობლივი მიზნების მისაღწევად ჩვენმა ორგანიზაციებმა ერთად უნდა იმუშაონ. [...] თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლო და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია საერთაშორისო სამართლისა და მართლმსაჯულების ურთიერთდაკავშირებული სისტემის ნაწილებია.“<sup>1</sup>*

*ფილიპ კირში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტი*

საერთაშორისო სისხლის სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი, ჯერ კიდევ ახალი, განვითარებადი მიმართულებაა. მისი ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ნაწილი განპირობებულია იმ პოლიტიკური რეალიებით, რომლებშიც საერთაშორისო ურთიერთობები ვითარდება. ამით შეიძლება ავხსნათ ისიც, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (*შემდეგ ში - ასევე „სასამართლო“*), რომელიც მუდმივმოქმედ და უნივერსალური იურისდიქციის მქონე ორგანოდ იყო ჩაფიქრებული, დაფუძნება ცივი ომის დასრულებამდე ვერ მოხერხდა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს უნივერსალურობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მიზეზის გამო ბოლომდე ვერ მოხერხდა.<sup>2</sup> მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შექმნაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სფეროში მნიშვნელოვნად დაყოვნდა, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ამგვარი სასამართლოს შესაქმნელად შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მოსამზადებლად საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მობილიზება მუდმივად ხდებოდა.<sup>3</sup>

მართალია, XX საუკუნის მიწურვამდე ორი წლით ადრე საერთაშორისო თანამეგობრობამ მოახერხა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაფუძნებლად გარკვეულად კონსოლიდირებული საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის (*შემდეგ ში - ასევე*

<sup>1</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტის ფილიპ კირშის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (*შემდეგ ში - ასევე „გაერო“*) უშიშროების საბჭოს გენერალურ ასამბლეას, 8 ნოემბერი, 2005. გვ. 3-4: <http://www.icc-cpi.int/presidency/presspeaches.html> (ნანახია: 02/08/2009).

<sup>2</sup> იხ. მე-7 სქოლიო.

<sup>3</sup> დეტალურად ამ საკითხზე იხ.: წინამდებარე ნაშრომი, თავი 3.1.

„რომის სტატუტი“) ხელმოსაწერად გახსნა<sup>4</sup>, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „დამოუკიდებლობასა“ და „უნივერსალურობას“ ბევრი გამონაკლისი<sup>5</sup> დაანათლეს.<sup>6</sup> მათ შორის, როგორც მარლერი აღნიშნავს, სასამართლოს სტატუტის ხელმოსაწერად გასახსნელი კონფერენციის მონაწილეებმა მარტივად და „სწრაფად უარყვეს სასამართლოსთვის უნივერსალური იურისდიქციის მინიჭების სქემა, რომლის მიხედვით, ნებისმიერი სახელმწიფოს მოქალაქეები, მიუხედავად იმისა, მათი სახელმწიფო იყო თუ არა ხელშეკრულების მონაწილე მხარე, შეიძლება, გასამართლებულნი ყოფილიყვნენ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ.“<sup>7</sup>

წინამდებარე ნაშრომის თემიდან გამომდინარე, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების<sup>8</sup> პრიზმაში მსჯელობა რომ ავირიდოთ თავიდან, მოკლედ მაინც შეიძლება იმის შენიშვნა, რომ სასამართლო საკუთარი იურისდიქციის განხორციელებას, მისი დამფუძნებელი დოკუმენტიდან – რომის სტატუტიდან – გამომდინარე, არცთუ ისე დამოუკიდებლად მოახერხებს.<sup>9</sup>

სასამართლოს მწირი გამოცდილება<sup>10</sup> ამ ეტაპზე მყარი მეცნიერული დასკვნების გამოსატანად ჯერ კიდევ არ იძლევა მისი პრაქტიკის

---

<sup>4</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი ხელმოსაწერად გაიხსნა 1998 წლის 18 ივლისს, რომში. 1998 წლის ივნის-ივლისში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ხელმოსაწერად გასახსნელად კონფერენციის რომში გამართვის გამო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებას ასევე მოიხსენიებენ, როგორც „რომის სტატუტს“. წინამდებარე ნაშრომშიც „რომის სტატუტი“ ასევე იქნება გამოყენებული. სასამართლოს წესდების აღმნიშვნელად.

<sup>5</sup> დემონსტრირებისთვის იხ.: “A Dangerous Luxury” (2009) in Spiegel Online, 01/14/2009: <http://www.spiegel.de/international/world/0,1518,601258,00.html> (ნანახია: 02/02/2009).

<sup>6</sup> იხ. ზოგადად: Goldsmith, J. (2003), *The Self-Defeating International Criminal Court* in the University of Chicago Law Review, Vol. 70, No.1, Centennial Tribute Essays (Winter, 2003), გვ. 89-104.

<sup>7</sup> იხ.: Marler, M. K. (1999), *The International Criminal Court: Assessing the Jurisdictional Loopholes in the Rome Statute* in Duke Law Journal, Vol. 49, No. 3, 825-853 გვ. 832.

<sup>8</sup> იხ. ზოგადად: Vienna Convention on the Law of Treaties, 1969: [http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1\\_1\\_1969.pdf](http://untreaty.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_1_1969.pdf) (ნანახია: 03/11/2005).

<sup>9</sup> იხ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი (შემდგომში – რომის სტატუტი), მაგ.: მე-13, მე-16 მუხლები: [http://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/EA9AEFF7-5752-4F84-BE94-0A655EB30E16/0/Rome\\_Statute\\_English.pdf](http://www.icc-cpi.int/NR/rdonlyres/EA9AEFF7-5752-4F84-BE94-0A655EB30E16/0/Rome_Statute_English.pdf).

(ნანახია: 02/12/2004)

<sup>10</sup> 2010 წლის მაისის მდგომარეობით, სასამართლო შემდეგ ქვეყანათა სიტუაციებს განიხილავს: უგანდის, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის, სუდანის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, კენიის რესპუბლიკის. სასამართლო ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად აწარმოებს შემდეგ საქმეებს: The Prosecutor v. Thomas Lubanga Dyilo (Democratic Republic of the Congo, ICC-01/04-01/06); Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui (Democratic Republic of the Congo, ICC-01/04-01/07); The Prosecutor v. Bosco Ntaganda (Democratic Republic of the Congo, ICC-01/04-02/06); The Prosecutor v. Jean-Pierre Bemba Gombo (Central African Republic, ICC-01/05-01/08); The Prosecutor v. Joseph Kony, Vincent Otti, Okot Odhiambo and Dominic Ongwen (Uganda, ICC-02/04-01/05); The Prosecutor v. Ahmad Muhammad Harun (“Ahmad Harun”) and Ali Muhammad Ali AbdAl-Rahman (“Ali Kushavb”) (Darfur, Sudan, ICC-02/05-01/07); The Prosecutor v. Omar Hassan

განზოგადებისა და ანალიზისთვის საკმარის მასალას. თუმცა გარკვეული ტენდენციების გამოკვეთა დღეს, 2010 წლის მაისის მდგომარეობით, უკვე საგრძნობლად შესამჩნევია.<sup>11</sup>

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და სასამართლოს დამფუძნებელი დოკუმენტის – რომის სტატუტის – ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე, როგორც ვნახავთ, მნიშვნელოვანწილად იქნება დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს (*შემდგომში – ასევე „უშიშროების საბჭო“*) მოსაზრებებსა და მის მიერ განვითარებულ პრაქტიკასა თუ სასამართლოს საქმიანობისთვის არსებითი დებულებების ინტერპრეტაციასთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სასამართლოს ურთიერთდამოკიდებულებისა და სასამართლოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით, ამ ორი ინსტიტუტის ერთად ან ერთმანეთის საწინააღმდეგო თუ ერთმანეთისგან განსხვავებული საქმიანობა უმნიშვნელოვანესია XXI საუკუნეში მსოფლიოს მასშტაბით საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა მიმართ სამართლებრივი დონისძიებების გატარებისა და ინიციატივად უფრო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისთვის.

ამ არსებითი საკითხის ანალიზისთვის შეირჩა წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანიც, რათა მომხდარიყო იმის ანალიზი, რამდენად შეიძლება შეავსონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ და გაეროს უშიშროების საბჭომ ერთმანეთი ან შეუშალონ ხელი ერთმანეთს იმ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობაში, რაც რომის სტატუტით არის განსაზღვრული სასამართლოს კომპეტენციად.<sup>12</sup>

„კომპლემენტარობა“<sup>13</sup>, ტერმინი, რომელიც ქართული სამართლის ტერმინოლოგიაში გარკვეულწილად უცხოდ ჟღერს, საერთაშორისო სამართლის სხვა დარგებთან მიმართებითაც კი, შესაძლოა, არც გვხვდებოდეს ხშირად. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ტექსტზე მუშაობის დასასრულს კი სისხლის

---

Ahmad Al Bashir (Darfur, Sudan, ICC-02/05-01/09); The Prosecutor v. Bahr Idriss Abu Garda (Darfur, Sudan, ICC-02/05-02/09).

<sup>11</sup> მაგალითად, სასამართლოს პროკურორის სიფრთხილე, შესაბამისად, სასამართლოს საქმიანობის რვა წლის თავზე მხოლოდ ხუთი სიტუაციის განხილვა და მათგან ოთხიდან გამომდინარე რვა საქმისწარმოება.

<sup>12</sup> წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, შედარებისა და ათვლის წერტილად აღებულია რომის სტატუტით გათვალისწინებული საკითხები. უშიშროების საბჭოს ფართო, შეიძლება ითქვას, საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შეუზღუდავი, კომპეტენციის გათვალისწინებით, მხოლოდ რომის სტატუტის ჭრილში საინტერესო საკითხებია შერჩეული ნაშრომის მიზნებისთვის, რომ არ გავცდეთ კვლევის საგანსა და მიზნებს.

<sup>13</sup> იხ.: ზოგადად, „კომპლემენტარობის“ საკითხთან დაკავშირებით: Stigen, J. (2008), *The Reconciliation between the International Criminal Court and National Jurisdictions, The Raoul Wallenberg Institute Human Rights Library Volume 34*.

სამართლის საერთაშორისო სამართლის დარგისთვის ეს ტერმინი აქტიურად გამოყენებადი და სერიოზული დატვირთვის მქონე გახდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის მკაფიოდ უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან ტერმინ „კომპლემენტარობის“ ტიპური გამოყენება<sup>14</sup> და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს შორის კომპეტენციების გადანაწილებისას ურთიერთშემავსებელი ფუნქციების განხორციელება, და ამ კუთხით კომპლემენტარობა.

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის ამოსავალი პოსტულატია ის, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მომავალი განვითარების შედეგად დაგროვილმა პრაქტიკამ, შესაძლოა, მკაფიოდ გამოკვეთოს, რომ რომის სტატუტით ნაგულისხმევი „ორწვერა კომპლემენტარობა“, სინამდვილეში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის შედეგად სამგანზომილებიან „კომპლემენტარობად“ გადაიქცეს, ვინაიდან ეროვნული იურისდიქციის დამატებად მოაზრებულ სასამართლოს, უშიშროების საბჭოს საქმიანობის გათვალისწინებით, შეიძლება, „დამატებითობის“ კიდევ ერთი დონის არსებობის პირობებში მოუხდეს საქმიანობა.

გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციების ანალიზის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს<sup>15</sup>, როდესაც იმ ქმედების სამართლებრივი დეფინირება ჯერ კიდევ არ მომხდარა, რომლის განხორციელების შემთხვევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ ორგანოს – უშიშროების საბჭოს – აკისრია „უპირველესი მოვალეობა“<sup>16</sup>, იმოქმედოს. ამ ქმედების, ანუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, იმავე რომის, სტატუტის მიხედვით, აგრესიის დეფინირება სახელმწიფოებმა 2010 წლის მაისის დასაწყისის მდგომარეობითაც ვერ შეძლეს. მიუხედავად იმისა, რომ რომის სტატუტის ძალაში შესვლიდან, როდესაც სხვა საკითხებთან ერთად აგრესიის დანაშაულის განსაზღვრება შეეძლოთ რომის სტატუტის მიღების შემდეგ მის მონაწილე სახელმწიფოებს,<sup>17</sup> შვიდი წელი 2009 წელს ამოიწურა.

<sup>14</sup> იხ.: რომის სტატუტი, მე-17 მუხლი.

<sup>15</sup> წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა დასრულდა 2010 წლის მაისის დასაწყისში, რომის სტატუტის წევრ სახელმწიფოთა 2010 წლის მაის-ივნისის შეხვედრამდე. აქედან გამომდინარე, კამპალაში გამართულ შეხვედრაზე სავარაუდოდ მისაღები გადაწყვეტილებების განხილვა დროის ფაქტორის გათვალისწინებით წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში არ მომხდარა.

<sup>16</sup> იხ.: გაეროს წესდება, 24-ე(1) მუხლი: <http://www.un.org/en/documents/charter/index.shtml> (ნანახია: 12/02/2004).

<sup>17</sup> იხ.: რომის სტატუტი, 121-ე და 123-ე მუხლები. ასევე: Zimmermann, A. (2008) “Article 5: Crimes with the Jurisdiction of the Court” in Triffterer, O. (ed.), “Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article”, გვ. 139.



წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გაეროსგან დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობათა ურთიერთმიმართების განხილვა, იმ საკითხების გამოვლენა და ანალიზი, რომლებიც საერთაშორისო მართლმსაჯულების, სამართლიანობისა და მშვიდობისათვის, ასევე უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანესია, როგორც დადებით, კომპლემენტარულ, ისე უარყოფით, კონკურენტულ, კონტექსტებში.

დადებითი კონტექსტის ანალიზისთვის ნაშრომი განიხილავს იმას, თუ როგორ არის შესაძლებელი ამ ორი მნიშვნელოვანი ორგანოს მიერ ერთმანეთის საქმიანობაში ურთიერთის შემაჯავებელი ფუნქციების შესრულება. თუმცა ერთია იმის სურვილი, რომ საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების სუბიექტების მიერ ერთმანეთის საქმიანობის ხელშემწყობი ქმედებები ხორციელდებოდეს, და მეორეა ის რეალობა, რაც სამართლებრივი აქტების ან შესაბამისი პრაქტიკის ჭრილში შეგვიძლია დავინახოთ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომი დეტალურად მიმოიხილავს იმ განსხვავებებსა და ურთიერთგამომრიცხავ ელემენტებსაც, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოსა და მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობას ახასიათებს ან, სავარაუდოდ, მათი მომავალი საქმიანობის დროს გამოჩნდება.

გარდა ცალსახად დადგენილ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსსა თუ გაეროს წესდების ნორმებში ასახული ნორმატიული განსხვავებებისა და ურთიერთგამომრიცხავი ნორმებისა, წინამდებარე ნაშრომი მიმოიხილავს იმ განსხვავებებსაც, რომლებიც ამ ორი ორგანოს მიერ ერთი და იმავე მიზნით განხორციელებული ქმედებების ჭრილში შეიმჩნევა.

ამ განსხვავებული მიდგომების ანალიზს შევეცდებით რამდენიმე მაგალითის მოხმობითა და იმის განხილვით, თუ რა სამართლებრივ რეალობაში მოხდა ისეთი საკითხების განვითარება, როგორებიცაა იმუნიტეტით სარგებლობა საერთაშორისო დანაშაულებთან მიმართებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს თვალსაზრისით და საერთაშორისო დანაშაულების მსხვერპლთა მონაწილეობა საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. ამ ორი ორგანოს უკვე განვითარებული პრაქტიკის ჭრილში გავანალიზებთ, სუვერენული იმუნიტეტების დაცვამ შეიძლება თუ არა, XXI საუკუნეში ჯერ კიდევ გადაწონოს ადამიანების დაცვა უფლებათა მასობრივი დარღვევებისგან. ამ საკითხის ანალიზს დავაფუძნებთ ისეთი კონცეფციების ჭრილში განხილვას, როგორებიცაა: იმუნიტეტებისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა და ის, თუ როგორი ურთიერთმიმართებაა საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის არსებულ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი

პასუხისმგებლობის ცნებასა და იმუნიტეტებს შორის.. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე განვიხილავთ უნივერსალური იურიდიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ახალ მცდელობას, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ჰუმანიტარული ინტერვენციის სახელით ცნობილ მოვლენად იქცა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. განსახილველი თემის ჭრილში ასევე გავაანალიზებთ ბრიტანეთის ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებას *პინოჩეტის* საქმესთან დაკავშირებით. ეს საქმე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება იყო მიღებული, პროცედენტის შემქმნელად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში იმუნიტეტების საკითხის განხილვასთან მიმართებით. სწორედ ამიტომ შევარჩიეთ იგი ანალიზისთვის ნაშრომის შესაბამის თავში.

რომის სტატუტითა და გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ორგანოების საქმიანობის ანალიზისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იკვეთება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტითა და უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი *ad hoc* ტრიბუნალების წესდებებით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლთა სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა, რაც ასევე იქნება ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რომელსაც წინამდებარე ანალიზის წარმართვისას შევეხებით.

იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს კონკურენტული და კომპლემენტარული უფლებამოსილების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოსთვის სიტუაციის გაგზავნა უშიშროების საბჭოს მიერ ან სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერება<sup>18</sup> უშიშროების საბჭოს მოთხოვნით, სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს შორის ურთიერთობის ანალიზს ამ ჭრილში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.

დასაწყისშივე გვსურს კიდევ ერთხელ ხაზგასმა იმ ფაქტზე, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მისი სტატუტის ძალაში შესვლიდან 8 წლის თავზე არც ისეთი შთამბეჭდავი პრაქტიკა აქვს განვითარებული. მის წარმოებაში 2010 წლის მაისის ბოლოსთვის სულ რვა საქმე და ხუთი სიტუაციაა.<sup>19</sup> შესაბამისად, ანალიზისთვის გამოყენებული იქნება ის მწირი სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც ნაშრომის თემასთან დაკავშირებით დღეის მდგომარეობით სასამართლოს აქვს.

<sup>18</sup> აქ შევეხებით მხოლოდ საქმისწარმოების შეჩერებას, რადგან რომის სტატუტის მე-16 მუხლით გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედება არ ვრცელდება სასამართლოს პროკურორის მიერ განსახორციელებელ ყველა ქმედებაზე, ის მხოლოდ შეეხება „გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას.“ იხ. დეტალებისთვის: Bergsmo, M., Pejčić, J. (2008), “Article 15: Prosecutor” in Triffterer, O. (ed.), “Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article”, გვ. 601.

<sup>19</sup> იხ. მე-10 და მე-11 სქოლიოები, ზემოთ.

თუმცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სასამართლოს პროკურორი აქტიურობის მომდევნო ფაზაში სასამართლოს გადაყვანით მისი პრაქტიკის განვითარებისთვის ხელშეწყობასა და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების სერიოზული კორპუსის შექმნაში საკუთარი სერიოზული წვლილის შეტანას მოახერხებს.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის ურთიერთმიმართების უმნიშვნელოვანესი მაკავშირებელი და მიზეზი იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომი ამ თემას მიძღვნიდა, ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის, ზოგადად, ურთიერთმიმართების საკითხის<sup>20</sup> დიდი მნიშვნელობაა. დევიდ პ. ფორსაიტი შენიშნავს, რომ „1945 წლიდან და, განსაკუთრებით, დაახლოებით 1970-იანი წლებიდან ჩვენ მოწმენი გავხდით არა მხოლოდ უნივერსალური ადამიანის უფლებების შესახებ რიტორიკისა, არამედ მრავალგზისი დარწმუნებისა, რომ ადამიანის უფლებები გადაჯაჭვულია მშვიდობასთან როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე შიდა იურისდიქციებში.“<sup>21</sup> ფორსაიტი ასევე მიუთითებს: „როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ასპარეზზე თუნდაც მცირე [მაგრამ ფრთხილად შერჩეული] მაგალითები ნათლად წარმოაჩენს, რომ ადამიანის უფლებებსა და მშვიდობას შორის ურთიერთობა რთულია.“<sup>22</sup>

კიდევ უფრო რთულია ურთიერთობა ჩვენი კვლევის ობიექტებს – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს შორის. მათი ურთიერთობის ანალიზისას უნდა ამოვიდეთ იმ მოცემულობიდან, რომელსაც ფორსაიტი ზემოთ ციტირებულ მოსაზრებაში წარმოაჩენს, რადგან წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის არჩეული ეს ორი ორგანო სწორედაც რომ ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის ურთიერთკავშირის ჭრილშია ჩვენთვის მნიშვნელოვანი. ორივე ორგანოს დამფუძნებელი დოკუმენტების დასაწყისშივე ადვილად ვპოულობთ ამ იდეის გამტარებელ ნორმებს. კერძოდ, გაეროს წესდების პრეამბულა და შესაბამისი ნორმები მშვიდობაზე რეფერენსს აქტიურად აკეთებენ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტს თუ განვიხილავთ, ადვილად აღმოვაჩენთ ადამიანის უფლებების დაცვის სულისკვეთებას მასში. თუმცა ეს ისე არ უნდა იყოს წარმოჩენილი, თითქოს ანალიზის ობიექტი ერთი ორგანო მხოლოდ მშვიდობაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვაზე. როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობამ, განსაკუთრებით ცივი ომის დასრულების შემდეგ, ცხადყო, მშვიდობის დაცვა ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია. ამ საკითხთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში დეტალური ანალიზია

<sup>20</sup> იხ.: Kastner, P. (2008), *The ICC in Darfur - Savior or Spoiler?* in ILSA Journal of International and Comparative Law, Vol 14:1, გვ. 146.

<sup>21</sup> იხ.: Forsythe, D. P. (1993), *“Human Rights and Peace: international and national dimensions”*, გვ. 1.

<sup>22</sup> იხ.: *Ibid.*, გვ. 11.

მოცემული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მშვიდობის დაცვაზე ორიენტირებული გაეროს წესდების VII თავის ადამიანის უფლებების დაცვის მიზნებისთვის ახლებურად გამოსაყენებლად მზაობის გაცხადებასთან დაკავშირებით. ამავდროულად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ნორმების განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს არც ის დაკავშირებული ნორმები, რომლებიც სასამართლოს საქმიანობას მშვიდობის დამყარებასა და შენარჩუნებაზე მიმართავს.

სწორედ ამ გლობალური კავშირის ფონზე ხდება წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავებში საკითხების განხილვა და მათი ანალიზის საფუძველზე ნაშრომის მთავარ კითხვაზე პასუხის ძიება.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის საკვანძო საკითხი შემდეგია: იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, მუდმივმოქმედი სასამართლო ორგანო, სარგებლობს „კომპლემენტარული“ იურისდიქციით<sup>23</sup> და ამავდროულად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო გაეროს წევრების მიერ უფლებამოსილია, იმოქმედოს „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის“<sup>24</sup> უპირველესი უფლებამოსილებით, ნებისმიერი აშკარა შეზღუდვის გარეშე, როგორ უნდა დადგინდეს ამ ორი ორგანოს კომპეტენციებს შორის ზღვარი ისე, რომ ერთმანეთის შემავსებელი, და არა კონკურენტული, საქმიანობა ახორციელონ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში?

ჩვენი განხილვის საგანი კიდევ უფრო რთულდება, თუ გავითვალისწინებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებზე ამ ორგანიზაციის წესდების 103-ე მუხლით დაკისრებულ ვალდებულებას, უპირატესობა მიანიჭონ ამ წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს, „გაერთიანებული ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოსთვის ვალდებულებების კონფლიქტის დროს წესდებით ნაკისრ და ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებას შორის“<sup>25</sup>.

ეს ყველაფერი კიდევ უფრო საინტერესო ხდება “შეპირისპირებული თანამშრომლობის“ ჭრილში, რაც გულისხმობს ზენაციონალური საერთაშორისო ორგანიზაციის – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს – დახმარებას სახელმწიფოებისადმი რომის სტატუტის 93-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად. ეს თანამშრომლობა კი ძვირფასი დროის წამდება, მაშინ, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შეუძლია, დაუყოვნებლივ იმოქმედოს და მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება იყოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს

<sup>23</sup> იხ.: რომის სტატუტი, მე-17 მუხლი.

<sup>24</sup> იხ.: გაეროს წესდება, 24-ე მუხლი.

<sup>25</sup> იხ.: გაეროს წესდება, 103-ე მუხლი.

უფლებამოსილების შემზღუდველი, აწარმოოს საქმე საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ძირის გამომთხრელ საკითხთან დაკავშირებით.

ნაშრომის თემიდან გამომდინარე, ძირითადი კითხვა შესაძლოა, შემდგენიარად ჩამოყალიბდეს: შესწევს თუ არა ძალა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, შეეწინააღმდეგოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გადაწყვეტს, ჩაერიოს საქმესა ან სიტუაციაში, რომელიც, შესაძლოა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ იყოს განსახილველი? და, შეიძლება, ეს წინააღმდეგობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გასწიოს, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო სასამართლოს მიერ სიტუაციასა ან საქმეზე (გამოძიებისა ან სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე) მუშაობის შეჩერება მოითხოვს, მაშინაც კი, თუ აბსოლუტურად ნათელია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენება მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით და ამით ხელი ეშვება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, განიხილოს საქმე ან გამოიკვლიოს სიტუაცია სამართლებრივი კუთხით, და იმ ინტერესით, რომ აღდგეს საერთაშორისო სამართლიანობა?

და ბოლოს, რატომ გადააწყვიტეთ ამ საკითხების განხილვა? რატომ მაინცდამაინც ამ ორი ორგანოს – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ურთიერთმიმართება?

პასუხი მარტივია, თუმცა ამავდროულად მისი ანალიზი არცთუ ისე მარტივი გამოდგა. ჩვენი მიზანი გაეროს წესდებით გათვალისწინებული ორი უმთავრესი მოვლენის ჭრილში მნიშვნელოვანი ორგანოების ერთად მუშაობის შესაძლებლობის ანალიზი გახლდათ. ეს ორი მნიშვნელოვანი თემაა „საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება“ და „ადამიანის უფლებების დაცვა“.

მართალია, როგორც ნაშრომის ტექსტიც ნათლად აჩვენებს, დღეს, XXI საუკუნეში არ იწვევს დავას ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებების დაცვა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა, XX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი დოკუმენტი – გაეროს წესდება – აშკარა არაპროპორციულ მიდგომას გვაჩვენებს ამ ორ დებულებასთან მიმართებით: მათგან პირველი ოცდაშვიდჯერ არის გაეროს წესდების ტექსტში მოხსენიებული, განსხვავებით „ადამიანის უფლებების“ ხსენებისგან, რაც მხოლოდ შვიდჯერ გვხვდება ტექსტში. როგორც ამ ნაშრომის შესაბამის თავებში იქნება ნაჩვენები, არათანაბარი მიდგომა ამ ორ მოცემულობასთან მიმართებით არა მხოლოდ გაეროს წესდების ტექსტში ხსე-

ნებით გამოიხატა, არამედ გაეროს მიერ ამ ორი საკითხისთვის განსხვავებული ყურადღების დათმობითაც გამოიკვეთა.

## 1.1. მეთოდოლოგია

გამოყენებული მეთოდოლოგია: წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას 2006 წლიდან კომბინირებული იყო თეორიული კვლევა „კომპლემენტარობისა“ და „ძალაუფლების უზენაესობის“ შესახებ ორ ორგანოს შორის – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ურთიერთობაში.

კვლევის ეს ნაწილი გაერთიანდა როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ისე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ბოლოდროინდელი პრაქტიკის ანალიზთან. კვლევის მიზანი იყო ცალსახად სამართლებრივი ასპექტების განხილვა საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სამსახურის გლობალური მიზნის ჭრილში და იმავე პროცესების პოლიტიკური განზომილების ანალიზი.

წარმოებული კვლევა განვითარდება სამუშაო რეჟიმში კომპლემენტარობის ანალიზის ფონზე და იმაზე იმსჯელებს თეორიულად, თუ როგორი იქნებოდა საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, კომპლემენტარობა რომ ობიექტურად მუშაობდეს. ამ შემთხვევაში კომპლემენტარობა გამოიყენება არა სტატუტით გათვალისწინებული კომპლემენტარობის აღსაწერად, რომელიც რომის სტატუტით შექმნილ სასამართლოსა და სახელმწიფოებს შორის კომპეტენციის გადანაწილებას ეხება, არამედ ლაპარაკია „სამწვერა კომპლემენტარობაზე“, რომელიც მიემართება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს შორის კომპეტენციის განაწილებასა და ურთიერთშეგებას.

არჩეული მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამართლის წყაროების შედარებით კვლევას *real politic*-ის მიმართ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში. გავაანალიზებთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მწირ პრაქტიკას.

## 12 გამოყენებულ წყაროთა ტიპები

- ა) სახელმძღვანელოები, მეცნიერული კომენტარების სახით შექმნილი წიგნები საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებზე;
- ბ) სტატიები, ელექტრონული ჟურნალების ჩათვლით (JSTOR, HeinOnline);
- გ) სასამართლო საქმეები (მათ შორის, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სიტუაციები, საქმეები);

- დ) სხვა საერთაშორისო ან გასაერთაშორისოებული სასამართლო ორგანოების სასამართლო პრაქტიკა;
- ე) ამ სფეროსთვის რელევანტური საერთაშორისო დოკუმენტები;
- ვ) ავტორის მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ამოქმედების საკითხებზე ნიუ-იორკში მომუშავე მოსამზადებელი კომიტეტის (ე.წ. “PrepCom”) მუშაობაში მონაწილეებისას მოპოვებული დოკუმენტები.

### **1.3. კვლევის შედეგების გამოყენება სასწავლო მიზნებისთვის**

კვლევის თემა შეირჩა სალექციო კურსის ფარგლებში. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების სტუდენტებისთვის წინამდებარე ნაშრომის ავტორის მიერ წაკითხული ერთ-ერთი კურსის მსვლელობისას გამოიკვეთა საინტერესო, პრობლემური და ამ ეტაპზე ნაკლებად გამოკვლეული საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციების გამიჯვნისა და მათ მიერ ერთმანეთის საქმიანობისთვის ხელშეწყობის კუთხით.

ამდენად, კვლევის ფართო თემა პირდაპირ კავშირშია წინამდებარე ნაშრომის ავტორის ერთ-ერთი საგნის – საერთაშორისო სისხლის სამართალი – ინსტიტუტები – ძირითად იდეასთან. კვლევა გამოიყენება იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის ამ და სხვა კურსების მსვლელობისას, როგორც არის, მაგალითად, საერთაშორისო სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები.

კვლევა მნიშვნელოვანი წყარო იქნება საერთაშორისო საჯარო სამართლით დაინტერესებული იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რამდენადაც სასწავლო მასალა ქართულ ენაზე სამართლის ამ დარგში ძალზე მწირია.

## 2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შექმნის არსი და კომპეტენცია

წინამდებარე თავის მიზანია, ნაშრომის განხილვის საგანთან დაკავშირებით წარმოაჩინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს კომპეტენცია იმდენად, რა დოზითაც იგი შეიძლება იკვეთებოდეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობასთან. შესაბამისად, ამ თავში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს კომპეტენციის განხილვისას არ განვაგრძობთ მსჯელობას მთლიანად ამ ორგანოს შექმნისა და საქმიანობის თავისებურებებზე. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ საკითხებს შევეხებით, რაც ჩვენი კვლევის საგანთან დაკავშირებით მსჯელობისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანისთვის არის საჭირო.

იმის ანალიზით, უშიშროების საბჭოს კომპეტენციის გამოყენება თუ როგორ ხდება ზოგადად, წინამდებარე თავში განვიხილავთ, რამდენად შეიძლება, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო გახდეს უშიშროების საბჭოს სამიზნე და არ მიეცეს სასამართლოს საკუთარი კომპეტენციის სრულად განხორციელების შესაძლებლობა. ამ საკითხის ამომწურავად განსახილველად კი, მართალია, მაქსიმალურად იქნება თავიდან არიდებული უშიშროების საბჭოს, როგორც ასეთის, კომპეტენციის აღწერა, თუმცა ანალიზისთვის საჭირო დოზით მიმოვიხილავთ უშიშროების საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ასევე მოკლედ შევეხებით ერთ მნიშვნელოვან, თუმცა ერთი შეხედვით, შესაძლოა, მკითხველის თვალში ნაშრომის თემისგან შორს მდგომ საკითხს, როგორცაა ფარული ან შეფარული ვეტო.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნას გაეროს შექმნა, რომლის წესდებით „დაფუძნდა ორგანიზაცია მრავალი სპეციფიკური ფუნქციით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა იყო“,<sup>26</sup> ნახევარი საუკუნით უსწრებდა წინ, სასამართლოს ამოქმედებასთან ერთად საერთაშორისო სამართლის მეცნიერების დღის წესრიგში დადგა არაერთი საკითხი, რომელთა განხილვა გვაფიქრებინებს, რომ ნახევარსაუკუნოვანი ისტორია გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობისთვის არ იყო საკმარისი ბევრ ფუნდამენტურ საკითხზე პასუხების მოსაძიებლად.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებით გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობისა და სამართლებრივი თუ პოლიტიკური შესაძლებლობების ანალიზისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოც, მიუხედავად მასზე გაეროს წესდებით მინიჭებული შეუზღუდავი უფლებამოსილებისა, არ არის ყოვლისშემძლე. უშიშროების საბჭოს შეუზღუდავი უფლებამოსილების შემზღუდავი ისევე მისი წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური ნება და მოქმედებაა.

<sup>26</sup> იხ.: Clark A. A., and Beck, R. J. (1993) *International Law and the Use of Force*, გვ. 29.



XXI საუკუნეში კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ის არც ისეთი ძლევამოსილი და ყოვლისშემძლეა, როგორც წინა საუკუნეში ჩანდა. თუმცა, შემცირებული ძალაუფლებისა თუ პოლიტიკური გავლენის მიუხედავად, რაც პოლიტიკური რეალობის შედეგია და არა რაიმე ცვლილებისა მისი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებში, უშიშროების საბჭოს კონსოლიდირებული, სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება ხშირ შემთხვევაში შესაძლოა, დღეს, როგორც არასდროს წინა საუკუნეში, იყოს საჭირო.

თუმცა, სამწუხაროდ, XXI საუკუნის დასაწყისში უშიშროების საბჭოს საქმიანობის განვითარება ნათლად აჩვენებს, რომ ის საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისას და მათთვის საფრთხის შექმნისას არ არის ისეთი კონსოლიდირებული, როგორც, მაგალითად, 1991 წელს, ერაყის მიერ ქუვეითის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სასტიკი დარღვევის დროს იყო<sup>27</sup>. *ქრისტინე გრეის* შეფასებით, „ერაყის ქუვეითში შეჭრაზე გაეროს პასუხი გაეროს ახალი ერისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დასაწყისის იმედს იძლეოდა.“<sup>28</sup>

ნათელია, რომ პოლიტიკური რეალობები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დაცვაზე „უპირველესად პასუხისმგებელი“ ორგანოს ქმედუნარიანობას. გარდა ერაყის პირველი ომის სახელით ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით გამოხატული აქტიურობისა, ცივი ომის დასრულების შემდეგ სხვა მაგალითებიც მრავლად იყო იმის დასაანახავად, რომ უშიშროების საბჭო მართლაც შეუზღუდავად, საკუთარი შეხედულებისამებრ და განსაკუთრებულ ნორმებსა თუ ინტერპრეტაციებს დაქვემდებარების გარეშე მოქმედებდა. ცივი ომის დასრულების შემდგომი პერიოდის დასაწყისშივე, ანუ მხოლოდ 1990 და 1994 წლებს შორის, უშიშროების საბჭომ 8 შემთხვევაში მიიღო გადაწყვეტილება არასამხედრო ღონისძიებების გამოყენების შესახებ<sup>29</sup>, რომელთაგან ხუთ – ერაყის, ყოფილი იუგოსლავიის, სომალის, ჰაიტისა და რუანდის – შემთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენებაზეც არ თქვა უარი.<sup>30</sup>

ამ საკითხების დეტალურად განხილვამდე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი თვალსაჩინო, თუმცა სამართლის ქართული სკოლისთვის ფრიად სამწუხარო, დადასტურება ზემოთ გამოხატული აზრისა. არცთუ ისე შორეულ წარსულში, მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევის ფაქტზე, რომელიც საქართველოში რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული აგრესია გახლდათ, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ არ მომხდარა არცერთი ქმედითი ნაბიჯის გადადგმა, რომ საკუთარი მანდატის ფარგლებში თავიდან აერიდებინა ის, რაც გაეროს წესდებით აკრძალულია და ამ აკრძალვის ცხოვრებაში განუხრელად

<sup>27</sup> იხ.: Greenwood, C. (1992), *New World Order or Old? The Invasion of Kuwait and the Rule of Law in The Modern Law Review*, Vol. 55, No.2, pp.153-178.

<sup>28</sup> იხ.: Gray, C. (2008), *International Law and the Use of Force*, გვ. 264.

<sup>29</sup> არასამხედრო ღონისძიებები გამოყენებული იყო ერაყის, ყოფილი იუგოსლავიის, ლიბერიის, ლიბიის, მალის, ანგოლის, ჰაიტისა და რუანდის შემთხვევებში.

<sup>30</sup> იხ.: Frowein, K. (2002), „Article 42” in *The Charter of the United Nations: A Commentary*, Vol. I, გვ. 751-752.

გატარების ზედამხედველობა, უპირველესად, გაეროს უშიშროების საბჭოს ევალება.<sup>31</sup>

თუმცა, სანამ შემდგომ ანალიზს მოვახდენთ იმისას, თუ როგორ შეიძლება კვეთდეს გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციები ურთიერთს, მნიშვნელოვანია, მოკლედ ყურადღების შეჩერება იმ ძირითად პოსტულატებზე, რომლებსაც გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობა სამართლებრივად ეფუძნება. თუმცა, სიტყვა „სამართლებრივი“ აქ, შესაძლოა, გადაჭარბებულად ჩანდეს და უმჯობესი იყოს იმის თქმა, რომ პოლიტიკური ორგანოს საქმიანობის პოლიტიკური საფუძველია ის, რაც სამართლის სპეციალისტებს სამართლებრივ ჭრილში გვსურს, რომ დავინახოთ – ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ის ნორმებია, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის ჩარჩოსა თუ მოქმედების საზღვარდაუდებელ თავისუფლებას უზრუნველყოფენ.

გაეროს წესდება ოთხ თავს მოიცავს უშიშროების საბჭოსთან მიმართებით. ეს თავები შეეხება უშიშროების საბჭოს შემადგენლობას, ფუნქციებსა და პროცედურას<sup>32</sup>, დავების მშვიდობიან მოგვარებას<sup>33</sup>, მშვიდობისთვის საფრთხის შექმნასა ან მშვიდობის დარღვევებსა და აგრესიის აქტებს<sup>34</sup>. გაეროს წესდების VIII თავი კი რეგიონალურ ღონისძიებებს შეეხება.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენამდეც კი საკმარისზე მეტი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს გარშემო უხერხულობა, მისი ფართო კომპეტენციისა და შეზღუდული შემადგენლობის გამო. შეზღუდულ წევრობასთან დაკავშირებული საკითხი კიდევ უფრო მეტად მძიმდებოდა უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებზე მინიჭებული ვეტოს უფლების არსებობით, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ გაეროს ყველა წევრის შემადგენლობით მომუშავე გენერალურ ასამბლეას მხოლოდ რეკომენდაციის უფლება აქვს, გარდა იმ მცირე გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ გაბედა უშიშროების საბჭოს ფუნქციის განხორციელებაში ჩარევა.

უშიშროების საბჭოს შეზღუდული წევრობა საინტერესოა წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, იმდენად, რამდენადაც შეზღუდული წევრობის მქონე ორგანომ, რომელიც გაეროს ყველა წევრის სახელით მოქმედებს<sup>35</sup>, შესაძლოა, საქმიანობის განხორციელებაში ხელი შეუშალოს გაცილებით უფრო მეტი მონაწილე სახელმწიფოს მიერ აღიარებული ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ორგანოს.

---

<sup>31</sup> დეტალურად ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: L. Alexidze (2009) *The Failure of the UN Security Council in Settlement of the Conflict in Abkhazia, Georgia, Undermines the Fundamentals of the International Legal Order (Aggressive Separatism v. International Community)*, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი № 1, 2009, გვ. 101-119.

<sup>32</sup> გაეროს წესდება, V თავი.

<sup>33</sup> იქვე, VI თავი.

<sup>34</sup> იქვე, VII თავი.

<sup>35</sup> იქვე, 24-ე(1) მუხლი.

ამავდროულად, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა არა მხოლოდ საკუთარი – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის – წევრებისთვის, არამედ, მისი წესდების მიხედვით, გარკვეულწილად, გაეროს არაწევრებისთვისაც, როგორც ეს იკითხება გაეროს წესდების მე-2(6) მუხლიდან.

ამასთან, „ფარული ვეტოს“ გამო, ამ თავის მიზნებისთვის საინტერესოა თავად „ვეტოს“ კონცეფცია, რაც კარგად ცნობილ წესს მოიცავს: გაეროს უშიშროების საბჭო გადაწყვეტილებას ხუთი მუდმივი წევრის მიერ არაპროცედურულ საკითხზე დადებითი პოზიციის დაფიქსირებით იღებს.<sup>36</sup>

ჩვენი კვლევის საგანთან დაკავშირებით, ვეტო საინტერესოა იმდენად, რამდენადაც უშიშროების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, შესაძლოა, გაფართოვდეს ან შეიზღუდოს. შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის სიტუაციის განსახილველად გადაცემა ან სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული მუშაობის შეჩერება შეიძლება მოითხოვოს უშიშროების საბჭომ არა მხოლოდ კლასიკური ვეტოს გამოყენებით, არამედ ასევე ფარული ვეტოს გამოყენებითაც.

ბუნებრივია, ფარული ვეტოს გამოყენება შეპირისპირებულადაც შეიძლება მოხდეს. კერძოდ, თუ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს არ სურს სასამართლოს მიერ საქმის წარმოების გაგრძელება, ან სურს, არ მოხდეს რომელიმე სიტუაციისა ან საქმის გადაცემა, მას შეუძლია, ეფექტურად გამოიყენოს ის თეორიული შესაძლებლობა, რომელსაც გაეროს წესდება იძლევა. ეს შესაძლებლობა კი შემდეგია: მუდმივმა წევრმა შეიძლება დაარწმუნოს საბჭოს წევრების საკმარისი რაოდენობა საიმისოდ, რომ არაპროცედურულ საკითხზე საბჭოს გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეეშალოს. ამ გზით არა მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი ხუთი წევრიდან ერთ-ერთის ვეტო შეიძლება იყოს გადამწყვეტი, არამედ უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან ნებისმიერი 9 წევრის უარყოფითი ხმა ან გადაწყვეტილების მიღებისას თავის შეკავება მოახდენს საჭირო დადებითი ხმების მოგროვების დაბლოკვას და, შესაბამისად, სასამართლოსთვის სიტუაციის ან საქმის გადაცემა შეიძლება დაიბლოკოს ან სასამართლოს მიერ საქმის წარმოების შეჩერება შეიძლება არ გამოუვიდეს სასამართლოს. ტერმინი „ფარული ვეტო“, რომელსაც ასევე უწოდეს „არაპირდაპირი ვეტო“, საბჭოთა კავშირის მიერ იყო გამოყენებული.<sup>37</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი დებულებები უშიშროების საბჭოს ფუნქციებთან დაკავშირებით არის 24-ე და 25-ე მუხლები. თუმცა ამ მუხლებთან ერთად ჩვენთვის საინტერესოა გაეროს წესდების 39-ე მუხლი, რომლის მიხედვით, „მშვიდობისთვის საფრთხე“ ჩანს ყველაფერი, რასაც უშიშროების საბჭო უწოდებს ასე.<sup>38</sup> გაეროს წესდების 39-ე მუხლის წარმოჩენა ახალ ჭრილში მოხერხდა ცივი ომის დასრულების შემდეგ, როდესაც

<sup>36</sup> იხ.: გაეროს წესდება, 27-ე(3), 108-ე მუხლები.

<sup>37</sup> იხ.: Bailey S.D., Daws, S. (2005), *The Procedure of the United Nations Security Council*, გვ. 249: [www.oxfordscholarship.com](http://www.oxfordscholarship.com) (ნანახია: 02/03/2006).

<sup>38</sup> იხ.: Malanczuk, P. (ed.), (1997), *Akehurst's Modern Introduction to International Law*.

გააქტიურებულმა უშიშროების საბჭომ შემოიღო პრაქტიკა, ემოქმედა არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტში, არამედ იმავე წარმატებით გადაეწყვიტა საკითხები არასაერთაშორისო კონფლიქტებთან დაკავშირებით. ეს კი, გაეროს წესდების 39-ე მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, ცივი ომის დასრულებამდე პერიოდში შეუძლებლად იყო მიჩნეული. ამ ეტაპზე ფართოდ აღიარებულია, რომ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში განვითარებული სერიოზული ძალადობა შესაძლოა, გაეროს წესდების VII თავით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენების საფუძველი გახდეს უშიშროების საბჭოსთვის.<sup>39</sup> ამავდროულად, როგორც *იორამ დინშტაინი* აღნიშნავს, „უშიშროების საბჭოს ზუსტად ისევე შეუძლია მიიღოს ზომები მშვიდობისთვის საფრთხის შექმნის ისეთ შემთხვევაში, რომელიც საზოგადოებისთვის, ზოგადად, შეუძნეველია, როგორც შეუძლია, უარი განაცხადოს მშვიდობისთვის აშკარა საფრთხის შექმნის აღიარებაზე.“<sup>40</sup>

უშიშროების საბჭომ საკუთარი ავტორიტეტის რეანიმირება მოახდინა XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის პირველსავე წლებში, კოსოვოსა და ერაყის მეორე ომის დასრულების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც დიდი სახელმწიფოების მიერ მისი ავტორიტეტი გარკვეულწილად შელახული იყო უშიშროების საბჭოს გვერდის ავლითა და მის მიერ წინასწარ ნების დართვის გარეშე ძალის გამოყენებით.<sup>41</sup>

გაეროს უშიშროების საბჭო აღარ ჩანს შეუზღუდავად ძლევამოსილი, და როგორც *ერიკ სუი* მიუთითებს საკუთარ ნაშრომში, ეს ორგანო ამ ეტაპზე მხოლოდ მშვიდობისმყოფელთა მარტივი ოპერაციების ორგანიზებაში შეიძლება იყოს ჩართული, როგორც არის, მაგალითად: არჩევნების მომზადება, ორგანიზება და არჩევნების ჩატარების ზედამხედველობა, ჰუმანიტარული დახმარების მობილიზების პარალელურად,<sup>42</sup> *სუი*<sup>43</sup> ასევე ასკვნის, რომ უშიშროების საბჭო ვეღარ იქნება „აქტიური და „ადეკვატური“ როლის შემსრულებელი ვეღარც მშვიდობის იძულების ღონისძიებებში. ეს მანდატი სულ უფრო და უფრო მეტად იქნება გადაცემული წევრ სახელმწიფოებზე, რომლებიც იმოქმედებენ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, როგორც *მსურველთა კოალიცია* ან რეგიონალური ორგანიზაციის ფარგლებში“.<sup>44</sup>

ეს კი თავისთავად გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატიდან, პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, „საერთაშორისო მშვი-

<sup>39</sup> იხ.: Frowein J.A., Krisch, N. (2002) “Chapter VII. Action with respect to Threats to the Peace, Breaches of the Peace, and Acts of Aggression” in The Charter of the United Nations: A Commentary, Simma, B. (ed.), vol. I, გვ. 723.

<sup>40</sup> იხ.: Dinstein, Y. (2001), *War Aggression and Self-Defence*, გვ. 251.

<sup>41</sup> იხ.: Lobel, J., Ratner, M., (1999) *Bypassing the Security Council: Ambiguous Authorizations to Use Force, Cease-Fires and the Iraqi Inspection Regime*, American Journal of International Law, 93 გვ. 124-54.

<sup>42</sup> იხ.: Suy, E. (2004): *In the United Nations Security Council Still Relevant? And Was It Ever?* in: Tulane Journal of International and Comparative Law, Volume 12, გვ. 25.

<sup>43</sup> ლეუვენის (ბელგია) უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, 1974-1987 წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოადგიდე.

<sup>44</sup> იხ. Suy, E. (2004) *Is the United Nations Security Council Still Relevant? And Was It Ever?* in: Tulane Journal of International and Comparative Law, Volume 12, გვ. 25.

დობისა და უსაფრთხოების დაცვაზე უპირველესი პასუხისმგებლობის“ პრაქტიკულად ამოშლას უნდა მოასწავებდეს. ეს „უპირველესი ვალდებულება“ ის ჯადოქრული საშუალებაა, რაც უშიშროების საბჭოს ხშირად თავისუფალი და დაუსაბუთებელი, ან ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებების შესაძლებლობას აძლევს. დროის გასვლასთან ერთად, ამ ფუნქციის სრული დაკარგვა თუ არა, მნიშვნელოვანწილად შესუსტება მაინც, მისი ძლევამოსილების მითს აქარწყლებს, რაც არც გაეროს წესდების შემქმნელთა მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს და არც თანამედროვე მსოფლიოს სტაბილურობისთვის უნდა იყოს კარგის მომასწავებელი.

მიუხედავად ამ და სხვა მეცნიერთა მითითებებისა, რომ უშიშროების საბჭოს ძალაუფლება აღარც ისეთი შეუზღუდავია, როგორც ის წესდების მიხედვით ან ცივი ომის შემდეგ იყო, ამ ორგანოს, ცხადია, მაინც საკმარისი ძალა აქვს, რათა, სურვილის შემთხვევაში, თუ მისი 5 მუდმივი წევრი მოინდომებს, – ისე ძალიან მოინდომებს, რომ ვერც შეუარული ვეტოს გამოყენება ვერ მოახერხონ არამუდმივმა წევრებმა, – ხელი შეუშალოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ, ბუნებრივია, „მშვიდობის დაცვა მცირე მნიშვნელობის მიზანი არ უნდა იყოს“<sup>45</sup>. ამავედროულად, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მშვიდობისა და უსაფრთხოების საერთაშორისოდ დაცვაზე პასუხისმგებელი უპირველესი ორგანო პოლიციის როლის შემსრულებელია, და არა სასამართლოსი. როგორც 1945 წელს იქნა განმარტებული, უშიშროების საბჭოს „არ სჭირდება დაცვა მანამ, სანამ დადგინდება, ვინ არის მართალი და ვინ – მტყუანი“, მისი ფუნქციაა, „შეაჩეროს შეიარაღებული დაპირისპირება, ან გაანეიტრალოს მშვიდობას დამუქრებული საფრთხე, რაც შეიძლება, სწრაფად“<sup>46</sup>.

ამ თავში განვითარებული მსჯელობის დასკვნისათვის აუცილებლად უნდა მოვიხმოთ *ლაუტერპახტის* სიტყვები, რომლის თანახმად, „საერთაშორისო უსაფრთხოების ნებისმიერი სისტემის ეფექტურობა იმის პროპორციულად უნდა გაიზარდოს, როგორც სამართალი... დაეხმარება სახელმწიფოებს, დაადგინონ და განავითარონ მშვიდობიანი გზებით საკითხების გადაჭრის მექანიზმები და მეთოდები.“<sup>47</sup>

ნიშანდობლივია, რომ XX საუკუნის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი გამორჩეული და გავლენიანი სპეციალისტი *ჰერშ ლაუტერპახტი* მიუთითებდა სამართლის როლზე და არა პოლიტიკურ რეაქციებზე. მართალია, სამართლის და, განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლის, განვითარებისას პოლიტიკური განვითარების სრულად თავიდან არიდება რთული წარმოსადგენია, მაგრამ ბალანსის სამართლიანი და ლოგიკური გადანაწილებისთვის, ალბათ, უპრიანია, სამართლის, – რაც ჩვენს შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს სისხლის

<sup>45</sup> იხ.: Greenwood, C. (2002), *Humanitarian Intervention: The Case of Kosovo*, in: Finnish Yearbook of International Law, გვ.142.

<sup>46</sup> იხ.: Kelsen, H., (1948) “*Collective Security and Collective Self-Defense under the Charter of the United Nations*”, American Journal of International Law 42 გვ. 783-96.

<sup>47</sup> იხ.: Sir Elihu Lauterpacht, CBE, QC (ed.) (2004) *International Law Collected Papers*, Volume 5: Disputes, War and Neutrality, გვ. 84.

სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, და არა პოლიტიკის, რაც ჩვენი განხილვის ობიექტისთვის გაეროს უშიშროების საბჭოსთან შეიძლება იყოს გათანაბრებული, – მეტი დოზით ჩართვა განვითარების მომდევნო ეტაპებში.

ამდენად, მიუხედავად იმისა, თუ რა მიზნები დაედო საფუძვლად გაეროს უშიშროების საბჭოს შექმნას და რა პოლიტიკური რეალიები განსაზღვრავს ჩვენს თანამედროვეობაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მომავალ ფუნქციონირებას, უმთავრესი მაინც უნდა იყოს ერთი: სამართალს პრიორიტეტი მიენიჭოს პოლიტიკასთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, უფრო მეტად დაბალანსებული, დასაბუთებული და რეალურ, შეთანხმებულ, დაწერილ ნორმებზე დაფუძნებული სასამართლო პრაქტიკა უფრო მიზანშეწონილი უნდა იყოს, ვიდრე აბსტრაქტული, პოლიტიკურად ყველაფრის ნების დამრთავი, არაწინასწარგანჭვრეტადი და ხუთი დიდი სახელმწიფოს ნება-სურვილზე დამოკიდებული პოლიტიკური გადაწყვეტილება – საფრთხე ექმნება თუ არა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

### 3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საჭიროება და კომპეტენცია

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალ პერსპექტივად იყო მოაზრებული. *ფილიპ კირში* შენიშნავს, რომ „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნების ძირითადი მიზანი ძალიან სერიოზული დანაშაულების ჩამდენთა დაუსჯელობის კულტურის, რომელიც არსებობდა და ჯერ კიდევ ფართო მასშტაბით არსებობს, პასუხისმგებლობის კულტურით ჩანაცვლება იყო.“<sup>48</sup>

საკმაოდ დიდი ხნის მუშაობისა და მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე მოლაპარაკებების შედეგად, 2002 წლის 11 აპრილს, საბოლოოდ, მე-60 ქვეყნის მიერ სარატიფიკაციო სიგელის წარდგენის შემდეგ, ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი. სასამართლომ ფუნქციონირება ამ დღიდან ორი თვის გასვლის შემდეგ, პირველი თვის პირველ დღეს,<sup>49</sup> ანუ 2002 წლის 1 ივლისს დაიწყო.

როგორც *კროუფორდი* აღნიშნავს, „საერთაშორისო სამართლის კომისიამ გადაწყვიტა... საერთაშორისო სისხლის სამართლის სტატუტის წესდების შექმნაზე ემუშავა, რაც განსხვავებული იყო დანაშაულთა კოდექსის პროექტისგან: საერთაშორისო სამართლის კომისიამ გადაწყვიტა, შეექმნა სასამართლო, რომელიც საერთაშორისო წუხილის გამომწვევ დასაშაულებზე განახორციელებდა იურისდიქციას, რაც თავისთავად უკვე იყო გათვალისწინებული იმ ეტაპზე მოქმედი სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით“.<sup>50</sup>

მართალია, მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნები და ფუნქციები იმ ჰუმანურ ღირებულებებსა და პოლიტიკურ მოსაზრებებს აერთიანებენ, რომლებსაც არა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, არამედ მშვიდობის დაცვისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, მის დაფუძნებასა და საქმიანობის საფუძვლებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა მისი დამფუძნებელი დოკუმენტის ძალაში შესვლიდან რვა წლის თავზეც არ მინელებულა.

ჯერ კიდევ სასამართლოს სტატუტის ძალაში შესვლამდე *ბუშის* ადმინისტრაციის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე საერთაშორისო ორგანიზაციების საკითხებში *ჯონ ბოლტონი* დაუფარავად და მტკიცედ აყალიბებდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არალეგიტიმურობის მკაცრ არგუმენტებს. *ბოლტონის* განმარტებით, „[სისხლის სამართლის საერთაშორისო] სასამართლოს არალე-

<sup>48</sup> იხ.: Kirsch, P. (2001), *The International Criminal Court: Current Issues and Perspectives in Law and Contemporary Problems*, Vol. 64, No. 1, The United States and the International Criminal Court (Winter, 2001), გვ. 3.

<sup>49</sup> რომის სტატუტი, 126-ე(1) მუხლი.

<sup>50</sup> იხ.: Crawford, J. (2004) “*The ILC’s Draft Statute for an International Criminal Tribunal*” in 88 *American Journal of International Law*, 140, გვ. 141.

გიტიმურობა, ძირითადად, ორწახნაგოვანია: როგორც შინაარსობრივი, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით. აბსოლუტურად მტკიცედ [შეიძლება იმის თქმა, რომ] ეს არ არის შეზღუდული იურისდიქციის მქონე სასამართლო... სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ყველაზე უფრო მეტი სიცხადით წარმოაჩენს იმ არაადეკვატურობებს, რომელზე დაყრდნობითაც „საერთაშორისო სამართალი“ იქმნება“.<sup>51</sup>

თუმცა, სანამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნებისა და რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების მიმოხილვას შევუდგებით, წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, უპირანია ერთი ფაქტორის ხაზგასმა: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, მისი შექმნის ისტორიიდან და მისთვის მინიჭებული მანდატიდან გამომდინარე, საერთაშორისო ასპარეზზე ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო მშვიდობის დაცვის ურთიერთგადაჯაჭვულობის ამსახველი უნდა იყოს.<sup>52</sup> ამასთან დაკავშირებით და *ბოლტონის* არგუმენტის საპასუხოდ საგულისხმოა *ჯეიმს ჯეროლის* შენიშვნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის შესახებ. *ჯეროლის* აზრით, „უბრალო სენტიმენტალობის გამოვლენაა, იყო ომის წინააღმდეგი, ამავედროულად ახალი საერთაშორისო სტრუქტურების შექმნის მხარდაჭერის გარეშე, რომლებიც მშვიდობისთვის მუშაობენ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოა, ინსტიტუტი, რომელსაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩამდენთა დასჯით სასტიკი დანაშაულების ჩადენისა და სამაგიეროს მიზღვის უძველესი წრის გარღვევა ძალუძს...“<sup>53</sup>

ამასთან, რომის კონფერენციის მონაწილე *კირში* და *ჰოლმისი* კონფერენციის დასრულების შემდეგ ასე აფასებენ ახალშექმნილ სტატუტს: „სამწუხაროა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი არ იყო მიღებული საერთო შეთანხმების საფუძველზე. სტატუტი უნაკლო დოკუმენტი არ არის; არცერთი საერთაშორისო მოლაპარაკებების შედეგად შექმნილი ინსტრუმენტი არ შეიძლება, უნაკლო იყოს. [სტატუტი] შეიცავს რთულ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, უხერხულ ფორმულირებებსა და რთულ კომპრომისებს, რომლებმაც სრულად კმაყოფილი არავინ დატოვა. თუმცა ეს გაწონასწორებული ინსტრუმენტია, შემკული საკმარისი ძლიერებით საიმისოდ, რომ სასამართლოს ეფექტური მოქმედების უზრუნველყოფა

<sup>51</sup> იხ.: Bolton, J. R. (2001), *The Risks and Weaknesses of the International Criminal Court from America's Perspective in Law and Contemporary Problems*, Vol. 64, No. 1, The United States and the International Criminal Court (Witner, 2001), გვ. 169.

<sup>52</sup> ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის დაცვის კავშირთან დაკავშირებით იხ. ზემოთ: Forsythe, D. P. (1993), *“Human Rights and Peace: international and national dimensions”*, გვ. 1.

<sup>53</sup> იხ.: Carroll, J. (2000), *US Should Back Tribunal* in Bulletin of the American Academy of Arts and Sciences, Vol. 54, No. 1, გვ. 21.



მოახდინოს. მას ასევე საკმარისი მექანიზმები აქვს იმისათვის, რომ სახელმწიფოთა ფართო მხარდაჭერა მოიპოვოს.“<sup>54</sup>

ამდენად, მიუხედავად აზრთა რადიკალური სხვადასხვაობისა სახელმწიფოებს შორის, და რაც ყველაზე უფრო თვალშისაცემია, ამერიკის შეერთებული შტატების ცხარე წინააღმდეგობის არსებობის პირობებშიც, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მაინც ამოქმედდა. მის ამოქმედებას ხელი ვერც ამერიკის უცნაურმა და საერთაშორისო სამართალში უპრეცედენტო მოქმედებამ – ხელშეკრულებიდან ხელმოწერის უკან გატანამ შეუშალა ხელი.

წინააღმდეგობრივი მოსაზრებების მიუხედავად, შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნებს შორისაა: სამაგალითო და დამსჯელი მართლმსაჯულების აღსრულება; მსხვერპლთათვის კომპენსაციის უზრუნველყოფა; ისტორიის შექმნა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მომავალში იმ საშინელ დანაშაულთა თავიდან აცილება, რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველადაც შეიქმნა საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმახორციელებელი დაწესებულება.

მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნას საერთაშორისო საზოგადოებამ საკმაოდ დიდი დრო მოანდომა; მის მოლოდინში არაერთი კონფლიქტი აღმოცენდა და არაერთი საზარელი დანაშაული დარჩა დაუსჯელი; თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცდილობდა, მოეძებნა პასუხისმგებლობის მექანიზმი და დაესაჯა ომის წამომწყებნი თუ სამხედრო დამნაშავენი.

პირველი მსოფლიო ომი მოინათლა როგორც „ყველა ომის დამსრულებელი ომი“, მაგრამ მისი დასრულებისთანავე მეორე მსოფლიო ომის სუსხიანმა ქარმა დაიწყო ქროლა. მეორე მსოფლიო ომის საშინელებების დასრულების შემდეგ ახალი დაპირება აღმოცენდა: „მეტი აღარასოდეს“. ამის შემდეგ საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის უკვე ორასზე მეტი კონფლიქტი მოხდა; პირობა „მეტი აღარასდროს“ არ შესრულებულა.<sup>55</sup>

საერთაშორისო თანამეგობრობის ძიება მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის სასამართლოს დაფუძნებისათვის, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პერიოდში, 1919 წელს დაიწყო, საკმაოდ ნელა და მტკივნეულად ხორციელდებოდა, თუმცა მაინც მოხერხდა და დასრულდა რომში 1998 წლის 17 ივლისს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის<sup>56</sup> შემცველი ხელშეკრულების ხელმოსაწერად გახსნით.

<sup>54</sup> იხ.: Kirsch, P., Holmes, J. T., (1999), *The Rome Conference on an International Criminal Court: The Negotiating Process* in: *The American Journal of International Law*, Vol. 93, No. 1, გვ. 11.

<sup>55</sup> იხ.: Bassiouni, M.C., (1996), *Searching for Peace and Achieving Justice: The Need for Accountability*, in *Law and Contemporary Problems*.

<sup>56</sup> მიღებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნებისათვის მოწვეულ რწმუნებულთა გაეროს დიპლომატიურ კონფერენციაზე (A/Conf. 183/9, 1998).

ისტორიის ამ მონაკვეთში კი არაერთი მცდელობა იყო იმისა, რომ საერთაშორისო მართლმსაჯულება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ განხორციელებულიყო.

### **3.1 სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად XX საუკუნის განმავლობაში განხორციელებული მცდელობები**

#### **3.1.1 პირველი მსოფლიო ომის შემდგომი გამოცდილება**

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დადებულმა ვერსალის ხელშეკრულებამ გაითვალისწინა *ad hoc* ტრიბუნალების შექმნა, მაგრამ არცერთი არ დაფუძნებულა. ხელშეკრულების 227-ე მუხლმა დაადგინა კაიზერ ვილჰელმ მეორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება „საერთაშორისო მორალის წინააღმდეგ უზენაესი დანაშაულის ჩადენისათვის“. უფრო მეტიც, 228-ე და 229-ე მუხლებმა დაადგინეს, რომ ტრიბუნალებმა სისხლისსამართლებრივად უნდა დევნონ „ადამიანები, რომლებსაც ბრალი ედებათ ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევაში“<sup>57</sup> მაგრამ არცერთი საერთაშორისო ტრიბუნალი არ შექმნილა. ამის სანაცვლოდ, მოკავშირეთა თანხმობით, რომლებმაც შესაბამისი დებულება ჩართეს ვერსალის ხელშეკრულებაში, გერმანიაში ეროვნულ დონეზე განხორციელდა დევნა.<sup>58</sup> ამ კომპრომისმა იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ მსოფლიოს „უმთავრეს“ სახელმწიფოთა პოლიტიკური ნება უზენაესია ყველაფერთან მიმართებით.

1919 წლიდან თითქმის ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ მსოფლიოს „მთავარი“ სახელმწიფოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მუდმივი სისტემის დაფუძნება. მაგრამ ამ დროის განმავლობაში მსოფლიოდ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის აღიარება მოხდა, რაც გამორიცხავდა ორგანიზაციათა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნიურნბერგის პროცესების დროს.<sup>59</sup> ამასთან, სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც არ აღიარებულა.

#### **3.1.2 მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ტრიბუნალები და საგამოძიებო კომისიები**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეროვნულ დონეზე განხორციელდა დევნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სხვა ქვეყნებში, როგორებიცაა: კანადა, საფრანგეთი და ისრაელი. ავსტრალიამ და გაერთიანებულმა სამეფომ მიიღეს კანონმდებლობა, რომ-

<sup>57</sup> იხ.: Treaty of Peace Between the Allied and Associated Powers and Germany, 28 June, 1919.

<sup>58</sup> იხ.: Mullins, C. (1921) *The Leipzig Trials: An Account of the War Criminals' Trials and a Study of German Mentality*, გვ. 98-112.

<sup>59</sup> იხ.: Bassiouni, M. C. (1999), “*The Sources and Content of International Criminal Law: A Theoretical Framework*” in *International Criminal Law*, 2nd ed., Vol.1.

ლებიც ასევე აკანონებდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას, მაგრამ მხოლოდ ერთი ადამიანი იყო წარდგენილი სასამართლოს წინაშე.<sup>60</sup>

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში 4 *ad hoc* ტრიბუნალი და 5 საგამოძიებო კომისია დაფუძნდა.

ოთხი ტრიბუნალია:

(1) ნიურნბერგში განთავსებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი;

(2) ტოკიოში განთავსებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი შორეული აღმოსავლეთისათვის;

(3) სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის, განთავსებული ჰააგაში; და

(4) რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, განთავსებული არუშაში.

ხუთი საგამოძიებო კომისიაა:

(1) 1919 წელს შექმნილი ომის წამომწყებთა პასუხისმგებლობისა და სასჯელთა აღსრულების კომისია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს მომხდარ დანაშაულებს იძიებდა;

(2) 1943 წლის ომის დანაშაულთა გაეროს კომისია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მიერ ჩადენილ ომის დანაშაულებს იძიებდა;

(3) 1946 წელს შექმნილი შორეული აღმოსავლეთის კომისია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს იძიებდა;

(4) უშიშროების საბჭოს №780 რეზოლუციის საფუძველზე ყოფილ იუგოსლავიაში ჩადენილ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევათა გამოძიებისათვის შექმნილი ექსპერტთა კომისია; და

(5) ექსპერტთა დამოუკიდებელი კომისია, – რუანდის კომისია, – რომელიც უშიშროების საბჭოს №935 რეზოლუციის საფუძველზე, რუანდის სამოქალაქო ომის დროს ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად დაფუძნდა.

რუანდის ტრიბუნალის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, რომლის დაფუძნებასა და ამოქმედებას დიდი დრო და ძალისხმევა დასჭირდა, უშიშროების საბჭომ მიაღწია პიკს, რომელსაც შეიძლება „ტრიბუნალებით დაღლა“ ეწოდოს. მართლაც, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისათვის *ad hoc* ტრიბუნალების შექმნის პროცედურებმა გადატვირთა გაერო და მოიხმარა უშიშროების საბჭოს დრო. *ad hoc* ტრიბუნალების შექმნის ეს ეტაპი დაემთხვა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს

---

<sup>60</sup> იხ.: ICC Ratification and National Implementing Legislation (1999), Association International De La Droit Penal (ed.).

შექმნისათვის მცდელობების განახლებულ ეტაპს, რამაც მის შემდგომ განვითარებას ერთგვარად ხელიც შეუწყო.

### **3.13 სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს შესაქმნელად გაეროს ფარგლებში წარმართული მუშაობა**

*ad hoc* ტრიბუნალების შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი ორგანოს დაფუძნებისათვის, თუმცა რამდენად ეფექტურად და აქტიურად, ეს საკამათო თემაა.

1947 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო სამართლის კომისიის წინამორბედი, საერთაშორისო სამართლის მაკოდინაცირებელი კომიტეტი, აღჭურვა მანდატით:

1. ჩამოყალიბებინა ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებითა და გადაწყვეტილებებით აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები;
2. მოემზადებინა კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დარღვევათა კოდექსის პროექტი.<sup>61</sup>

ამ რეზოლუციის საფუძველზე საერთაშორისო სამართლის კომისია ორი წლის შემდეგ შეუდგა „ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებით აღიარებული პრინციპების ჩამოყალიბებასა“ და „კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დარღვევათა კოდექსის შედგენას“. შეიქმნა ქვეკომიტეტი და დაინიშნა სპეციალური მომხსენებელი. სახელწოდება „დარღვევათა კოდექსის პროექტი“ 1988 წელს შეიცვალა სახელწოდებით – „კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსი“.

თუმცა სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს დამფუძნებელი დოკუმენტის შექმნას თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა, რადგან ის მთავრობებიც კი, რომლებსაც თეორიულად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა სასურველად მიაჩნდათ, მისი წარმატებისადმი ყოველთვის სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი, რადგან მათ მსოფლიოს მთავარ პოლიტიკურ ძალთა შორის კონსენსუსის მიუღწევლობა ჰქონდათ მხედველობაში.

ამ განსხვავებული პოზიციების შეჯამება შემდგომად შეიძლება: საბჭოთა კავშირი დარწმუნებული იყო, რომ ასეთი სასამართლო ორგანოს შექმნა მის სუვერენიტეტს შეარყევდა; ამერიკის შეერთებული შტატები მზად არ იყო „ცივი ომის“ მწვერვალზე ასეთი სასამართლოს დაფუძნებისათვის. საფრანგეთმა მხარი დაუჭირა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნას, თუმცა ვერ გაიზიარა მისი როლი პროცესების შემდგომ განვითარებაში;

<sup>61</sup> იხ.: U.N. General Assembly Resolution № 174., U.N. Doc. A/519 (1947).

გაერთიანებულმა სამეფომ იდეა ნაჩქარევად და გაუაზრებლად შერაცხა.

საბოლოოდ კი რომის სტატუტის ხელმოსაწერად გახსნა მხოლოდ 1998 წლის 17 ივლისს, რომში გახდა შესაძლებელი.

ასე გაიწვლა სტატუტის მიღება, გამომდინარე იქიდან, რომ ერთმანეთთან გადაჯაჭვულ დოკუმენტებზე სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა ადგილას (ჟენევასა და ნიუ-იორკში) მუშაობდა და, შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავებულ ტექსტებს იღებდნენ სხვადასხვა დროს. შესაბამისად, გაეროს გენერალურ ასამბლეას უადვილდებოდა თითოეული ტექსტის განხილვის გადადება იმ მიზეზით, რომ ხან ერთი, ხან მეორე მზად არ იყო.

ამ ყველაფრის მიზეზი, ალბათ, იქ უნდა ვეძებოთ, რომ არსებობდა პოლიტიკური ნება, გაჭიანურებულიყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა, რადგან ეს იყო დრო, როდესაც მსოფლიო აშკარად ორ ბანაკად იყო გაყოფილი და ხშირად კიდევ ერთი მსოფლიო ომის საშიშროების წინაშეც იდგა.

### **3.2 რა ფუნქციები დაეკისრა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს?**

ხანგრძლივი დებატების შედეგად შექმნილ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნა მუდმივ-მოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების დაცვით<sup>62</sup>, მსოფლიოს მასშტაბით შეიძლება ჰქონდეს იურისდიქცია, გამოიძიოს და სისხლისსამართლებრივად დევნოს გენოციდის, ომის დანაშაულების, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და მოგვიანებით – აგრესიის დანაშაულების ჩამდენნი, დააკისროს სასჯელი დამნაშავეებს და მოახდინოს რეპარაცია მსხვერპლთათვის. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს იმას, რომ სამართლის საერთაშორისო დონეზე გამოყენება უნდა მოხდეს და ჩადენილი დანაშაულებისათვის ფიზიკური პირების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას საერთაშორისო სასამართლო ორგანოს მიერ.

სისხლისსამართლებრივი დევნა ინდივიდთა პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი საშუალებაა მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის. მიუკერძოებელი სასამართლოს გადაწყვეტილებები ფაქტების საჯარო დადასტურებას უზრუნველყოფს. ეს კი მსხვერპლსა, და საერთოდ, საზოგადოებას აგრძნობინებს, რომ უსამართლო ქმედებას შესაბამისი რეაქცია მოჰყვება.<sup>63</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამარ-

<sup>62</sup> ან გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ამგვარი კომპეტენციის მიკუთვნების შემთხვევაში, მიუხედავად რომის სტატუტის რატიფიცირების მდგომარეობისა.

<sup>63</sup> იხ.: Lee, R.S (ed.) (2001), *The International Criminal Court – Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence*, გვ. lix.

თლოსა და ტრიბუნალების შექმნისადმი ბოლო წლებში გამოხატული აშკარა ინტერესი ამ საჭიროებას ხაზს კიდევ ერთხელ უსვამს.

ამასთან, ადამიანი, რომელსაც ბრალად სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ედება, ალბათ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რეჟიმით უკეთესად იქნება დაცული, ვიდრე ის უცხო ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში იქნებოდა.

დამნაშავის არა მისი მოქალაქეობის სახელმწიფოს მიერ დაპატიმრების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში შესაძლოა, შესაბამის სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ან ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულებები არ არსებობდეს. თანაც, თუ გამსამართლებელი ქვეყნის ან მისი მოქალაქის წინააღმდეგ იყო მიმართული ჩადენილი დანაშაული, სამართლიან სასამართლო პროცესზე საუბარი შეიძლება გაძნელებდეს.

რომის სტატუტმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად შექმნა სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სისტემა, რომელიც სამართლიანობის საერთაშორისო სტანდარტებს უზრუნველყოფს და ბრალდებულთათვის სამართლიანი სასამართლო პროცესის უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა. განსახილველს უფლებათა დაცვის კიდევ უფრო მეტი გარანტიები ეძლევათ.<sup>64</sup> ეჭვმიტანილს შეეძლება, მოითხოვოს კომპენსაცია უსაფუძვლოდ დაპატიმრებისა ან დაკავებისათვის. ეს არის აქამდე შექმნილ საერთაშორისო დაცვის სისტემებიდან საუკეთესო, გაცილებით გამჭვირვალე და განვითარებული, ვიდრე ბევრი ეროვნული სისტემა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო აღჭურავს შესაბამისი ძალაუფლების მქონე პროკურორს, დამოუკიდებლად წარმართოს გამოძიება და აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა. ამასთან ერთად, არსებობს შემოწმება-დაბალანსების სისტემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეს დამოუკიდებლობა ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. ამგვარ კონტროლს სამი მოსამართლისაგან შემდგარი პალატა ახორციელებს.<sup>65</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შეუძლია ნებისმიერი მომავალი *ad hoc* სისხლის სამართლის ტრიბუნალის ფუნქციის შესრულება და მას შეეძლება, დაუყოვნებლივ იმოქმედოს მაშინ, როდესაც საჭიროა. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ამოქმედების შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაძლებლობა მიეცა, უბრალოდ გადასცეს კონკრეტული სიტუაცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ნაცვლად იმისა, რომ ხარჯოს დრო და ენერჯია *ad hoc* ტრიბუნალების შექმნაზე. ამით არა მხოლოდ რესურსების დაზოგვა, არამედ ასევე

<sup>64</sup> მაგ., რომის სტატუტი, მუხლები: 55-ე (პირთა უფლებები გამოძიების პროცესში), 57-ე, (წინასწარი გამოძიების პალატის ფუნქციები და უფლებამოსილება), 59-ე, (დაპატიმრების პროცედურა სახელმწიფოში, სადაც ხდება დაკავება), 61-ე, (ბრალდებულთა დამტკიცება სასამართლო განხილვის დაწყებამდე), 65-ე, (პროცედურა ბრალის აღიარების შემთხვევაში) და 67-ე (ბრალდებულის უფლებები).

<sup>65</sup> იხ.: რომის სტატუტი, 53-ე(1) მუხლი.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ განხორციელების უზრუნველყოფაც მოხდება, ვინაიდან სახელმწიფოები *a priori* ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმდნენ ამაზე. გამოძიების ეფექტურად ჩატარებისა და მტკიცებულებათა შენარჩუნებისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანია.

ამგვარად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, წესდების მიხედვით, და თუ ამისი პოლიტიკური ნება იქნება, გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი იარაღი შეიძლება იყოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მსოფლიოში.

ამასთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სრული ამოქმედება არათუ შეასუსტებს ეროვნულ სამართალსა და სასამართლო ხელისუფლებას, არამედ მათი შემავსებელი უნდა იყოს, რადგან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მხოლოდ საგანგებოდ განსაზღვრული რეჟიმის შესაბამისად განახორციელებს იურისდიქციას, მაშინ, როდესაც სახელმწიფოებს არ ესურვებათ ან არ შეეძლებათ საკუთარი იურისდიქციის განხორციელება.<sup>66</sup>

კომპლემენტარობის ასეთი რეჟიმის ძიება დიდხანს და ძნელად მიმდინარეობდა, ძირითადად, იმიტომ, რომ ეროვნულ კანონმდებლობებსა და სასამართლოებს მინიჭებული აქვთ თითქმის განუსხვისებელი უფლება, დასაჯონ ნებისმიერი დანაშაუმი, რომელმაც დანაშაული მათი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაიდინა.

ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია ასევე აწესებს ექსკლუზიურ იურისდიქციას საკუთარ მოქალაქეებზე. შესაბამისად, მიიჩნეოდა, რომ საერთაშორისო სამართალი წინააღმდეგობაში მოდიოდა ამ მნიშვნელოვან სუვერენულ პრეროგატივასთან. თუ არა სახელმწიფოთა ნება, დაეთმოთ საკუთარი ძალაუფლების ნაწილი, ასეთი სასამართლოს შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. ის, რომ ვერ ხერხდებოდა ამ პრობლემის გადაჭრა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროექტის თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში განუხილველად დატოვების ძირითად მიზეზი იყო.

საბოლოოდ, აღმოცენდა კომპლემენტარობის პრინციპი, რომელიც საფუძველად დაედო რომის სტატუტს. სტატუტი აწესებს სპეციალურ მექანიზმსა და პროცედურებს იმის საგარანტიოდ, რომ სასამართლომ სრულად დაიცვას მისთვის შექმნილი იურისდიქციის რეჟიმი და წარმოებაში მიიღოს მხოლოდ ის საქმეები, რომელთა განხილვის კომპეტენციაც აქვს.<sup>67</sup> ამ ყველაფერს ემატება დანაშაულთა, მათი ელემენტებისა და პროცედურული საკითხების ზედმიწევნით ზუსტად და დეტალურად განსაზღვრა.<sup>68</sup>

<sup>66</sup> იხ.: რომის სტატუტი, მე-17 მუხლი.

<sup>67</sup> იქვე, მე-17-მე-18 მუხლები.

<sup>68</sup> იხ.: *Elements of Crimes – Report of the Preparatory Commission for the International Criminal Court, Addendum, Part II, Finalized Draft Text of the Elements of Crimes, PCNICC/2000/INF/3/Add.2*, adopted by the Preparatory Commission on 30 June 2000; *Rules of Procedure and Evidence – Report of the Preparatory Commission for the International Criminal*

ახალი სასამართლოსთვის დაწესებულმა შეზღუდვებმა შესაძლოა, გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვიოს. თუმცა სახელმწიფოები მაინც ყოველთვის მაქსიმალურად შეეცდებიან თავიანთი ტრადიციული იურისდიქციის შენარჩუნებას, მიუხედავად იმისა, რამდენად სპეციფიკური და შეზღუდული როლიც არ უნდა ჰქონდეს სასამართლოს. მრავალ სახელმწიფოს გაუძნელებოდა რომის სტატუტზე დათანხმება, ამგვარი კომპრომისის არსებობის გარეშე. შეიძლება, არსებულ გარემოებებში ეს კიდევაც იყო ერთადერთი რეალისტური და სახელმწიფოებისათვის მისაღები მიდგომა. რადგან ნაპოვნია გზა სასამართლოს შესაქმნელად, მისი მაქსიმალურად გამოყენება უნდა მოხდეს.

ისიც აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ახალი სისტემა მათ დაცვასაც გულისხმობს, ვინც დღეს ხელისუფლების სათავეშია და თამაშის წესებს ქმნის, ხვალ კი, შესაძლოა, განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეს.

ამასთან, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო დამატებითი იარაღია მთავრობებისათვის, აღმოფხვრან სამხედრო ჯგუფების მიერ სერიოზული დანაშაულების ჩადენა საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.<sup>69</sup>

სასამართლოს, როგორც გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის ძლიერ საერთაშორისო ორგანოს, შეუძლია საერთაშორისო ზეწოლის განხორციელება და შესაძლო დამნაშავეთა გაკიცხვა, ამგვარად, მათი დანაშაულებრივი ქმედებების შეზღუდვა. გარკვეულ ვითარებაში, ალტერნატივების არარსებობის პირობებში, მთავრობებმა შეიძლება ამოირჩიონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოზე დაყრდნობა და მისთვის, როგორც კრიზისის მოგვარების საშუალებისათვის, მინდობა სახელმწიფოს შიდა პრობლემის გადასაწყვეტად.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არ არის საშიში იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ გაეროს სამშვიდობო მისიებში.<sup>70</sup> რეალურად, სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში მომსახურე პერსონალი განსაკუთრებით დაცულია რომის სტატუტით და ამ კატეგორიის ადამიანებზე ნებისმიერი სახის თავდასხმა ისჯება როგორც ომის დანაშაული. სტატუტთან მიერთებით სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, გამოიძიონ და დევნონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულები, ან თუ მათ სურთ ეს, გადასცენ ასეთი დანაშაულები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.<sup>71</sup>

---

*Court, Addendum, Part I, Finalized Draft Text of the Rules of Procedure and Evidence, PCNICC/2000/INF/3/Add.1, adopted by the Preparatory Commission on 30 June 2000.*

<sup>69</sup> რომის სტატუტი, მე-8(2(ვ)) მუხლი.

<sup>70</sup> ეს გახდა ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოფიციალური ნოტიო აღწერა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განზრახვის შესახებ, „უკან წაიღოს“ სტატუტზე დასმული ხელმოწერა და არ მოახდინოს ამ დოკუმენტის რატიფიცირება.

<sup>71</sup> რომის სტატუტი, მე-14 მუხლი.



სამხედრო ძალების სტატუსის შესახებ ხელშეკრულების გაეროსა და ნატოს მოდელის თანახმად, რომლებიც, როგორც წესი, იდება თითოეული სამშვიდობო მისიისათვის, მისიის მასპინძელ ქვეყანას უფლება არ აქვს, მშვიდობისმყოფელებზე სისხლის სამართლის იურისდიქცია განახორციელოს. შეიარაღებული ძალების გამგზავნი სახელმწიფოები ინარჩუნებენ სისხლის სამართლის იურისდიქციას საკუთარ მშვიდობისმყოფელებზე.<sup>72</sup> ამ პრაქტიკის შესაბამისად, რომის სტატუტი ადგენს, რომ სამშვიდობო მისიის გამგზავნი ქვეყნის თანხმობაა საჭირო იმისათვის, რათა სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულის ჩამდენი მშვიდობისმყოფელი სასამართლოს გადაეცეს.<sup>73</sup>

ჯარის გამგზავნი ქვეყანას შეუძლია, ასეთი დამნაშავე საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისადაც გაასამართლოს და იგი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არ გადასცეს.

რომის მიღწევამ, შესაძლოა, უკვე ხელი შეუწყო ეროვნულ დონეზე მოვლენების სასიკეთო განვითარებებს, რაც შესამჩნევია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. რომის სტატუტის მიღებიდან ცოტა ხნის შემდეგ გენერალ აგუსტო პინოჩეტს ჩილეში 1970-იან წლებში ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის ესპანეთის სასამართლომ ბრალდება წაუყენა და დიდი ბრიტანეთიდან მისი ექსტრადიცია მოითხოვა, თუმცა ლორდთა პალატამ არ დააკმაყოფილა ესპანეთის ეს მოთხოვნა და გენერალს სახლში დაბრუნების ნება დაერთო. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტრუქტურას შეუძლია, ხელი შეუწყოს ეროვნული სასამართლოების ინიციატივას, გამოიძიონ და დევნონ მათი მოქალაქეების მიერ ან მათ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულები, და თუ ისინი ამას ვერ შეძლებენ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აქვს ძალაუფლება, ჩაერიოს და მიიღოს შესაბამისი ზომები.<sup>74</sup>

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიაში პირველად, სქესობრივი დანაშაულები აღიარებული და კოდიფიცირებულია რომის სტატუტში, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულები საერთაშორისო სამართლის ყველაზე სერიოზულ დანაშაულთა შორის.<sup>75</sup>

<sup>72</sup> იხ.: Lee, R.S. (ed.) (2001), *The International Criminal Court – Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence*, გვ. lxii.

<sup>73</sup> რომის სტატუტი, 98-ე მუხლი.

<sup>74</sup> რომის სტატუტი, მე-17 მუხლი.

<sup>75</sup> რომის სტატუტი, მე-7(2(ვ)), მე-8(2.ბ(XXII)) მუხლები.

### 3.3 სისხლის სამართლის რომელ პრინციპებს ითვალისწინებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება?

სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპები გაცხადებულია რომის სტატუტის მე-3 ნაწილში,<sup>76</sup> სადაც სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებში აღნიშნული დანაშაულებისთვის<sup>77</sup> საერთო დებულებებია ჩადებული. ეს პრინციპები ადგენენ იმ ფუნდამენტურ წანამძღვრებს, რომლებიც გარკვეულ ქმედებათა კრიმინალიზაციას განაპირობებენ, იმ სპეციფიკურ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასა (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დებულებები) და ადგენენ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმებს.

სისხლის სამართლის ზოგადი პრინციპებისა და დანაშაულთა ელემენტების ურთიერთკავშირის შესახებ დისკუსია საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა. მთავარი საკითხი ამ შემთხვევაში იყო ის, თუ როგორ შეიძლებოდა ამ პრინციპების ყველაზე ეფექტურად გამოყენება და მხედველობაში მიღება დანაშაულების ელემენტთა შემუშავების პროცესში. მთავარი აქცენტი გაკეთდა 30-ე მუხლისა<sup>78</sup> და იმ დანაშაულთა მატერიალური ელემენტების ურთიერთმიმართებაზე, რომლებიც სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებშია განმტკიცებული. ამასთან, ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: შეცდომა ფაქტში და შეცდომა კანონში და ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმის ამსახველ დებულებებს.

რომის სტატუტი პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტია, რომელიც საკმაოდ ამომწურავად ჩამოთვლის მსოფლიოს უმრავლესი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემების მიერ აღიარებულ სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს.

სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი – *nullum crimen sine lege* – დადგენილია რომის სტატუტის 22-ე მუხლით, რომელიც ანალოგიის გამოყენებას გამორიცხავს და ადგენს, რომ სტატუტის დებულებათა ორაზროვნად განმარტების შემთხვევაში განმარტება ეჭვიმტანილის ან ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა მოხდეს. სტატუტში ნათლად არის ნაჩვენები, რომ სასამართლოს მიერ პირის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში მხოლოდ სტატუტით გათვალისწინებული სასჯელის გამოყენებაა შესაძლებელი.<sup>79</sup> *ratione personae*-ს უკუქცევითი ძალის დაუშვებლობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 24-ე მუხლით არის განმტკიცებული – არ შეიძლება, პირი წარდგენილ იქნეს სასამართლოს წინაშე იმ ქმედებისათვის, რომელიც დანაშაულად გამოცხადდა მხოლოდ რომის სტატუტის მიერ, ქმედება, კი, თავის მხრივ, სტატუტის ძალაში შესვლამდე იყო ჩადენილი.

<sup>76</sup> რომის სტატუტი, 22-ე-33-ე მუხლები.

<sup>77</sup> გენოციდი, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ომის დანაშაულები.

<sup>78</sup> სუბიექტური მხარე.

<sup>79</sup> რომის სტატუტი, 23-ე მუხლი.

რომის სტატუტის მესამე ნაწილი ასევე შეიცავს მთელ რიგს ნორმებისას, რომლებიც ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ეხება. 25-ე მუხლი ეხება მთავარი დამნაშავის, ისე როგორც თანამზრახველთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამ დებულებით კრიმინალიზებულია მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებში აღწერილი დანაშაულების ჩადენის მცდელობაც. უფრო მეტიც, ეს მუხლი გენოციდის ჩადენისათვის წაქეზებასთან მიმართებით სპეციალურ დებულებას შეიცავს.<sup>80</sup>

სტატუტის 26-ე მუხლი გამორიცხავს სასამართლოს იურისდიქციის გავრცელებას მათზე, ვისაც სავარაუდო დანაშაულის ჩადენისას 18 წლისთვის არ მიუღწევია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი კატეგორიულად კრძალავს პასუხისმგებაში მისაცემ პირთა დიფერენცირებას მათ მიერ დაკავებული თანამდებობების შესაბამისად, რაც გამორიცხავს ნებისმიერი არჩევითი თუ დანიშნითი მაღალი თანამდებობის პირის სასამართლოს იურისდიქციიდან გამორიცხვას. დოკუმენტი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომ იმუნიტეტი ან სხვა სპეციალური პროცესუალური ნორმები, რომლებიც შესაძლოა, პირის თანამდებობასთან იყოს დაკავშირებული, არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ სასამართლომ ვერ განახორციელოს იურისდიქცია ასეთ ადამიანთან მიმართებით.<sup>81</sup>

ამასთან ერთად, სასამართლოს დამფუძნებელი სტატუტი ცალკე გამოყოფს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში სამხედრო მეთაურები და სხვა სამხედრო თანამდებობის პირები იყვნენ.<sup>82</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულებთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადა არ გამოიყენება, რაც ერთმნიშვნელოვნადაა აღნიშნული სტატუტის 29-ე მუხლში.

დანაშაულის სუბიექტურ მხარეს – *mens rea* – ეხება სტატუტის 30-ე მუხლი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ამ მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, დანაშაულის მატერიალური ელემენტები – ქმედება, შედეგი და გარემოებები უნდა გათვითცნობიერებული ჰქონდეს დამნაშავეს, ანუ უნდა არსებობდეს განზრახვა ან/და ცოდნა. ამ დებულების შესაბამისად, გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულის სუბიექტური მხარე, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი; თუმცა სტატუტისავე 28-ე მუხლი ამ წესიდან გამონაკლისს გვთავაზობს, როდესაც საუბარია სამხედრო წინამძღოლებზე – მათთან მიმართებით განსხვავებული სტანდარტის გამოყენებაა გათვალისწინებული.

რომის სტატუტის 31-ე მუხლი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არაამომწურავ ჩამონათ-

<sup>80</sup> რომის სტატუტი, 25-ე(3(ე)) მუხლი.

<sup>81</sup> იქვე, 27-ე მუხლი.

<sup>82</sup> იქვე, 28-ე მუხლი.

ვალს შეიცავს. ადამიანი არ იქნება სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელი, თუ დანაშაულის ჩადენისას იგი, *inter alia*, მოქმედებდა ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა არსებობისას, ესენია: ფსიქიკური დაავადება, ინტოქსიკაცია, თავდაცვა ან უკიდურესი აუცილებლობა. სამართლის სხვა წყაროებში გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა გარემოებების გამოყენებაც შესაძლებელია, თუ კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო ამას საჭიროდ ჩათვლის.<sup>83</sup>

რომის სტატუტის 32-ე მუხლი ფაქტსა და კანონში შეცდომას შეეხება. ეს მუხლი მჭიდროდაა დაკავშირებული სტატუტის 30-ე მუხლთან, რადგან მის თანახმად, თუ ფაქტში ან კანონში შეცდომა შესაბამის სუბიექტურ მხარეს გამორიცხავს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს. ამ მუხლისავე თანახმად, ეჭვმიტანილს არ შეუძლია, თავი იმართლოს იმით, რომ მან არ იცოდა, მის მიერ ჩადენილი ქმედება სტატუტით აკრძალული თუ იყო.

სასამართლოს იურისდიქციაში ხვდება ნებისმიერი დანაშაული, ჩადენილი ზემდგომი პირის ბრძანების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: (1) დანაშაულის ჩამდენი პირი სამართლებრივად ვალდებული იყო, შეესრულებინა დანაშაულებრივი ბრძანების გამცემის ბრძანება; (2) მან არ იცოდა, რომ ბრძანება დანაშაულებრივი ხასიათისა იყო და (3) ბრძანებას არ ჰქონდა აშკარად არაკანონიერი ხასიათი.<sup>84</sup> სტატუტი აქვე აკონკრეტებს, რომ ამ მუხლის მიზნებისათვის გენოციდის ან კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის ბრძანება აშკარად არაკანონიერია.<sup>85</sup>

### 3.4 რომელი დანაშაულებია გათვალისწინებული რომის სტატუტით?

რომის სტატუტის ყველა მუხლი შედგენილია ერთი მიზნით – შეიქმნას იმ ორგანოს შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ყველაზე საშიშად აღიარებული დანაშაულების დასჯას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ეს დანაშაულები ჩამოთვლილი და მეტ-ნაკლებად განმარტებულია სტატუტში.

„საერთაშორისო დანაშაულების“ კონცეფცია, შეიძლება ითქვას, საუკუნეების განმავლობაში იხილებოდა და, შესაბამისად, თანდათან იხვეწებოდა. ამ სახის დანაშაულებთან ბრძოლა განიხილებოდა როგორც ეროვნულ საზღვრებს გამცდარი პრობლემა. სწორედ ამგვარმა დანაშაულმა უბიძგა ტრინიდადსა და ტობაგოს წარმომადგენლებს 1989 წელს, გაეაქტიურებინათ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნის საკითხი გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე.

რომის სტატუტში მოცემული დანაშაულთა განსაზღვრებები ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინ-

<sup>83</sup> რომის სტატუტი, 21-ე და 31-ე (3) მუხლები.

<sup>84</sup> იქვე, 33-ე (1) მუხლი.

<sup>85</sup> იქვე, 33-ე (2) მუხლი.

ნარეობს. ასეთია, მაგალითად, 1976 წლის კონვენცია აპარტეიდის დანაშაულის შესახებ,<sup>86</sup> ისევე როგორც 1948 წლის კონვენცია წამების შესახებ.<sup>87</sup> თუმცა ამ დანაშაულთა განმარტებებში უდიდესი წვლილი ჩვეულებით სამართალს აქვს.

სტატუტში ის დანაშაულებია ჩამოთვლილი, რომელთა მიმართებით მას იურისდიქცია აქვს. ესენია: გენოციდის<sup>88</sup> დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები და აგრესია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დანაშაულთა ჩამონათვალის თავში აგრესიას მხოლოდ ვახსენებთ და დეტალურად არ განვიხილავთ, რადგან ამ დანაშაულთან მიმართებით სასამართლოს იურისდიქციის განხორციელება მას შემდეგ შეეძლება, რაც ეს უკანასკნელი განიმარტება და დადგინდება პირობები, რომელთა არსებობისას სასამართლო ახორციელებს იურისდიქციას ამ დანაშაულთან მიმართებით.<sup>89</sup>

### 3.4.1 გენოციდი<sup>90</sup>

რომის სტატუტში გენოციდის დანაშაულის ჩართვა თავიდანვე იყო განზრახული. საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული სტატუტის პროექტი ითვალისწინებდა გენოციდს, თუმცა მას არ მოუცია ამ ტერმინის დეფინიცია.<sup>91</sup>

1995 წელს, *ad hoc* კომიტეტში განხილვისას, მრავალმა სახელმწიფომ წამოაყენა წინადადება, გენოციდი სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებოდა, მისი განსაზღვრება კი გენოციდის დანაშაულის თავიდან არიდებისა და დასჯის შესახებ 1948 წლის კონვენციის<sup>92</sup> II მუხლიდან აღებულიყო. ისიც იქნა შეთანხმებული, რომ გენოციდის კონვენციაში მოცემული განსაზღვრება ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ამრეკლავია და ეს აღიარებულია გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ. ამასთან, ზოგიერთმა ქვეყანამ წინადადება წამოაყენა, ამ მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებს დამატებოდა „სოციალური და პოლიტიკური“. თუმცა ამ იდეამ მხარდაჭერა

<sup>86</sup> იხ.: Convention on the Suppression and Punishment of the Crime of Apartheid, adopted and opened for Signature by the General Assembly Resopution 3068 (XXVIII) of 30 November 1973, 1015 UNTS 243.

<sup>87</sup> იხ.: Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, adopted and opened for signature by General Assembly Resolution 260 A (III) of 9 December 1948, entered into force 12 January 1951, 78 UNTS 277.

<sup>88</sup> სიტყვა „გენოციდი“ 1944 წელს რაფაელ ლემკინის მიერ იქნა გამოყენებული წიგნში „ნაცისტთა დანაშაულები ოკუპირებულ ევროპაში“. მომდევნო წელს ეს ტერმინი მიიღეს ნიურნბერგის პროკურორებმა და შემდეგ გენოციდი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ საერთაშორისო დანაშაულად გამოცხადდა.

<sup>89</sup> რომის სტატუტი, მე-5(2) მუხლი.

<sup>90</sup> ნაშრომში განხილულია დანაშაულთა ის სამი სახე (გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ომის დანაშაულები), რომლებზეც სასამართლოს უკვე აქვს იურისდიქცია, 2010 წლის მაისის დასაწყისის მდგომარეობით.

<sup>91</sup> იხ.: Report of the International Law Commission on its Work of te Forty-Sixth Session, 2 May – 2 July, 1994, U.N. GAOR, U.N. Doc. A/49/10 (1994).

<sup>92</sup> იხ.: ზოგადად, Gaeta, P. (ed.) (2009), *The UN Genocide Convention - A Commentary*, გვ. 87-139.

ვერ პოვა, რადგან, ზოგიერთი სახელმწიფოს აზრით, საფუძველთა ჩამონათვალის გაფართოება ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ფარგლებს გასცდებოდა, რასაც, შესაძლოა, მომავალში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ ერთი და იმავე ფაქტის არსებობისას ერთმანეთის საპირისპირო გადაწყვეტილებების გამოტანა გამოეწვია.

რომის დიპლომატიურ კონფერენციაზე თავიდანვე გადაწყდა, რომ გენოციდის დეფინიცია იგივე იქნებოდა, რაც 1948 წლის კონვენციის მეორე მუხლში. ეს დეფინიცია მაშინ მიღებულ იქნა ცვლილებების გარეშე, მხოლოდ დაემატა სიტყვები: „ამ სტატუტის მიზნებისათვის“. რომის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება, სტატუტში შესულიყო ნახევარი საუკუნის წინ მიღებული დეფინიცია, იმის დამადასტურებელია, რომ სტატუტის მე-6 მუხლი საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმის კოდიფიკაციის შედეგია.

გენოციდის დანაშაულის ელემენტებზე მუშაობა მთლიანობაში ნაკლებ წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული და ომის დანაშაულთა ელემენტები. თუმცა, როგორც ყველა ელემენტზე მუშაობისას, დელეგაციები სირთულეებს შეხვდნენ სახელმწიფოს ვალდებულებების შემცველი დებულებების ინდივიდთა დევნის ელემენტებად გადაქცევის შემთხვევაშიც.<sup>93</sup>

რომის სტატუტში გენოციდი მე-6 მუხლშია განმარტებული. ეს მუხლი გენოციდს განმარტავს როგორც ხუთ განსაკუთრებულ ქმედებას, ჩადენილს განზრახვით, სრულიად ან ნაწილობრივ განადგურდეს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, როგორც ასეთი. ეს ხუთი ქმედებაა:

- ა) ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობა;
- ბ) ასეთი ჯგუფის წევრებისათვის სერიოზული ფიზიკური ან გონებრივი ზიანის მიყენება;
- გ) ასეთი ჯგუფისთვის განზრახ ისეთი საცხოვრებელი პირობების შექმნა, რომელიც გათვლილია მათ სრულ ან ნაწილობრივ განადგურებაზე.
- დ) ზომები, რომლებიც ასეთ ჯგუფში შობადობის შეწყვეტისკენაა მიმართული;
- ე) ბავშვების ძალად გადაცემა ადამიანთა ერთი ჯგუფიდან მეორეში.

აღნიშნული განმარტება მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსშია ინკორპორირებული, თუმცა რეალურად სისხლისსამართლებრივი დევნა საკმაოდ იშვიათად განხორციელებულა.

დანაშაულის შემადგენლობის ყველა ფორმისთვის საერთოა ის, რომ დანაშაულის ობიექტები მიეკუთვნებიან გარკვეულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს.

<sup>93</sup> იხ.: Oosterveld, V. (2001) *The Elements of Genocide in The International Criminal Court – Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence*, გვ. 43.

სტატუტში გათვალისწინებული სხვა დანაშაულებისგან გენოციდის განმასხვავებელი სპეციალური ნიშანი არის ის, რომ დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენელ ნაწილად მკვლელობის ჩადენისას, გენოციდის განმარტებისას განსაკუთრებით ესმება ხაზი განზრახვას, განადგურდეს მთლიანად ან ნაწილობრივ ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, როგორც ასეთი. ანუ, დამნაშავის მიზანი უნდა იყოს ჯგუფის „განადგურება“.

ერთ-ერთი პირველი საკითხი, რომელიც დანაშაულთა ელემენტების განხილვის დროს წამოიჭრა, იყო ის, როგორ დადგენილიყო მსხვერპლის იმ სპეციფიკური ჯგუფიდან წარმომავლობა და როგორ უნდა დაკავშირებოდა ეს დამნაშავის სპეციალურ განზრახვას, გაენადგურებინა მსხვერპლის ჯგუფი მთლიანად ან ნაწილობრივ. 1999 წლის თებერვალში, თავდაპირველი განხილვის დროს, ორივე შემადგენელი კომპონენტი ერთ საერთო ელემენტში იქნა თავმოყრილი: „ეჭვმიტანილს განზრახული ჰქონდა, მთლიანად ან ნაწილობრივ გაენადგურებინა ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, ან რელიგიური ჯგუფი, როგორც ასეთი“. აქ აისახა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება. თუმცა, შემადგენლობაში მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, სირაკუზაში გამართულ სესიათაშორის შეხვედრაზე მსხვერპლისა და სპეციალური განზრახვის მინიშნება დაცალკევდა ორ სხვადასხვა ელემენტად. ამგვარად, 2000 წლის მარტში, ხელმეორედ განხილვისას, გენოციდის დანაშაულის ხუთივე ჩამოთვლილი პუნქტისათვის საერთო ელემენტი გახდა შემდეგი: „ასეთი ადამიანი ან ადამიანები მიეკუთვნებოდნენ განსაკუთრებულ ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფს.“ მესამე საერთო ელემენტად იქცა შემდეგი: „დამნაშავეს განზრახული ჰქონდა, გაენადგურებინა მთლიანად ან ნაწილობრივ... ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, როგორც ასეთი.“<sup>94</sup>

ბოლო ელემენტი, რომელიც გენოციდის ყველა ელემენტისათვის საერთოა, არის ე.წ. „კონტექსტური ელემენტი“, ანუ ინდივიდის ქმედება უნდა ხედებოდეს გენოციდის დანაშაულის საერთო კონტექსტში. გენოციდის განმარტება არ ითხოვს, დანაშაული ჩადენილ იქნეს როგორც ფართომასშტაბიანი ან სისტემატური შეტევის ნაწილი, ან როგორც ორგანიზებული გეგმის ნაწილი, რომლის მიზანია ჯგუფის განადგურება.

სიტყვები „მთლიანად ან ნაწილობრივ“ განმარტებაში მიუთითებს რაოდენობრივ ასპექტს. მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის რაოდენობა მნიშვნელოვანი უნდა იყოს და ჯგუფის რამდენიმე წევრის მკვლელობა გენოციდად ვერ განიხილება. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, თუ ჯგუფის მხოლოდ ნაწილია განადგურებული, ეს უნდა იყოს „არსებითი, მნიშვნელოვანი“ ნაწილი,<sup>95</sup> ის, რომ რაოდენობრივი მაჩვენებელი ბოლომდე განმარტებული და დადგენილი არ არის, გარკვეულ სირთულეებს ქმნის, თუმცა აღსანიშნავია, რომ დანაშაულის განმარტებისას მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ

<sup>94</sup> იხ.: რომის სტატუტი, მე-6 მუხლი.

<sup>95</sup> *Prosecutor v. Jelicic* (Case No. IT-95-10-T), Judgement, 14 December 1999, para. 82.

რეალურად რამდენად მასშტაბურია მსხვერპლი, არამედ იმას, რომ დამნაშავეს ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურება ჰქონდა მიზნად. რეალურ მნიშვნელობას მსხვერპლის მასშტაბი იმის გარკვევისას იძენს, დამნაშავეს მიზანი იყო თუ არა გენოციდის ჩადენა. რაც უფრო მეტია მსხვერპლი, მით უფრო ლოგიკურია დასკვნა, რომ დამნაშავეს მიზანი იყო ჯგუფის განადგურება „მთლიანად ან ნაწილობრივ“.

გამანადგურებელი მოქმედება მიმართული უნდა იყოს სტატუსში ჩამოთვლილ ჯგუფთაგან ერთ-ერთზე: ეროვნულ, ეთნიკურ, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფზე. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ გენოციდის ფაქტის დადგენისას აუცილებელია სპეციალური განზრახვის არსებობა.

### **3.4.2 კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები<sup>96</sup>**

ტერმინი „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“ აღნიშნავს დანაშაულებს, როგორებიცაა: მკვლელობა, წამება, გაუპატიურება, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ქმედება, რომელიც ჩადენილია ნებისმიერ სამოქალაქო მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატიური თავდასხმების ფარგლებში, თუ ასეთი თავდასხმა ხორციელდება განზრახ. სწორედ ფართომასშტაბიანობა და სისტემატურობა აქცევს ამ დანაშაულს არა მხოლოდ იმ სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ დანაშაული, არამედ საერთაშორისო საზოგადოებრიობის, მთლიანად. უნივერსალური იურისდიქცია, და საერთაშორისო დევნაც, თუ საჭიროა, გამართლებულია აღნიშნული დანაშაულის მასშტაბებითა და საშიშროებით. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კონცეფცია ათწლეულობის განმავლობაში არსებობდა, მთავრობები, როგორც წესი, აღნიშნული დანაშაულის ჩამდენთა დაკავებისა და გასამართლებისადმი ინტერესს არ იჩენდნენ. შესაბამისად, ამ დანაშაულის ზუსტი განსაზღვრება და შინაარსიც ბოლომდე განმარტებული არ იყო.

რომის სტატუტის მე-7 მუხლში მოცემული კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების განსაზღვრება სამი სხვადასხვა მოლაპარაკების შედეგად ჩამოყალიბდა.<sup>97</sup> შესაბამისად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, შეიძლება ითქვას, ყველაზე მწვავე განსახილველი აღმოჩნდა. თუ გენოციდის დეფინიციისას ამოსავალ წერტილად აღებულ იქნა დამნაშავეს განზრახვა, გაენადგურებინა ჯგუფი, ომის დანაშაულებზე მუშაობისას კი ამოსავალ წერტილად შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა იყო აღებული, ამ დანაშაულთა განმარტებისას არცერთი აღნიშნული მომენტი არ იყო მხედველობაში მისაღები. დავა მიმდინარეობდა იმის შესახებ, როდის

<sup>96</sup> რომის სტატუტი, მე-7 მუხლი.

<sup>97</sup> იხ.: Robinson, D. (2001) *The Elements of Crimes Against Humanity in The International Criminal Court – Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence*, გვ. 57.



უნდა განხილულიყო მოქმედება „ფართომასშტაბიანად“ ან „სისტემატურად“, და ზუსტად რომელი მოქმედება შეიძლებოდა, განხილულიყო ქმედებად, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მე-7 მუხლში.

რომის სტატუტის მე-7 მუხლში მოცემული განმარტების თანახმად: სტატუტის მიზნებისათვის, „კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული“ არის ნებისმიერი ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება, რომელიც ჩადენილია ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის დროს სამოქალაქო მოსახლეობაზე, თუ ასეთი თავდასხმა ხორციელდება განზრახ: მკვლელობა, განადგურება, დამონება, დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება, დაპატიმრება ან საერთაშორისო სამართლის სხვა ფუძემდებლური ნორმების დარღვევით ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი უხეში ხელყოფა, წამება, გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, ძალადობით სტერილიზაცია, ან მსგავსი სიმძიმის სქესობრივი ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა, ადამიანთა ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ჯგუფის ან ერთობის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული ან სხვა ნიშნის საფუძველზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად არის აღიარებული, ადამიანების ძალდატანებითი გაუჩინარება, აპარტიდის დანაშაული, და მსგავსი ხასიათის სხვა არაადამიანური განზრახი ქმედებანი, რომლებიც იწვევენ მძიმე ტანჯვას, სხეულის მძიმე დაზიანებას, ანდა მძიმე ზიანს აყენებენ პირის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

„სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა“ განგრძობადი ქმედებაა, რომელიც სტატუტის მეშვიდე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ქმედების მრავალჯერ ჩადენასთან არის დაკავშირებული; იგი ჩადენილია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პოლიტიკის გატარების მიზნით, რომელიც მიმართულია ასეთი ქმედების ჩადენისაკენ, ან ასეთი პოლიტიკისათვის ხელის შეწყობისაკენ.<sup>98</sup>

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების საერთო ელემენტებია: ქმედება, ჩადენილი როგორც ფართომასშტაბიანი და სისტემატური შეტევის ნაწილი, რომელიც მიმართული იყო სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ; დამნაშავემ იცოდა, რომ ქმედება ასეთი შეტევის ნაწილი იყო.

ამ დანაშაულთა განხილვისას რომის მოლაპარაკებებზე მნიშვნელოვან დავას იწვევდა საკითხი, რა უნდა ყოფილიყო კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სხვა დანაშაულებისგან მთავარი განმასხვავებელი მომენტი. კერძოდ, მთავარი საკითხები იყო

<sup>98</sup> რომის სტატუტი, მე-7(2(ა)) მუხლი.

შემდეგი: კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის დროს შეიძლება ჩადენილიყო თუ არა; ჩადენილი უნდა ყოფილიყო თუ არა დისკრიმინატორულ საფუძვლებზე დაყრნობით, ამოსავალ წერილად უნდა ყოფილიყო „ფართომასშტაბიანი და სისტემატური“ თუ „ფართომასშტაბიანი ან სისტემატური“.

მე-7 მუხლი შეიარაღებული კონფლიქტის არსებობას არ მოითხოვს. შესაბამისად, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს; მეორე, ეს მუხლი არ მოითხოვს, რომ დანაშაული დისკრიმინაციულ საფუძვლებზე იყოს ჩადენილი. თუმცა დელეგაციები, მაგალითად საფრანგეთი, ფიქრობდა, რომ დისკრიმინაციის ელემენტის გათვალისწინება საჭირო იყო, ისე როგორც ეს რუანდის ტრიბუნალის სტატუტშია გათვალისწინებული;<sup>99</sup>

მესამე, მე-7 მუხლი ითვალისწინებს ალტერნატიულ პირობას – შეტევა უნდა იყოს ფართომასშტაბიანი ან სისტემატური.

ეს მუხლი ასევე შეიცავს „თავდასხმის“ დეფინიციას, იმაზე მინიშნებით, რომ იგი მრავალ დანაშაულებრივ ქმედებას იწვევს, მიმართულს ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, იმ მიზნით, რომ გატარდეს სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პოლიტიკა, მიმართული ასეთი თავდასხმის განხორციელებისაკენ, ან ასეთი პოლიტიკისთვის ხელის შეწყობის მიზნით. არ არის აუცილებელი, თავდასხმა იყოს ფართომასშტაბიანი, მაგრამ მას გარკვეული მასშტაბები უნდა ჰქონდეს, ანუ მსხვერპლი უნდა იყოს მასშტაბური. ასევე არ არის აუცილებელი, თავდასხმას სისტემატური ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ იგი გარკვეული სახელმწიფოს ან ორგანიზაციის პოლიტიკის შესაბამისი უნდა იყოს.

კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პოლიტიკური ელემენტი, წაქეზება და ხელის შეწყობა სახელმწიფოს ან ორგანიზაციის მიერ – არის ის, რაც აერთიანებს სხვაგვარად ერთმანეთისგან განცალკევებულ სასტიკ ქმედებებს, რომლებიც ერთობლიობაში განხილულია როგორც „თავდასხმა“.

და ბოლოს, რომის სტატუტის მე-7 მუხლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა ის, რომ ეჭვმიტანილს გააზრებული უნდა ჰქონდეს თავდასხმის მიზნები.

### **3.4.3 ომის დანაშაულები**

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულთა შემცველი ყველაზე ფართო

<sup>99</sup> იხ.: Robinson, D. (2001) *The Context of Crimes Against Humanity in The International Criminal Court – Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence*, გვ. 63.

მუხლია სტატუტის მერვე მუხლი, რომელიც „ომის დანაშაულებს“ განიხილავს. შესაძლებელია ითქვას, რომ ომის დანაშაულთა დასჯა კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის ხდებოდა. რომის სტატუტის მერვე მუხლი ომის დანაშაულთა ოთხ კატეგორიას მოიცავს, რომელთაგან ორი საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება, ორი კი – არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს.

თუ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები „ფართოდ გავრცელებული“ ან „სისტემატური“ უნდა იყოს, ომის დანაშაულები შეიძლება, ცალკეული ჯარისკაცების მიერ ჩადენილი ცალკეული ქმედებებიც იყოს; თუ გენოციდი და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები *prima facie* იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩარევა ყოველთვის გამართლებულია, იგივე არ შეიძლება ყოველთვის ითქვას ომის დანაშაულებთან მიმართებით. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება დანაშაულებზე, რომლებიც „კერძოდ ჩადენილია, როგორც გარკვეული გეგმის ან პოლიტიკის ნაწილი, რომლის მიზანია ასეთ დანაშაულთა ფართომასშტაბიანი ჩადენა.“ აღწერილობით ომის დანაშაულები ადამიანობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს ემსგავსება.

უპირველესი საკითხი, რომელიც მერვე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების განხილვისას უნდა გაირკვევს, არის შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა საერთოდ, მიუხედავად იმისა, კონფლიქტი საერთაშორისო ხასიათისაა თუ არასაერთაშორისო. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ომის ზოგიერთი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს მას შემდეგ, რაც აშკარა საომარი ოპერაციები დასრულდება, მაგალითად, ომის ტყვეთა რეპატრიაციისას. შესაბამისად, ომის დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს საომარი კონფლიქტის დასრულების შემდეგაც. ტერიტორიის თვალსაზრისით, ომის დანაშაულთა სამართალი ზოგ შემთხვევაში სახელმწიფოს მთლიან ტერიტორიასთან მიმართებით გამოიყენება, და არა მხოლოდ იმ რეგიონთან მიმართებით, სადაც საომარი მოქმედებები ხორციელდებოდა.

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის თანახმად, „შეიარაღებული კონფლიქტი სახეზეა ნებისმიერ დროს, როდესაც მოხდება შეიარაღებული ძალების გამოყენება სახელმწიფოებს ან ხელისუფლებასა და ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფებს შორის, ან ასეთ ჯგუფებს შორის [ერთი] სახელმწიფოს ტერიტორიაზე.“<sup>100</sup>

თუმცა რუანდის ტრიბუნალმა უარი განაცხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების დასჯაზე ომის დანაშაულებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ რუანდაში 1994 წელს შიდა შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა აღიარა.

მაშინ, როდესაც პროკურორმა ომის დანაშაულთა უმთავრესი ელემენტების არსებობა უნდა დაადგინოს, მას არ სჭირდება იმის

<sup>100</sup> იხ.: *Prosecutor v. Dusko Tadic*, IT-94-1-A, para.80. ICTY Trials Chamber Judgment 7 May, 1997 and 14 July 1997 (sentencing).

მტკიცება, რომ ეჭვიმტანილს შეიარაღებული კონფლიქტის არსებობა ან არარსებობა გააზრებული ჰქონდა, ან ის, რომ კონფლიქტი საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო ხასიათის იყო.

მერვე მუხლში ჩამოთვლილ ომის დანაშაულთა პირველი კატეგორია ჟენევის 1949 წლის კონვენციების „მძიმე, სერიოზული დარღვევებია.“ ამ მუხლის „ა“ პუნქტში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს დანაშაულები მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს შეიძლება იქნეს ჩადენილი, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე, ეს აუცილებელია. მუხლი განსაზღვრავს „სერიოზულ დარღვევებს“, როგორც „ჟენევის კონვენციის შესაბამისი დებულებებით დაცული ადამიანების ან ქონების წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებებს.“ ტადიჩის საქმის გადაწყვეტილებაში ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა დაადგინა, რომ სერიოზული დარღვევების რეჟიმი მხოლოდ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთან მიმართებით გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტრიბუნალის სტატუტში პირდაპირ არ იყო მითითებული.<sup>101</sup>

„სერიოზული დარღვევების“ მსხვერპლნი ჟენევის კონვენციებით „დაცული პირები“ უნდა იყვნენ. ჟენევის პირველი სამი კონვენციის შემთხვევაში ეს საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის მხარის შეიარაღებული ძალების წევრებია, მეოთხე კონვენციასთან მიმართებით კი ეს დაცული პირები „კონფლიქტის იმ მხარის ან ოკუპანტის ხელში უნდა იყვნენ, რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან“. ის ადამიანები, რომლებიც, ჩვეულებრივ, უნდა განხილულიყვნენ კონვენციით დაცულ პირებად, ვერ განიხილებიან ამ სტატუტის მქონედ, თუ მათ ჩადენილი აქვთ ომის დანაშაულები, ან გარკვეული დანაშაულები, როგორცაა ჯაშუშობა, ან მოქმედებდნენ, როგორც დაქირავებულნი. იუგოსლავიის ტრიბუნალის პრაქტიკის თანახმად, თავად „მოქალაქეებიც“ საერთაშორისო სამართლის ტრადიციული გაგებით უნდა იქნნენ დაცულნი, თუ მათ არ შეუძლიათ საკუთარი მოქალაქეობის ქვეყნის მიერ დაცვის იმედად ყოფნა, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან.<sup>102</sup>

რომის სტატუტის მერვე მუხლში გათვალისწინებული ომის დანაშაულების მეორე კატეგორია<sup>103</sup> „საერთაშორისო სამართლის ჩარხოთი გათვალისწინებული საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში გამოყენებადი სამართლისა და ჩვეულებების სხვა სერიოზული დარღვევებია“. მუხლში აშკარად არის მითითებული, რომ ეს კატეგორია, წინა კატეგორიის მსგავსად, საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტით იზღუდება. დანაშაულთა ჩამონათვალი, ძირითადად, „ჰააგის სამართლით“ ცნობილ დანაშაულებს მოიცავს, რადგან ეს დანაშაულები, უმთავრესად, 1907 წლის IV კონვენციის დანართიდან არის მოყვანილი. „სერიოზული დარღვევებისგან“ განსხვავებით, აქ არ არის მოთხოვნა,

<sup>101</sup> იხ.: *Prosecutor v. Tadic*, para. 80.

<sup>102</sup> იხ.: *Prosecutor v. Tadic*, paras. 164-166.

<sup>103</sup> იხ.: რომის სტატუტი, მე-8(პ.2(ბ)) მუხლი.

რომლის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლი „დაცული პირი“ უნდა იყოს.

1907 წლის დოკუმენტის ამსახველ დებულებებთან ერთად მერვე მუხლის (ბ) პუნქტი სხვა დანაშაულებსაც ეხება. მათ შორისაა დებულებები ჰუმანიტარული ან სამშვიდობო მისიების დაცვის შესახებ და გარემოსათვის ზიანის მიყენების ამკრძალველი დებულებები. ერთ-ერთი ყველაზე დიდ წინააღმდეგობებთან დაკავშირებული დებულებაა VIII ქვეპუნქტი, რომელიც ომის დანაშაულად აცხადებს „ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაყვანას მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის ან მისი ნაწილის დეპორტაციას ან გადაადგილებას ამ ტერიტორიის ფარგლებში ან მის გარეთ“. ისრაელმა განსაკუთრებით იგრძნო თავი ამ დებულების ცენტრში მყოფად და რომის კონფერენციის დახურვის ცერემონიაზე განაცხადა, რომ სტატუსს მხარს არ დაუჭერდა იმ გალიზიანების გამო, რომელსაც ეს ქვეყანა გრძნობდა, ვინაიდან სტატუსმა დანაშაულად გაითვალისწინა ქმედება, რომელიც არ იყო მანამდე ცნობილი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიერ და იგი ჩართული იყო სტატუსში პოლიტიკური საჭიროების გამო<sup>104</sup>.

რომის სტატუსის მერვე მუხლის (ბ) პუნქტის დებულებები შეეხება ასევე აკრძალულ იარაღს. სხვებთან ერთად, მათ რიცხვშია შხამიანი ნივთიერებები ან მოწამლული იარაღი, მგუდავი, მომწამვლელი ან სხვა სახის აირები, აგრეთვე ყოველგვარი მსგავსი სითხე, მასალა ან საშუალება.<sup>105</sup> სტატუსის ტექსტის კითხვისას შეიძლება გაჩნდეს შთაბეჭდილება, რომ სტატუსი მე-19 საუკუნეში შეიქმნა. თუმცა აკრძალული იარაღის ჩამონათვალი დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგად შედგა. არცერთ ძლიერ სახელმწიფოს არ სურდა, მის მფლობელობაში მყოფი იარაღის გამოყენება აკრძალულად გამოცხადებულიყო.<sup>106</sup> ამან კი შედეგად წარმოშვა ის, რომ სტატუსი მოწამლული ისრების გამოყენებას კრძალავს, მაშინ, როდესაც ქვეითსაწინააღმდეგო ნადმები, ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი აკრძალული არ არის.

როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში, „ომის სამართლისა და ჩვეულებების“ დებულებაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სქესობრივი დანაშაულების სფეროს.<sup>107</sup> სტატუსი კრძალავს გაუპატიურებას, სქესობრივ მონობას, ძალდატანებით პროსტიტუციას, ძალდატანებით ორსულობას, ძალდატანებით სტერილიზაციას და სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმებს, რომლებიც ასევე ჟენევის კონვენციების სერიოზული დარღვევაა. კიდევ ერთ ახალ

<sup>104</sup> იხ.: “UN Diplomatic Conference Concludes in Rome with Decision to Establish Permanent International Criminal Court”, UN Press Release L/ROM/22, 17 July, 1998, at Explanation of Vote.

<sup>105</sup> რომის სტატუსი, მე-8(2)(XVII-XVIII) მუხლი.

<sup>106</sup> იხ.: Von Hebel, H. and Robinson, D. “Crimes Within the Jurisdiction of the Court”, in Lee, R.S. (ed.), The International Criminal Court, The making of the Rome Statute: Issues, Negotiations, Results გვ. pp.113-116.

<sup>107</sup> რომის სტატუსი, მე-8(2)(XXII), (გ)(VI) მუხლი.

დებულებას წარმოადგენს პუნქტი, რომელიც თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების ნაციონალურ შეიარაღებულ ძალებში ჩარიცხვას ან მათ საომარ მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობის მისაღებად გამოყენების აკრძალვასა და დანაშაულად გამოცხადებას ეხება.<sup>108</sup>

„ომის კანონებისა და ჩვეულებების სერიოზული დარღვევები“ ასევე შეიცავს 1949 წლის ჟენევის კონვენციების I დამატებითი ოქმის ანალოგიურ დებულებებს.<sup>109</sup>

რომის სტატუტში გათვალისწინებული ომის დანაშაულთა მომდევნო ორი კატეგორია<sup>110</sup> საერთაშორისო სამართლის კიდევ უფრო რთულ და წინააღმდეგობებით სავსე დარგში – არასაერთაშორისო სახის კონფლიქტთან მიმართებით გამოიყენება.

1949 წელს და კიდევ უფრო წინა პერიოდში სახელმწიფოები მზად იყვნენ და შეეძლოთ, დათანხმებულიყვნენ, ეცნოთ საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები, თუმცა თვლიდნენ, რომ შიდა კონფლიქტები და სამოქალაქო ომი მხოლოდ მათი შიდა სახელმწიფოებრივი საქმე იყო და არავის ჰქონდა მასში ჩარევის უფლება. ჟენევის 1949 წლის კონვენციები არასაერთაშორისო სახის შეიარაღებულ კონფლიქტს მხოლოდ ერთ შემთხვევაში ეხებიან და ეს დებულება „საერთო მესამე მუხლად“ არის ცნობილი. მესამე მუხლი „საერთოა“ იმის გათვალისწინებით, რომ ის ოთხივე კონვენციაში იდენტურია. თუმცა 1977 წლის დამატებითი II ოქმის მეშვეობით ამ მუხლის შინაარსის გარკვეულწილად გაფართოება მოხდა. მერვე მუხლის (გ) და (დ) პუნქტები ჟენევის კონვენციების საერთო მესამე მუხლით გათვალისწინებულ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება,<sup>111</sup> (ე) და (ვ) პუნქტები კი არასაერთაშორისო კონფლიქტებს II დამატებითი ოქმის ფარგლებში ეხება და ითვალისწინებს დარტყმების განზრახ მიყენებას სამოქალაქო მოსახლეობაზე, იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებსა და პერსონალზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იყენებენ ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს, და სხვა დანაშაულებს.

### 3.4.4 აგრესია

როგორც აღვნიშნეთ, აგრესიის დანაშაულის დეფინიციის არარსებობის<sup>112</sup> გამო არ შევჩერდებით ამ დანაშაულზე. ამ შემთხვევაში

<sup>108</sup> რომის სტატუტი, მე-8(2)(XXVI), (დ)(VII) მუხლი.

<sup>109</sup> მაგ., განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე, ან ცალკეულ სამოქალაქო პირებსა და სამოქალაქო ობიექტებზე, დარტყმების განზრახ მიყენება გაეროს სამშვიდობო მისიებში მონაწილე პერსონალზე, ობიექტებზე... იმ კომბატანტების დახოცვა ან დაჭრა, რომლებმაც დადეს იარაღი და დანებდნენ და აღარ გააჩნიათ თავდაცვის საშუალება და სხვ.

<sup>110</sup> რომის სტატუტი, მე-8(2)(გ),(დ)) მუხლი.

<sup>111</sup> „არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევები.“

<sup>112</sup> 2010 მაისის დასაწყისის მდგომარეობით, როდესაც წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა დასრულდა.

მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოვიფარგლებით: იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის გაეროს უშიშროების საბჭო აქტიურ როლს შეასრულებს და მოხდება აგრესიის, როგორც დანაშაულის, დეფინირება საიმისოდ, რათა არა მხოლოდ გაეროს პოლიტიკურმა ორგანომ – უშიშროების საბჭომ – მოახდინოს ამ დანაშაულის საკუთარი შეხედულებისამებრ პოლიტიკურ ჭრილში შეფასება, არამედ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსაც მიეცემა შესაძლებლობა, საკუთარი სასამართლო კომპეტენციით ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განიხილოს აგრესიის დანაშაულის ჩამდენთა მიმართ.

### 3.4.5 დანაშაულთა ელემენტები

რომის სტატუტის მე-9 მუხლის თანახმად, „დანაშაულთა ელემენტები“ სასამართლოს სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლების ინტერპრეტაციასა და გამოყენებაში უნდა დაეხმაროს და დანაშაულთა ელემენტები სტატუტის შესაბამისი უნდა იყოს. რომის სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებში განსაზღვრულია ის დანაშაულები, რომლებზეც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დღეს, 2010 წლის მაისის დასაწყისის მდგომარეობით, იურისდიქცია აქვს. ესენია: გენოციდი, დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულები.

დანაშაულის ელემენტებზე მუშაობა რომის კონფერენციის მოწვევამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო. 1994 წელს, როდესაც საერთაშორისო სამართლის კომისიამ სისხლის სამართლის სტატუტის პროექტზე მუშაობა დაასრულა, დაადგინა, რომ სასამართლოს იურისდიქცია რამდენიმე დანაშაულზე გავრცელდებოდა, თუმცა ამ დანაშაულთა დეფინიციები არ შეუმუშავებია. ასეთი მიდგომის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ იმ დროს კომისია კაცობრიობის მშვიდობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კოდექსის პროექტის საბოლოო ვარიანტს ამზადებდა, რაც მის დღის წესრიგში 1940 წლების ბოლოდან იყო.

კომისიის ვარაუდით, დანაშაულთა კოდექსის პროექტში დანაშაულთა განმარტებები უნდა შესულიყო და ყველა სხვა ინსტრუმენტში, შესაბამისად, ეს განმარტებები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის პროექტს კი, პირველ ყოვლისა და უმთავრესად, ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებული ნორმები უნდა აესახა.<sup>113</sup>

ამავდროულად, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დასაფუძნებლად *ad hoc* კომიტეტი შექმნა. კომიტეტის დასკვნით, დანაშაულთა დეფინიციები უნდა შემუშავებულიყო და ჩართულიყო სტატუტში.<sup>114</sup>

<sup>113</sup> იხ.: Ferencz, B.B. (1980) *An International Criminal Court; A Step Toward World Peace – A Documentary History and Analysis*.

<sup>114</sup> Report of the Ad Hoc Committee on the Establishment of an International Criminal Court, para 57. U.N. GAOR, U.N. Doc A/50/22 (1995).

1996 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნებაზე მსჯელობა სასამართლოს დამფუძნებელ მოსამზადებელ კომიტეტში გაგრძელდა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დანაშაულთა მხოლოდ ჩამოთვლა, მათი განსაზღვრის გარეშე, საკმარისი არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიამ დანაშაულთა კოდექსის პროექტზე მუშაობა იმ წელს დაასრულა და მისი პროდუქტი ხელმისაწვდომი იყო მოსამზადებელი კომისიისათვის, ძალიან ცოტა სახელმწიფომ მიმართა ამ დოკუმენტის დეფინიციებს. სახელმწიფოთა უმეტესობამ არჩია, დანაშაულები თავად სტატუტში ზუსტად და ნათლად ყოფილიყო განსაზღვრული.<sup>115</sup>

1997 წელს მოსამზადებელი კომისია მივიდა იმ შეთანხმებამდე, რომ სტატუტში ის დანაშაულები შევიდოდა, რომლებიც ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში უკვე აღიარებული იყო. ამით კიდევ ერთხელ განმტკიცდა დებულება, რომ სასამართლოს იურისდიქცია მხოლოდ საერთაშორისო ყველაზე სერიოზულ დანაშაულებს მოიცავდა. რომის კონფერენციაზე გენოციდზე შეთანხმება ადვილად მიიღწა, მაშინ, როდესაც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულებმა და ომის დანაშაულებმა საკმაოდ მწვავე დებატები გამოიწვია.<sup>116</sup>

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, დანაშაულთა ელემენტების საკითხის განხილვისას რომის კონფერენციაზე დელეგაციათა უმეტესობას არცთუ ისე ნათელი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, რას ნიშნავდა რეალობაში დანაშაულთა ელემენტები და რა როლი ენიჭებოდათ მათ სასამართლოს ფუნქციონირებაში.

მართალია, სტატუტის მე-9 მუხლი ადგენს, რომ ელემენტები „დაეხმარება სასამართლოს მე-6, მე-7, მე-8 მუხლების ინტერპრეტაციასა და გამოყენებაში“, მაგრამ ტერმინი „დანაშაულის ელემენტები“ განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, როდესაც ელემენტების შემუშავების პროცესი დაიწყო, მრავალი კითხვა დაისვა. მხოლოდ ძალიან ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო დანაშაულთა ელემენტების კონცეფციამ გარკვეული ფორმის მიღება.

მე-9 მუხლი სტატუტში მოლაპარაკებების საკმაოდ გვიან ეტაპზე შევიდა.<sup>117</sup> ეს იმ კომპრომისის შედეგი იყო, რომელიც ძლიერი პოზიციების მქონე მცირე ჯგუფებს შორის მიიღწა: ერთი ნაწილი ლობირებდა სტატუტში დანაშაულთა ელემენტების შეტანას, რომელთაც სავალდებულო ძალა ექნებოდა; მეორე ნაწილი კი ასეთი ელემენტების განსაზღვრას საჭიროდ არ თვლიდა.

<sup>115</sup> Report of the Preparatory Committee on the Establishment of an International Criminal Court, Volume I. para. 52-54. U.N. GAOR, U.N. Doc. A/51/22.

<sup>116</sup> იხ.: Von Hebel, H., Robinson, D. (1999) “Crimes within the Jurisdiction of the Court”, in Lee, R.S. (ed.), The International Criminal Court, The making of the Rome Statute: Issues, Negotiations, Results გვ. 79-127.

<sup>117</sup> იხ.: Lee, R.S. (ed.), (2001) The International Criminal Court – Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence, გვ. 5.



საბოლოო კომპრომისი სამ ფორმაში გამოვლინდა: შეთანხმდნენ, რომ დანაშაულთა ელემენტების შემუშავება მოხდებოდა, თუმცა ეს გაკეთდებოდა რომის კონფერენციის შემდგომ და ელემენტებს სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათი არ ექნებოდა. ამგვარად დაკმაყოფილდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე სხვა სახელმწიფოთა მოთხოვნები – ამ გზით შემუშავდებოდა ელემენტებიც და არც სასამართლოს შექმნასა და ფუნქციონირებას შეეშლებოდა ხელი. საბოლოო ვადად ამისათვის 2000 წლის 30 ივნისი დადგინდა.<sup>118</sup>

ამ პროცესის მსვლელობისას საჭირო იყო სამ ძირითად კითხვაზე პასუხის გაცემა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ელემენტების შემცველი დოკუმენტის შემუშავება:

- (1) ზუსტად რა არის დანაშაულის ელემენტები? ეს ელემენტები სხვადასხვა სახისაა?
- (2) რა ურთიერთდამოკიდებულებაა დანაშაულთა ელემენტებსა და სისხლის სამართლის იმ ძირითად პრინციპებს შორის, რომლებიც ჩამოყალიბებულია სტატუტის მე-3 ნაწილში? კერძოდ კი, რა როლი ენიჭება 30-ე მუხლს, რომელიც დანაშაულის სუბიექტურ მხარეს ეხება, დანაშაულთა ელემენტებთან მიმართებით?
- (3) როგორ უნდა იყოს სტრუქტურირებული დანაშაულთა ელემენტების დოკუმენტი?<sup>119</sup>

დანაშაულის განსაზღვრება ორ განსხვავებულ ასპექტს მოიცავს: პირველი დანაშაულის ობიექტურ მხარეს, კერძოდ იმ წანამძღვართა ერთობლიობას ეხება, რომლებიც აკრძალულ ქმედებას შეადგენენ (*actus reus*); მეორე ასპექტი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ანუ ამ აკრძალული ქმედების ბრალეულ ელემენტს (*mens rea*) ეხება. ეს ორმაგი ხასიათი არეკლილია სტატუტის 30-ე მუხლში, რომლის დებულებებმა მოსამზადებელ კომისიას საშუალება მისცა, ელემენტების ხასიათის ზოგადი განმსაზღვრელი ხაზები მაინც ჰქონოდა. 30-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე საუბარი არ შეიძლება, თუ დანაშაულის მატერიალური ელემენტები განზრახ არ არის ჩადენილი.

მაშინ, როდესაც 30-ე მუხლი მოითხოვს, რომ დანაშაულის მატერიალური ელემენტები ჩადენილი უნდა იყოს განზრახ და გააზრებულად, ის დანაშაულის მატერიალური ელემენტის სამ შემადგენელ ნაწილს აკონკრეტებს: ქმედებას,<sup>120</sup> შედეგს<sup>121</sup> და მიზეზშედეგობრივ კავშირს.<sup>122</sup>

ქმედება მოიაზრებს მართლსაწინააღმდეგო აქტის ჩადენას აშკარად გამოხატული მოქმედებით, ან პირიქით, მოქმედებისგან თავის შეკავებით.

<sup>118</sup> იხ.: Report of the Preparatory Commission, Addendum, Part II, Finalized draft text of the Elements of Crimes, PCNICC/2000/INF/3/Add.2, adopted by the Preparatory Commission on 30 June 2000.

<sup>119</sup> იხ.: Kelt, M., Von Hebel, H. (2001) in: Roy S. L. (ed.), "What are Elements of Crimes?" გვ.13.

<sup>120</sup> იხ.: რომის სტატუტი, 30-ე (2) მუხლი.

<sup>121</sup> იქვე, 30-ე (2(ბ)) მუხლი.

<sup>122</sup> იქვე, 30-ე (3) მუხლი.

მართლსაწინააღმდეგო აქტის შედეგი ჩამოყალიბებულია ორი სხვადასხვა ხერხით: 1. ასეთი შედეგი რეალურად დადგა, მაგალითად, დამნაშავის ქმედებამ გამოიწვია ადამიანთა სიკვდილი; ან 2. აღწერილია რისკი, რაც ქმედების განხორციელების შედეგად შეიძლება დადგეს, მაგალითად, რომ ქმედებამ სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა ადამიანის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა.

გარემოებითი ელემენტი უკავშირდება არსებულ პირობებს ან გარემოებასთან დაკავშირებულ მოთხოვნას. მაგალითად, პირობა, რომ მსხვერპლი ენევის 1949 წლის ერთი ან მეტი კონვენციით<sup>123</sup> დაცული პიროვნებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალურ ელემენტთა ერთმანეთისგან გამმიჯნეელი ხაზი (ქმედება, შედეგი და გარემოება) ყოველთვის აშკარად არ არის გამოხატული და ხშირად ამ საკითხზე პოზიციები ერთმანეთისგან განსხვავდება.

---

<sup>123</sup> იგულისხმება ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს ოთხი კონვენცია.

#### 4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს საქმიანობა XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ამ ნაშრომის თემის შერჩევას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის კავშირს ადამიანის უფლებების დაცვასთან მასობრივი და სასტიკი დარღვევებისგან. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის მიმოხილვა ცივი ომის დასრულების შემდეგ, რაც ადამიანის უფლებების დაცვას მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვასთან აკავშირებს.

წინამდებარე თავში განვიხილავთ გაეროს წესდების VII თავის ახლებურ გამოყენებას და იმ საკითხის ანალიზს მოვახდენთ, თუ რამდენად ადეკვატური რეაგირება მოახდინა გაეროს უშიშროების საბჭომ ადამიანის უფლებათა მასობრივ, სასტიკ და ფართომასშტაბიან დარღვევებზე ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში, რაც, საბოლოოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ საფრთხის შემქმნელ სიტუაციადაც შეფასდა.

ცივი ომის დასრულებამ გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობას ახალი ბიძგი მისცა. გაეროს უშიშროების საბჭო ის ორგანოა, რომელსაც „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის უპირველესი ვალდებულება“<sup>124</sup> ეკისრება.

გლობალური ცვლილებების იმ მნიშვნელოვან ეტაპზე უშიშროების საბჭომ ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით ახლებური პოზიცია დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა, სხვა მიზნებთან ერთად, მოტივირებული იყო „ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობითა“<sup>125</sup> და „ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის“<sup>126</sup> პროპაგანდით, ადამიანის უფლებების დაცვა დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში საბჭოს საქმიანობის ფარგლებს მიღმა დარჩა. ეს კი განპირობებული იყო არა მხოლოდ მსოფლიოს უმთავრეს ძალთა შორის ძალზე დაძაბული ურთიერთობებით, არამედ იმითაც, რომ ადამიანის უფლებების დაცვა „სუვერენულ სახელმწიფოთა შიდასახელმწიფოებრივ საქმედ“<sup>127</sup> ითვლებოდა. თუმცა, როგორც საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ აღნიშნა, „საკითხი, ხვდება თუ არა ესა თუ ის პრობლემა გამონაკლისად სახელმწიფოს იურისდიქციაში,

<sup>124</sup> გაეროს წესდება, 24-ე(1) მუხლი.

<sup>125</sup> *Ibid.*, 1(3) მუხლი.

<sup>126</sup> *Ibid.*, 55(გ) მუხლი.

<sup>127</sup> იხ.: Nowak, M. (2003) *Introduction to the International Human Rights Regime*, გვ.307; Simma, B.(ed.), (2002) *The Charter of the United Nations: A Commentary*, vol. I, გვ.160; Weschler J. (2004) „Human Rights” in: Malone, D.M.(ed.), *The UN Security Council: From the Cold War to the 21<sup>st</sup> Century*, გვ.55; De Than, C.& Shorts, E. (2003) *International Criminal Law and Human Rights*, გვ.279; Simma, B. (1995) „On Human Rights” in: Tomuschat, C.(ed.), *The United Nations At Age Fifty: A Legal Perspective*, გვ. 266.

არსებითად შედარებითია; იგი დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე.“<sup>128</sup>

შესაბამისად, XX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბებულმა ახალმა მსოფლიო წესრიგმა და ამ დროისთვის უკვე საკმარისად განვითარებულმა ადამიანის უფლებების დაცვის დოქტრინამ ადამიანის უფლებათა დაცვაზე მეტი ყურადღების მიპყრობის საჭიროება წარმოშვა, რაც შედეგად საერთაშორისო ასპარეზზე მასობრივი ნეგატიური შედეგების თავიდან არიდების საშუალებას მისცემდა საერთაშორისო თანამეგობრობას.<sup>129</sup>

ნაშრომის წინამდებარე თავი ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით გაეროს უშიშროების საბჭოს გაეროს წესდების VII თავის პრიზმაში ქმედების სამართლებრივ და მორალურ ლეგიტიმურობას განიხილავს ორ განსხვავებულ კონტექსტში. პირველი ქმედება – ყოფილი იუგოსლავიისთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა – საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტთა რთულ ნარევეში ადამიანის უფლებათა უმძიმეს დარღვევებზე რეაქცია იყო; მეორე ნაბიჯი კი – რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა – შიდა კონფლიქტის შემდეგ<sup>130</sup> ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებში დამნაშავეთა წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებისთვის გადადგმული ნაბიჯია.

საკითხები, რომელთა წამოწევა და განხილვა ხდება ამ თავში, შემდეგია: *ქონდა თუ არა გაეროს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის კონფლიქტებით გამოწვეული ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების ჩამდენთა დასასჯელად საერთაშორისო ტრიბუნალები დაეფუძნებინა? ამ ქმედებით მოახდინა თუ არა უშიშროების საბჭომ გულწრფელი ნების გამოვლენა ადამიანის უფლებების დასაცავად, თუ ეს მხოლოდ მობოდიშების შესტად უნდა ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების თავიდან არაცილების გამო? ჩამდენად წარმატებულად მოახერხა უშიშროების საბჭომ „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის უპირველესი პასუხისმგებლობისა“ და ადამიანთა ძირითად უფლებათა დაცვის იდეის ურთიერთმიმართების განხორციელება?*

ნაშრომში დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად მომდევნო თავი მოკლედ მიმოიხილავს გაეროს უშიშროების საბჭოს დამოკიდებულებას ადამიანის უფლებებისადმი მისი საქმიანობის პირველი, დაახლოებით, 50 წლის განმავლობაში და, ზოგადად, საერთაშორისოსამართლებრივ კლიმატს ამ სფეროში.

<sup>128</sup> საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა: *Nationality Decrees Issued in Tunis and Morocco (French Zone)*, 1921 წლის 8 ნოემბერი.

<sup>129</sup> იხ.: Conforti, B. (2005) *The Law and Practice of the United Nations*, გვ.142.

<sup>130</sup> „თუმცა რეზოლუციის სპონსორებმა ცხადი გახადეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ 1994 წლის დასასრულის შემდეგ იქნებოდა მნიშვნელოვანი დარღვევები, ტრიბუნალის კომპეტენციის გაფართოება შესაძლებელი გახდებოდა 1994 წლის დეკემბრის შემდეგაც, თუ [უშიშროების] საბჭო ამას მიზანშეწონილად ჩათვლიდა: იხ.: ახალი ზეღანდის განცხადება, UN Doc.S/PV.3453“; იხ.: Lee, R.S. (1996) *“The Rwanda Tribunal”*, in *Leiden Journal of International Law* vol.9, issue 01, გვ. 49.

მომდევნო ქვეთავები, შესაბამისად, განიხილავს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო ტრიბუნალების დაფუძნების სამართლებრივ მართლზომიერებასა და გააანალიზებს იმ გადაწყვეტილებათა მორალურ ლეგიტიმურობას, რომელთა თანახმად, *ad hoc* ტრიბუნალების შექმნა ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე ადეკვატურ რეაქციად ჩაითვადა.

განსახილველ თემასთან არსებითი კავშირის გამო ნაშრომი ასევე გააანალიზებს ცნებებს: „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის საფრთხის შექმნა“ და „საერთაშორისო მშვიდობის დარღვევა“, ისე როგორც იმსჯელებს გაეროს ძირითადი ორგანოების (ამ შემთხვევაში, ძირითადად, უშიშროების საბჭოს) მიერ სუბსიდიური ორგანოების დაფუძნების მართლზომიერებასა და გაეროს წესდების VII თავით განსაზღვრულ ფუნქციათა უშიშროების საბჭოს მიერ დელეგირების სამართლებრივ შესაძლებლობებზე.

ამასთან, როგორც ზემოთ განსაზღვრული კითხვებიდანაც ნათლად ჩანს, წინამდებარე თავი არ განიხილავს აღნიშნული ტრიბუნალების საქმიანობის სამართლებრივ გამართულობასა და არ მოახდენს მათ მიერ შექმნილი პრეცედენტული სამართლის ანალიზს.

ნაშრომის მიზანი არც ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტერიტორიებზე კონფლიქტის განმავლობაში ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების შეფასება და მიმოხილვაა.

ნაშრომის მიზნებისთვის ადამიანის უფლებების დარღვევების შეფასების საფუძვლად აღებულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაკეთებული შესაბამისი დასკვნები.

#### 4.1. ზოგადი ფონი: ცივი ომი და „ძველი რეჟიმი“

გაეროს წესდებამ, რომლის მიღება მეორე მსოფლიო ომის ჩრდილქვეშ მოხდა, იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოთა უპირველესი საზრუნავი მომავალში აგრესიის თავიდან აცილება იყო, უშიშროების საბჭოს როლი განსაზღვრა, როგორც ორგანოსი, რომელსაც „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის უპირველესი ვალდებულება“<sup>131</sup> დაეკისრა.

იმ პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისო თანამეგობრობის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი არ იყო და, ამასთან ერთად, გაეროს წესდების მე-2(7) მუხლმა გარკვევით აკრძალა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა; ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები კი სწორედ საშინაო საქმეების კატეგორიაში მოიაზრებოდა.

ცივი ომის დასრულებამდე უშიშროების საბჭოს ძალზე იშვიათად თუ გაუმახვილებია ყურადღება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე<sup>132</sup> და ნამდვილად არასდროს გამოუყენებია გაეროს წესდების

<sup>131</sup> იხ.: გაეროს წესდება, 24-ე(1) მუხლი.

<sup>132</sup> რეზოლუციების ძალზე მცირე ნაწილი იყო ორიენტირებული ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაზე: იხ.: მაგ., რეზოლუციები: 120(1956), 161(1961), 693(1991).

VII თავით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება იმისათვის, რომ საერთაშორისო ტრიბუნალების შექმნა გადაეწყვიტა.

ეს ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წესდების VII თავი უშიშროების საბჭოს საკმაოდ ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს, იმუშაოს მშვიდობისთვის საფრთხის შექმნისა და მშვიდობის დარღვევის ფაქტებზე, რასაც, უმეტეს შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები გამოუწვევია.

თავად ტერმინების „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის საფრთხის შექმნა“ და „საერთაშორისო მშვიდობის დარღვევა“, ისევე როგორც უშიშროების საბჭოს ქმედების თავისუფლების ხარისხის განხილვა, ქვემოთ მოხდება, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირში არიან ნაშრომში განსახილველ მთავარ თემასთან.

გაეროს უშიშროების საბჭოს ინტერესის სფეროში ადამიანის უფლებათა ჩართვის ნელი პროცესის განხილვისას შესაბამისი შეფასება უნდა მიეცეს ადამიანის უფლებათა დოქტრინის განვითარების ხარისხსა და საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებებს 1990-იან წლებამდე, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფცია ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე იყო, და არც ისეთი პოპულარობით სარგებლობდა საერთაშორისო პოლიტიკაში;

ცივი ომის *real politic*-იდან გამომდინარე, რამაც ადამიანის უფლებათა დაცვის ენის განსაზღვრაც და სახელმწიფოს სუვერენიტეტის უზენაესობისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის განმტკიცება გამოიწვია, უშიშროების საბჭო რეალურად არ იქნებოდა დაინტერესებული და არც გაეროს წევრ სახელმწიფოთა მიერ ნებადართული, აქტიურად ჩართულიყო ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში.

შესაბამისად, როგორც *კახესემ* აღნიშნა მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის შესაძლებლობების განხილვისას, „1960-იანი წლებიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულმა ცივმა ომმა შეუძლებელი გახადა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრაქტიკაში გამოყენება... საერთაშორისო მართლმსაჯულების ინსტიტუტების მეშვეობით. ამ სრულმა უძღურებამ, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბლოკებს შორის ურთიერთუნდობლობითა და ეჭვიანობით ხასიათდებოდა, ასევე გამოიწვია საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის იდეით სახელმწიფოთა შეპყრობა. ამგვარ კლიმატში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაფუძნების შესაძლებლობა ძალიან შორი პერსპექტივა იყო.“<sup>133</sup> კიდევ უფრო რთული იქნებოდა უშიშროების საბჭოს მიერ ამგვარი ორგანოს შესაქმნელად კონსენსუსის მიგნება, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური უთანხმოების შემ-

---

<sup>133</sup> იხ.: Cassese, A. (1998) “On Current Trends towards Criminal Prosecution and Punishment of Breaches of International Humanitarian Law”, *European Journal of International Law*, ტ.9 No.1 გვ. 4.

თხვევაში საბჭოს მუდმივ წევრებს თავისუფლად შეეძლოთ მათთვის მინიჭებული ვეტოს უფლების გამოყენება.

თუმცა გაეროს წესდების მე-2(7)<sup>134</sup> მუხლით დაწესებული აკრძალვის საზღვრების ინტერპრეტირებისას თანდათანობითი ცვლილება შეიმჩნეოდა: საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს სენტენციის შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში ცვლილებამ მიდგომებიც შეცვალა და 1990-იან წლებში ადამიანის უფლებების დაცვასთან მიმართებით მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულება და შესაბამისი აკრძალვების საზღვრების აღქმაც შეიცვალა.<sup>135</sup>

ამასთან ერთად, როგორც *კასესე*<sup>136</sup> აღნიშნავს, „კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო გაფართოებული საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მოთხოვნების გამყარებას, ადამიანის უფლებათა დოქტრინის მზარდი მნიშვნელობა იყო, [იმ დოქტრინისა], რომელიც სულ მალე, გარკვეულწილად, „საერო“ რელიგიად იქცა.“<sup>137</sup>

შედგად, დღეს უკვე მეტისმეტია იმის მტკიცება, რომ „სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და სუვერენიტეტის“<sup>138</sup> დაცვის პრინციპები კვლავ სრულად რჩება ძალაში ადამიანის უფლებათა დაცვასთან მიმართებით.“<sup>139</sup>

სიცხადისთვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოთა საშინაო იურისდიქციასა და უშიშროების საბჭოს მხრიდან ლეგიტიმურად ჩარევის შესაძლებლობის მიმცემ საკითხებს შორის ზღვარს არ შლის. *კასესე* სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ „გაეროს წესდების მიხედვით, [უშიშროების საბჭო] უფლებამოსილია, ჩაერიოს მხოლოდ იმ საერთაშორისო კრიზისში, რომელიც რისკის ქვეშ აყენებს ან საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. [უშიშროების საბჭო] არ უნდა ერეოდეს შედარებით „უმნიშვნელო“ კონფლიქტებში, რომლებიც შესაბამის სახელმწიფოთა კომპეტენციაში ხვდება.“<sup>140</sup>

ეს არის ის ზოგადი ფონი, რომლის არსებობის პირობებში გაეროს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა სრულიად ახლებური პრაქტიკის დანერგვა: მან გამოიყენა გაეროს წესდების VII თავი ყოფილი იუგოს-

<sup>134</sup> იხ.: Cassese, A. (2005) *International Law* გვ. 383.

<sup>135</sup> იხ.: Conforti, B. (2005) *The Law and Practice of the United Nations*, გვ. 142.

<sup>136</sup> Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ. 335.

<sup>137</sup> რელიგიასთან დაკავშირებულ მეტაფორაზე იხ.: Gearty, C.A. (2004) “*Human Rights*” in *The Social Science Encyclopedia* გვ. 471.

<sup>138</sup> იხ.: Bröhmer, J. (1997) *State Immunity and the Violation of Human Rights*, გვ.14-33; European Convention on State Immunity, Basle, 16.V.1972 <http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/074.htm> (განახობა: 12/06/2005); Fox, H. (2002) *The Law of State Immunity*, გვ.11-64; Lewis, C.J. (1990) *State and Diplomatic Immunity*, გვ. 7-21; McClanahan, G.V. (1989) *Diplomatic Immunity*, გვ.27-83; Malanczuk, P. (1997) *Akehurst's Modern Introduction to International Law*, გვ.118-123; O'Neill, K.C. (2002) *A New Customary Law of Head of State Immunity?: Hirohito and Pinochet*, *Stanford Journal of International Law*, 38, გვ.291-295; Brownlie, I. (1998) *Principles of Public International Law*, გვ. 327-328.

<sup>139</sup> Simma, B. (ed.), (2002) *The Charter of the United Nations: A Commentary*, vol. I, გვ.162, §44.

<sup>140</sup> Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ.4.

ლავისა და რუანდისთვის საერთაშორისო ტრიბუნალების შესაქმნელად. ამასთან, საბჭომ ეს გადაწყვეტილებები მონათლა როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისკენ მიმართული ქმედებები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა ადამიანის უფლებათა უმნიშვნელოვანეს დამრღვევთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა. ამდენად, ორი *ad hoc* ტრიბუნალის შექმნა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მონათლა როგორც შესაძლო „რადაც დიდი მოვლენის დასაწყისად.“<sup>141</sup>

## 4.2 სამართლებრივი ანალიზი

განსახილველ თემასთან არსებითი კავშირის გამო ნაშრომის წინამდებარე თავი გააანალიზებს ცნებებს: „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის საფრთხის შექმნას“ და „საერთაშორისო მშვიდობის დარღვევას“, ისევე როგორც იმსჯელებს გაეროს ძირითადი ორგანოების (ამ შემთხვევაში, ძირითადად, უშიშროების საბჭოს) მიერ სუბსიდიური ორგანოების დაფუძნების მართლზომიერებასა და გაეროს წესდების VII თავით განსაზღვრულ ფუნქციათა უშიშროების საბჭოს მიერ დელეგირების სამართლებრივ შესაძლებლობებზე.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების დაფუძნება მოხდა გაეროს უშიშროების საბჭოს 808/827 (1993) და 955 (1994) რეზოლუციებით; შესაბამისად, უშიშროების საბჭოს მიერ *ad hoc* ტრიბუნალების შექმნის ლეგიტიმურობა შესაძლოა, შემდეგი საფუძველით დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ: **ჭკონდა თუ არა გაეროს უშიშროების საბჭოს, როგორც არასასამართლო ორგანოს, უფლებამოსილება, შეექმნა სასამართლო ორგანო? თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითია, რატომ არ დააფუძნა მან ტრიბუნალი, რომელსაც ფართო იურისდიქცია ექნებოდა და შეძლებდა ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის ყველა შემთხვევაზე რეაგირებას მსოფლიოს მასშტაბით, ნაცვლად ცალკეულად შერჩეული შემთხვევებისა? იმის გათვალისწინებით, რომ ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს სავალდებულო ძალა აქვთ, მათ შორის უშიშროების საბჭოსთვისაც, მოხდა თუ არა ამ ძალაუფლების ლეგიტიმური გადაცემა ამ ორგანოსთვის, რომელიც გაეროს სუბსიდიური ორგანოს სტატუსით იქნა დაფუძნებული?**

არგუმენტის დაწყება მიზანშეწონილია საბჭოს მიერ *ad hoc* ტრიბუნალების შექმნის თეორიული შესაძლებლობის განხილვით. გაეროს წესდება იძლევა ზოგად შესაძლებლობას „იმგვარი სუბსიდიური ორგანოების შექმნისას, რომელთა შექმნა შესაძლოა, ჩაითვალოს საჭიროდ.“<sup>142</sup> გაეროს ექვს ძირითად ორგანოს აქვს სუბსიდიური ორგანოების შექმნის უფლებამოსილება, წესდებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად. თუმცა, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც არსებობს გაეროს

<sup>141</sup> იხ: “Making Rules for War: The World Tries Again”, Special in *The Economist* (მარტი 11-17, 1995), გვ. 23.

<sup>142</sup> გაეროს წესდება, მე-7(2) მუხლი.



სუბსიდიური ორგანოების დაფუძნების კანონიერებასა და ამ ორგანოების საქმიანობის კანონიერებას შორის.

სამართლებრივი ჩარხო, რომელიც სუბსიდიური ორგანოების შექმნას არეგულირებს, შექმნილია გაეროს წესდების შესაბამისი დებულებებითა და საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლის იმ ნაწილით, რომელიც, ზოგადად, საერთაშორისო ორგანიზაციების ამგვარ საქმიანობას არეგულირებს. სუბსიდიური ორგანოების საქმიანობის კანონიერება კი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ემორჩილება სუბსიდიური ორგანო იმ სამართლებრივი მანდატის ფარგლებს, რაც მას ძირითადად ორგანომ მიანიჭა.

იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომის წინამდებარე თავი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სუბსიდიური ორგანოს სახით სასამართლო ორგანოების – საერთაშორისო ტრიბუნალების დაფუძნების კანონიერების ანალიზს ისახავს მიზნად, ჩვენ შევჩერდებით იმ მახასიათებელთა იდენტიფიცირებასა და ანალიზზე, რომელნიც საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ პასუხი ჩვენ მიერ ნაშრომის ამ თავის დასაწყისში დასმულ კითხვებზე.

დასაწყისისთვის შევჩერდებით საკითხზე, ზუსტად რას ნიშნავს „გაეროს სუბსიდიური ორგანო“ და მნიშვნელოვანია თუ არა ის, თუ რა ფორმით იქმნება იგი. მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდიური ორგანოები ძირითადად სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან<sup>143</sup> შედგება, ზოგ შემთხვევაში წევრები შესაძლოა, პერსონალურად<sup>144</sup> იყვნენ დანიშნულნი. გაეროს წესდება არსად იძლევა ტერმინის – „სუბსიდიური ორგანო“ – განმარტებას. ამასთან, აღნიშვნის ღირსია რამდენიმე მცდელობა, მომხდარიყო ტერმინის დეფინირება. ჩვენი მიზნებისთვის საინტერესოა ამ განმარტებათა გათვალისწინება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმარტება მოცემულია, მაგალითად, გაეროს დოკუმენტში:

„სუბსიდიურია ორგანო, რომლის დაფუძნება მოხდა გაეროს ძირითადი ორგანოს მიერ, წესდების მე-7(2) მუხლის შესაბამისად, შესაბამისი ორგანოს რეზოლუციის საფუძველზე. ამგვარი ორგანო ორგანიზაციის განუყოფელი ნაწილია... სუბსიდიური ორგანოების უმრავლესობა

<sup>143</sup> როდესაც სუბსიდიური ორგანო შედგება სახელმწიფოებისგან, მისი წევრი შესაძლოა იყოს ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფო (როგორც, მაგალითად, წესდების გადასინჯვისთვის მოსაწიბი კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის შემთხვევაში. იხ.: გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 992 (X)), ან მხოლოდ წევრთა გარკვეული რაოდენობა (ამ შემთხვევაში იქმნება სპეციალური, ან *ad hoc* კომისიები ან კომიტეტები). თუმცა აუცილებელია იმ განსხვავების მუდმივად გათვალისწინება, რომელიც არსებობს სუბსიდიურ ორგანოსა და კომიტეტს შორის და თავისი ბუნებით ძირითადი ორგანოს ნაწილია.

<sup>144</sup> როგორც, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც უშიშროების საბჭომ რეკომენდაციით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, დაენიშნა მედიატორი კვიპროსის საკითხზე (იხ.: *Repertoire of the Practice of the Security Council, 1964-1965*, გვ.71), პირადი წარმომადგენელი დომინიკის რესპუბლიკაში, (იხ.: *Repertoire of the Practice of the Security Council, 1964-1965*, გვ.72), ახლო აღმოსავლეთსა (იხ.: *Repertoire of the Practice of the Security Council, 1966-1968*, გვ.76) და ლიბერიაში (იხ.: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №788, 1992 წლის 19 ნოემბერი); ასევე, უშიშროების საბჭომ იმავე ფორმატით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, გაეგზავნა სპეციალური წარმომადგენელი აფხაზეთში (საქართველო). (იხ.: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №849, 1993 წლის 9 ივლისი).

დაარსებულია „მშობელი ორგანოების“ მიერ, რომელთაც ძალუძთ მათი მანდატისა და შემადგენლობის შეცვლა, მათთვის სახელმძღვანელო დირექტივების გამოცემა, მათი ანგარიშების მიღება და მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება ან უარყოფა. ზოგადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სუბსიდიური ორგანო შესაძლოა გაუქმებულ ან შეცვლილ იქნეს დამფუძნებელი ორგანოს მიერ.“<sup>145</sup>

ციტირებული დეფინიციის მსგავსად, *გაეროს ორგანოების პრაქტიკის კრებული* ჩამოთვლის გაეროს სუბსიდიური ორგანოების შემდეგ ძირითად მახასიათებლებს:

„ა) სუბსიდიური ორგანო იქმნება გაეროს ძირითადი ორგანოს მიერ, ან მისი უფლებამოსილების ქვეშ;

ბ) სუბსიდიური ორგანოს წევრობა, სტრუქტურა და საქმიანობის პირობები განსაზღვრულია, და შესაძლოა, შეიცვალოს ძირითადი ორგანოს მიერ ან მისი უფლებამოსილებით;

გ) სუბსიდიური ორგანო შესაძლოა, გაუქმებულ იქნეს გაეროს ძირითადი ორგანოს მიერ ან მისი უფლებამოსილებით.“<sup>146</sup>

ამრიგად, ციტირებული ორივე განმარტება გაეროს სუბსიდიური ორგანოების კანონიერად დაფუძნების ორ წინაპირობას ადგენს: ისინი უნდა დააფუძნოს გაეროს ძირითადმა ორგანომ, და მათზე უნდა ვრცელდებოდეს გაეროს შესაბამისი ძირითადი ორგანოს უფლებამოსილება. ამასთან, არსებობს დამატებითი წინაპირობაც: სუბსიდიური ორგანოს შექმნამ არ უნდა დაარღვიოს გაეროს ძირითად ორგანოებს შორის კომპეტენციის დელიმიტაციის პრინციპი.

აღნიშნულ წინაპირობათა დაკმაყოფილება აუცილებელია იმისათვის, რომ გაეროს ძირითადი ორგანოს მიერ სუბსიდიური ორგანოს დაფუძნება კანონიერად ჩაითვალოს. ამ წინაპირობათა გათვალისწინებასთან ერთად უმნიშვნელოვანესია შემდეგი ფაქტორის მხედველობაში მიღებაც: ჩამოთვლილ დამოკიდებულებებთან ერთად სუბსიდიურ ორგანოს უნდა ახასიათებდეს კიდევ ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, და ეს არის ძირითადი ორგანოსგან მისი გარკვეულწილად დამოუკიდებლობა. ეს უკანასკნელი უაღრესად მნიშვნელოვანია, იმდენად, რამდენადაც საწინააღმდეგო შემთხვევაში ნებისმიერი ორგანო მხოლოდ ძირითადი ორგანოს შემადგენელი ნაწილი იქნებოდა, და არა სუბსიდიური ორგანო. ამდენად, ძირითადი ორგანოსგან დამოუკიდებლობის ხარისხი უნდა მივიჩნიოთ იმ განმსაზღვრელ ფაქტორად, რომლითაც „სუბსიდიური ორგანოს“ „ძირითადი ორგანოს“ შემადგენელი ნაწილისგან (მაგა-

<sup>145</sup> იხ.: *“Summary of International Secretariat studies of constitutional questions relating to agencies within the framework of the United Nations”*. ეს დოკუმენტი წარდგენილ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მე-9 სესიაზე. იხ.: *General Assembly Official Records, 9<sup>th</sup> Session, Annexes, Agenda Item 67, გვ.13, A/C.1/758, §1 და §2.*

<sup>146</sup> იხ.: *Repertoire of Practice of United Nations Organs*, ტ. I, გვ. 228.

ლთად: კომისიის, კომიტეტის, სამუშაო ჯგუფის, და ა.შ.) განსხვავებაა შესაძლებელი.

ტესტური კითხვა, რომელიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს იმის დასადგენად, ორგანო სუბსიდიურია, თუ არა, შესაძლოა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ახორციელებს თუ არა ესა თუ ის ერთეული საკუთარ უფლებამოსილებას მისი შემქმნელი ძირითადი ორგანოს სამუშაო მეთოდებისგან განსხვავებული მეთოდებით, და ახორციელებს თუ არა ეს ორგანო ფუნქციებს, რომელთა განხორციელება ძირითად ორგანოს არ ძალუძს?

ეს ზოგადი ანალიზი მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნებისთვის, იმდენად, რამდენადაც არასასამართლო ორგანოს მიერ სასამართლო ორგანოების, როგორც სუბსიდიური ორგანოების, დაფუძნებისას მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, რამდენად იძლევა ზოგადი სამართლებრივი ჩარჩო მსგავსი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ინიციატივით გაეროს უშიშროების საბჭო – ორგანო, რომელიც ვალდებული და ფართო დისკრეციით არის აღჭურვილი, დაიცვას საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება – გამოდის.

ჩვენ მიერ შერჩეული კონკრეტული მაგალითების განხილვამდე ასევე მიზანშეწონილია, შევჩერდეთ იმ განსხვავებაზე, რომელიც სუბსიდიური ორგანოების დაფუძნების ზოგად და სპეციფიკურ უფლებამოსილებას შორის არსებობს. ეს განსხვავება მნიშვნელოვანია ჩვენი მიზნებისთვის იმდენად, რამდენადაც იმ შემთხვევებში, როდესაც ძირითადი ორგანო აფუძნებს სუბსიდიურ ორგანოს იმ ფუნქციების განსახორციელებლად, რომელთა უშუალო განხორციელება თავად ძირითად ორგანოს არ ძალუძს, მნიშვნელოვანი შეზღუდვები არსებობს ძირითადი ორგანოს მიერ სუბსიდიური საქმიანობის გაკონტროლების მექანიზმებში. სუბსიდიური ორგანოს დაფუძნების სპეციფიკური უფლებამოსილების შესაბამისად, შესაბამის ძირითად ორგანოს (ჩვენს შემთხვევაში – გაეროს უშიშროების საბჭოს) შეუძლია სუბსიდიური ორგანოს დაფუძნება მხოლოდ მისი [ძირითადი ორგანოს] ფუნქციების განსახორციელებლად.<sup>147</sup> თუმცა, გაეროს წესდების მე-7(2) მუხლით გათვალისწინებული სუბსიდიური ორგანოს დაფუძნების ზოგადი უფლებამოსილების შესაბამისად, ასეთი ფუნქციური შეზღუდვა გათვალისწინებული არ არის: ამ მუხლის საფუძველზე სუბსიდიური ორგანოების დაფუძნება შესაძლებელია მათ მიერ იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა შესრულება ძირითად ორგანოს არ შეუძლია. ეს ვარაუდი ნათლად დასტურდება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში.<sup>148</sup> ამდენად, დასკვნის სახით

<sup>147</sup> იხ.: გაეროს წესდება, 22-ე მუხლი, 29-ე მუხლი.

<sup>148</sup> იხ.: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა: “Effect of Awards of Compensation Made by the United Nations Administrative Tribunal”, 13 ივლისი, 1954; მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, 1954წ., გვ.47-97; ასევე, იხ.: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა: “Application for Review of Judgment No. 158 of the United Nations Administrative Tribunal”, 12 ივლისი, 1973; მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, 1973წ., გვ. 166-300.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გაეროს წესდების მე-7(2) მუხლით განსაზღვრული ზოგადი კომპეტენცია უფრო ფართოა, ვიდრე 22-ე და 29-ე მუხლებით გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოსთვის განსაზღვრული კონკრეტული უფლებამოსილება. თუმცა, ზოგადი უფლებამოსილებაც შეზღუდულია შემდეგი მოთხოვნით: სუბსიდიური ორგანოს დამფუძნებელი ძირითადი ორგანო უნდა ფლობდეს გაეროს წესდებით მინიჭებულ აშკარა ან ნაგულისხმევ კომპეტენციას იმ სფეროში, სადაც ამგვარი სუბსიდიური ორგანოს შექმნას გადაწყვეტს. ნაგულისხმევი კომპეტენციის დადგენა კი შესაძლებელია თუნდაც ძირითადი ორგანოს კონკრეტულ სფეროში საქმიანობის ზოგადი კომპეტენციიდან<sup>149</sup>. ძირითად ორგანოს, შესაძლოა, არ გააჩნდეს კომპეტენცია, შეასრულოს გარკვეული ფუნქციები, მაგრამ სუბსიდიური ორგანოს დაფუძნება და ამ უკანასკნელის მიერ აღნიშნული ფუნქციების განხორციელება შესაძლოა, მაინც საჭირო იყოს ძირითადი ორგანოს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

ამ ზოგადი კომპეტენციის მიმოხილვა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა ძირითადი ორგანოს მიერ სუბსიდიური ორგანოსთვის ისეთი ფუნქციების მინიჭებასთან დაკავშირებით, რომელთა პირდაპირ განხორციელება თავად არ ძალუძს, მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის, იმდენად, რამდენადაც ჩვენი მსჯელობის საგანი სწორედ მსგავსი სიტუაციებია: გაეროს უშიშროების საბჭომ, პოლიტიკურმა ორგანომ, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით რეზოლუციების მეშვეობით შექმნა ორი სასამართლო ორგანო.

შესაბამისად, მიზანშეწონილია საკითხის განხილვა ასევე დავაფუძნოთ კონკრეტულ დებულებებს, კერძოდ კი, გაეროს წესდების 29-ე მუხლს, რომელიც ეხება უშიშროების საბჭოს სპეციალურ კომპეტენციას, დააფუძნოს „ისეთი სუბსიდიური ორგანოები, რომლებსაც ის ჩათვლის საჭიროდ საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად.“ ამავდროულად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, არსებითად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინება ამ საკითხთან დაკავშირებით.

იმის დასადასტურებლად, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მისი დამფუძნებელი ხელშეკრულების საფუძველზე ნაგულისხმევი უფლებამოსილების გამოყენება საერთაშორისო სამართალში კარგად მიღებული დოქტრინაა, როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადგინა, „საერთაშორისო სამართალში ორგანიზაცია უნდა მოიაზრებოდეს ისეთი უფლებამოსილების მქონედ, რომლებიც, თუმცა არ არის ხაზგასმით განსაზღვრული მის წესდებაში, მოიაზრება მასზე მინიჭებულად, იმდენად, რამდენადაც ეს უფლებამოსილება საჭიროა ორგანიზაციის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის

---

<sup>149</sup> სიტყვა „კომპეტენცია“ ამ კონტექსტში გამოყენებულია საერთაშორისო ორგანიზაციის ორგანოს კონკრეტული უფლებამოსილების აღსანიშნავად. ამდენად, ორგანოს კომპეტენცია მოიცავს საქმიანობის მთელ რიგს სახეებისას, რომელთა განხორციელება შედის ორგანოს საქმიანობის სფეროში, და ორგანიზაციის წესდების მიერ საამისოდ დადგენილ პირობებს.

განსახორციელებლად. სამართლის ეს პრინციპი... გამოყენებულ უნდა იქნეს გაეროსთან მიმართებით.“<sup>150</sup>

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს კიდევ ერთი საკონსულტაციო დასკვნის<sup>151</sup> შესაბამისად: „მიუხედავად იმისა, რომ წესდებაში არ არსებობს კონკრეტული შესაბამისი დებულება, თავად წესებიდან გამომდინარეობს ის, რომ [ტრიბუნალის შექმნის უფლებამოსილება, რომელიც უფლებამოსილი იქნება თავად გაეროს დამავადებულებელი გადაწყვეტილებები მიიღოს] აუცილებელი ვარაუდის საფუძველზე დგინდება.“

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ასევე შენიშნა: „ტრიბუნალის შექმნის უფლების მიმცემი ზუსტი ხასიათი და შინაარსი – მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაგულისხმევი კომპეტენცია იყო – ერთადერთი ორგანოს – [გენერალური ასამბლეის] მიერ იყო გადასაწყვეტი.“<sup>152</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ საბოლოოდ დაასკვნა: „მნიშვნელოვანია ის, რომ [ასამბლეას] სურვილი ჰქონდა, დაეფუძნებინა ტრიბუნალი. და რაც მან დააფუძნა, სასამართლო ორგანო იყო.“<sup>153</sup> საკონსულტაციო დასკვნაში „გაეროს ადმინისტრაციული ტრიბუნალის №158 გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ“ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა დასკვნა, რომ ასამბლეას აქვს კომპეტენცია, „არეგულიროს თანამშრომელთა შორის ურთიერთობები და... ეს უფლება მოიცავს „ორგანიზაციასა და მის თანამშრომლებს შორის მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ტრიბუნალის შექმნას.“<sup>154</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს გენერალური ასამბლეისგან განსხვავებით უშიშროების საბჭოს პრაქტიკაში ჩვენს მიერ განსახილველი ტრიბუნალების შექმნამდე არ მოიძებნება სასამართლო ორგანოების დაფუძნების პრეცედენტები, საჭირო გახდა ანალოგიის გამოყენება შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად. შესაბამისად, შესაძლოა დავასკვნათ, რომ უშიშროების საბჭოს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად ორგანოს, ჰქონდა უფლება, დაეფუძნებინა *ad hoc* ტრიბუნალები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ქმედება ადამიანის უფლებათა დასაცავად გადადგმულ ნაბიჯად მოიაზრებოდა.

ამ ქმედებებით უშიშროების საბჭო რეაგირებას ახდენდა სიტუაციებზე, რომლებიც, რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევაში, განიხილებოდა როგორც „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საშიშროების“<sup>155</sup> შემქმნელი. შესაბამისად, „მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარად არ არის მითითებული წესდებაში“,<sup>156</sup> ეს ფუნქ-

<sup>150</sup> იხ.: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა: „*Reparation for Injuries Suffered in the Service of the [UN]*“, 11 აპრილი, 1949.

<sup>151</sup> იხ.: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა: *Effects of Awards of Compensation Made by the [UN] Administrative Tribunal*, 13 ივლისი, 1954.

<sup>152</sup> *Ibid.*

<sup>153</sup> *Ibid.*

<sup>154</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები, (1973), გვ.173.

<sup>155</sup> „39-ე მუხლის შესაბამისი განსაზღვრა“.

<sup>156</sup> იხ. 140-ე *supra* სქოლიო და შესაბამისი ტექსტი.

ცია უშიშროების საბჭოზე მინიჭებული იყო „აუცილებელი ვარაუდით, რომელიც მისი ფუნქციების განხორციელებისთვის საკვალდებულოა“.<sup>157</sup>

ამრიგად, თუ გაეროს გენერალურ ასამბლეას შეეძლო განესაზღვრა „იმ ღონისძიებათა ზუსტი ხასიათი და ფარგლები, რომელთა მეშვეობით ტრიბუნალის შექმნის უფლებამოსილება განისაზღვრა, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლებამოსილება ნაგულისხმევი იყო,“<sup>158</sup> იგივე უნდა ითქვას უშიშროების საბჭოსთან მიმართებითაც. უფრო მეტიც, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დასკვნა: „მნიშვნელოვანია [ასამბლეის] გადაწყვეტილება, დაეფუძნებინა ტრიბუნალი და ის, რომ მას სურდა სასამართლო ორგანოს დაფუძნება,“<sup>159</sup> შესაძლოა, ასევე იქნეს გამოყენებული უშიშროების საბჭოსთან მიმართებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მის მსგავს სტატუსს, როგორც გაეროს ძირითადი ორგანოსი, და უფრო მეტიც, ორგანოსი, რომელიც „[უპირველესად არის პასუხისმგებელი] საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე“.<sup>160</sup> საბჭოსაც ასევე „ჰქონდა განზრახვა, დაეფუძნებინა სასამართლო ორგანო“<sup>161</sup>, და ასამბლეის მსგავსად, მას „ჰქონდა სამართლებრივი უფლებამოსილება წესდებით, ასე ემოქმედა“<sup>162</sup>.

იმის დასაბუთების შემდეგ, რომ ტრიბუნალების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სამართლებრივად გამართლებული იყო, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია იუგოსლავიის ტრიბუნალის პოზიციის ხაზგასმა მისი დაფუძნების კანონიერებასთან დაკავშირებით. ხანგრძლივი და საფუძვლიანი მსჯელობის შედეგად<sup>163</sup> იუგოსლავიის ტრიბუნალის სააკველაციო პალატამ *ტადიჩის* საქმეში დაასკვნა, „რომ საერთაშორისო ტრიბუნალი კანონიერად იქნა დაფუძნებული, როგორც ქმედება, გათვალისწინებული წესდების VII თავით“.<sup>164</sup>

ტრიბუნალებისთვის სამართლებრივად საკვალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლების მიცემასთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკიდან შემდეგი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: თუ გაეროს ძირითად ორგანოს განზრახული აქვს მის მიერ დაფუძნებული სუბსიდიური ორგანოსთვის საკვალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების მიცემა, რომელიც სხვებთან ერთად მისი დამფუძნებლისთვისაც იქნებოდა საკვალდებულო, მას შეუძლია ამის გაკეთება და ამას

<sup>157</sup> იხ. იქვე.

<sup>158</sup> იხ. იქვე.

<sup>159</sup> იხ. 141-ე *supra* სქოლიო და შესაბამისი ტექსტი.

<sup>160</sup> იხ. 119-ე *supra* სქოლიო.

<sup>161</sup> იხ. 141-ე *supra* სქოლიო და შესაბამისი ტექსტი.

<sup>162</sup> *Reparation for Injuries Suffered in the Service of the [UN]*, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, 11/04/1949.

<sup>163</sup> *Prosecutor v. Dusko Tadić*, 2/10/1995, გადაწყვეტილება; §38.

<sup>164</sup> *Ibid.*, §40.

არანაირი სამართლებრივი დაბრკოლება არ შეექმნება.<sup>165</sup> ტადიჩის საქმეში იუგოსლავიის ტრიბუნალმა დაადგინა, რომ „[უშიშროების საბჭომ] არა მხოლოდ გადაწყვიტა, დაეფუძნებინა სუბსიდიური ორგანო (და ეს იყო სუბსიდიური ორგანოს შექმნის მის ხელთ არსებული ერთადერთი სამართლებრივი მექანიზმი), მას ასევე მკაფიოდ ჰქონდა გადაწყვეტილი სპეციალური „სუბსიდიური ორგანოს“ – ტრიბუნალის დაფუძნება.“<sup>166</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ რუანდის ტრიბუნალის შექმნისთვის გამოყენებული სამართლებრივი მექანიზმები იუგოსლავიის ტრიბუნალის შექმნისას გამოყენებულის ანალოგიურია, იუგოსლავიის ტრიბუნალის დაფუძნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით მოხმობილი არგუმენტაცია თავისუფლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს არუშის ტრიბუნალთან მიმართებითაც.

დასკვნის სახით შესაძლოა, აღინიშნოს, რომ თუმცა „გაეროს წესდების VII თავით უშიშროების საბჭოს აშკარა კომპეტენციაში შემავალი უფლებამოსილების დელეგირებისას სუბსიდიურ ორგანოზე ამ უკანასკნელს არ შეუძლია უშიშროების საბჭოსთვის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილების მიღება“<sup>167</sup>, ერთი გამონაკლისი მაინც არსებობს: ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭო „სუბსიდიურ ორგანოზე ახდენს იმ ფუნქციების დელეგირებას, რომელთა პირდაპირ განხორციელება თავად უშიშროების საბჭოს არ ძალუძს“<sup>168</sup> (ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის *ad hoc* ტრიბუნალების შექმნა).

ამგვარად, უშიშროების საბჭოს ქმედება იყო ადეკვატურიც და სამართლებრივად გამართულიც, როდესაც მან სუბსიდიური სასამართლო ორგანოები დააფუძნა, რომელთაც იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება მიანიჭა იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს საჭირო იყო ძირითადი ორგანოს „ფუნქციების... განხორციელებისთვის.“<sup>169</sup> „გაეროს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად უშიშროების საბჭოზე მინიჭებული დისკრეტციის ფარგლები ძალზე ფართოა.“<sup>170</sup> თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალების შექმნა მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, რომ ორივე სიტუაცია „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას საფრთხეს უქმნიდა“,<sup>171</sup> მიმართული იყო „მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნების [ხელშეწყობისკენ],“<sup>172</sup> შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ უშიშროების საბჭო დარჩა საკუთარი მანდატის ფარგლებში და ორი

<sup>165</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა, *Effect of Awards of Compensation Made by the [UN] Administrative Tribunal*, 13/07/1954; მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ანგარიშები (1954), გვ.47.

<sup>166</sup> *Prosecutor v. Dusko Tadić*, Decision of 2/10/1995; §15.

<sup>167</sup> Sarooshi, D. (1999) *The United Nations and the Development of Collective Security*, გვ.106.

<sup>168</sup> *Ibid.*

<sup>169</sup> გაეროს წესდება, 29-ე მუხლი.

<sup>170</sup> იხ.: Dinstein, Y. (2001) *War, Aggression and Self-Defence*, გვ.250.

<sup>171</sup> რეზოლუციები: 955 (1994), იხ.: გვ.1; 808 (1993), იხ.: გვ. 2.

<sup>172</sup> *Ibid.*

სასამართლო ორგანოს დაფუძნებით იმოქმედა გაეროს წესდების შესაბამისად, რომლის თანახმად, უშიშროების საბჭოს შეუძლია, „განსაზღვროს, რა ზომები უნდა იქნეს მიღებული... საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა ან აღდგენისათვის.“<sup>173</sup>

ჩვენთვის საინტერესო ორი სიტუაციის ანალიზიდან გამომდინარე,<sup>174</sup> უშიშროების საბჭოს ჰქონდა აბსოლუტური კომპეტენცია, დაეფუძნებინა სუბსიდიური ორგანოები „ამ დარგში.“<sup>175</sup> შესაბამისად, უშიშროების საბჭომ ახალი პოზიცია დაიკავა ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად ჩათვალა, ადამიანის უფლებათა მასობრივი და ფართომასშტაბიანი დარღვევების ორგანიზატორები და განმხორციელებლები დაესაჯა იმისთვის, რომ მოეხდინა რეაგირება და აღმოეფხვრა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისათვის მიყენებული საფრთხე.

აქვე მიზანშეწონილია, გარკვეული ყურადღება დაუთმოთ ტერმინებს – „საერთაშორისო მშვიდობის დარღვევის საშიშროება“ და „მშვიდობის დარღვევა“. ეს მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის იმდენად, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა, გაეროს უშიშროების საბჭო, მისი ბუნებიდან და მისთვის მინიჭებული მნიშვნელოვანი მანდატიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს უშიშროების საბჭოსთვის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უგულვებელყოფა ადამიანის უფლებათა დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაში ნებადართული არ არის, არ ერევა სახელმწიფოს შიგნით ან, თუნდაც, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებისას განვითარებულ ნებისმიერ უკანონო ქმედებასა თუ ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებში. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წესდების დებულებები აშკარად მიუთითებენ ავტორთა მყარ ნებას, მიენიჭებინათ უშიშროების საბჭოსთვის ფართო უფლებამოსილება, რომელიც ძალზე მცირე შეზღუდვებს თუ დაექვემდებარებოდა.

შესაბამისად, გაეროს წესდების VII თავით უშიშროების საბჭოსთვის მინიჭებული ძალაუფლება ძალზე ფართოა. უშიშროების საბჭოს მიერ მშვიდობისთვის საფრთხის შექმნის დადგენისას, მშვიდობის დარღვევისა თუ აგრესიად ამა თუ იმ ქმედების შეფასებისას მას ძალუძს რეკომენდაციების შემუშავება, სხვადასხვა შუალედური ზომის მიღება, ან არასამხედრო და/ან სამხედრო ხასიათის იძულებითი ქმედებების განხორციელება. ზომები განისაზღვრება თავად უშიშროების საბჭოს მიერ, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე და სავალდებულოა გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის, თუ თავად უშიშროების საბჭო ასე გადაწყვეტს.

შესაბამისად, ამგვარი ფართო დისკრეციის არსებობისას ბუნებრივად ისმის კითხვა: რა კრიტერიუმებით განსაზღვრავს პოლიტიკური

<sup>173</sup> გაეროს წესდება, 39-ე მუხლი.

<sup>174</sup> რომლის დეტალები, ნაშრომის შეზღუდული ფორმატის გამო, არ არის აქ განხილული, უშიშროების საბჭოს მიერ გაკეთებული შეფასებები და შესაბამისი დადგენილებები არის აღებული აქ განვითარებული არგუმენტის საფუძველად.

<sup>175</sup> იხ.: Sarooshi, D. (1996) “The Legal Framework Governing United Nations Subsidiary Organs” in BYIL (67), გვ.431.



ორგანო „საერთაშორისო მშვიდობისთვის საფრთხის შექმნას“, ან „მშვიდობის დარღვევას“? თუ აგრესიის განსაზღვრება მეტ-ნაკლებად უფრო ადვილად შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედავად სამართლებრივად სავალდებულო განმარტებისა და დეფინიციის არარსებობისა,<sup>176</sup> რომელი სამართლებრივი მექანიზმების მოშველიება შეიძლება მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭო ჩვენ მიერ ნახსენები პირველი ორი მდგომარეობის არსებობას ადგენს?

სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში სამართლებრივი სტანდარტი არ არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს უფრო „პოლიციელის“ როლი ენიჭება, ვიდრე „მოსამართლისა“, და გაეროს წესდების ავტორთა მიზანი იყო, ეს ორგანო აღჭურვილი ყოფილიყო ფართო უფლებამოსილებით, რათა მომავალი აგრესიების თავიდან ასაცილებლად თავისუფლად ემოქმედა, „საერთაშორისო მშვიდობისთვის საფრთხის შექმნას“ ეს ორგანო ისე განსაზღვრავს, როგორც მას ყოველ კონკრეტულ ვითარებაში საერთაშორისო პოლიტიკური მიზანშეწონილობა უკარნახებს. არ არსებობს სამართლებრივი სტანდარტი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ უშიშროების საბჭოს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვის მექანიზმის ჩათვლით, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების სისწორესა თუ მცდარობას დაადგენს. შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო სამართალსა და საერთაშორისო ურთიერთობებში „ჭეშმარიტება“ ამ მხრივ არის ერთადერთი: უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

აქედან გამომდინარე, რთული და შეუძლებელიც კი არის, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ჩვენი ინტერესის სფეროში მოხვედრილ ორ სიტუაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების დროულობისა თუ სამართლიანობის შესახებ მსჯელობა სამართლებრივ ჩარჩოში მოვაქციოთ. სამწუხაროდ, ამ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება გვიხდება ისე, როგორც არის და მათ ვიდრე საწყის წერტილად სხვა, ასევე მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისათვის. სწორედ ესეც გახლავთ ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლის გამო ამ ნაშრომში არ ხდება ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტერიტორიებზე განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტების ფარგლებში ადამიანის უფლებათა დარღვევების ხარისხისა და სიმწვავის შეფასება.

ამ ქვეთავში დასმულ პირველ და მესამე კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ შესაძლოა, მეორე კითხვასაც ვუპასუხოთ. როგორც უკვე აღინიშნა, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად მოქმედებისთვის უშიშროების საბჭომ, პირველ ყოვლისა, უნდა მოახდინოს კონკრეტული სიტუაციის შეფასება, როგორც „საშიშროებისა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის.“<sup>177</sup> ამგვარი შეფასება

<sup>176</sup> თუ არ ჩავთვლით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაეროს გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციისთვის ჩვეულებითი სამართლის ნორმის სტატუსის მინიჭებას. იხ.: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, *Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua (Nicaragua v. United States of America)* 27 ივნისი, 1986წ.

<sup>177</sup> „39-ე მუხლის შესაბამისი განსაზღვრა“.

ორივე კონფლიქტთან მიმართებით გაკეთდა. უფრო მეტიც, როგორც ჰიგინსი<sup>178</sup> აღნიშნავს, „გაეროს წესდება უამრავ შესაძლებლობას იძლევა. დამოკიდებულებათა ცვალებადობის ისტორია... გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ამ შესაძლებლობათა არსებობისა, მათი რეალიზება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც, და თუ, სახელმწიფოებს სურთ ასე.“<sup>179</sup>

შესაბამისად, უშიშროების საბჭომ, როგორც პოლიტიკურმა ორგანომ, რომელსაც ძალუძს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემქმნელი სიტუაციის განსაზღვრა, შეაფასა ასეთად სიტუაცია ორ კონკრეტულ შემთხვევაში – ყოფილ იუგოსლავიისა და რუანდის კონფლიქტებთან მიმართებით, ამასთან გადაწყვიტა, ემოქმედა გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, გამოიყენა მასზე მინიჭებული ფართო უფლებამოსილება და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღსადგენად გადაწყვიტა ერთ-ერთ ქმედებად საერთაშორისო ტრიბუნალების დაფუძნება. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილებები სრულიად კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც აბსოლუტურად ესადაგება გაეროს უშიშროების საბჭოსთვის მინიჭებულ ფართო დისკრეციას: ამ შემთხვევაში უშიშროების საბჭომ ადამიანის უფლებების დაცვის პრიზმით მოახდინა რეაგირება იმ გარემოებებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

#### **4.3 უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მორალური ლეგიტიმურობა**

ახლებური მიდგომისა და გაეროს წესდების ახლებური გამოყენების პოზიტიური მხარის აღიარების მიუხედავად, კითხვა კვლავ კითხვადვე რჩება: *იყო თუ არა ეს რეაქცია უშიშროების საბჭოს ხელთ არსებული ერთადერთი მექანიზმი, რომლითაც იგი საზარელი ტრაგედიების თავიდან აცილებას ან მათზე რეაგირების მოხდენას შეძლებდა? თუ ნამდვილად არსებობდა უშიშროების საბჭოს ნება, თავიდან ყოფილიყო აცილებული მასობრივი სისხლისღვრა და უდანაშაულო ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების უაპელაციო დარღვევა, არ შეეძლო მას, ემოქმედა წინსწრებით და ნაცვლად ავტორიტეტული, სამართლებრივად სწორი, თუმცა ძვირადღირებული და ადამიანის უფლებათა დაცვის პერსპექტივიდან არასრულად ადეკვატური, ზომების post factum მიღებისა, სხვა, უფრო ეფექტური ზომები მიეღო?*

სამწუხაროდ, უშიშროების საბჭომ აბსოლუტურად არ ან ვერ მოახერხა, დაეცვა ის ადამიანები, რომელთაც ეს ძალზე სჭირდებოდათ და როდესაც ეს დაცვა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ამ წარუ-

<sup>178</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე.

<sup>179</sup> იხ.: Higgins, R. (1994) *Problems and Processes*, გვ.185.

მატებლობის საილუსტრაციოდ მცირე მაგალითების მოყვანაც საკმარისი იქნება, თითოეულ სიტუაციასთან მიმართებით.<sup>180</sup>

ყოფილი იუგოსლავია:

რომ არ ვახსენოთ კონფლიქტის მიმდინარეობის მთელ პერიოდში ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიან და საზარელ დარღვევებზე სრულიად არაადეკვატური რეაგირება, რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: ერთ-ერთ უმძიმეს ნაკლად შესაძლოა ჩავთვალოთ „დაცულ სამშვიდობო ტერიტორიებზე“ გამართული სრებრენიცის ხოცვა-ჟლეტა. მშვიდობიან მოსახლეობაზე მიტანილმა ამ ფართომასშტაბიანმა იერიშმა ნათელყო უშიშროების საბჭოს აბსოლუტური წარუმატებლობა ადამიანთა საზარელი დანაშაულებისგან დაცვის საქმეში. უფრო მეტიც, უშიშროების საბჭოს არაშესაფერისი ქმედებების გამო ნატოს მიერ განხორციელებულმა ოპერაციამ რეალური და პირდაპირი საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას, რომელიც ამის გარეშეც საჭიროებდა დაცვას, უფრო მეტიც, ადამიანთა ეს ჯგუფი დატოვა პრაქტიკული და რეალური დაცვის შესაძლებლობის გარეშე, როგორც გამოჩნდა კიდევ *ბანკოვიჩის (Banković)* საქმეში.<sup>181</sup> სხვადასხვა მიზეზის გამო ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნატოს ოპერაციების შედეგად ბელგრადში უდანაშაულო მშვიდობიანი მოსახლეობის სიკვდილის გამო დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაშავებულებს არ შეეძლოთ ევროსასამართლოში სამართლის ძიება. შესაბამისად, იბადება კითხვა, ვინ და როგორ, რომელ სასამართლოში უნდა აგოს პასუხი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევისათვის? სამწუხაროდ, ადამიანის უფლებათა რეალური დაცვის მხრივ ამ შემთხვევაში სიტუაცია შემდეგნაირია: „ადამიანის უფლებათა დაცვის არსი გამოიწვივა და დარჩა კიდევ ერთი იურისტის ინტერპრეტაციას მინდობილ სათამაშოდ.“<sup>182</sup>

ამასთან ერთად, ის პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომელიც ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალთან დაკავშირებით წარმოჩნდება: მიუხედავად ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე აღმოცენებული საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების რთული ჯაჭვისა, ტრიბუნალის იურისდიქცია გავრცელდა ყველა სახის კონფლიქტის შედეგად გამოწვეულ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტის ნებისმიერ მონაკვეთზე. ამით იმის უზრუნველყოფა მაინც მოხერხდა, რომ ამ გაუგონარი სისასტიკის მსხვერპლნი კიდევ ერთხელ არ აღმოჩნდნენ სიტუაციაში, როდესაც სამართლებრივი საკითხების შეზღუდული ინტერპრეტაცია და, შესაბამისად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი

<sup>180</sup> ნაშრომის შეზღუდული ფორმატის გამო.

<sup>181</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, (12/12/2001) *Grand Chamber Decision as to the Admissibility of Application no. 52207/99*.

<sup>182</sup> იხ.: Gearty, C. A. (2004) "Human Rights" in *The Social Science Encyclopedia*, გვ.471.

დამნაშავის ფორმალურად სასამართლოს იურისდიქციის მიღმა დატოვება იქნებოდა შესაძლებელი.

რუანდა:

გაეროს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება, თუნდაც მაშინ, როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი ხოცვა-ჟლეტის ძირითადი ეტაპი დაიწყო რუანდაში. მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭო საკმარის უახლეს ინფორმაციას ფლობდა,<sup>183</sup> ამ ორგანომ არაფერი გააკეთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის თავიდან ასაცილებლად. უფრო მეტიც: მან სრულიად არაადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც რუანდაში გაეროს ძალების შემცირება გადაწყვიტა.<sup>184</sup> ამ შეცდომის შემდეგაც კი უშიშროების საბჭოს რეაქცია რუანდაში მასობრივ მკვლელობებზე პოლიტიკურად უაღრესად ბუნდოვანი იყო: უშიშროების საბჭომ ბოლომდე მაქსიმალურად შეიკავა თავი პრობლემაში პირდაპირი ჩარევისა და მასობრივი ხოცვის გენოციდად გამოცხადებისგან. ჩახლართული პოლიტიკური კონოტაციების ჩრდილში გაეროს უშიშროების საბჭოს საპრეზიდენტო განცხადებით,<sup>185</sup> რომელიც 1994 წლის აპრილის ბოლოს გაკეთდა, გაცხადდა შემდეგი: „ის პიროვნებები, რომლებმაც [მასობრივი მკვლელობების] ორგანიზება მოახდინეს, ან უშუალოდ იღებდნენ მასში მონაწილეობას, პასუხს აგებდნენ ინდივიდუალურად.“<sup>186</sup>

საზარელ დანაშაულთა ჩამდენ პირთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი პრინციპის დადგენის მიუხედავად, გადაჭარბებული არ იქნება დასკვნის გაკეთება, რომ უშიშროების საბჭომ თითქმის არაფერი გააკეთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის პრევენციისათვის. მან ვერ მოახერხა გაეროს წესდების VII თავით მინიჭებული უფლებამოსილების დროული გამოყენება იმისთვის, რათა დაეცვა ადამიანები უკიდურესი სისასტიკისგან.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, შესაძლოა თუ არა, გაეროს წესდების VII თავის ახლებური გამოყენება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ჩაითვალოს განხილულ კონკრეტულ შემთხვევებზე ადეკვატურ რეაგირებად? პასუხი ერთდროულად დადებითიც არის და უარყოფითიც. დადებითია პასუხი იმდენად, რამდენადაც უშიშროების საბჭოს მიერ ამგვარი ქმედება და, შესაბამისად, პრეცედენტის შექმნა, მომავლისთვის შესაძლოა, შემკავებლის ფუნქციით იქნეს გამოყენებული. ამ ქმედებამ ცხადყო, რომ საერთაშორისო, ისე როგორც არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ადამიანის უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელ ადამიანთა დასჯა ინდივიდუალური ბრალის

<sup>183</sup> იხ.: *Special Report of the Secretary-General on the UN Assistance Mission for Rwanda*, S/1994/470, 20/04/1994.

<sup>184</sup> იხ.: S/RES/912 (1994).

<sup>185</sup> იხ.: S/PRST/1994/21, 30/04/1994.

<sup>186</sup> ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი აღიარებული იყო უშიშროების საბჭოს წინა რეზოლუციებშიც. იხ.: რეზოლუციები: 761 (1992) და 780 (1992).

შერაცხვის საფუძველზე შესაძლებელია, და რაც მთავარია, საერთაშორისო თანამეგობრობა ამისთვის მზად არის.

კიდევ ერთი პოზიტიური შედეგი ამისა არის ის, რომ ამ საშუალებით დამნაშავეთა დასჯა უფრო რეალურად აღქმადი და ადვილად დასანახავია, რაც განსხვავდება სახელმწიფოთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაყენებისგან.<sup>187</sup> ასევე კიდევ ერთი პოზიტიური მხარე ამ ახლებური მიდგომისა არის ის, რომ, როგორც კასესე აღნიშნავს, „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამრღვევ სერიოზულ დამნაშავეთა კონფლიქტში არმონაწილე სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი მოსამართლეებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი ტრიბუნალის წინაშე წარდგენამ და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების წინაშე სასამართლოში პასუხისმგებამ შესაძლოა, დამატებითი დადებითი როლი შეასრულოს და გააქარვოს მსხვერპლთა სიძულვილი და მათი სამაგიეროს გადახდის სურვილი დააოკოს.“<sup>188</sup>

ამ მნიშვნელოვანი ელემენტისა და მნიშვნელოვანი პრეცედენტის შექმნის მიუხედავად, აღნიშნული *post-factum* რეაგირებები უფრო მეტად წარმოჩნდება, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ საკუთარი პოზიციისა და სახელის გადარჩენის მცდელობა, რომელიც, ადამიანის უფლებათა გულწრფელი დაცვის სურვილის კუთხით თუ ვიმსჯელებთ, მოკლებულია მორალურ ღირებულებებს და არის ქმედება, რომელიც რეალიზდა მხოლოდ იმის გამო, რომ რაღაცის გაკეთება საჭირო იყო.

ეს შესაძლოა, ასევე ჩაითვალოს როგორც უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ნაწილობრივ ეგოისტური გადაწყვეტილება, რომლის მიზანი იყო ამ ორგანოს ავტორიტეტის გადარჩენა და იმაზე ზრუნვა, რომ კვლავაც მნიშვნელოვან მოთამაშედ იქნეს აღიარებული საერთაშორისო ასპარეზზე. ძალზე რთულია მსოფლიოში ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე პოლიტიკური ორგანოს ეს ქმედება მორალურად იქნეს გამართლებული, როგორც „ადამიანის უფლებების დარღვევაზე ადეკვატური რეაგირება“, რადგან ამ გადაწყვეტილებამ ვერანაირი წვლილი ვერ შეიტანა ადამიანის უფლებათა უმძიმესი მასობრივი დარღვევების თავიდან აცილებაში. როგორც აღნიშნულია სხვა ავტორთა მიერ, „ტრიბუნალების შექმნა ასევე შესაძლოა, ნაწილობრივ აღქმული იყოს როგორც საკომპენსაციო ქმედება „იმ თვეებისათვის, [რომელთა განმავლობაში უშიშროების საბჭომ]“ არანაირი ნაბიჯი არ გადადგა ადამიანის უფლებათა საშინელი დარღვევების თავიდან ასაცილებლად“<sup>189</sup> და „ეს ახლებური ღონისძიებები, მიმართული დაუსჯელობის სინდრომის გაქრობისაკენ, მართებულად იქნა გაკრიტიკებული... როგორც უღირსი შემცველი უფრო მკვეთრი ქმედებისა, რომელსაც

<sup>187</sup> ამასთან მიმართებით ის, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს მექანიზმები და მეთოდები, სადაც ყველაზე უფრო მძიმე მუხლების დარღვევისთვისაც კი, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-2 ან მე-3 მუხლები, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება სამოქალაქო პასუხისმგებლობით.

<sup>188</sup> იხ.: Cassese, A. (1998) “On Current Trends towards Criminal Prosecution and Punishment of Breaches of International Humanitarian Law” in EJIL, vol.9 No.1, გვ. 5.

<sup>189</sup> იხ.: Weschler, J. (2004) “Human Rights” in Malone, D.M.(ed.), “the UN Security Council: From the Cold War to the 21<sup>st</sup> Century”, გვ.60.

შეეძლო, შეემსუბუქებინა, ან საერთოდ თავიდან აეცილებინა გაუგონარი სისასტიკე გაცილებით უფრო ადრე.<sup>190</sup>

როგორც პროფესორი *გრინვუდი* აღნიშნავს, „თავად ის ფაქტი, რომ ტრიბუნალი შეიქმნა VII თავის საფუძველზე მიღებული რეზოლუციით, უკვე ნიშნავს იმას, რომ იგი შეიქმნა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ხელშესაწყობად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ადმინისტრირების გზით. ეს არ მომხდარა იმიტომ, რომ თავად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელება თავისთავად პრობლემის გადაჭრის გზაა.“<sup>191</sup>

გვინდა გამოვთქვათ იმედი, პოლიტიკური ორგანოს მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, მიმართული წარსულში ჩადენილი ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ფაქტებზე, მართლაც შეასრულებს მნიშვნელოვან როლს მსგავს დანაშაულთა პრევენციისა და შესაბამის დანაშაულთა ჩადენაში დამნაშავე ყველა ბოროტმოქმედის მართლმსაჯულების წინაშე წარდგენის თვალსაზრისით. იმედია, ეს ასევე შეუწყობს ხელს ადამიანის უფლებათა შეუწყნარებელი, მასობრივი დარღვევების საყოველთაო დაგმობას. ჩვენ მხოლოდ იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ ეს ასე მოხდება, მომავალი კი შეძლებს იმის ჩვენებას, რისი დანახვაც დღეს შეუძლებელია.

---

<sup>190</sup> იხ.: Kirsch, P., et al (2004) “*International Tribunals and Courts*” in Malone, D.M.(ed.), “*the UN Security Council: From the Cold War to the 21<sup>st</sup> Century*”, გვ.281.

<sup>191</sup> იხ.: Greenwood, C. (1998) “*The Development of International Humanitarian Law by the International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia*” in the Max Planck UNYB, vol.2, გვ.105.

## 5. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობის სამომავლო პერსპექტივების ანალიზისთვის უპრიანი იქნება სასამართლოს წესდებით გათვალისწინებული მიზნების განსხვავებულ ჭრილში შეფასებაც. კერძოდ, სასამართლოს ფუნქცია რომ უნდა იყოს საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამართული სისტემის შექმნის მიზანი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაყრდნობით რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩამდენთა მართლმსაჯულების წინაშე წარდგენა, ეს, ბუნებრივია, დავას არ იწვევს.

თუმცა იბადება კითხვა: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აღმატებული ფუნქციის განხორციელებისას შესაძლებელია თუ არა, საერთაშორისო მართლწესრიგის საზიანო შედეგის მოწმე გახდეს საერთაშორისო თანამეგობრობა? შესაძლებელია თუ არა, რომ სასამართლოს მიერ სიტუაციის განხილვისა ან გამოძიების წარმოებისას მოხდეს ისე, რომ „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დაცვის ნაცვლად ამ უკანასკნელთა დარღვევას კიდევ უფრო მეტი საფრთხე შეექმნას?

მართალია, ამ კითხვის დასმისას იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო არ არის „უპირველესად პასუხისმგებელი“ მსოფლიოში „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დაცვაზე. თუმცა ეს არც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების სახელით სასამართლომ ყურადღება არ უნდა მიაქციოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებს.

ამ შემთხვევაში ჩაკეტილი წრის პრინციპით კითხვაზე პასუხი: რა უფრო მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების განხორციელება თუ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა, რთულად მოსაძიებელია.

ამ საკითხებზე მსჯელობის შემდგომი გაგრძელებისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოს საქმიანობის ძირითადი რამდენიმე საკითხის მოკლე მიმოხილვა.

დავას არ იწვევს ის, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების შეჩერების შესაძლებლობა გამყარებულია რომის სტატუტით. თუმცა მნიშვნელოვანია იმის მხედველობაში მიღებაც, რომ ხშირ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ სასამართლოს საქმიანობის სპეციფიკას, ამგვარი მოთხოვნის საჭიროება, შესაძლოა, არც კი დადგეს. საილუსტრაციოდ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებული მოვლენების ერთი ეტაპიც შეიძლება მოვიხმოთ.

2004 წლის 6 ოქტომბერს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ და კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას გამომძიებელთა დაცვისა და მათი სამთავრობო

არქივებთან დაშვების შესახებ.<sup>192</sup> ამ შეთანხმებას კი წინ უძღოდა 2003 წელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის განყოფილების განცხადება იმის თაობაზე, რომ მან შეარჩია სიტუაცია იტურიში (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა), გამოძიების სასწრაფოდ დაწყების საჭიროების მქონე სიტუაცია.<sup>193</sup> შემდეგი ეტაპი კი გახლდათ 2004 წლის 21 ივნისს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის განცხადება იმის თაობაზე, რომ, როგორც მას დადგენილი ჰქონდა, არსებობდა საკმარისი საფუძველი საიმისოდ, რათა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში<sup>194</sup> სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება დაეწყო.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მიერ გამოძიების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის საკითხი ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს განსახილველი იყო. თუმცა, როგორც *არსანიანი* და *რაისმანი* აღნიშნავენ, „უშიშროების საბჭომ არ გამოიყენა რომის სტატუტის მე-16 მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, მოეთხოვა გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება იტურიში შექმნილ სიტუაციასთან მიმართებით. პრაქტიკული თვალსაზრისით თუ შევხედავთ ამ საკითხს, იმ ეტაპზე ამგვარი თხოვნა საჭირო არ იქნებოდა; გამეფებული ქაოსი და დაუცველობა იტურიში, ნაღმების დიდი რაოდენობით არსებობასთან ერთად, *de facto* გამოძიების შეჩერების იძულებას ახდენ[დნ]ენ.“<sup>195</sup>

აღნიშნული მაგალითი იმის კარგ ილუსტრირებას ახდენს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, საკუთარი აღმატებული ფუნქციის რომის სტატუტის შესაბამისად განხორციელებაში არა ყოველთვის გაეროს ძლევამოსილი ორგანო – პოლიტიკურად შეუზღუდავი უშიშროების საბჭო შეიძლება შეგნებულად უშლიდეს ხელს, არამედ ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორი, ბედის ირონიით, შესაძლოა, უშიშროების საბჭოსგან დამოუკიდებელი, ან სწორედაც რომ უშიშროების საბჭოს უმოქმედობის შედეგად შექმნილი, სიტუაციაც კი გახდეს, რაც, შესაძლოა, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის „ფარულ“ ან „არაპირდაპირ“ გამოძიების შეჩერების თხოვნადაც შევრაცხოთ.<sup>196</sup>

<sup>192</sup> იხ.: Statement of the delegate of the Democratic Republic of the Congo in the Sixth Committee, UN Doc. A/59/C.6/SR.6, §14 (2004).

<sup>193</sup> იხ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეს-რელიზი № pids.009.2003-EN, Communication Received by the Office of the Prosecutor of the ICC (16 ივლისი, 2003).

<sup>194</sup> კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა რომის სტატუტის ერთ-ერთი პირველი წევრია, რომელმაც რომის სტატუტის სარატიფიკაციო სიგელის დეპონირება 2002 წლის 11 აპრილს მოახდინა.

<sup>195</sup> იხ.: Arsanjani, M., H., Reisman, W. Michael (2005) *The Law-in-Action of the International Criminal Court* in the American Journal of International Law, ტომი 99, № 2 (აპრილი, 2005), გვ.385-403, გვ. 398.

<sup>196</sup> წინამდებარე ნაშრომში განხილული „ფარული“ ან „არაპირდაპირი“ ვეტოს მსგავსად.



## 5.1 რამდენად ფართოა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია და რა შემთხვევაში მიიღებს იგი საქმეს განსახილველად?

### 5.1.1 სასამართლოს იურისდიქცია

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მისი ტერიტორიული და პირთა წრის მიხედვით იურისდიქციის განსაზღვრა გახლდათ. საერთაშორისო თანამეგობრობას სისხლის სამართლის მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლომდე ასეთი ფართო შინაარსის სასამართლოს შექმნა არ უცდია. წინა პრეცედენტებსა და ახალ სასამართლოს შორის ერთ-ერთი მთავარი განსხვავება ის არის, რომ სასამართლო მათი თანხმობით შეიქმნა, ვინც მისი იურისდიქციის ქვეშ თავად შეიძლება მოხდეს. სახელმწიფოები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ახალშექმნილი სასამართლოს მიერ მათსავე ტერიტორიაზე ან მათივე მოქალაქეების მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის დასჯა მოხდება.

რომის სტატუტი ერთმანეთისგან განასხვავებს ორ ურთიერთდაკავშირებულ კონცეფციას – იურისდიქციასა და სასამართლოს მიერ საქმის დასაშვებობას. იურისდიქცია მოიცავს იმ საკითხებს, რომლებზეც სასამართლოს შეუძლია საქმის წარმოება (*ratione materiae*), დანაშაულის ჩადენის დროს (*ratione temporis*), სივრცეს (*ratione loci*), პირთა წრეს (*ratione personae*). საკითხი იმის შესახებ, უნდა მიღოს თუ არა სასამართლომ წარმოებაში კონკრეტული საქმე, რომელიც მისი იურისდიქციის ქვეშ ხვდება, მომდევნო ეტაპზე წამოიჭრება.

*ratione materiae* იმ დანაშაულებს მოიცავს, რომელთა ჩადენის გამო დასჯაც შეუძლია სასამართლოს, ესენია: გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ომის დანაშაულები და აგრესია.<sup>197</sup>

სასამართლოს იურისდიქცია არ ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლებიც მის შექმნამდე იყო ჩადენილი. იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც სტატუტის რატიფიცირებას მისი ძალაში შესვლის შემდეგ მოახდენენ, სასამართლოს იურისდიქცია ექნება მას შემდეგ, რაც სტატუტი კონკრეტულად ამ სახელმწიფოებისთვის შევა ძალაში. თუმცა საერთო წესიდან გამონაკლისიც არსებობს – სახელმწიფოებს შეუძლიათ, *ad hoc* აღიარონ სასამართლოს იურისდიქცია კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით, თუნდაც ისინი სტატუტის მონაწილეები არ იყვნენ.<sup>198</sup>

<sup>197</sup> თუმცა აგრესიაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია მხოლოდ მას შემდეგ გავრცელდება, რაც განისაზღვრება თავად ეს ტერმინი, რაც 2010 წლის მაისის დასაწყისის მდგომარეობით ჯერ არ მომხდარა.

<sup>198</sup> რომის სტატუტი, მე-12(3) მუხლი.

რაც შეეხება იურისდიქციას *ratione loci*, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია იმ დანაშაულებზე ვრცელდება, რომლებიც სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიაზეა ჩადენილი,<sup>199</sup> მიუხედავად დამნაშავის მოქალაქეობრივი კუთვნილებისა.<sup>200</sup>

სისხლისსამართლებრივ იურისდიქციასთან მიმართებით ტერიტორია მოიაზრება ტერმინად, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ტერიტორიის ხმელეთს მოიცავს. სტატუტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილად მიიჩნევს იმ დანაშაულებსაც, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში რეგისტრირებულ საზღვაო ან საჰაერო ხომალდებზე იქნება ჩადენილი;<sup>201</sup> შესაბამისად, სასამართლოს იურისდიქცია *ratione loci* სახელმწიფოს თავზე საჰაერო სივრცესა და მის ტერიტორიულ წყლებზეც ვრცელდება.

რაც შეეხება იურისდიქციას *ratione personae*, სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ ექცევიან იმ სახელმწიფოთა მოქალაქენი, რომლებმაც მოახდინეს სტატუტის რატიფიცირება. აქ კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის, რომ სასამართლოს იურისდიქცია შეიძლება გავრცელდეს იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებზეც, რომლებიც *ad hoc* აღიარებენ სასამართლოს იურისდიქციას, ან უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით.<sup>202</sup>

მართალია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო მთლიანად გაეროსა და, კერძოდ კი, უშიშროების საბჭოსგან დამოუკიდებელ ინსტიტუტად მოიაზრება და ამის საფუძველზე მას „სრულიად დამოუკიდებელ“ სასამართლოდ თვლიან, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სასამართლო ვალდებულია, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და საკუთარი იურისდიქციის განხორციელება უშიშროების საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე.<sup>203</sup>

უშიშროების საბჭომ, შესაძლებელია, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, მიიღოს რეზოლუცია და სასამართლოს გამოძიების შეჩერება მოსთხოვოს. ამ შემთხვევაში რეზოლუციის მიღებიდან თორმეტი თვის განმავლობაში სასამართლოს აღარ შეუძლია გამოძიების გაგრძელება. თორმეტთვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, მოთხოვნა გაიმეოროს.

---

<sup>199</sup> 2002 წლის 1 მაისის მდგომარეობით სტატუტის რატიფიცირება 66-მა სახელმწიფომ მოახდინა, 2010 წლის 1 მაისის მდგომარეობით რომის სტატუტის ხელმომწერია 139 სახელმწიფო და იგი 111 სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული: [http://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtsg\\_no=XVIII-10&chapter=18&lang=en](http://treaties.un.org/Pages/ViewDetails.aspx?src=TREATY&mtsg_no=XVIII-10&chapter=18&lang=en).

<sup>200</sup> რომის სტატუტი, მე-12 (2)(ა) მუხლი.

<sup>201</sup> რომის სტატუტი, მე-12(2)(ა) მუხლი.

<sup>202</sup> რომის სტატუტი, მე-13(ბ) მუხლი.

<sup>203</sup> რომის სტატუტი, მე-16 მუხლი.

თუმცა ამ უარყოფითი როლის პარალელურად უპრიანია უშიშროების საბჭოს ერთი, სავარაუდოდ დადებითი, როლის ხაზგასმა სასამართლოს იურისდიქციასთან მიმართებით, რომლის არსი ასეთია: ზემოთ აღინიშნა, რომ მცდელობების მიუხედავად, სასამართლოს არ აქვს უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობა. ეს შენიშვნა პირდაპირ გამომდინარეობს სასამართლოს დამფუძნებელი რომის სტატუტის – საერთაშორისო ხელშეკრულების – ხასიათიდან და შინაარსიდან. თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სასამართლო საერთოდ მოკლებულია უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობას. აქ კი ამ სასამართლო გამონაკლისის მიზეზად თავად გაეროს უშიშროების საბჭო უნდა დავასახელოთ. ამის მიზეზი შემდეგია: საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი კომენტატორის მოსაზრებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, შესაძლოა, განახორციელოს უნივერსალური იურისდიქცია. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელი შეიძლება გახდეს გაეროს უშიშროების საბჭოს კომპეტენციიდან გამომდინარე, სასამართლოს გადასცეს სიტუაცია, მიუხედავად იმისა, შესაბამისი დანაშაულის სავარაუდო ჩამდენი პირის მოქალაქეობის სახელმწიფო აღიარებს თუ არა რომის სტატუტის სამართლებრივ ძალას.<sup>204</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ, წინამდებარე ნაშრომის ავტორის აზრით, ამგვარი შესაძლებლობა არათუ არ უნდა გამოირიცხოს, არამედ, დროის გასვლასთან ერთად, შესაძლოა, ეს მექანიზმი ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად იქცეს მსოფლიოში საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად.

მომავალში გასათვალისწინებელ სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს სავარაუდო დადებითი – და, შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის – კომპლემენტარული კომპეტენციების იდენტიფიცირების ჭრილში ყურადღება უნდა გავამახვილოთ სასამართლოს მიერ დარფურში სიტუაციის განხილვის დაწყებაზე.

დარფური სწორედ ის შემთხვევაა სასამართლოს ჯერჯერობით მწირ პრაქტიკაში, როდესაც მის იურისდიქციას საქმის დაქვემდებარება მოხდა უშიშროების საბჭოს მიერ. თან სიტუაცია, რომელიც უშიშროების საბჭოს რეზოლუციით გადაეცა სასამართლოს 2005 წლის 31 მარტს,<sup>205</sup> შეეხებოდა რომის სტატუტის ხელმომწერ სახელმწიფოს – სუდანს, რომელსაც სტატუტის რატიფიცირება არ ჰქონდა მოხდენი-

<sup>204</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგადად, იხ.: Abass, A. (2006), *The International Criminal Court and Universal Jurisdiction in International Law Review* 6: გვ. 349-385.

<sup>205</sup> იხ.: *Secretary-General Welcomes Adoption of Security Council Resolution Referring Situation in Darfur, Sudan, to International Criminal Court Prosecutor* (31/03/2005), Press Release SG/SM/9797 AFR/1132. (ნანახია: 31/03/2005).

ლი.<sup>206</sup> ამ შემთხვევაში სასამართლოს არსებობის განმავლობაში პირველად მოხდა უშიშროების საბჭოს მიერ სიტუაციის სასამართლოსთვის გადაცემა.

ამასთან, სუდანის სიტუაციის შემთხვევაში საინტერესოა ისიც, რომ უშიშროების საბჭომ სასამართლოს სიტუაცია კონფლიქტის მსვლელობისას გადასცა.

აქ იმის ხაზგასმაც უპრიანი იქნება, რომ განსხვავებით უშიშროების საბჭოს მიერ დაარსებული სუბსიდიური სასამართლო ორგანოების საქმიანობისგან, სუდანის სიტუაციის სასამართლოსთვის გადაცემით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მუდმივმოქმედი ხასიათის გამოყენებით მშვიდობის მიღწევამდე, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამოსაძიებლად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე, უპირველესად, პასუხისმგებელი უშიშროების საბჭოს მიერ საქმის მისგან გარკვეულწილად მაინც დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოსთვის სიტუაციის გადაცემა მოხდა. როგორც *კასტნერი* შენიშნავს, უშიშროების საბჭოს მიერ დარღურის სიტუაციის გადაცემის შედეგად „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა, მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ მას შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მიმდინარე კონფლიქტებზე.“<sup>207</sup>

ამდენად, შესაძლოა, თავად გაეროს უშიშროების საბჭოს ხელდასმითაც კი მივიღოთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს როლის გაძლიერება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევის საქმეში, რაც სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს კომპეტენციების კომპლემენტარული განხორციელების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება იქცეს. ამ შემთხვევაში მსჯელობას არ ვაგრძელებთ შესაძლო თანდართულ პოლიტიკურ კონოტაციებსა და სასამართლოს შესაძლო წარმატებასთან დაკავშირებით ამ როლის განხორციელებაში. ამ ეტაპზე არგუმენტისთვის საკმარისია იმის ჩვენება, რომ პრაქტიკაში შესაძლოა, კომპლემენტარულად იქცეს ორი ორგანოს ის კომპეტენციები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, კონკურენტულად გამოიყურება.

<sup>206</sup> იხ.: Report of the Prosecutor of the International Criminal Court to the UN Security Council Pursuant to UNSCR 1593 (2005); Address by Luis Moreno-Ocampo, Prosecutor of the International Criminal Court, to the United Nations Security Council, New York, 13 December, 2005; Second Report of the Prosecutor of the International Criminal Court to the UN Security Council Pursuant to UNSCR 1593 (2005); Tenth Report of the Prosecutor of the International Criminal Court to the UN Security Council Pursuant to UNSCR 1593 (2005).

<sup>207</sup> იხ.: Kastner, P. (2008) *The ICC in Darfur - Savior or Spoiler?* in ILSA Journal of International and Comparative Law, Vol 14:1, 145-188, გვ. 146.

### 5.1.2 სასამართლოს მიერ საქმის განსახილველად მიღება

რომის სტატუტი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, როდის აქვს სასამართლოს შესაძლებლობა, საქმე განსახილველად მიიღოს. სასამართლომ არ უნდა მიიღოს საქმე, თუ იგი შესაბამისად იხილება ან განხილულია ეროვნული სასამართლო სისტემის ფარგლებში. ამ შემთხვევაში მთავარია „კომპლემენტარობის პრინციპი.“ კომპლემენტარობა, მე-17 მუხლთან ერთად, სტატუტის პირველ მუხლშია ნახსენები. სასამართლოს მიერ არ შეიძლება განხილულ იქნეს საქმე, რომელზეც იმ სახელმწიფოში მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც აქვს იურისდიქცია ამ საქმესთან მიმართებით, ან თუ საქმე გამოძიებულ იქნა ასეთი სახელმწიფოს მიერ და საქმე დაიხურა. სასამართლო იწვევს მოქმედებას მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს, რომელმაც უნდა დევნოს დანაშაული, არ სურს ან ნამდვილად არ ძალუძს აღნიშნული დანაშაულის დევნა.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ნაციონალური სასამართლო სისტემის ფარგლებში უკვე განხილულია, რომის სტატუტი კიდევ ერთ პრინციპს ითვალისწინებს, რომელიც მნიშვნელოვან ადამიანის უფლებათა დოკუმენტებშია კოდიფიცირებული, როგორცაა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ<sup>208</sup> – *ne bis in idem*<sup>209</sup>, ანუ ერთი და იმავე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მეორედ დაკისრება.

შედარებით რთულად ჩანს ეს საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე გასამართლებულ იქნა ეროვნული სასამართლოს მიერ, თუმცა არა როგორც სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი, არამედ, მაგალითად, როგორც, უბრალოდ, მკვლელი.

სტატუტი ასევე უკრძალავს სახელმწიფოებს, ხელახლა მისცენ პასუხისმგებაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ უკვე გასამართლებული პირი.

## 5.2 კომპლემენტარობა: ორწვერა თუ სამგანზომილებიანი?

სასამართლოს საქმიანობის ამოსავალი წერტილი კომპლემენტარობაა. რომის სტატუტით გათვალისწინებული კომპლემენტარობის პრინციპი, თავისი არსით, ასახავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და სახელმწიფოების თანამშრომლობას, ეროვნული სასამართლოების ჩათვლით.<sup>210</sup>

<sup>208</sup> International Covenant on Civil and Political Rights, (1976) UNTS 171, Art. 14(7).

<sup>209</sup> რომის სტატუტი, მე-20 მუხლი.

<sup>210</sup> „კომპლემენტარობასთან“ დაკავშირებით იხ., ზოგადად: Stigen, J. (2008), *The Re-pal-tion-ship between the International Criminal Court and National Jurisdictions*, *The Raoul Wallenberg Institute Human Rights Library Volume 34*, ასევე იხ.: Nanda Ved P. (1998), *The Establishment of a*

მიუხედავად იმისა, რა არის კომპლემენტარობის ამოსავალი წერტილი, წინამდებარე ნაშრომი, როგორც ეს განმარტებული იყო, ტერმინ „კომპლემენტარულს“ იყენებს სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს საქმიანობის ურთიერთმიმართების აღსანიშნავად, და არა რომის სტატუტით განმტკიცებული კომპლემენტარობის გამოსახატავად. ამასთან, წინამდებარე ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემული იქნება მსჯელობა ამ ორწევრა კომპლემენტარობის შესაძლო გადასხვაფერებაზე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის სასამართლოს საქმიანობის ანალიზამდე უმნიშვნელოვანესია ტერმინ „კომპლემენტარობის“ ჩვეულებრივი დატვირთვის ანალიზი, რომის სტატუტის მიზნებიდან გამომდინარე.

კომპლემენტარობის მოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების მოქმედებისა და მისი გავლენისთვის.

უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი *ad hoc* ტრიბუნალებისგან განსხვავებით, რომლებიც უპირატესი იურისდიქციით სარგებლობენ ტერიტორიულ სახელმწიფოებთან მიმართებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სიტუაციისა ან საქმის წარმოება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც უპირველესი იურისდიქციის მქონე – ძირითადად ტერიტორიულ – სახელმწიფოს არ სურს ან არ ძალუძს რომის სტატუტით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით საკუთარი იურისდიქციის განხორციელება „ჭეშმარიტად“ და „ეფექტურად“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი აღნიშნავს, „პოზიტიური კომპლემენტარობა ნიშნავს სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთისთვის დახმარების გაწევას და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსგან დამატებითი დახმარების მიღება, ისე როგორც სამოქალაქო საზოგადოებისგან ხელშეწყობა, რათა რომის სტატუტით გათვალისწინებული ვალდებულებების მიღწევა მოხერხდეს.“<sup>211</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების კუთხით საქმიანობას თუ გადავავლებთ თვალს, ერთ თვალშისაცემ დასკვნას მარტივად მივაგნებთ: ამ ორი ორგანოს დამფუძნებელი დოკუმენტები პირველს მართლმსაჯულების განსახორციელებლად საქმიანობის მანდატს აძლევს. ეს საქმიანობა, სავარაუდოდ, უმეტეს შემთხვევაში, უპრიანია, რომის სტატუტით განსაზღვრული რომელი დანაშაულის ჩადენისთანავე თუ არა, მათი ჩადენიდან მოკლე პერიოდში, მოხვედეს სასამართლოს აქტიური მსჯე-

---

*Permanent International Criminal Court: Challenges Ahead* in Human Rights Quarterly, Vol. 20, No. 2 (May, 1998), 413-428, გვ. 421.

<sup>211</sup> იხ.: [www.icc-](http://www.icc-)

[http://www.icc-int.org/Menus/ASP/Press+Releases/Press+Releases+2010/Review+Conference+ICC+President+and+Prosecutor+participate+in+panels+on+complementarity+and+co\\_operation.htm](http://www.icc-int.org/Menus/ASP/Press+Releases/Press+Releases+2010/Review+Conference+ICC+President+and+Prosecutor+participate+in+panels+on+complementarity+and+co_operation.htm) (ნანახია:

27/05/2010).

ლობის ობიექტივში. ეს, როგორც ნაშრომში არაერთხელ გამოჩნდა, ხშირად გამოიწვევს პოლიტიკურ უხერხულობებს, რადგან სასამართლოს მიერ საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება – ზოგი დანაშაულის შემთხვევაში – მეტად, სხვა შემთხვევებში კი, შესაძლოა, ნაკლებად, მაგრამ მაინც აუცილებლად გამოიწვევს „კლიერთა ამა ქვეყნისათა“ კვალზე შედგომას. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს კი თავად სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულთა ხასიათი გვაძლევს, რაც, ხშირ შემთხვევაში, მოიაზრებს მეთაურთა, მათ შორის, სავარაუდოდ, სახელმწიფოს მეთაურთა ან სხვა მაღალჩინოსანთა შესაძლო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის სასამართლოს დღის წესრიგში დაყენებას. ეს კი არამც და არამც არ შეიძლება მოვიაზროთ როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების უპირობო ხელშემწყობი ფაქტორი.

ამ რეალობის საპირწონედ ისევ გაეროს უშიშროების საბჭოს განხილვა გვიწევს, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე უპირველესად პასუხისმგებელი ორგანოსი. ამ ორგანოსაც, როგორც წინამდებარე ნაშრომის შესაბამის თავში ნათლად არის ნაჩვენები, შეუზღუდავად შეუძლია საკუთარი ფართო კომპეტენციის ფარგლებში სუბსიდიური სასამართლო ორგანოს დაფუძნება. ამ დრომდე უშიშროების საბჭოს მიერ ამ მიმართულებით განვითარებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უშიშროების საბჭო არცთუ მაინცდამაინც ცდილობს ასეთი სასამართლო ორგანოების მანამდე შექმნას, ვიდრე კონფლიქტის<sup>212</sup> მძვინვარე ფაზა არ გადაივლის.

ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს ის გვაძლევს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაფუძნებული *ad hoc* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებიდან რუანდის ტრიბუნალი კონფლიქტის დასრულების შემდეგ შეიქმნა. ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი ტრიბუნალიც არსებითად პოსტკონფლიქტურ პერიოდში მუშაობდა, რადგან მისი საქმიანობის დასაწყისისთვის ძირითადი პოლიტიკური შეთანხმება იქ განვითარებულ „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის“ საფრთხის შემცველ მოვლენებთან დაკავშირებით უკვე მიღწეული იყო და ნატოს შეიარაღებული ძალებიც უკვე რეგიონში იმყოფებოდნენ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კი, თუ მას ეფექტურად მუშაობა სურს, ამის ფუფუნება, ჩვეულებრივ, არ უნდა ჰქონდეს. ეს კი გვაბრუნებს სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს კომპლემენტარული თუ კონკურენტული კომპეტენციების ანალიზის საფუძველთან. როგორც ჩრდილოეთ უგანდის რაიონში გულუს კათოლიკური არქიეპისკოპოსის ეპარქიის სამართლისა და მშვიდობის

<sup>212</sup> ამ შემთხვევაში „კონფლიქტს“ ვიყენებთ როგორც რომის სტატუტით გათვალისწინებული საერთაშორისო დანაშაულების ჩადენის ნომინალურ ჩარჩოს, ამ დანაშაულთა ჩადენის განსაკუთრებული ალბათობის გამო კონფლიქტის დროს.

კომისიამ განაცხადა, „ომის დანაშაულთა გამოძიების დაწყება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით იმ დროს, როდესაც ომი ჯერ კიდევ დასრულებული არ არის, უკავშირდება რისკს, რომ საბოლოო ჯამში არც მართლმსაჯულების განხორციელება მოხდეს და არც მშვიდობამ დაისადგუროს.“<sup>213</sup>

სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს საქმიანობის კომპლემენტარულ ელემენტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია სასამართლოს მწირი პრაქტიკის მოხმობა ერთ სპეციფიკურ საკითხთან დაკავშირებით: დარფურის სიტუაციის სასამართლოსთვის გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სასამართლომ დასაშვებობის საკითხი დადებითად გადაწყვიტა, უშიშროების საბჭომ 1672-ე რეზოლუციით<sup>214</sup> დარფურში დანაშაულების სავარაუდოდ ჩამდენი ოთხი პიროვნება გამოავლინა და მათთან მიმართებით მგზავრობასთან დაკავშირებული სანქციები დააწესა, უშიშროების საბჭოს 1591-ე რეზოლუციის შესაბამისად. მართალია, სასამართლოსთვის საქმის წარმოების პროცესში დამხმარე ან, თუნდაც, კომპლემენტარულ საქმიანობად შესაძლოა განვიხილოთ ეს შემთხვევა, თუმცა უშიშროების საბჭომ არ მოახდინა ერთ-ერთ ძირითად პრობლემაზე აქცენტირება და პოლიტიკური ლიდერების, კერძოდ სუდანის მთავრობის წევრების სტიგმატიზება.<sup>215</sup>

---

<sup>213</sup> იხ.: Uganda: ICC Could Suspend Northern Investigations - Spokesman, IRIN News: <http://www.irinnews.org> (18/04/2005).

<sup>214</sup> იხ.: Security Council Resolution 1672, U.N. Doc. S/RES/1672 (25 აპრილი, 2006).

<sup>215</sup> იხ.: Kastner, P., (2008) *The ICC in Darfur - Savior or Spoiler?* in ILSA Journal of International and Comparative Law, Vol 14:1, 145-188, გვ. 167.



**6. ზოგიერთი საინტერესო საკითხი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებით**

**6.1 სუვერენული იმუნიტეტების დაცვამ უნდა გადაწონოს თუ არა ადამიანების დაცვა უფლებათა მასობრივი დარღვევებისგან?**

*„რა თქმა უნდა, ცივილიზებული ერების კანონმდებლობა დანაშაულად აცხადებდა ერთი ადამიანის მიერ მეორის მიშველი მუშტებით შეურაცხყოფას. როგორ მოხდა, რომ ამ დანაშაულის მილიონებზე გამრავლებითა და მიშველ მუშტებზე იარაღის დამატებით ქმედება სამართლებრივად დაშვებულ აქტად გადაიქცა?“<sup>216</sup>*

სიცოცხლის უფლება, წამებისაგან დაცვის უფლება, უფლება... ადამიანის რამდენი არსებითი უფლებაა დაცული, რომელთა დარღვევა ყოველი ადამიანის მიმართ იწვევს მკაცრ სასჯელს ცალკეული „ჩვეულებრივი“ დამნაშავისათვის. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება მაღალი ჩინის სახელმწიფო მოხელეთა დასჯა მათ მიერ ათასობით ადამიანის უმნიშვნელოვანესი უფლებების დარღვევის – მათ შორის: ადამიანთა სიცოცხლის უფლების ხელყოფის, წამების დაგეგმვისა და განხორციელების ხელმძღვანელობისთვის; რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ, ვინც გეგმავს, თუმცა პირადად არ არის ჩართული ყველაზე უფრო საზარელ და შემადრწუნებელ დანაშაულთა – „საერთაშორისო დანაშაულთა“<sup>217</sup> – ფიზიკურად განხორციელებაში? ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს იმას, ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების დამგეგმავი და პოლიტიკის შემმუშავებელი (სუვერენული) იმუნიტეტით დაცული (მოქმედი) სახელმწიფო მეთაური ან სხვა მოქმედი მაღალი თანამდებობის პირია, თუ ჩვეულებრივი, ამ მიზნისათვის „დაბალი დონისად“ წოდებული მკვლეელი? უნდა ხდებოდეს თუ არა უნივერსალური იურისდიქციის გავრცელება, ყველანაირი დათქმისა და შეზღუდვის გარეშე, უმადლესი რანგის პოლიტიკის შემქმნელებზე, რომლებიც „ავტორნი“ არიან ადამიანის უფლებათა იმ მასობრივი უხეში დარღვევებისა, რომელთა ჩადენის გამოც მათი ქვემდგომი შემსრულებლები ისჯებიან?

ზემოთ წამოწეული პრობლემებიდან გამომდინარე, ამ თავში დასმული მთავარი კითხვაა: **რამდენად ლეგიტიმური შეიძლება იყოს სახელმწიფოს მეთაურთა და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირთა იმუ-**

<sup>216</sup> მოსამართლე ჯექსონი, შესავალი სიტყვა, წარმოთქმული საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე. იხ.: Jackson, R. (1947) *The Nuremberg Case as Presented by Robert H. Jackson, Chief of Counsel for the United States*, გვ. 82-83.

<sup>217</sup> „საერთაშორისო დანაშაულის“ ცნებასთან დაკავშირებით იხ.: De Than, C.& Shorts, E. (2003) *International Criminal Law and Human Rights*, გვ.13-14; Kittichaisaree, K. (2001) *International Criminal Law*, გვ.3-4; Steiner, H.J.& Alston, P. (ed.) (2000) *International Human Rights in Context: Law, Politics, Moral*, გვ.1132-38; Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ.23-25.

ნიტეტების<sup>218</sup> გაუქმების მოთხოვნა ადამიანის უფლებათა მასობრივი მასშტაბური დარღვევების შემთხვევაში და მათი უნივერსალური იურისდიქციის დაქვემდებარება, რათა ყველა სახელმწიფოს, რომელსაც ფიზიკურად შეუძლია მათი სისხლისსამართლებრივი დევნა, სამართლებრივად შეეძლოს ასე მოქცევა? კითხვაზე პასუხის გასაცემად მაგალითის სახით განვიხილავთ *პინოჩეტის*<sup>219</sup> საქმეს და შევეცდებით, გავარკვიოთ: რამდენად შეიძლება სახელმწიფო სუვერენიტეტის დათმობა ადამიანთა საერთაშორისო დანაშაულებრივ დასაცავად და სხვადასხვა იმუნიტეტით „კარგად დაცულთა“<sup>220</sup> სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, რასაც ისინი იმსახურებენ ადამიანის უფლებათა მასობრივი სასტიკი დარღვევების დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა თუ ამგვარი დანაშაულების ჩადენის ნების დართვისათვის, მათ შორის საკუთარ მოქალაქეთა წინააღმდეგ.

შევეცდებით, ვაჩვენოთ, რომ, მართალია, *პინოჩეტის* საქმე საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი სახელმწიფოს (ყოფილი) მეთაურის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების პროცესში ახალ ტალღად იქნა მიჩნეული, ამ კუთხით აღნიშნული გადაწყვეტილება ძალიან ვიწროა.<sup>221</sup>

ვინაიდან იმუნიტეტების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია და ფართო სახელმწიფო პრაქტიკის<sup>222</sup> მოშველიება ვერ ხერხდება, მოკლე პარალელს გავავლებთ კიდევ ერთ საინტერესო კონცეფციასთან: ეს არის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფცია, რომელიც განიხილება ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების შემთხვევაში.<sup>223</sup>

თუმცა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და სახელმწიფოს (სუვერენული) იმუნიტეტების დაცვა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი პრინციპებია, მათი უარყოფა შეიძ-

<sup>218</sup> სახელმწიფოებო სამართლის ვენის კონვენციის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტში მოცემული დეფინიციის შესაბამისად.

<sup>219</sup> იხ.: United Kingdom House of Lords, Regina v. Bartle and the Commissioner of Police for the Metropolis and Other (Appellants), Ex Parte Pinochet (Respondent) (Second Appeal hearing from a Divisional Court of the Queen's Bench Division holding that former heads of state are entitled to immunity), House of Lords, 24 March 1999 [1999] 2 All ER 97, [1999] 2 WLR 827.

<sup>220</sup> იხ.: Tams, C.J. “Well-Protected Enemies of Mankind”, in The Cambridge Law Journal (July, 2002) vol.61, part 2, at 246, გვ. 246-249.

<sup>221</sup> იხ.: O’Neill, K.C. “A New Customary Law of Head of State Immunity?: Hirohito and Pinochet”, in *Stanford Journal of International Law* (2002), vol. 38, at 289, გვ. 314-317.

<sup>222</sup> იხ.: Bianchi, A. “Immunity Versus Human Rights: The Pinochet Case”, in *EJIL* (1999), vol.10, No.2, at 237, გვ. 254-62.

<sup>223</sup> იხ., ზოგადად: Greenwood, C. “Is There a Right of Humanitarian Intervention?”, in *The World Today* (February 1993) vol. 49, გვ. 34-40, (cited from the LSE Course Pack for LL461); Simma, B. “NATO, the UN and the Use of Force: Legal Aspects”, in *EJIL*, (1999), vol.10, No.1, გვ. 1-22; Kritsiotis, D. “The Kosovo Crisis and NATO’s Application of Armed Force Against the Federal Republic of Yugoslavia”, in *ICQL* (2000), vol.49(2), at 330; “Kosovo: House of Commons Foreign Affairs Committee 4<sup>th</sup> Report, June 2000”, in *ICLQ* (2000), vol.49(4), გვ. 876-943.

ლება გადაწყვეტილების მისაღებად „მნიშვნელოვან სახელმწიფოთა“<sup>224</sup> ან საერთაშორისო თანამეგობრობის სახელით გადაწყვეტილებათა მიმღები მათი გაერთიანებების საკმარისად მომზადებული პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში.<sup>225</sup>

საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა იმუნიტეტების უარყოფა „საერთაშორისო ტრიბუნალებისათვის“<sup>226</sup> ახალი ცნება არ არის. სისხლისსამართლებრივი დევნის ეროვნულ დონეზე განხორციელების უპირატესობათა<sup>227</sup> გათვალისწინებით, კიდევ ერთი კითხვა ჩნდება: სახელმწიფოთა ეროვნულ სასამართლოებს რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, იმავე პრინციპის გამოყენებით განახორციელონ საკუთარი იურისდიქცია და უნივერსალურ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას დაუქვემდებარონ ეს დამნაშავენი საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის?

მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემამდე და იმ მოთხოვნის ლეგიტიმურობის სრულფასოვნად გასააზრებლად, რომ უმადლესი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირების აბსოლუტური იმუნიტეტი, რომელიც მათ სისხლისსამართლებრივი დევნისგან იცავს, უნდა გაუქმდეს, მნიშვნელოვანია, მოკლედ გავაანალიზოთ სახელმწიფო იმუნიტეტის კონცეფცია და (მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა) ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება.

საერთაშორისო სამართალში უნივერსალური იურისდიქციის ცნების ანალიზისა და საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა მიმართ უნივერსალური იურისდიქციის განსახორციელებლად იმუნიტეტების გაუქმების შესაძლებლობის შეპირისპირებით ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით წარმოებულ ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფციასთან შევეცდებით, დავასკვნათ, შესაძლებელია თუ არა იმგვარი სახელმწიფო პრაქტიკისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმების ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობით სუვერენულ სახელმწიფოთა უმადლესი რანგის წარმომადგენლები უნივერსალურ იურისდიქციას დაექვემდებარებიან და, შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები შეძლებენ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის იმუნიტეტებით დაცული მაღალი რანგის თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ დევნას.

ამ თავში იმუნიტეტების, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპისა და ადამიანთა საერთაშორისო დანაშაულისგან

<sup>224</sup> ნატოს ძალების მიერ კოსოვოში განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენციის მსგავსად.

<sup>225</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სახით.

<sup>226</sup> იხ.: საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება, მე-7 მუხლი; შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდება, მე-6 მუხლი; ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი; რუანდისათვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდება, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი; საერთაშორისო სისხლის სამართლის დადგენილებების დამფუძნებელი რომის სტატუტი, 27-ე მუხლი.

<sup>227</sup> მაგ., იხ., რომ სასამართლოები უკვე არსებობენ და დამატებითი სახსრების გამოყოფა საჭირო არ არის, და ა.შ.

დაცვის პრობლემის ურთიერთმიმართებასაც განვიხილავთ. ძირითად არგუმენტად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმე დარღვევების დასჯაზე ორიენტირებულ ბელგიის კანონს<sup>228</sup> მოვიხმობთ და მსგავს ინიციატივათა მხარდაჭერის მიზანშეწონილობის ჩვენებას შევეცდებით.

მომდევნო თავში განვიხილავთ სუვერენული იმუნიტეტის კონცეფციას და ვაჩვენებთ, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოთა იმუნიტეტებისა და სუვერენული თანასწორობის დაცვას არ ენიჭება უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე ადამიანის უფლებათა უმძიმესი დამრღვევების, საერთაშორისო დანაშაულთა ჩამდენების სისხლისსამართლებრივ დევნას; ასევე საერთაშორისო დანაშაულისთვის პასუხისმგებელ ლიდერებზე ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შერაცხვის კონცეფციაზე ვისაუბრებთ, და შევხებით ჰუმანიტარული ინტერვენციის თემას მაშინ, როდესაც ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მიმე დარღვევები ხდება. ეს თემა საინტერესოა, ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, იმდენად, რამდენადაც ამ ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ნაკლებობა იწვევს საჭიროებას, მოხდეს ანალოგების მოძიება და პარალელების გავლება სხვა მცდელობებთან, მოხდეს ადამიანთა დაცვა მათი უფლებების მასობრივი დარღვევებისაგან, თუნდაც სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევის ხარჯზე; განხილულია *პინოჩეტის* საქმე, როგორც იმუნიტეტების დაცვის მხრივ და დამნაშავე სახელმწიფო ლიდერთა სისხლისსამართლებრივი დევნის კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი.

მიუხედავად იმ მნიშვნელობისა, რომელიც იმუნიტეტების სხვადასხვა სახეობას<sup>229</sup> ენიჭება, ნაშრომში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისათვის მინიჭებული იმუნიტეტები განიხილება როგორც ერთი, ერთგვაროვანი კონცეფცია, რომლის დახმარებით საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი მაღალი რანგის დამნაშავეები თავს არიდებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ამდენად, ვითვალისწინებთ *ratione materiae* და *ratione personae* იმუნიტეტებს შორის განსხვავებებს და ამ განსხვავებასა და მათს მნიშვნელობაზე ყურადღებას არ გავამახვილებთ,<sup>230</sup> რადგან, ჯერ ერთი, ნაშრომის ფორმატია შეზღუდული და, მეორე, ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლისთვის თითქმის არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, მათ წინააღმდეგ საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი პირი დაცული იყო, პირობითად, „ა“ თუ „ბ“ ტიპის იმუნიტეტით. მსხვერპლთათვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ის გარემოებაა, რომ „კარგად

<sup>228</sup> იხ: Smis, S & Van der Borgh, K. (2003) “Belgian Law concerning The Punishment of Grave Breaches of International Humanitarian Law: A Contested Law with Uncontested Objectives in “*ASIL Insights*”.

<sup>229</sup> იხ., ზოგადად: Mallory, J.L. “*Resolving the Confusion Over Head of State Immunity: The Defined Rights of Kings*”, in *Columbia Law Review* (1986), vol. 86, at 169, გვ.169-71.

<sup>230</sup> ამასთან დაკავშირებით იხ., ზოგადად: Brohmer, J. (1997) *State Immunity and the Violation of Human Rights*, გვ. 2-4 & 24-33; Higgins, R. (1994) *Problems and Processes*, გვ. 78-94.

დაცული“<sup>231</sup> მაღალი თანამდებობის პირი პასუხისმგებელია ჩადენილი დანაშაულისათვის და მას შეუძლია, თავი აარიდოს ამ პასუხისმგებლობას მისთვის მინიჭებული კარგად ჩამოყალიბებული იმუნიტეტების დახმარებით.

არც შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულების, ანუ იმ დანაშაულთა ჩამდენ ლიდერთა შესაძლო პასუხისმგებლობას განვიხილავთ, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულის განმარტების საზღვრებს გარეთ ხვდებიან.<sup>232</sup> ამდენად, განვიხილავთ ნებისმიერი სახის იმუნიტეტს, რომლებზეც შესაძლოა, სახელმწიფოთა დამნაშავე ლიდერებმა აპელირება მოახდინონ, და რომლებიც დაკავშირებულია მათ მიერ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან.

**6.1.1 იმუნიტეტებისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა.<sup>233</sup> რატომ უნდა ენიჭებოდეს ამ ყოველივეს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ადამიანთა დაცვას მათი უფლებების სასტიკი დარღვევებისგან?**

„თუ პოლიტიკურ ლიდერთა გონებიდან შესაძლებელი იქნებოდა სუვერენიტეტის დოქტრინის ამოშლა, ეს შეამცირებდა თუ არა ადამიანის უფლებათა დარღვევების იმ განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებიც მთავრობათა არაადეკვატურ ქმედებებს უკავშირდება? ამ ცნების გაუქმება გააძლიერებდა თუ არა ადამიანთა სოლიდარობას, რომელზეც კოლექტიური პასუხისმგებლობისა და ინდივიდუალური ანგარიშვალდებულების არსია დამოკიდებული?“<sup>234</sup> – ეს არის ის ფუნდამენტური კითხვა, რომელსაც *რიჩარდ ფოლკი* სვამს თავის ნაშრომში. კითხვები, რომლებიც ამ თავშია დასმული იმავე საკითხებთან მიმართებით, შემდეგია: *შესაძლოა თუ არა, ადამიანთა დაცვა მათი უფლებების მასობრივი და სასტიკი დარღვევებისგან მიხნეულ იქნეს უფრო მნიშვნელოვნად, ვიდრე (სახელმწიფო) სუვერენული იმუნიტეტების დაცვა და, ამდენად, საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოების წარმომადგენელთა ხელშეუვალობა დადგეს რისკის ქვეშ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად და, შესაძლოა, მომავალში ადამიანთა მასობრივი განადგურების თავიდან ასაცილებლად?*

ამ კითხვებზე პასუხების მოსაძებნად მიზანშეწონილია სუვერენული (სახელმწიფო) იმუნიტეტის კონცეფციის<sup>235</sup> მოკლე მიმოხილვა, რათა

<sup>231</sup> იხ. 220-ე სქოლიო, ზემოთ.

<sup>232</sup> საერთაშორისო დანაშაულის განმარტებასთან დაკავშირებით იხ.: Schabas, W.A. (2001) *An Introduction to the International Criminal Court*, გვ. 21-53.

<sup>233</sup> პრინციპი *par in parem non habet imperium*.

<sup>234</sup> იხ.: Falk, R. (1998) *Sovereignty and Human Dignity: The Search for Reconciliation*, in Steiner, H.J. & Alston, P. (ed.) (2000) *International Human Rights in Context: Law, Politics, Moral*, გვ. 581.

<sup>235</sup> იხ., ზოგადად: Bröhmer, J. (1997) *State Immunity and the Violation of Human Rights*, გვ. 14-33; European Convention on State Immunity; Fox, H. (2002) *The Law of State Immunity*, გვ. 11-64; Lewis, C.J. (1990) *State and Diplomatic Immunity*, გვ. 7-21; McClanahan, G.V. (1989) *Diplomatic*

განვსაზღვროთ მისთვის ისტორიულად მინიჭებული მნიშვნელობა. სუვერენული (სახელმწიფო) იმუნიტეტისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვას საერთაშორისო ურთიერთობებში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება – ესენი საერთაშორისო სამართლის ის კონცეფციებია, რომელთა დეტალური განხილვა ამ ნაშრომის ფარგლებს სცილდება, ამიტომ მათზე ყურადღება შევაჩერეთ მხოლოდ ადამიანის უფლებების იდეის განვითარებასთან კავშირში. არ ვამტკიცებთ, რომ სუვერენული იმუნიტეტის კონცეფცია სრულიად უნდა გაქრეს, სუვერენული (სახელმწიფო) იმუნიტეტის ცნებას შევეხებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეიძლება ხელშემშლელი იყოს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.

სუვერენული (ან სახელმწიფო) იმუნიტეტი საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელოებში განმარტებულია როგორც „სამართლებრივი წესები და პრინციპები, რომლებიც განმარტავენ იმ პირობებს, რომელთა არსებობისას უცხო სახელმწიფოს შეუძლია სხვა სახელმწიფოს (ხშირად უწოდებენ „სასამართლოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოს“)“<sup>236</sup> იურისდიქციისგან (საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლებებისგან) თავისუფლება მოითხოვოს.“ ეს კონცეფცია საუკუნეების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების საბაზისო ელემენტად იყო მიჩნეული. ამ წესიდან გამომდინარე, „ისტორიულად, სახელმწიფო მეთაურები არ ექვემდებარებოდნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას მათ მიერ ჩადენილი ქმედებებისათვის, სუვერენისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის შერწყმის გამო.“<sup>237</sup> ამდენად, „სუვერენული იმუნიტეტის წესის არსებობის თეორიული დასაბამი იმ დროიდან მოდის, როდესაც სახელმწიფოთა უმეტესობა ინდივიდუალური სუვერენების – მონარქების – მიერ იმართებოდა, რომლებიც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ახდენდნენ სახელმწიფოს პერსონიფიცირებას.“<sup>238</sup> „სახელმწიფოსა და მისი მეთაურის ურთიერთკავშირი ამდენად ძალზე ახლოს იყო *ლუი XIV*-ის სიტყვებთან: „*L'Etat, c'est moi*“.<sup>239</sup>

საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფოს ცნების განვითარებასთან ერთად ამ მიმართებით მიდგომებიც შეიცვალა. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვის მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს „თანასწორ სუვერ-

---

*Immunity*, გვ. 27-83; Malanczuk, P. (1997) *Akehurst's Modern Introduction to International Law*, გვ. 118-123; O'Neill, K.C. *A New Customary Law of Head of State Immunity?: Hirohito and Pinochet*, *Stanford Journal of International Law*, 38, 2002 at 289, გვ. 291-295; Brownlie, I. (1998) *Principles of Public International Law*, გვ. 327-328.

<sup>236</sup> იხ.: Malanczuk, P. (1997) *Akehurst's Modern Introduction to International Law*, გვ. 118.

<sup>237</sup> იხ.: Bassiouni, M. C. (1992) *Crimes Against Humanity in International Criminal Law*, გვ. 465.

<sup>238</sup> იხ.: Lewis, C.J. (1990) *State and Diplomatic Immunity*, გვ. 15.

<sup>239</sup> „სახელმწიფო – ეს მე ვარ“. იხ.: Watts, A. (1994) *The Legal Position in International Law of Heads of States, Heads of Governments and Foreign ministers* in *Collected Courses of The Hague Academy of International Law*, გვ. 35.

ენტა“ საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერა საერთაშორისო წესრიგის შესანარჩუნებლად.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტები სუვერენული სახელმწიფოები არიან და მაგალითისთვის მხოლოდ ერთი – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რომ დავასახელოთ, იგი ეფუძნება „ყველა წევრი სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპს“,<sup>240</sup> თუმცა ეს „სუვერენული თანასწორობა“ არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც უპირობო, რამდენადაც ზემოთ აღნიშნული პრინციპის აღიარების პარალელურად გაეროს საკუთარი წევრების უფლებათა გარკვეული შეზღუდვა შემოაქვს შემდეგი დებულების მეშვეობით: „წევრობიდან გამომდინარე უფლებებისა და უპირატესობების უზრუნველსაყოფად თითოეულმა წევრმა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს ის ვალდებულებები, რომლებიც მათ ამ წესდებით აქვთ ნაკისრი.“<sup>241</sup> ერთ-ერთი „ნაკისრი ვალდებულება“ ადამიანის უფლებათა დაცვაა, რადგან, იმავე წესდების შესაბამისად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს შორისაა „ყველასთვის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ხელშეწყობა და წახალისება“,<sup>242</sup> და „ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა და საყოველთაო პატივისცემა.“<sup>243</sup>

შესაბამისად, შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ გაეროს წევრი სახელმწიფოები არ შეასრულებენ მათზე წესდებით დაკისრებულ ვალდებულებებს, არ ექნებათ შესაძლებლობა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპზე აპელირებით სახელმწიფოებისთვის ზოგადად მინიჭებული იმუნიტეტებისა და სუვერენული თანასწორობის დაცვა მოითხოვონ.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, სახელმწიფო იმუნიტეტისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციები შემდეგ ლოგიკაზე დაფუძნებულად შეიძლება ჩაითვალოს: ეს ცნებები არ გულისხმობენ საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენთათვის დაუსჯელობის გარანტიას. ისინი სახელმწიფოთა თანასწორობის დასაცავად არიან შექმნილნი იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებენ. *სერ ვოტის* თანახმად, „განსაკუთრებით უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სახელმწიფო იმუნიტეტის მარეგულირებელ სამართალში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. პრაქტიკულმა საჭიროებებმა გამოიწვია დღევანდელ საერთაშორისო თანამეგობრობაში სახელმწიფოს როლის გადასინჯვა. მათი იმუნიტეტით აბსოლუტური დაცულობის მოძველებული ცნებები გზას უთმობენ უფრო მოკრძალებულ შეხედულებებს“.<sup>244</sup> *ვოქსის* თანახმად,

<sup>240</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>241</sup> *Ibid.*, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>242</sup> *Ibid.*, 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი.

<sup>243</sup> *Ibid.*, 55-ე მუხლის 6 ქვეპუნქტი.

<sup>244</sup> იხ.: 239-ე სქოლიო, *supra*, გვ. 36.

„ვესტფალიისეული სახელმწიფოს ძირის შერყევის ერთ-ერთი ფაქტორი პიროვნებისა და თითოეული ადამიანის ფუნდამენტური ინტერესებისთვის გაზრდილი მნიშვნელობის მინიჭებაა, მაშინ, როდესაც ამ ინტერესების დაცვა, სახელმწიფოს გარდა, სხვა რომელიმე პროცესით ან ინსტიტუტის მეშვეობით შეიძლება არც განხორციელდეს. ჩამოყალიბდა მიდგომა, რომლის თანახმად, ასეთი ინტერესის დაქვემდებარება აუცილებლად არ შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო ინტერესისადმი...“<sup>245</sup> დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს, შემდეგია: საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტს ამოფარებით მოხდეს ადამიანის უფლებათა სასტიკი დარღვევების ჩამდენთა დაუსჯელად დატოვება.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის იდეა ისეთი შეუვალი აღარ არის, მაშინ, როდესაც საპირწონედ ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევებია. ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარება, ჰუმანიტარული ინტერვენციის იდეის შემოტანა, საერთაშორისო ტრიბუნალების წინაშე იმუნიტეტების მოშველიების დაუშვებლობა ამის მანიშნებელია. ყურადღებას იმსახურებს შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები, რომლებიც არ არიან ყოველთვის უფლებამოსილნი, განახორციელონ უნივერსალური იურისდიქცია და დამნაშავე ლიდერების გასამართლების კონცეფცია, ძირითადად, საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი სასამართლო ინსტიტუტებისთვისაა მინდობილი.<sup>246</sup>

1994 წელს *სერ ვატსმა* აღნიშნა, რომ: „საჭიროა სიფრთხილე იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის სახელმწიფო იმუნიტეტის შემზღუდველი წესი მხარდაჭერილი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ზოგადად იმისათვის, რომ ვისაუბროთ მის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილად ჩამოყალიბებაზე: შემზღუდავი განმარტების დაფუძნების ტენდენცია ძლიერია, თუმცა იმის თქმა ჯერ არ შეიძლება, რომ ამასთან დაკავშირებით კონსენსუსი არსებობს.“<sup>247</sup>

ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარებამ მე-20 საუკუნეში განაპირობა ადამიანის უფლებების უფრო მეტი მხარდაჭერა, ვიდრე სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვადასხვა იმუნიტეტით დაცული უმაღლესი დონის ზოგიერთი სახელმწიფო თანამდებობის პირის ხელშეუვალობის დაცვა. ამ ტრანსფორმაციას თან სდევდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ადამიანის უფლებების ცნების განვითარების პროცესი, რომლის შედეგად ადამიანის უფლებები აღარ იყო „სახელმწიფოს შიდა საქმე“.<sup>248</sup>

<sup>245</sup> იხ: Fox, H. (2002) *The Law of State Immunity*, გვ. 26.

<sup>246</sup> თუმცა საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის სრულად „საერთაშორისოდ“ მიხნევა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, რთულია.

<sup>247</sup> იხ.: 244-ე სქოლიო, *supra*.

<sup>248</sup> იხ, მაგ.: Shaw, M.N. (2003) *International Law*, გვ. 574.



დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვისთვის მინიჭებული უზარმაზარი მნიშვნელობის მიუხედავად, ადამიანთა უფლებების სასტიკი და მასობრივი დარღვევებისგან დაცვა უფრო მეტად უნდა იყოს დაფასებული და პოლიტიკური მოსაზრებანი თუ პოზიციები უნდა განისაზღვრებოდეს და გარკვეულწილად იცვლებოდეს ადამიანთა ბოროტებისგან დაცვის საჭიროების საფუძველზე, რაც ხშირად საკუთარი მთავრობიდან მომდინარეობს.

ამასობაში ჰუმანიტარული ინტერვენციის კონცეფცია, როგორც ჩანს, წარმოიშვა და საერთაშორისო სამართლის აღიარებული მეცნიერების გარკვეული ნაწილის<sup>249</sup> მხარდაჭერის მოპოვებაც მოახერხა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ სახელმწიფოთა მხარდაჭერაზე, რომლებიც კანონიერად აღიარებენ აღნიშნულ კონცეფციას. სახელმწიფოთა „კანონგარეშედ“<sup>250</sup> აღიარებისკენაც გარკვეული ძვრები შეინიშნება. ამ სიახლეთა დაკვირვება და ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ იმუნიტეტების დაცვა არ შეიძლება, უპირობოდ ხელშეუხებელი დარჩეს.

თუ აღიარებული იქნება შესაძლებლობა, საერთაშორისო თანამეგობრობამ გადაწყვიტოს იმ სახელმწიფოთა „კანონგარეშედ“ გამოცხადება, რომელთა ლიდერებიც საერთაშორისო დანაშაულებს ჩადიან, ლოგიკურია მტკიცებაც, რომ იმავე სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, გამოიყენონ უნივერსალური იურისდიქცია ამგვარ დამნაშავეთა დასასჯელად, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი რა სახის იმუნიტეტებით სარგებლობენ.

მომდევნო თავები განიხილავს, ერთი მხრივ, იმუნიტეტების ცნებისა და საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართებას და, მეორე მხრივ, ჰუმანიტარული ინტერვენციის შედარებით ახალჩამოყალიბებულ ცნებას. თუმცა მათი ამ ეტაპზე აღნიშვნაც მნიშვნელოვანია იმის სადემონსტრაციოდ, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის ძველმა ცნებამ დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებთან (მიუხედავად მათი რანგისა), არამედ მთლიანად სახელმწიფოებთან მიმართებით, რაშიც მოცემულ საზღვრებს შორის მოქცეული მთელი რიგი ტერიტორიებისა მოიაზრება. ამ ცნებათა შედარება კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ იმუნიტეტების კონცეფციაზე მიმართვა ასე თავისუფლად აღარ არის შესაძლებელი, რადგან აღნიშნული ახალდმოცნებული ცნებები იწვევს და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ რომელიმე ცალკე აღებული სახელმწიფოს ცალკეულ დამნაშავე ლიდერთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ მთელი სახელმწიფოს „დასჯას“.

<sup>249</sup> იხ.: 223-ე სქოლიო, *supra*.

<sup>250</sup> იხ., ზოგადად: Simpson, G. (2004) *Great Powers and Outlaw States: Unequal Sovereigns in the International Legal Order*.

შესაბამისად, შესაძლოა, თავშეკავების გარეშე დავასკვნათ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ წარსულში იმუნიტეტებსა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევისგან დაცვას, ეს სიმართლეს უკვე აღარ შეესაბამება.

**6.12 როგორი ურთიერთმიმართებაა მძიმე საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის არსებულ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნებასა და იმუნიტეტებს შორის?**

იმუნიტეტებით დაცული სისხლის სამართლის დამნაშავე ლიდერების სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორც წესი, მაშინ წარმოიხდება ხოლმე, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მიერ უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების საკითხი განიხილება. ამ თვალსაზრისით ზედაპირზე ამოდის კითხვა: *შესაძლოა თუ არა იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო სამართალი ყოველთვის სწორხაზოვნად უჭერდა მხარს „კარგად დაცულთა“*<sup>251</sup> აბსოლუტურ იმუნიტეტსა და ხელშეუხებლობას? ამ საკითხის ანალიზისათვის მიზანშეწონილია, მოკლედ მიმოვიხილოთ საერთაშორისო დანაშაულებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღიარების პროცესი.

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების განხილვა შესაძლებლობას იძლევა, მოკლედ გადავაგლოთ თვალი იმ პროგრესს, რომლის მიღწევა მოხდა საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა, მიუხედავად მათთვის მინიჭებული იმუნიტეტებისა და პრივილეგიებისა, სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლების მხრივ. ამ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო იმუნიტეტის იდეის გარშემო კითხვის ნიშნების გაჩენაში იმ სიტუაციებში, როდესაც საერთაშორისო დანაშაულის ჩადენა ხდება სახელმწიფოს წარმომადგენელი პირების მიერ, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნისგან შესაბამისი იმუნიტეტით დაცულობის პრეტენზიას აცხადებენ.<sup>252</sup> ადამიანის უფლებათა დოქტრინის ეტაპობრივმა განვითარებამ დასაბამი მისცა სუვერენული იმუნიტეტის დოქტრინის ეროზიას.

ფართოდ აღიარებულია, რომ ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდება და მისი გადაწყვეტილება საერთაშორისო დანაშაულებისათვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღიარების დასაბამია, მათ შორის იმუნიტეტებით დაცულ პირებთან მიმართებითაც. თუმცა ნიურნბერგის პროცესებამდე იყო ვერსალის ხელშეკრულება<sup>253</sup>, და მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცვლილებათა პირველი ტალღა ამ მიმართულებით

<sup>251</sup> იხ., 220-ე სქოლიო, *supra*.

<sup>252</sup> იხ., მაგ.: 221-ე სქოლიო, *supra*, გვ. 292.

<sup>253</sup> ვერსალის ხელშეკრულება, 28 ივნისი, 1919.

უკვე პირველი მსოფლიო ომის<sup>254</sup> შემდეგ შეინიშნა, როდესაც კაიზერი ვილჰელმ II ამ „ბრალდებულის დასასჯელად შექმნილი სპეციალური ტრიბუნალის“<sup>255</sup> იურისდიქციას დაქვემდებარებულ პირად გამოცხადდა. ომის წამომწყებთა პასუხისმგებლობაში მიცემის კომისიის სასჯელთა აღსრულების შესახებ ანგარიშში ასევე აღნიშნულია: „...*კომისია სურვილს გამოთქვამს, პირდაპირ განაცხადოს, რომ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების მიმართ არ არსებობს მიზეზი, რის გამოც რანგი, რამდენად მაღალიც არ უნდა იყოს იგი, ნებისმიერ პირობებში უნდა იცავდეს მის მფლობელს იმ პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით, რომელიც დადგენილია კანონიერად შექმნილი სასამართლოს მიერ. იგივე სახელმწიფო მეთაურებზეც ვრცელდება.*“<sup>256</sup> თუმცა ეს სახელმწიფო სუვერენიტეტის კონცეფციისადმი მიდგომის შეცვლის საკმაოდ ადრეულ ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანი განაცხადი იყო, კომისიის ანგარიშით, შემდგომ „შეთავაზებულ იქნა, დაფუძნებულიყო მაღალი დონის ტრიბუნალი, რომელიც მრავალი ერის წარმომადგენელი მოსამართლეებისგან დაკომპლექტდებოდა და შესაბამისი სახელმწიფოს თანხმობით შექმნებოდა სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის გასამართლებას, რაც დაფუძნებული უნდა ყოფილიყო საზავო ხელშეკრულების შესაბამის მუხლებზე.“<sup>257</sup>

დათქმა და შეზღუდვა „სახელმწიფოს თანხმობასთან“ დაკავშირებით შესაძლებელია გავიგოთ, თუ მხედველობაში მივიღებთ ვერსალის ხელშეკრულების შექმნის დროს მძიმე საერთაშორისო დანაშაულებისათვის იმუნიტეტებით დაცული პირების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის კონცეფციის განვითარების დონეს. ამ დათქმის მიუხედავად, აღნიშნული პრინციპი კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გარღვევად სახელმწიფო სუვერენიტეტისა და განსაკუთრებით სასტიკი დანაშაულებებისგან ადამიანის დაცვის ურთიერთმიმართების აღქმის თვალსაზრისით. ამ ანგარიშში ასევე აღნიშნულია შემდეგი: „თუ სუვერენის/მონარქის იმუნიტეტი... ისეთ პრინციპს დააფუძნებდა, რომ განსაკუთრებული სისასტიკე, მიმართული ომის წესებისა, ჩვეულებებისა და კაცობრიობის კანონების წინააღმდეგ, დამტკიცდებოდა და ბრალად შეერაცხებოდა დამნაშავეს, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ დაისჯებოდა ჩამდენი... ამგვარი შედეგი შოკისმომგვრელი იქნებოდა ცივილიზებული კაცობრიობისათვის.“<sup>258</sup>

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო აბსოლუტურად ჩანასახოვანი ფორმით არსებული წესი, რომელიც პრაქტიკაში არასდროს განხორციელებულა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაკეთებული დასკვნების საშუალებით მოხდა იმის აღიარება, რომ შესაძლებელია სუვერენული იმუნიტეტის ცნების აბსოლუტური დაცვის უარყოფა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, გამონაკლის

<sup>254</sup> იხ: Commission on the Responsibilities of the Authors of the War on the Enforcement of Penalties, American Journal of International Law (1920) vol.14(1), გვ. 95-154.

<sup>255</sup> იხ.: ვერსალის ხელშეკრულება, 227-ე მუხლი.

<sup>256</sup> იხ. 254-ე სქოლიო, *supra*, გვ.116.

<sup>257</sup> *Ibid.*

<sup>258</sup> *Ibid.*

შემთხვევაში, თუნდაც მონარქის დაქვემდებარება ამ წესისადმი.<sup>259</sup> ამგვარად, აღსანიშნავია სახელმწიფოს მეთაურის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლებლობის ვერსალის ხელშეკრულების მიერ პირველად და იმ დროისთვის უპრეცედენტო აღიარება.

იმუნიტეტებს ამოფარების წინააღმდეგ კიდევ ერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ნიურნბერგში, სადაც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის პირების გასამართლება მოხდა. „საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებამ... ცალსახად დაადგინა საერთაშორისო სისხლის სამართალში ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი..., მიუხედავად იმისა, რა დაცვას ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი, ასევე სახელმწიფოს ქმედების დოქტრინისა თუ სხვა იმუნიტეტების ყურადღების მიღმა დატოვებით...“<sup>260</sup>

ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ საერთაშორისო დანაშაულთათვის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოტანა ამ კონცეფციის განვითარების პროცესის დასასრული არ ყოფილა. საერთაშორისო სამართლის განვითარებამ საჭირო გახადა პრინციპების შემდგომი შემუშავება, რასაც ნიურნბერგის პრინციპების<sup>261</sup> ჩამოყალიბება მოჰყვა. ნიურნბერგის პრინციპებმა გააღრმავა საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ ლიდერთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარების მნიშვნელობა და მისი საყოველთაო აღიარება მოიტანა.

როგორც *კახესე* აღნიშნავს, „ტრადიციული წესი, რომლის თანახმად, მაღალი სახელმწიფო რანგის პირები არ შეიძლება პასუხისმგებაში მიეცნენ ოფიციალური უფლებამოსილების შესრულებისას განხორციელებული ქმედებისათვის, მნიშვნელოვნად შეირყა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც საერთაშორისო ხელშეკრულებებმა და სასამართლო გადაწყვეტილებებმა განამტკიცეს პრინციპი, რომ ეს „თავშესაფარი“ აღარ დაიცავს ომის დანაშაულთა, მშვიდობისა თუ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენაში ბრალდებულ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებს. უფრო მოგვიანებით ეს პრინციპი გავრცელდა საერთაშორისო დანაშაულის სხვა სახეებსა და წამებაზეც.“<sup>262</sup>

შეცვლილ მსოფლიო წესრიგს ცოტა მეტი დრო დასჭირდა, რათა კიდევ ერთხელ მიბრუნებოდა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-7 მუხლით აღიარებულ პრინციპს და გაესამართლებინა სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი არად აგდებდნენ ათასობით საკუთარი თუ სხვა ქვეყნების მოქალაქისთვის სამართლიანობის დარღვევას და საერთაშორისო დანაშაულებს ჩადიდნენ.

<sup>259</sup> იხ.: Fox, H. (2002) *The Law of State Immunity*, გვ. 429.

<sup>260</sup> იხ.: Bassiouni, M. C. (1992) *Crimes Against Humanity in International Criminal Law*, გვ.343.

<sup>261</sup> იხ.: გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, 95/1 III პრინციპი განამტკიცებს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც დაფიქსირებულია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-7 მუხლში.

<sup>262</sup> იხ.: Cassese, A. (2003), *International Criminal Law*, გვ. 267.

ეს კი მხოლოდ მე-20 საუკუნის მიწურულს მოხდა, მაშინ, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა დასასჯელად გადაწყვიტა *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალების დაარსება ყოფილი იუგოსლავიისა<sup>263</sup> და რუანდისათვის.<sup>264</sup> „ის, რომ წესი, რომლის მიხედვით, სახელმწიფოს მეთაურს არ აქვს უფლება, საკუთარი ოფიციალური პოზიცია დაასახელოს მიზეზად, რატომაც არ შეიძლება მისი სისხლისსამართლებრივი დევნა გენოციდის, ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენისათვის, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ხასიათის მატარებელ ნორმად იქნა დადასტურებული ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი საერთაშორისო სასამართლოს პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად, საკუთარი წესდების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია, განახორციელოს იურისდიქცია პრეზიდენტ მილოშევიჩთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ გენოციდი და სხვა საერთაშორისო დანაშაულები, რომელთა სავარაუდო ჩადენა ერაცხება მას ბრალად, მოხდა მაშინ, როდესაც ის იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქმედი სახელმწიფო მეთაური იყო.“<sup>265</sup> ორი *ad hoc* ტრიბუნალის განვითარების ხაზის გაგრძელებად სისხლის სამართლის მუდმივმოქმედმა სასამართლომ, რომელიც რომის სტატუტით დაფუძნდა, ასევე აღიარა იმუნიტეტების მოშველიების დაუშვებლობა იმ დამნაშავეთა მხრიდან, რომლებიც სტატუტის<sup>266</sup> კომპეტენციის ფარგლებში ხვდებიან.

ამდენად, როგორც ეს მოკლე მიმოხილვაც ცხადყოფს, შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღიარება დაფუძნებული პრაქტიკაა.

პრობლემა უნივერსალური იურისდიქციის იმუნიტეტებთან ურთიერთმიმართების კუთხით წამოიჭრება იმ ტრიბუნალებთან დაკავშირებით, რომლებმაც უნდა განახორციელონ საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ მაღალი თანამდებობის პირთა, სახელმწიფოს მეთაურთა ჩათვლით, სისხლისსამართლებრივი დევნა. ტრიბუნალები, რომლებმაც სუვერენულ სახელმწიფოთა დამნაშავე ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელეს, საერთაშორისო ან „მისი მსგავსნი“ მაინც იყვნენ. ამ განვითარებამ უნდა დაიწყოს მიმართულების ცვლა და უნდა გადაინაცვლოს ეროვნული სასამართლოებისკენ. აღსანიშნავია ასევე, რომ იმუნიტეტებით დაცულთა სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება მიეცათ ან მხოლოდ გამარჯვებულ სახელმწიფოებს, ან ინიცირე-

<sup>263</sup> იხ.: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციები: 808-ე და 827-ე (1993).

<sup>264</sup> იხ.: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 955 (1994).

<sup>265</sup> იხ.: *Milosevic*, ICTY decision on preliminary motions, Trial Chamber III, Decision of 8 November 2001, paras. 226-33, ციტირებულია: Fox, H. (2002) *The Law of State Immunity*, გვ. xx.

<sup>266</sup> საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დამფუძნებელი რომის სტატუტი, 27-ე მუხლი.

ბული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ.

არსებითია ამის აღნიშვნა, რადგან საერთაშორისო დანაშაულებზე უნივერსალური იურისდიქციის გავრცელების და, შესაბამისად, მრავალგვარი იმუნიტეტით დაცულ ადამიანთა ნებისმიერი სახელმწიფოს შიდა სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარების იდეის მოწინააღმდეგენი ხშირად აღნიშნავენ, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოებისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭებამ შესაძლოა პოლიტიკური მიზნებით მანიპულირება გამოიწვიოს და სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა ლიდერების წინააღმდეგ მიმართულ იარაღად იქცეს. ამ არგუმენტის უკუგდება მარტივია, თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ორ შემდეგ სიტუაციას: ერთი მხრივ, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, განახორციელოს უნივერსალური იურისდიქცია, რასაც უპირისპირდება სიტუაცია, როდესაც მხოლოდ „პრივილეგირებულ“ სახელმწიფოებს, რომლებიც, შესაძლოა, იყვნენ გამარჯვებული ერები, ანდა გაეროს უშიშროების საბჭოში ადგილის მქონე მაქსიმუმ 15 სახელმწიფო, აქვთ უფლება, განსაზღვრონ სისხლისსამართლებრივი დევნის შესაბამისი პროცედურები. პოლიტიკური ძალაუფლება კიდევ უფრო მეტად შეიძლება იყოს მანიპულირებული უშიშროების საბჭოს 5 მუდმივი წევრის მიერ, რომელთაც ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა, იყვნენ მსოფლიო განვითარების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილენი.<sup>267</sup>

პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ წუხილი ნებისმიერი საქმიანობიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც ეს ნათლად ცხადყო ამერიკის შეერთებული შტატების ანტაგონიზმმა, სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი სასამართლოს დაფუძნებისთვის გაწეულმა წინააღმდეგობამ.

ეროვნული სასამართლოებისთვის საერთაშორისო დანაშაულებზე უნივერსალური იურისდიქციის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება და მათთვის ნებისმიერი სახელმწიფოს ნებისმიერი ლიდერის გასამართლების უფლების მინიჭება მხოლოდ საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის საერთაშორისო დანაშაულის ყველა ჩამდენის სამართლის წინაშე წარდგენის უზრუნველყოფის უკეთეს შესაძლებლობად უნდა განიხილებოდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვერსალის კომისიის მოხსენება „წესების დაცვით შექმნილ ტრიბუნალს“, და არა „საერთაშორისო ტრიბუნალს“, ახსენებს, როდესაც კაიხერის გასამართლებას ეხება. თუმცა ქვემოთ მოცემული პოზიცია შეიძლება გააკრიტიკონ იმუნიტეტებით

<sup>267</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, საკუთარი დისკრეტით იმოქმედოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის შექმნილ ნებისმიერ საფრთხესთან ან მათ დარღვევასთან დაკავშირებით, და რადგან ორივე პოლიტიკური ცნება უფროა, ვიდრე სამართლებრივი, მოქმედების თავისუფლება და პოლიტიკური შესჯდულებებით გადაწყვეტილების მიღება სულ არ უნდა იყოს გამორიცხული მის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთან დაკავშირებით იხ. ზოგადად: Conforti, B. (2005) *The Law and Practice of the United Nations*.

დაცულთა ხელშეუხებლობის მომხრეებმა, აღნიშნული მოხსენების განხილვისას მაინც შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ სავალდებულო არ არის, აუცილებლად საერთაშორისო ტრიბუნალებმა გაასამართლონ იმუნიტეტებით დაცული პირები – ამ სახის ბრალდებულთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა, ხვდებოდეს უნივერსალურ იურისდიქციაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოები, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა რამე სახის კავშირი ჩადენილ დანაშაულთან, დამნაშავესა თუ მსხვერპლთან, უფლებამოსილნი უნდა იყვნენ, შეძლონ მათი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა.

ო'ნიელი კიდევ უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ „პოზიციის გამყარება ასევე შესაძლებელია დიპლომატიური იმუნიტეტების ანალოგიის გზით, სადაც არც მოქმედ და არც ყოფილ სახელმწიფო მეთაურებს არ აქვთ იმუნიტეტი იმ აქტებთან მიმართებით, რომლებიც არღვევენ საერთაშორისო სამართალს“.<sup>268</sup> შედარებების შედეგად იგი ასკვნის: „ზუსტად ისე, როგორც წარმგზავნ სახელმწიფოს აქვს უფლება, მოუხსნას იმუნიტეტი იმ დიპლომატს, რომელიც ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებს გარეთ მოქმედებს, სახელმწიფოს მეთაურს, რომელიც საკუთარ უფლებამოსილებას უხეშად აჭარბებს და არღვევს საერთაშორისო დანაშაულის ჩადენით, შეიძლება ჩათვალოს როგორც საკუთარი იმუნიტეტის მოხსნა. იმუნიტეტის „მოხსნის“ ეს ფორმა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში განხორციელებადაც უნდა მივიჩნიოთ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც საერთაშორისო სამართლის დარღვევად ითვლება, უფრო მკაცრად შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე დიპლომატიური იმუნიტეტისა, რადგან წარმგზავნ სახელმწიფოს შეუძლია, აირჩიოს, არ მოუხსნას იმუნიტეტი საკუთარ დიპლომატებს.“<sup>269</sup>

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისათვის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების შექმნის გარშემო არსებული გარემოებების ანალიზის შედეგად შესაძლოა, დავასკვნათ, რომ როგორც ყოფილი იუგოსლავიის, ისე რუანდის სუვერენიტეტი უგულვებელყოფილი იქნა უშიშროების საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებებით, მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით სიტუაციამ უკიდურესი ზღვარგადასულობის პიკს მიაღწია, და საერთაშორისო თანამეგობრობამ საჭიროდ ჩათვალა ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე შემზარავი სიტუაციებისათვის მიეპყრო ყურადღება.

იმავე ხასიათის არგუმენტაციის გათვალისწინებით, რაც გამოყენებული იყო ზემოთ ხსენებული შემთხვევების განხილვისას, იოლია, ვამტკიცოთ, რომ, თუ ადამიანის უფლებათა დარღვევების თვალსაზრისით ჩადენილი ქმედებები, სირთულის მიხედვით, საერთაშორისო დანაშაულებს უტოლდება, მათი სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა მოექცეს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოს იურისდიქციაში, რომელიც „წესების დაცვით არის შექმნილი“, როგორც ეს

<sup>268</sup> იხ.: O'Neill, K.C. (2002) "A New Customary Law of Head of State Immunity?: Hirohito and Pinochet", in *Stanford Journal of International Law*, vol. 38, at 289, გვ. 294.

<sup>269</sup> *Ibid.*

ნახსენებია ვერსალის დასკვნაში, რათა ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებითა და მაქსიმალურად სწრაფად გადაეცეს მართლმსაჯულებას. ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკვე ჩადენილ დანაშაულთა გამოსაძიებლად და სისხლისსამართლებრივი დევნის საწარმოებლად, არამედ ამან შესაძლოა, ასევე დადებითი როლი შეასრულოს პრევენციის კუთხით და ხელი შეუწყოს მომავალში ამგვარი დანაშაულების ჩადენის თავიდან აცილებას. ამ დონისძიებათა მნიშვნელობისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ არაერთხელ დაირღვა სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა სხვა სახელმწიფოთა მხრიდან, იქნებოდა ეს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებითა თუ „გამარჯვებულთა სამართალზე“ ორიენტირებული ტრიბუნალების ორგანიზებით, არალეგიტიმურია იმის მტკიცება, რომ ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად ჩადენილ დანაშაულთან კავშირისა, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა.

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები კიდევ უფრო მეტ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ამ საკითხის ნებისმიერი ეროვნული სასამართლოს მიერ გადაწყვეტა განვიხილოთ როგორც სამართლებრივად, ისე მორალურად გამართლებულად.

მოვლენები, რომლებიც მომდევნო თავშია განხილული, გაცილებით უფრო საკამათოა, ვიდრე ერთი სუვერენული სახელმწიფოს დამნაშაველი დერის მეორე სახელმწიფოს მიერ გასამართლება შეიძლება იყოს. ე.წ. „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ იქნება განხილული იმისათვის, რომ მოხდეს მისი შეპირისპირება სისხლისსამართლებრივ დევნასთან იმუნიტეტების გათვალისწინების გარეშე, და იმის საჩვენებლად, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტს შესაძლოა, უფრო მეტი საფრთხე ემუქრებოდეს, ვიდრე ცალკეული – რაგინდ მაღალ რანგში აყვანილი – დამნაშავეის დასჯაა.

### **6.13 უნივერსალური იურისდიქცია და ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი მცდელობა – ჰუმანიტარული ინტერვენცია?**

ადამიანის უფლებათა მასობრივად დამრღვევი ნებისმიერი დამნაშავეის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის შესაბამისი იურისდიქციის<sup>270</sup> დადგენა უნდა მოხდეს. ამ თავში მოკლედ იქნება მიმოხილული იურისდიქციის თემა, რამდენადაც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა იურისდიქციის კონცეფციასთანაც არის კავშირში: „იურისდიქცია ეხება სახელმწიფოს უფლებამოსილებას, გავლენა მოახდინოს ხალხზე, ქონებასა და ვითარებაზე და ასახავს სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ძირითად პრინციპებს – სახელმწიფოთა თანასწორობასა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობას. იურისდიქცია სახელმ-

<sup>270</sup> სხვადასხვა სახის იურისდიქციათა დეტალური განხილვა ამ ნაშრომის ფარგლებს სცილდება. იხ., ზოგადად: Brownlie, I. (1998) *Principles of Public International Law*, pp.289-299; Bantekas, I. & Nash, S. (2003) *international Criminal Law* გვ. 143-148, გვ. 151-165.



წიგო სუვერენიტეტის სასიცოცხლო და ნამდვილად ცენტრალური მახასიათებელია...<sup>271</sup>

იურისდიქციის ცნება ამ ნაშრომის ინტერესის სფეროში ხვდება და განიხილება ამ თავში იმდენად, რამდენადაც ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულისათვის ნებისმიერ შემთხვევაში „უნივერსალურ იურისდიქციას“ უნდა იყოს დაქვემდებარებული და, ამდენად, სუვერენული იმუნიტეტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამგვარი დანაშაულის ჩამდენი უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალებად. შოუს მტკიცებით, „მართალია, იურისდიქცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ტერიტორიასთან, ის მასთან ექსკლუზიურად არ არის გადაჯაჭვული. მრავალ ქვეყანას აქვს იურისდიქცია იმ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, რომლებიც მათი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იყო ჩადენილი...“<sup>272</sup> შოუ ასევე აცხადებს, რომ „დიპლომატებს, მაგალითად, ფართო იმუნიტეტი იცავს იმ ქვეყნის კანონებისგან, სადაც ისინი მუშაობენ და სახელმწიფოთა მრავალი სუვერენული აქტი არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ან შეიცალოს უცხო ქვეყნის სასამართლოში“<sup>273</sup>

იურისდიქციის ყველა პრინციპს შორის განსაკუთრებით უნივერსალურობის პრინციპია ჩვენი ინტერესის საგანი. უნივერსალური იურისდიქცია<sup>274</sup> „მნიშვნელოვანი ცვლილებების პირასაა,“ – აცხადებს ბრემჰოლი,<sup>275</sup> და აღნიშნავს, რომ „ეს დოქტრინა, ახლა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, საერთაშორისო მართლმსაჯულების განუყოფელი, თუმცა დამატებითი, კომპონენტი აუცილებლად გახდება. ამასთან ერთად, მას სერიოზული წინააღმდეგობები ეღობება, რათა გახდეს სტაბილურად ხელმისაწვდომი მექანიზმი, სამართლიანად და მიუკერძოებლად განხორციელებული.“<sup>276</sup>

ეს სირთულე, ძირითადად, სუვერენული იმუნიტეტის განუხრელ მოშველიებასა და საერთაშორისო ურთიერთობებში მისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლის მინიჭებას უკავშირდება. უნივერსალური იურისდიქცია ამ ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესო კონცეფციაა, რადგან მისთვის მნიშვნელობა არ აქვს დაცვის სხვადასხვა მექანიზმს, და საშუალებას აძლევს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნულ სასამართლოებს, საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი წარუდგინოს მართლმსაჯულებას, მიუხედავად იმისა, რა კავშირი აქვს ჩადენილ დანაშაულს იურისდიქციის განმახორციელებელ სახელმწიფოსთან.

<sup>271</sup> იხ.: Shaw, M.N. (2003) *International Law*, გვ. 572. (ტექსტში ხაზგასმა ავტორისა).

<sup>272</sup> *Ibid.*, გვ. 573.

<sup>273</sup> იხ.: Shaw, M.N. (2003) *International Law*, გვ. 572. (ტექსტში ხაზგასმა ავტორისა).

<sup>274</sup> იხ., მაგალითად: Convention on the Prevention and Punishment of the Crime of Genocide, International Convention against the Taking of Hostages, Convention Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or punishment.

<sup>275</sup> იხ.: Broomhall, B. (2003) *International Justice and The International criminal Court*, გვ. 105.

<sup>276</sup> *Ibid.*

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უნივერსალური იურისდიქცია არ შეიძლება ჩაითვალოს ფართოდ მხარდაჭერილად.

მნიშვნელოვანია ყურადღების მიპყრობა შედარებით ახალჩამოყალიბებული ჰუმანიტარული ინტერვენციის<sup>277</sup> ცნებაზე, რამდენადაც იგი სუვერენული იმუნიტეტის კონცეფციის შემდგომ შესუსტებას უწყობს ხელს, რათა მოხდეს ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებზე რეაგირება ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან მას შემდეგ, რაც ყველა სხვა სამართლებრივი და პოლიტიკური საშუალებების ამოწურვა მოხდება. ითვლება, ეს ახალი კონცეფცია ყალიბდება სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ საერთაშორისო დანაშაულების ჩადენით ადამიანის უფლებათა ისეთი მწვავე დარღვევები ხდება, რომლებშიც ჩარევის უფლება დამნაშავეთა დასასჯელად, თუნდაც ძალის გამოყენებით, საერთაშორისო თანამეგობრობას ეძლევა.

იბადება კითხვა: თუ ჰუმანიტარული ინტერვენციის გამართლება შეიძლება ადამიანის უფლებათა დაცვის სახელით, რა არის ასეთი მიუღებელი საერთაშორისო დანაშაულებთან მიმართებით უნივერსალური იურისდიქციის აღიარებასთან დაკავშირებით? ნაცვლად იმისა, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს უდანაშაულო მოსახლეობისთვის, საერთაშორისო დანაშაულთა ჩადენაში შესაძლო ბრალეულ თავიანთ ლიდერთა გამო, არ დადგეს კიდევ უფრო გამანადგურებელი შედეგები, რატომ არ შეიძლება, ამ ლიდერთა უნივერსალურ იურისდიქციას დაქვემდებარება და მართლმსაჯულებისათვის წარდგენა ნებისმიერ სახელმწიფოში, რომელსაც ეს ფიზიკურად შეუძლია?

ასეთი ცვლილების სარგებელი პრაქტიკულად შემდეგია: სისხლის სამართლის დამნაშავე ლიდერი მიიღებს დამსახურებულ სასჯელს, სისხლისსამართლებრივი დევნა მიზანმიმართულია და ნაცვლად იმ ჯგუფების სიცოცხლისთვის რისკის შექმნისა, რომლებიც უკვე გახდნენ კრიმინალ ლიდერთა მიერ გატარებული პოლიტიკისა თუ ქმედებების მსხვერპლნი, მხოლოდ მათ მოეთხოვებათ პასუხი, ვინც ამას „იმსახურებენ.“ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნაც მიზანმიმართულად განხორციელდება და მსხვერპლთაც ექნებათ შესაძლებლობა, იხილონ, რომ სამართალი აღსრულდება, მაშინ, როდესაც ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება კიდევ უფრო მეტ უდანაშაულო ადამიანს შეიწირავს, იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებიც, შესაძლოა, დამნაშავეთა მსხვერპლნი მანამდე გახდნენ.

ამდენად, კითხვა ისევ კითხვად რჩება: თუ ჰუმანიტარული ინტერვენცია მისაღებია გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევათა მასშტაბები და ფორმები განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რატომ არ შეიძლება, სხვა სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოების მიერ მათი სისხლისსამართლებრივი დევნა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისათვის, ვინც იმუნიტეტებით არიან დაცულნი, განვიხილოთ, როგორც სახელმწიფოთა

<sup>277</sup> თუმცა ეს ცნება ჯერ კიდევ არ არის *a priori* საერთაშორისო სამართლის ნორმად ფართოდ აღიარებული: იხ., მაგ.: “Kosovo: House of Commons Foreign Affairs Committee 4th Report, June 2000”, in *ICLQ* (2000), vol.49(4), გვ. 876-943.

სუვერენული თანასწორობის არდამრღვევი და, შესაბამისად, გახდეს შესაძლებელი, მოეხსნათ იმუნიტეტები მათ, ვინც საკუთარი ქმედებებით ამას იმსახურებენ, მიუხედავად მათი რანგისა?

თუ არსებობს იმის რისკი, რომ მოხდება პოლიტიკური უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და თუ სახელმწიფოები საჭიროებენ მიუკერძოებლობის მეტ გარანტიებს, ვიდრე ეს შეიძლება გარანტირებული იყოს რომელიმე სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოების მიერ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო შეიძლება აღიჭურვოს უფლებამოსილებით, მიიღოს გადაწყვეტილება დამნაშავე ლიდერებთან და მათ მიერ შექმნილ სიტუაციებთან დაკავშირებით, და ცნოს ისინი „საერთაშორისო იურისდიქციას“ დაქვემდებარებულად, რადგან მათი ქმედებები იწვევს ადამიანის უფლებათა სასტიკ დარღვევებს, რაც, თავის მხრივ „საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.“

რაც არ უნდა იყოს ჰუმანიტარული ინტერვენციის დასაბუთების უკან მდგარი მოტივაცია და მისი გამართლება, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი იურისდიქციის რომელიმე აღიარებულ კონცეფციას შეესაბამება. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ კონცეფციის სავარაუდო შემდგომი განვითარებითა და მისი საერთაშორისო სამართლის აღიარებულ წესად ჩამოყალიბების შემთხვევაში, თუნდაც მისი გამოყენება მხოლოდ ძალიან გამონაკლის შემთხვევებში მოხდეს, თითქოს ის ნაკლებად დააზარალებს სახელმწიფო სუვერენიტეტს, ვიდრე დამნაშავეს სტატუსზე ყურადღების მიქცევის გარეშე საერთაშორისო დანაშაულისათვის უნივერსალური იურისდიქციის განხორციელება. საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების სამართლის განვითარება ცხადყოფს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების პროგრესული განვითარების საჭიროებას.

ამდენად, ჰუმანიტარული ინტერვენციის განვითარებადი კონცეფციიდან მომდინარე მინიშნება, – რომ ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები, შესაძლოა, საკმარისი მიზეზი იყოს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის გაუთვალისწინებლობისა და შესაძლო გახდეს ქვეყნის, ერთი შეხედვით, „საშინაო“ საქმეებში ჩარევა, – შეიძლება გამოდგეს დასკვნისათვის, რომ ადამიანის უფლებათა კონცეფციის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აბსოლუტურად შესაძლებელი იყოს საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი, თუნდაც უმაღლესი თანამდებობის, პირების უნივერსალური იურისდიქციისათვის დაქვემდებარება, იმ შესაძლებლობებთან ერთად, რომლებიც უკვე არსებობს, მათ შორის სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ე.წ. „კომპლემენტარობის“ პრინციპის<sup>278</sup> გამოყენებით, საერთაშორისო სისხლის სასამართლოს<sup>279</sup> მიერ.

<sup>278</sup> კომპლემენტარობის პრინციპთან დაკავშირებით ზოგადად იხ.: Simpson, G. (2004) "Politics, Sovereignty, Remembrance" in: McGoldrick, D & et al (ed.), *The Permanent International Criminal Court: Legal and Policy Issues*, გვ. 55.

<sup>279</sup> იხ.: Rome Statute of the International Criminal Court, მუხლი მე-17; ეს პრინციპიც გულისხმობს სუვერენული იმუნიტეტების მხარდაჭერას. ამდენად, არგუმენტი, რომლის

შეიძლება დავასკვნათ: თუ არსებობს რეალური პოლიტიკური ნება და საერთაშორისო დანაშაულის შემადგენელი ადამიანთა უფლებების სასტიკი დარღვევისგან დასაცავად რეალური მზაობა, აუცილებლად მოიძებნება სუვერენული იმუნიტეტისა და სუვერენული თანასწორობის ცნებათა დაცვის ლაბირინთიდან გამოსვლის გზები და საერთაშორისო დანაშაულების ჩამდენთა მართლმსაჯულებისათვის დამსახურებისამებრ წარდგენის შესაძლებლობა, რათა მოხდეს მართლმსაჯულების ინტერესების განხორციელება, მომავალი დანაშაულების თავიდან აცილება, თუნდაც იმისთვის, რომ გადარჩენილ მსხვერპლთ მიეცეთ მცირეოდენი იმედი მაინც მომავლისა.

#### **6.14 განსახილველი თემის ჭრილში რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ პინოჩეტის საქმესთან დაკავშირებით?**

ნაშრომის შეხლულული ფორმატის გამო, საქმის<sup>280</sup> მოკლე რეზიუმეთი შემოვიფარგლებით. საქმე შეიქმნა შემდეგი მოსაზრებით: *პინოჩეტის* საქმე აღიარებულია პირველ – პრეცედენტის შემქმნელ – საქმედ, რომლითაც ეროვნულ სასამართლოს იურისდიქციის განხორციელების ნება მიეცა, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს არ ჰქონდა არანაირი კავშირი ჩადენილ დანაშაულებთან და როდესაც არ მოხდა სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის იმუნიტეტის გათვალისწინება მის მიერ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ყოფნისას საერთაშორისო დანაშაულების ჩადენასთან დაკავშირებით.

ლორდთა პალატამ მიიჩნია, რომ დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც არ უნდა ხვდებოდეს იმ ქმედებათა ჩამონათვალში, რომელთა მიმართ სუვერენული იმუნიტეტის გავრცელება ჯერ კიდევ შესაძლებელია, არის წამება – აქტი, რომელიც იმდენად სასტიკია, რომ მისი ჩამდენის დასჯა ნებადართული უნდა იყოს უნივერსალური იურისდიქციის გამოყენებით. მიუხედავად ამისა, ლორდთა პალატის გადაწყვეტილება ძალიან ლიბერალური და თავშეკავებული იყო.<sup>281</sup> ის მაინც შეიძლება ჩაითვალოს როგორც სახელმწიფოზე, და არა ადამიანის უფლებებზე, ორიენტირებულ გადაწყვეტილებად. „მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, ისე ჩანს, თითქოს მოსამართლეებმა არ გაითვალისწინეს და პატივი არ სცეს ჩილეს სუვერენიტეტს, რადგან მათ უარყვეს იმუნიტეტი, მისი აშკარა მოხსნის გარეშე, თითოეულ მოსამართლეს

---

თანხმად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს უპრეცედენტო უნივერსალური იურისდიქცია აქვს, უნდა უარიყოს.

<sup>280</sup> იხ.: Pinochet House of Lords, Regina v. Bartle and the Commissioner of Police for the Metropolis and Other (Appellants), Ex Parte Pinochet (Respondent) (Second Appeal hearing from a Divisional Court of the Queen's Bench Division holding that former heads of state are entitled to immunity), House of Lords, 24 March 1999

<sup>281</sup> იხ., ზოგადად: Horowitz, J. Regina v. Bartle and the Commissioner of Police for the Metropolis and Others Ex Parte Pinochet: Universal Jurisdiction and Sovereign Immunity for Jus Cogens Violations in Fordham International Law Journal vol.23, გვ. 489-527; O'Neill, K.C. "A New Customary Law of Head of State Immunity?: Hirohito and Pinochet", in Stanford Journal of International Law (2002), vol. 38, at 289, გვ. 317.

კარგად ესმოდა სუვერენიტეტის საკითხი და იმუნიტეტის გათვალისწინებაზე უარი გაამართლეს იმით, რომ კონვენციაზე ხელის მოწერით ჩილემ უარი თქვა მასზე.<sup>282</sup> ლიტერატურაში ასევე შევხვდებით მოსაზრებას, რომლის თანახმად, „*პინოჩეტის* გადაწყვეტილება უჩვენებს პოლიტიკისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მდგრად ძალაუფლებას თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში.“<sup>283</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე საინტერესოა იმდენად, რამდენადაც *პინოჩეტის* საქმის პირველად განხილვისას მოსამართლეთა უმრავლესობამ დაადგინა: „საერთაშორისო სამართალმა ნათელი გახადა ის, რომ გარკვეული სახის ქმედებები, მათ შორის წამება და მძევლად ხელში ჩაგდება ყოველმხრივ და ყველასთან მიმართებით მიუღებელი ქმედებებია. ეს ეხება სახელმწიფოს მეთაურებს ზუსტად ისევე, ან კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ნებისმიერ სხვას; საწინააღმდეგო დასკვნა საერთაშორისო სამართალს მოჩვენებით გახდიდა.“<sup>284</sup> *პინოჩეტის* საქმის მესამედ განხილვისას ლორდთა პალატის მოსამართლეთა უმრავლესობამ – ექვსი ერთის წინააღმდეგ – დაადგინა, რომ *პინოჩეტს* არ შეეძლო იმუნიტეტის მოშველიება წამების კონვენციის<sup>285</sup> საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასარიდებლად.

*პიტერ კარტერი* სვამს კითხვას: „შეიძლება თუ არა ითქვას, რომ *პინოჩეტის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად აღმოცენდა ზოგადი საერთაშორისო სამართლის ურყევი ნორმა, რომელიც არ შეესაბამება ნებისმიერ აქამდე დადებულ ხელშეკრულებაში არსებულ დიპლომატიურ იმუნიტეტებს, იმდენად, რამდენადაც ისინი ვრცელდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე?“ და მისი პასუხი ზედმიწევნით ლაკონიურია: „შესაძლოა“.<sup>286</sup> როგორც *ქრისტინ ჩინკინი* მართებულად აღნიშნავს, „იმუნიტეტის უარყოფა... რომელზეც აპელირება კეთდება სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის მიერ ოფიციალურად ჩადენილ წამების ფაქტებთან დაკავშირებით, საერთაშორისო სამართლის ორ ხედვას შორის არჩევანს წარმოადგენს: ჰორიზონტალურ სისტემასა, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობაზეა დაფუძნებული, და ვერტიკალურ სისტემას შორის, რომელიც *jus cogens* ნორმებს, როგორცაა ადამიანის ძირითადი უფლებები, იცავს. არჩევანი მარტივი არ იყო.“<sup>287</sup>

რადგან სუვერენული იმუნიტეტების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია, ამ თემასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს. „*პინოჩეტის* საქმეზე ლორდთა პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კრიტიკული განხილვისას *ჰენრი კისინჯერი* საუბრობს მოსამართლეთა ტირანიაზე, რამაც მთავრობის ტირანია შეცვალა,

<sup>282</sup> *Ibid.*, გვ. 316.

<sup>283</sup> *Ibid.*, გვ. 291.

<sup>284</sup> იხ.: *Ex parte Pinochet* (No.1), [1999] 1 A.C. at 109.

<sup>285</sup> იხ.: Convention Against Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or punishment.

<sup>286</sup> იხ.: Carter, P. (2002) “*International Criminal Law and Human Rights*” in: Butler, F.(ed.), *Human Rights Protection: Methods and Effectiveness*, გვ. 145.

<sup>287</sup> იხ.: Chinkin, C. M. “*United Kingdom House of Lords, (Spanish Request for extradition). Regina v. Bow Street Stipendiary Magistrate, Ex parte Pinochet Ugarte* (No.3).[1999] 2 WLR 827”, in *American Journal of International Law* (1999) vol.93, at 703, გვ. 711.

ასევე პროკურორულ დისკრეციაზე, ანგარიშვალდებულების გარეშე, და აფრთხილებს, რომ „ისტორიულად ბრძენთა დიქტატურა ხშირად ინკვიზიციებითა და ჯადოქრებზე ნადირობით სრულდებოდა.“<sup>288</sup>

ამ ნაშრომის მიზნებისთვის საინტერესო კიდევ ერთი – *ეროდიას*<sup>289</sup> – საქმის განხილვისას იანგი შენიშნავს, რომ „საგარეო საქმეთა მოქმედი მინისტრების სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისგან აბსოლუტური იმუნიტეტებით დაცვისა და ხელშეუხებლობის განმტკიცებისას სასამართლომ თავი აარიდა ბელგიის მიერ უნივერსალური იურისდიქციის სავარაუდო განხორციელების კანონიერების შესახებ პოზიციის გამოხატვას. თუმცა სასამართლო იმუნიტეტის საკითხის განხილვას მიუდგა იმის აღიარებით, რომ ბელგიას ჰქონდა საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული უნივერსალური იურისდიქცია. როგორც საქმემ ცხადყო, საერთაშორისო სამართალში უნივერსალური იურისდიქცია განპირობებულია გარკვეული წესებით, რომელთა შორის აღსანიშნავი იმუნიტეტის წესია.“<sup>290</sup>

ისიც აღინიშნა: „პრობლემა ისაა, ...რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სერიოზული გაურკვეველობაა სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა იმუნიტეტებთან დაკავშირებით.“<sup>291</sup> ეს გაურკვეველობა ადამიანის უფლებათა დაცვის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, სახელმწიფოთა იძულებით, უარი თქვან საკუთარ ეგოისტურ განწყობებზე, დაცულნი იყვნენ სისხლისსამართლებრივი დევნიდან. ადამიანის უფლებათა დაცვას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ დანაშაულებთან მიმართებით, რომლებსაც „საერთაშორისო“ ეწოდებათ. შესაბამისად, საერთაშორისო დანაშაულთა სისხლისსამართლებრივი დევნის პრინციპი უნდა იქნეს აღიარებული უნივერსალური იურისდიქციის პრინციპის პარალელურად და ყველა სახელმწიფო უნდა იყოს უფლებამოსილი, განახორციელოს საკუთარი იურისდიქცია ამგვარი დანაშაულების ჩამდენთა მიმართ, მიუხედავად იმისა, რა სტატუსით სარგებლობს დამნაშავე, ან არის თუ არა რაიმე კავშირი ჩადენილ დანაშაულსა და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ სახელმწიფოს შორის.

სამწუხაროდ, ვითარება ჯერჯერობით არ არის ასეთი და, როგორც *ფოქსი* შენიშნავს: „სახელმწიფოს მოქმედ მეთაურთა სისხლისსამართლებრივი იურისდიქციისგან აბსოლუტური იმუნიტეტი და მათთვის მინიჭებული პერსონალური ხელშეუხებლობა, ...როგორც ჩანს, ზოგადად შეესაბამება თანამედროვე სახელმწიფო პრაქტიკას.“<sup>292</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით განმტკიცებული იმუნიტეტები, მათ შორის უცხო ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრე-

<sup>288</sup> იხ.: Fox, H. *The Resolution of the Institute of International Law on the Immunities of Heads of State and Government*, International and Comparative Law Quarterly, (January 2002) vol. 51, გვ. 119.

<sup>289</sup> იხ.: Case Concerning The Arrest Warrant of 11 April 2000 (Democratic Republic of The Congo v. Belgium), International Court of Justice, 14 February, 2002.

<sup>290</sup> იხ.: Yang, X. “Immunity for International Crimes: A Reaffirmation of Traditional Doctrine”, in Cambridge Law Journal, (July 2002), vol.61, part 2, at 239; გვ. 245.

<sup>291</sup> იხ.: 288-ე სქოლიო, *supra*, გვ. 124.

<sup>292</sup> *Ibid.*, გვ. 125.

ბისათვის, ჯერ კიდევ საჭკვოდ რჩება უცხო ქვეყნების სასამართლოების წინაშე, მაშინაც კი, როდესაც ეს სასამართლოები გაფართოებულ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას ახორციელებენ გარკვეულ სერიოზულ დანაშაულთა პრევენციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე, სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციის საფუძველზე.<sup>293</sup>

სასამართლომ „დაასკვნა, რომ იმუნიტეტი დაუსჯელობას არ ნიშნავს.“ თუმცა, სამწუხაროდ, ეს არის ზუსტად, რასაც ის გულისხმობს. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩამოთვლილი ოთხი საფუძველი<sup>294</sup> თითქმის ყოველთვის უმოქმედოა. როგორც *იანგი* განმარტავს, „უნივერსალური იურისდიქციის უცხო სახელმწიფოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ განსახორციელებლად, რომელიც სახელმწიფო იმუნიტეტით შეიძლება სარგებლობდეს, ეროვნულმა სასამართლომ ორი პირობა უნდა დააკმაყოფილოს: პირველ რიგში, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სასამართლოს უნივერსალური იურისდიქცია უნდა ჰქონდეს და, მეორე, უცხო სახელმწიფო ან პიროვნება არავითარ შემთხვევაში არ უნდა სარგებლობდეს იმუნიტეტით.“<sup>295</sup> პრობლემა სწორედ ესაა.

სამართალი და სახელმწიფო პრაქტიკა იმგვარად უნდა განვითარდეს, რომ მოხდეს იმ პრინციპის გადაწონა, რომლის თანახმად, სხვა სახელმწიფოთა მაღალი რანგის სახელმწიფო თანამდებობის პირები იყენებდნენ იმუნიტეტს, როგორც საფარს, საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის თავიდან ასაცილებლად, მაშინ, როდესაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჩამოთვლილი ოთხი გარემოება პრაქტიკაში არ მოქმედებს და დამნაშავენი დაუსჯელნი რჩებიან ადამიანის უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერსალის ხელშეკრულებამ დაუშვა შესაძლებლობა, მომხდარიყო განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა ჩადენაში ჩართული სახელმწიფო მეთაურის დასჯა. *პინოჩეტის* საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე შეზღუდულია დასკვნების კუთხით, უნდა ჩაითვალოს როგორც უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეთა და უმაღლესი თანამდებობის პირთა დაუსჯელობის წინააღმდეგ მიმართული პრეცედენტის შემქმნელი საქმე. თუმცა საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ დამნაშავე ლიდერთა ნებისმიერ ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი დევნის კონცეფცია – არ მიეცეთ შესაძლებლობა, დაუსჯელობით ისარგებლონ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულსა და მოცემულ სახელმწიფოს შორის რაიმე სახის კავშირი – უნდა დაფუძნდეს როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა და სახელმწიფოებს არ უნდა შეეძლოთ საკუთარი სუვერენული იმუნიტეტების წინ წამოწევა მათი დამნაშავე ლიდერების სხვა სახელმწიფოების მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში. ვერსალის ხელშეკრუ-

<sup>293</sup> იხ.: 290-ე სქოლიო, *supra*, გვ. 244.

<sup>294</sup> იხ.: 289-ე სქოლიო, *supra*, § 61.

<sup>295</sup> იხ.: Yang, X. “Immunity for International Crimes: A Reaffirmation of Traditional Doctrine”, in Cambridge Law Journal, (July 2002), vol.61, part 2, at 239; გვ. 245.

ლებამ და ნიურნბერგის სასამართლო პროცესებმა ამის რეალობად ქცევის კარგი საფუძველი შექმნეს. ახლა, როდესაც საკმაოდ დრო გავიდა და ადამიანის უფლებათა სამართალი საკმაოდ კარგად განვითარდა საიმისოდ, რომ დაიცვას ადამიანები მასობრივი უფლებების დარღვევებისგან, რომელთაც საკუთარი ან სხვა სახელმწიფოების დამნაშავე ლიდერები ჩადიან, სამართლიანობის მოთხოვნა არ შეიძლება დაიხრდილოს სუვერენული იმუნიტეტების აბსოლუტური დაცვის უკვე მოძველებული კონცეფციით. მანამ, სანამ ჰუმანიტარული ინტერვენცია საერთაშორისო სამართლის საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ნორმად იქცევა, გაცილებით უპრიანი და პრაქტიკული იქნებოდა მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულებზე უნივერსალური იურისდიქციის გავრცელება და მათთვის შეძლებისდაგვარად ნაკლები შესაძლებლობის მიცემა, ამოეფარონ იმუნიტეტის დამცავ სისტემას.

### **6.1.5 იმუნიტეტები კვლავაც უნდა უშლიდნენ ხელს საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისას ადამიანის უფლებათა დაცვას?**

წინა ქვეთავებში ნაჩვენები იყო, რომ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის დაცვა და სუვერენული იმუნიტეტების ხელშეუხებლობა მე-20 საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვან შეზღუდვებს განიცდიდა. ადამიანის უფლებათა სამართლის განვითარებამ ამ სფეროში მნიშვნელოვან ცვლილებებს მისცა ბიძგი და წარმოშვა საჭიროება, სამართლის განვითარებასთან ერთად ადამიანის უფლებათა სერიოზული მასშტაბური დარღვევებისგან დაცვის მექანიზმები უფრო მეტად განვითარდეს, და სახელმწიფოებმა აღიარონ უფლებამოსილების, გავლენისა და სახელმწიფო აპარატის ბოროტად გამოყენებით ადამიანის უფლებათა შემზარავი დარღვევების ჩამდენ დამნაშავე ლიდერთა დასჯის მნიშვნელობა.

თუ ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლება შეიძლება აღიარებულ იქნეს გამოსაყენებლად ვარგის ინსტრუმენტად, მაშინ, როდესაც ადამიანის უფლებათა დარღვევის დონე წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევს, საერთაშორისო სამართალი უნდა უშვებდეს სუვერენული იმუნიტეტის დარღვევის შესაძლებლობას და სახელმწიფოთა მოქმედი ხელმძღვანელების, ისე როგორც იმუნიტეტით დაცული სხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირების, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამართალი უნდა განვითარდეს იმდენად, რომ მოხდეს ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაშვება, თუნდაც საერთაშორისო დანაშაულებისათვის, მოხდეს უნივერსალური იურისდიქციის ქვეშ და არ მიეცეთ დამნაშავე ლიდერებს საშუალება, თავი დააღწიონ მართლმსაჯულებას და ეძიონ უსაფრთხო თავშესაფარი, მაშინ, როდესაც შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი დამნაშავეები სასჯელს იღებენ.

შეიძლება დაისვას კითხვა – არის თუ არა რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც უფლებამოსილება აქვს, *ratione personae* იმუნიტეტი მოუხსნას სავარაუდო დამნაშავეს? გაერთიანებული



ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს შესაძლოა, ჰქონდეს ასეთი უფლებამოსილება.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, უშიშროების საბჭოს, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, აქვს მანდატი, განიხილოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევის, საფრთხის შექმნისა და მათი დარღვევის შემთხვევები. ისინი შესაძლოა, ხშირად სწორედ სერიოზულ დანაშაულებს უკავშირდებოდეს.“<sup>296</sup> ნიურნბერგის ტრიბუნალმა აღიარა ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევისათვის ყველა სახის პოლიტიკური ლიდერის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი.

გაეროს უშიშროების საბჭოს შემდგომმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული გარკვეული სიტუაციები აღიარებულ იქნა როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემქმნელი და საერთაშორისო ტრიბუნალებიც ჩამოაყალიბა გაერომ, რათა მომხდარიყო ცალკეულ სახელმწიფოთა ლიდერების გასამართლება, მიუხედავად მათი სხვა სახელმწიფოებთან სუვერენული თანასწორობისა.

იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭო გადაწყვეტს, რომ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნა ან მათი დარღვევა გამოწვეულია მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა ქმედებებით, რომლებიც იმავდროულად ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი სასტიკი დარღვევების გამომწვევი მიზეზიცაა, სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად, უშიშროების საბჭოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გამოაცხადოს, რომ დამნაშავე ლიდერები ხვდებიან უნივერსალური იურისდიქციის ქვეშ და დასაშვებია მათი სისხლისსამართლებრივი დევნა ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოს მიერ საერთაშორისო დანაშაულთა ჩადენისათვის. უშიშროების საბჭოს შესაძლებლობა აქვს, ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანოს მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი ჯერ კიდევ პოსტზე იმყოფებიან.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება აღიარებს ამგვარ ლიდერთათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის შესაძლებლობას, რათა მოხდეს მათი საერთაშორისო დანაშაულის ჩადენისათვის გასამართლება. ამდენად, დასკვნა, რომლის თანახმად, საერთაშორისო დანაშაულთა ჯგუფს მიკუთვნებულთა მიმართ უნივერსალური იურისდიქციის აღიარება უნდა მოხდეს, რის საფუძველზეც მსოფლიო საზოგადოებრიობას ადამიანის უფლებათა მასობრივი და სასტიკი დარღვევების ჩადენაში დამნაშავე ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლების საშუალება უნდა მიეცეს, და ამ პროცესში გაეროს უშიშროების საბჭო (როგორც პოლიტიკური ორგანო) და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო (როგორც სასამართლო ორგანო) შეიძლება კარგად იყვნენ გამოყენებულნი, როგორც ბალანსის დამცველი საერთაშორისო ორგანოები, რომელთაც შესაძლებლობა

<sup>296</sup> იხ.: Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ. 3.

აქვთ, გააკონტროლონ სახელმწიფოთა შორს სუვერენული თანასწორობის დაცვა და ამავდროულად უზრუნველყონ, ყველაზე შემზარავ დანაშაულთა ჩამდენები, სამართლებრივი ხარვეზებისა და შეზღუდვების გამო, დაუსჯელნი არ დარჩნენ.

ამდენად, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა, სახელმწიფოების მეთაურთა და სხვა მაღალი რანგის პოლიტიკის განმსაზღვრელ თანამდებობის პირთა იმუნიტეტი არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნდა იწყნარებდნენ და ნებას რთავდნენ ადამიანის უფლებათა აშკარა და სასტიკი ფართომასშტაბიანი დარღვევის ჩადენას.

როდესაც ადამიანური ტრაგედია წარმოუდგენელ მასშტაბებს აღწევს, ჰუმანიტარული ინტერვენციის თეორიის ჩამოყალიბებისა და მისი სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის დამკვიდრების ნიშნები შეიმჩნევა; ყველაზე სასტიკ დანაშაულებთან მიმართებით უნივერსალური იურისდიქციის პრინციპის არსებობის პირობებში ნებისმიერი სახელმწიფოს უფლება, გაასამართლოს უმაღლესი რანგის მოხელეები, აღიარებულ უნდა იქნეს სამართლის საფუძვლიანად განმტკიცებულ პრინციპად და მისი დაცვა საჭიროა ყოველთვის, რათა მოხდეს სამართლიანობის პრინციპების განხორციელება და უფლებათა დაუმსახურებელი დარღვევისაგან ათასობით ადამიანის დაცვა.

ადამიანის უფლებათა დაცვის იდეა უკვე გადასცდა ერთი კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრებს და ფართო საერთაშორისო საზოგადოების განსჯისა და წუხილის საგნად იქცა. ადამიანის უფლებათა სასტიკი ფართომასშტაბიანი დარღვევების თავიდან აცილება და მსხვერპლთა დაცვა განსაკუთრებით მიმზიდველია, დიდ ადგილს იკავებს პოლიტიკური ლიდერების გამოსვლებში და ყოველის შემძლეა პოლიტიკური პროგრამების დეკლარირებული ნაწილი მაინც გახდა. ტექნიკურ პრობლემებთან ერთად, რაც დამნაშავე ლიდერთა დაკავებასა და მათ მიერ სასჯელის მოხდას უკავშირდება, დაუშვებელია დამატებითი ბარიერებისა და ლიმიტირების შემოღება, რაც ადამიანის უფლებათა სასტიკი მასობრივი დარღვევების ჩამდენი უმაღლესი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივ დევნას ხელს შეუშლის. და, საერთოდ, რომელიმე იმუნიტეტი ღირს კი ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების მსხვერპლთა გოდებად? ადამიანის უფლებათა სფეროში დაუშვებელია მხოლოდ დაბალი რანგის დამნაშავეთა დასჯა და მათი, ვინც გეგმავს და მართავს ადამიანის უფლებათა მასობრივ სასტიკ დარღვევებს, თავისუფლად დატოვება და იმის საშუალების მიცემა, რომ მოიშველიონ იმუნიტეტი, როგორც არგუმენტი, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა, ამავდროულად, იმუნიტეტებით დაცულ ადამიანთა ჯგუფი შეიძლება გაფართოვდეს, თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, რასაც შედეგად შესაძლოა მოჰყვეს დამნაშავეთა გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც შეეცდებიან, თავი შეაფარონ სუვერენიტეტის ცნებას იმ დროს, როდესაც ყველაზე სასტიკ დანაშაულთა საპასუხოდ ჰუმანიტარული ინტერვენცია

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნაწილად ჩამოყალიბებული შეიძლება გახდეს.

მსოფლიოში დღეს, როცა ადამიანის უფლებათა დაცვა აღარ არის მიხეული სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმედ, როცა არჩევნებს აკვირდებიან საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციებს ნებისმიერი სახელმწიფოს სასჯელადსრულების დაწესებულებების საკნებამდეც შეუძლიათ მიღწევა, სახელმწიფო იმუნიტეტისა და ადამიანის უფლებათა სასტიკი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფო მოხელეების ხელშეუხებლობა არ უნდა რჩებოდეს ნებისმიერი სახელმწიფოს კონტროლს გარეთ და მხოლოდ ერთი კონკრეტული სუვერენული სახელმწიფოს კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც, სავარაუდოა, არაფერს გააკეთებს, რათა საკადრისად მიხედოს ამ შემთხვევას.

ადამიანის უფლებათა სასტიკი მასობრივი დარღვევები უნდა ისჯებოდეს. ამისთვის საკმარისი არ იქნება მხოლოდ *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალები. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „კომპლემენტარობის“ პრინციპს თავისი უარყოფითი მხარეები აქვს. ამდენად, ყველაზე უფრო შემზარავი – ანუ საერთაშორისო დანაშაულების მიმართ უნივერსალური იურისდიქციის აღიარება – უნდა მივიჩნიოთ გამოსავლად, რათა გარდაუღვად იქნეს მიღწეული მათი დასჯა, ვინც ამას იმსახურებს. დასასჯელნი უნდა დაისაჯონ და სახელმწიფო იმუნიტეტი არ შეიძლება ურცხვად იყოს გამოყენებული დამსახურებული სასჯელის თავიდან ასარიდებლად.

ამ თავში განხილული საკითხი უმნიშვნელოვანესია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებით. ის, რომ *პინოჩეტის* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების პრინციპის რომის სტატუტის 98-ე მუხლთან მიმართებით გამოყენება უნდა მოხდეს და, შესაბამისად, როგორც *სარუში* აღნიშნავს, ამგვარი მიდგომა 98-ე მუხლის ჭრილში უნდა ნიშნავდეს: სასამართლოს მიერ პირის ბრალდების გამომწვევი ქმედებები იმგვარია, რომ ისინი არ აძლევენ პირს საშუალებას, ამოეფაროს სახელმწიფო თუ დიპლომატიურ იმუნიტეტს, რადგან ეს არ არის „ოფიციალური აქტი“... და პირის დაკავებისა ან ექსტრადიციის შუამდგომლობის დამაკმაყოფილებელი სახელმწიფო, 98-ე მუხლის შესაბამისად, არ დაარღვევს დიპლომატიური სამართლით დადგენილ ნორმებს. თუმცა, *სარუში* იქვე დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ ეს წესი, *პინოჩეტის* საქმეზე გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მხოლოდ შესაბამისი იმუნიტეტებით დაცულ ყოფილ სახელმწიფო მეთაურებსა და *mutatis mutandis* ყოფილ ელჩებზე ვრცელდება.<sup>297</sup> ამგვარ შემთხვევებში, მოქმედ სახელმწიფო მეთაურებთან მიმართებით, უშიშროების საბჭოს როლი, შესაძლოა, განუზომლად დიდი იყოს სასამართლოსთვის დახმარების გაწევაში.

<sup>297</sup> იხ.: Sarooshi, D. (1999) *The Statute of the International Criminal Court in The International and Comparative Law Quarterly*, ტომი 48, № 2 (აპრილი, 1999), გვ. 387-404.

**6.2 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლთა სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა – ფიქტიური თუ რეალური მექანიზმი?**

“არასდროს უნდა დაგეგვიწყდეს, რომ დღეს ჩვენ მიერ ამ განსასჯელების გასამართლების აღწერა შექმნის იმ ჩანაწერს, რომლის მიხედვით ხვალ ჩვენ ისტორია განგვსჯის. ამ ბრალდებულებისთვის მოწამლული თასის მიწოდება ჩვენს პირებთან მის მიტანას უდრის. ჩვენი ამოცანის გადასაჭრელად იმგვარი მიუკერძოებლობისა და ინტელექტუალური პატიოსნების მობილიზება უნდა მოვახდინოთ, რომ ამ სასამართლო პროცესმა შეძლოს შთამომავლების წინაშე თავის მოწონება; როგორც კაცობრიობის მოწოდების შემსრულებელმა, ადასრულოს მართლმსაჯულება.“  
ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დანიშნული მთავარი პროკურორი ნიურნბერგის ტრიბუნალზე, მოსამართლე რობერტ ჰ. ჯექსონი<sup>298</sup>

ნიურნბერგის ტრიბუნალზე აშშ-ის მთავარი პროკურორის, რობერტ ჰ. ჯექსონის ზემოთ ციტირებული გამონათქვამის ჭრილში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის დებულებები სამართლიანობის აღდგენისა და სიმართლის დადგენის კვალდაკვალ სისხლის სამართლის *ad hoc* ტრიბუნალებისთვის უცნობ და ახალ წესს ამკვიდრებს. ეს ახალი წესი მართლმსაჯულების აღსრულების სახელით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების მსხვერპლთა სასამართლოს მიერ საქმისწარმოების პროცესში ფართო მონაწილეობას გულისხმობს.

მე-20 საუკუნის განმავლობაში საერთაშორისო სამართლის, კერძოდ კი საერთაშორისო სისხლის სამართლის, განვითარების ისტორიამ განაპირობა ის, რომ რომის სტატუტში, და მათ შორის მის პრეამბულაში<sup>299</sup>, მსხვერპლთა, მათ შორის მამაკაცების, მოხსენიება ხაზგასმით გვხვდება.

რომის კონფერენციაზე სასამართლოს სტატუტის პროექტის საბოლოო ვერსიის დებულებების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება მოხდა. ესპანეთის წინადადებით, 1998 წლის 25 ივნისს სტატუტის პრეამბულის გაფართოება იყო შეთავაზებული.<sup>300</sup> პრეამბულის არსებული სამი დებუ-

<sup>298</sup> იხ.: "Second Day, Wednesday, 11/21/1945, Part 04", in Trial of the Major War Criminals before the International Military Tribunal. Volume II. Proceedings: 11/14/1945-11/30/1945. [Official text in the English language.] Nuremberg: IMT, 1947. გვ. 98-102. Justice Jackson's Opening Statement for the Prosecution: [www.yale.edu/lawweb/avalon/imt/proc/11-21-45.htm](http://www.yale.edu/lawweb/avalon/imt/proc/11-21-45.htm). ნანახია: 12/03/2009.

<sup>299</sup> „ყურადღებით იღებს რა მხედველობაში, რომ ამ საუკუნის მანძილზე მილიონობით ბავშვი, ქალი და მამაკაცი გახდა კაცობრიობის სინდისის ღრმად შემადრწუნებელი წარმოუდგენელი სისასტიკის მსხვერპლი.“ [ხაზგასმა ავტორისა]იხ.: რომის სტატუტი, პრეამბულა, მეორე აბზაცი.

<sup>300</sup> იხ.: Triffterer, O. (2008) "Preamble" in Triffterer, O. (ed.), "Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers' Notes, Article by Article", გვ. 3.

ლების ნაცვლად ესპანეთის წინადადება რვა ნორმას ითვალისწინებდა, იმგვარი ასპექტების ხაზგასმით, როგორცაა *მსხვერპლთა ტანჯვის გახსენება* [ხაზგასმა ავტორისა] ..., ასევე, ხაზგასმით იმისა, რომ „ეს სტატუტი არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული იმგვარად, რაიმე ფორმით გაეროს ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილების შესახებ [გაეროს] წესდების დებულებების სფეროზე გავლენა იყოს შესაძლებელი.“

მსხვერპლის სტატუსის გამტკიცება რომის სტატუტში ემყარება აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციასაც, რომელიც „მოიცავს მსხვერპლს, დამნაშავეს და საზოგადოებას, აღდგენის, შერიგებისა და ხელახალი დარწმუნების ძიებაში.“<sup>301</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტში განსაზღვრული მსხვერპლის დეფინიცია გაცილებით ფართოა, ვიდრე გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის ტრიბუნალების წესდებებით გათვალისწინებული „მსხვერპლის“ ცნებები.

ამ კონტექსტში უპრიანია იმის მოკლედ აღნიშვნა, რომ სისხლის სამართლის პროცესის წარმოების ეფექტურობა და სამართლიანობა იზომება როგორც დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილისა თუ ბრალდებულის, ისე დანაშაულის ჩადენით დაზარალებულის უფლებების დაცვისა და სისხლის სამართლის პროცესში თანაბარი უფლებებით მონაწილეობის უზრუნველყოფით. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ანალიზი, თუ როგორ უნდა შენარჩუნდეს ბალანსი ამ ორი სიკეთის დაცვისას? რამდენად რეალურია ყველა მსხვერპლის სასამართლოს მიერ საქმისწარმოების ყველა ეტაპზე<sup>302</sup> ფართო მონაწილეობა თანაბრად, როდესაც საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობასთან გვაქვს საქმე?

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე მდგარი გამოწვევების სიაში ერთ-ერთი პრინციპული საკითხი გახლავთ ის, თუ როგორ მოახერხებს სასამართლო რომის სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლებთან/დაზარალებულებთან ურთიერთობას, მათი საქმისწარმოებაში ფართოდ ჩართვის კუთხით.

თუმცა, ამავე დროს, კიდევ ერთი კითხვა იბადება: მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებისთვის რამდენად ხელსაყრელია მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში ჩართულობის მაქსიმალური გაფართოება, იმის გათვალისწინებით, თუ რა განაპირობებს სამართლიანი, დროში ეფექტურად წარმოებული სისხლის სამართლის პროცესის წარმართვას, რომელიც ამავედროულად შეჯიბრებითობის პრინციპსაც არ უნდა გამოირიცხავდეს?

მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, რამდენად დასაშვებია რომის სტატუტის საფუძველზე მსხვერპლის მონაწილეობის ფართო შესაძლებლობა, ამ უფლების მეორე მხრივ დაბალანსების გარეშე, სამართ-

<sup>301</sup> იხ.: Zehr, H. (1990) *Changing Lenses: A New Focus For Crime And Justice* 181 Herald Press.

<sup>302</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შემთხვევაში ეს უფლება მოიცავს არა მხოლოდ სასამართლო განხილვის ეტაპს, არამედ ე.წ. „სიტუაციის“ დამუშავების ეტაპსაც, როდესაც კონკრეტული ეჭვმიტანილი ან ბრალდებული არც კი არის იდენტიფიცირებული.

ლიანი, ეფექტური და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობად ჩაითვალოს?

რომის სტატუტში მსხვერპლთათვის ფართო უფლებების მინიჭების ანალიზისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მისი წინამორბედი ტრიბუნალების – ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი სასამართლო ორგანოების წესდებებითა და შესაბამისი პრაქტიკით განვითარებული მექანიზმების განხილვას. ეს საინტერესოა იმის გათვალისწინებითაც, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ტრიბუნალების შექმნა იყო ერთჯერადი რეაქცია იმ მომენტებზე, რომლებიც გაეროს პოლიტიკური ორგანოს – უშიშროების საბჭოს – მიერ ჩათვლილი იყო „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“ საფრთხის შემქნელ<sup>303</sup> მდგომარეობად.<sup>304</sup>

შესაბამისად, ნაშრომის წინამდებარე თავის მიზანია იმის გამოკვლევა, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის კუთხით რამდენად ეფექტური და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შესაბამისია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლთა სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა; რამდენად თანაზიარია ეს მექანიზმი მუდმივმოქმედი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინამორბედი – სისხლის სამართლის *ad hoc* ტრიბუნალების წესდებებითა და პრაქტიკით განმტკიცებულ მდგომარეობასთან და რამდენად რეალურია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ მისი წესდებით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლთა ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა.

ამ საკითხზე შედარებითი მსჯელობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის მხედველობაში მიღებით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნისას კოლუმბიის დელეგაციამ საკმაოდ მკაფიოდ შენიშნა, რომ სასამართლოს შექმნამდე „მსხვერპლი ... დაუპატიჟებელი სტუმარი და მხოლოდ მაყურებელი იყო, რომელმაც გაამწვავა კონფლიქტი.“<sup>305</sup>

შესაბამისად, ნაშრომის მომდევნო თავებში განხილული იქნება რომის სტატუტით დაფუძნებული სასამართლოსეული რეგულირება მსხვერპლთა დაცვისა და მათთვის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმის წარმოებაში მონაწილეობის მიღებისა; განხილული იქნება ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი სისხლის სამართლის ტრიბუნალების მიდგომა მსხვერპლთა მონაწილეობის საკითხისადმი; განიხილება ის, თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს

<sup>303</sup> იხ.: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები: 827(1993) და 955(1994).

<sup>304</sup> „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემქნა“, კონცეფციასთან დაკავშირებით, ზოგადად, იხ.: Simma, B. (ed.), (2002) *The Charter of the United Nations: A Commentary*, ტ.1, გვ.717-729.

<sup>305</sup> კოლუმბიის წინადადება: *კომენტარები სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოზე მსხვერპლთა წვდომასთან დაკავშირებული საერთაშორისო სემინარის ანგარიშზე*, PNCICC/1999/WGRPE/DP.37, 10 აგვისტო, 1999.

ადმინისტრაციაში რა მექანიზმების გამოყენებით ხდება მსხვერპლთა დაცვა და მათი სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფის რა გარანტიები მუშაობს.

დასკვნის სახით განიხილება, თუ რამდენად ეფექტური და რეალურია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მექანიზმები.

### **6.2.1 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმის წარმოებაში მსხვერპლთა მონაწილეობის რეგულირება**

მსხვერპლთა დაცვისა და მათი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის სულისკვეთება რომის სტატუტის სხვადასხვა ნაწილში გაბნეული ტექსტიდან იკვეთება.<sup>306</sup> ეს კი განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ მსხვერპლთა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართალწარმოებაში მონაწილეობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მათთვის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი პოსტულატია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე, პირველად საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისტორიაში, დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს სასამართლოს მიერ საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე აქვთ საქმეში ჩართვის შესაძლებლობა.

ეს კი ნოვაციაა იმ წარსული რეალობის ფონზე, როდესაც დანაშაულის მსხვერპლები საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას მხოლოდ მოწმეების სახით ახერხებდნენ რომის სტატუტის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს წინამორბედი საერთაშორისო სისხლის სამართლის ორგანოების წინაშე.

ამასთან, ფართო მონაწილეობის განხილვისას არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ პროკურორს მსხვერპლისგან ინფორმაციის მიღება შეუძლია. *ბერგსმონა* და *პეჯიჩის* მოსაზრებით, „ეს, სავარაუდოდ, პროკურორისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა იყოს ინფორმაციის პირველადი დამუშავების ეტაპზეც, მანამ, სანამ თავად გამოძიება დაიწყება, რომელიც, ჩვეულებრივ, მოწმეთა ჩვენებებს აქტიურად დაეყრდნობა.“<sup>307</sup>

ერთი მხრივ, ეს შესაძლოა, და უდავოა, დადებით მომენტად განვიხილოთ. დადებითი ფაქტორი აქ ცალსახად ვლინდება ადამიანის უფლებათა დარღვევების მსხვერპლთა და მათი ინტერესების ფართო წარმომადგენლობისა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ყველა ეტაპზე მათი ჩართვის შესაძლებლობის არსებობით.

---

<sup>306</sup> იხ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი: პრეამბულა, მეორე აბზაცი, მე-15(3), მე-19(3), 43(6)-ე, 53(1,გ)-ე, 53(2,გ)-ე, 54(1,ბ)-ე, 54(3,ბ), 57(3,გ)-ე, 57(3,დ)-ე, 64(2)-ე, 64(2,ე)-ე, 65(4)-ე, 68(1)-ე, 68(2)-ე, 68(3)-ე, 68(4)-ე, 75(1)-ე, 75(2)-ე, 75(3)-ე, 75(6)-ე, 79(1)-ე, 82(4)-ე, 87(4)-ე, 90(6,ბ)-ე, 93(1,კ)-ე, 110 (4,ბ)-ე მუხლები.

<sup>307</sup> იხ.: Bergsmo, M., Pejić, J. (2008) “Article 15: Prosecutor” in Triffterer, O. (ed.), “Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article” გვ.590.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლებს სხვადასხვა მუხლში მოიხსენიებს, მსხვერპლთა სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობას სამი ძირითადი ნორმით უზრუნველყოფს. მათთან ურთიერთობის საკითხების კონკრეტული ასპექტები დარეგულირებულია სასამართლოს პროცედურებისა და მტკიცებულებების განხილვის წესებშიც (*შემდეგში – პროცედურებისა და მტკიცებულების წესები*).<sup>308</sup>

რომის სტატუტით გათვალისწინებული მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მექანიზმების განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 68-ე მუხლის მე-3 ნაწილს,<sup>309</sup> რომელიც, როგორც ზოგადი ნორმა, არეგულირებს ამ საკითხს. სტატუტის ამ მუხლთან უნდა განვიხილოთ პროცედურებისა და მტკიცებულებების წესების 85-ე წესი, რომელიც განმარტავს მსხვერპლის ცნებას.

რომის სტატუტში მოცემულ სპეციალურ ნორმათაგან ერთ-ერთი, მე-15(3) მუხლი, ადგენს, რომ სასამართლო პალატის წინაშე მსხვერპლს წარდგენის უფლება აქვს, როდესაც პროკურორი გადაწყვეტს, აწარმოოს გამოძიება. აქ უპრიანია მოკლედ იმის ხსენებაც, რომ, რომის სტატუტის მე-15(1) მუხლის თანახმად, მსხვერპლს შეუძლია, პროკურორს მიაწოდოს ინფორმაცია ამ უკანასკნელის მიერ გამოძიების დასაწყებად *proprio motu*, რაც, პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შემთხვევაში, რომის სტატუტის მე-15(6) მუხლის თანახმად, მსხვერპლს უნდა ეცნობოს.

მეორე სპეციალური ნორმის – რომის სტატუტის მე-19(3) მუხლის შესაბამისად კი, მსხვერპლები, „რომლებმაც სასამართლოსთან უკვე აწარმოეს კომუნიკაცია საქმესთან დაკავშირებით, ან მათი კანონიერი წარმომადგენლები“, უფლებამოსილნი არიან, წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია სასამართლოს იურისდიქციის, ან საქმის დასაშვებობის, საკითხებზე.

საინტერესოა იმის გაანალიზება, თუ როგორ იყენებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში თავისი წესდების 68(3)-ე მუხლითა და პროცედურებისა და მტკიცებულებების წესების 85-ე წესით დადგენილ პროცედურას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პროცედურა და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები აღნიშნულ დოკუმენტებში ამომწურავად არ არის მოცემული.

85-ე(ა) წესი მხოლოდ აცხადებს, რომ „მსხვერპლი“ არის ფიზიკური პირი, რომელმაც „განიცადა ზიანი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი ნებისმიერი დანაშაულის შედეგად.“ 85-ე(ბ) წესი შეეხება იურიდიულ პირებს, რომლებიც დაზარალდნენ მათ მიერ მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის განხორციელებისას, როგორცაა სკოლებში ან საავადმყოფოებში მუშაობა.

<sup>308</sup> იხ.: Bitti, G., Friman H. (2001) “Participation of Victims in the Proceedings” in Lee R.S., et al (ed.) “The International Criminal Court: Elements of Crimes and Rules of Procedure and Evidence” გვ. 456-491.

<sup>309</sup> შედარებისთვის იხ.: Art. 6(b) of the Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crimes and Abuse of Power annexed to the UN General Assembly Resolution 40/34, 29 December, 1985; ასევე: ECOSOC Resolution 1996/14.



რომის სტატუტის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, სასამართლოს პროცედურებისა და წესების მიხედვით, საგარეოდ „მსხვერპლმა“ წერილობით უნდა მიმართოს სასამართლოს რეგისტრატორს,<sup>310</sup> რომელიც განაცხადს შესაბამის პალატას გადაუგზავნის. სასამართლოს პალატამ უნდა მოახდინოს „85-ე(ა) წესით დადგენილი კრიტერიუმების არაამომწურავი და არაგადამწვევტი შეფასება.“<sup>311</sup> ამ პროცესში დაცვისა და ბრალდების მხარეებს შესაძლებლობა აქვთ, ამგვარ განაცხადს უპასუხონ.<sup>312</sup> ამ კონტექსტში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით კომუნიკაცია არ არის ერთადერთი ფორმა, რომლითაც საგარეოდ მსხვერპლს სასამართლოსთან ურთიერთობა შეუძლია. ზემოთ ნახსენები რომის სტატუტის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის კონტექსტში შესაბამის პალატას აქვს დისკრეტია, მსხვერპლთ უფლება მისცეს, სასამართლოსთან ზეპირი კომუნიკაცია აწარმოონ, რადგან პროცედურებისა და წესების 58-ე წესის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს პალატას შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, როგორ (ზეპირად თუ წერილობით, ა.შ.) აწარმოოს პროცედურა და როგორ უზრუნველყოს, რომ ეს პროცედურა ყველაზე უფრო ხელსაყრელი ვერსია იყოს.

მართალია, ამ დებულების მოტივაცია ის გახლდათ, რომ მსხვერპლთა სასამართლო წარმოებაში მონაწილეობას ხელი არ შეშლდოდა, ჩანაწერის მიხედვით, კომუნიკაციის ეს თავისუფალი ფორმა არა მხოლოდ მსხვერპლთ, არამედ რომის სტატუტის წევრ სახელმწიფოებსა და თავად გაეროს უშიშროების საბჭოსაც კი აძლევს იმის თავისუფლებას, რომ მათ მიერ სასამართლოსთვის გადაცემულ სიტუაციასთან დაკავშირებით რომის სტატუტის მე-19 მუხლის ტრილში ზეპირი კომუნიკაცია აწარმოონ, თუ ამაზე სასამართლოს შესაბამისი პალატა დათანხმდება. ეს კი, თავის მხრივ, მსხვერპლთა მიმართ კეთილი განზრახვის სასამართლოსთვის დამატებითი საქმის შემქმნელ მოვლენადაც შეიძლება იქცეს.

მსხვერპლის ჩართულობა სისხლის სამართლის პროცესში არ შემოიფარგლება მხოლოდ ვიწრო მონაწილეობით სასამართლო განხილვაში. მსხვერპლის როლი სასამართლოს იურისდიქციის ან საქმის დასაშვებობის საკითხის განხილვისას მათ თანასწორადაა განხილული, ვინც, რომის სტატუტის მე-13 მუხლის თანახმად, უფლებამოსილია, საქმე სასამართლოს გადასცეს განსახილველად, რაც, თავის მხრივ,

<sup>310</sup> პროცედურებისა და მტკიცებულების წესები, წესი 89(1)-ე.

<sup>311</sup> იხ.: მაგ., სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, §100.

<sup>312</sup> იხ., მაგ., სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროკურორი ტომას ლუბანგა დიილოს წინააღმდეგ, ვადის გაგრძელების შუამდგომლობა, 2 ოქტომბერი, 2007წ., ICC-01/04-01/06-523, §10.

მოიაზრებს: რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოს, გაეროს უშიშროების საბჭოსა და თავად სასამართლოს პროკურორს.

ამასთან ერთად, მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ, მართალია, პროცედურებისა და წესების 85-ე წესის გამოყენება უნდა ხდებოდეს რომის სტატუტის 68-ე(3) მუხლით დადგენილი მონაწილეობის რეგულირებისას, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ 85-ე წესით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაცვა მონაწილეობის ავტომატური და ზოგადი უფლების გამოყენებას განაპირობებს. ეს კი მსხვერპლის პირადი ინტერესებისა და მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვას გვერდზე ტოვებს, და მათი განხილვა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც მონაწილეობის კონკრეტული ფორმები განიხილება.<sup>313</sup>

მსხვერპლთა უსაფრთხოების, ფიზიკური და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების დაცვის<sup>314</sup> პარალელურად რომის სტატუტი ადგენს, რომ მსხვერპლთა „მოსაზრებები“ და „წუხილები“ უნდა იქნეს სასამართლოსთვის წარდგენილი, თუ მსხვერპლთა პირად ინტერესებზე არის გავლენა მოხდენილი.<sup>315</sup>

სასამართლოს პირველ გადაწყვეტილებაში მსხვერპლთა მონაწილეობის თაობაზე „[სასამართლოს] პალატამ მიიჩნია, რომ მსხვერპლთა პირადი ინტერესები განხილვის საგანია ზოგადად გამოძიების ეტაპზე [ნაზგასმა ავტორისა], რადგან მსხვერპლთა მონაწილეობამ ამ ეტაპზე შესაძლოა, უზრუნველყოს ფაქტების განმარტება, დამნაშავეთა დასჯა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.“<sup>316</sup>

მსხვერპლთა მონაწილეობის თაობაზე შუამდგომლობათა შეფასების სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა<sup>317</sup> იმის მაჩვენებელია, რომ გამოძიების ეტაპზე მსხვერპლთა მონაწილეობის უზრუნველყოფა დროის წამლები, ორმაგი პროცესია. მსხვერპლებმა პირველ ეტაპზე, მანამ, სანამ ეჭვიმტანილის ან ბრალდებულის იდენტიფიცირება კი მოხდება, უნდა აჩვენონ საქმის წარმოებაში ზოგადი ინტერესი. ამ ეტაპზე სასამართლოსთვის არც არის საჭირო „მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის აბსოლუტური განსაზღვრა, რადგან ამის დადგენა,

<sup>313</sup> იხ.: მაგ.: სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გადაწყვეტილება OPCD-ს შუამდგომლობაზე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის თაობაზე, სასამართლოს წესების 86-ე(2)(ე) მუხლის თანახმად, პროკურორის მიერ გამამართლებელი მასალის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, 7 დეკემბერი, 2007, ICC-01/04-417, §9.

<sup>314</sup> რომის სტატუტი, 68-ე(1) მუხლი.

<sup>315</sup> რომის სტატუტი, 68-ე(3) მუხლი.

<sup>316</sup> იხ.: სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, §63.

<sup>317</sup> იხ.: მაგ.: ჩრდილოეთ უგანდის Lord's Resistance Army საქმე: ICC-02-04-01-05-134, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიტუაცია: ICC-01-04-101, ICC-01-04-01-06-228, ლუბანგას საქმე: ICC-01-04-06-228, ICC-01-04-06-601.

საქმის ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლოს პალატის მიერ მომდევნო ეტაპზე მოხდება, საჭიროების შესაბამისად.<sup>318</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსხვერპლთა განხილვა ხდება როგორც „თანასწორთა შორის უფრო თანასწორებისა“, რის შედეგადაც სისხლის სამართლის პროცესის დროში განვრცობა შესაძლოა, საჭიროზე მეტხანს გრძელდებოდეს. „თანასწორთა შორის უფრო თანასწორებად“ მიჩნევის თვალნათელი მაჩვენებელია მსხვერპლთა „პირადი ინტერესების“ თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს I პალატის მოსაზრება,<sup>319</sup> რომლის ფართოდ ინტერპრეტირებული გაგების თანახმად, მსხვერპლთა ერთ-ერთი „პირადი ინტერესი“ გამოძიების ეტაპზე იმის დანახვაა, რომ მათ წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენნი ბრალდებულებად იხილონ.<sup>320</sup>

მართალია, „... მსხვერპლთა უფლებების პატივისცემა და სრული რეალიზაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით, როგორც ეს უზრუნველყოფილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ, საერთაშორისო სამართალში მსხვერპლთა უფლებების შემდგომი კოდიფიცირების უნიკალური შესაძლებლობაა,<sup>321</sup> ამ ინტერესის სახელით არ უნდა მოხდეს, თანაბარი საჭიროებისა და სამართლებრივი ღირებულების – სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით<sup>322</sup> დადგენილი, ბრალდებულთა სამართლიანი სასამართლოსა და მიუკერძოებელი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების უფლების შეზღუდვა. ბალანსის დაცვა დელიკატური, შესაძლოა, სამართლის პოლიტიკისა და, ზოგადად, პოლიტიკური თვალსაზრისით,<sup>323</sup> არცთუ ისე პოპულარული, მაგრამ სამართლიანობის განცდის დასამკვიდრებლად უმნიშვნელოვანესია.

<sup>318</sup> მაგ., სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, §82.

<sup>319</sup> რომის სტატუტი, 68-ე(3) მუხლი.

<sup>320</sup> სიტუაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადებზე გადაწყვეტილება: VPRS 1, VPRS 2, VPRS 3, VPRS 4, VPRS 5 და VPRS 6, 17 იანვარი, 2006, ICC-01/04-101, §72.

<sup>321</sup> David Donat-Cattin (2008) “Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings” in Triffterer, O. (ed.), *“Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article”*, გვ. 1278.

<sup>322</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი.

<sup>323</sup> ზოგადი პოლიტიკური მოსაზრებები, მართალია, სცილდება სამართლის სფეროს ვიწრო გაგებით, თუმცა, სამწუხაროდ, მაინც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საერთაშორისო სამართლის, ზოგადად, და, ბუნებრივია, საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარებას.

## 6.2.2 მსხვერპლთა მონაწილეობის საკითხისადმი ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი სისხლის სამართლის ტრიბუნალების მიდგომა

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის მსხვერპლთა დაცვა და მათი გადმოსახედიდან სამართლიანობის აღდგენა უნდა მოიაზრებოდეს საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქვაკუთხედად, მეცნიერთა მოსაზრებებში განსხვავებული მიდგომებიც ფიგურირებს, რაც შესაძლოა, პრაქტიკის განზოგადებიდან გამომდინარეობს, ან საერთოდ, ამგვარი პრაქტიკის შექმნას თავად უწყობს ხელს. *კრაიერის, ფრიმანისა და სხვათა* ავტორობით მომზადებული ნაშრომი საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებს შორის ჩამოთვლის შემდეგს: სამაგიეროს მიგება, დანაშაულის მომავალში ჩადენის თავიდან აცილება (თავის შეკავება), და ა.შ. „სამართლიანობა მსხვერპლთათვის“ არ არის მოხვედრილი იმ სიაში, რომელიც ცალ-ცალკე ჩამოთვლის საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მიზნებს. მსხვერპლთა ხსენება ხდება მხოლოდ დამატებითი მიზნების ჩამონათვალში, რაც გაერთიანებულია ერთ თავში: „უფრო ფართო მიზნები“. ეს უკანასკნელი კი, მართალია, მსხვერპლებს პირველ რიგში ახსენებს, მაგრამ ასევე აერთიანებს იმგვარ მიზნებს, როგორებიცაა: ისტორიის ფურცელზე დაფიქსირება, შერიგება კონფლიქტის დასრულების შემდგომ, და ა.შ.<sup>324</sup>

აღნიშნული მიდგომა საინტერესოა როგორც თეორიული საფუძველი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებისა და ეს იმის გათვალისწინებითაც, რომ როგორც ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი, ისე რუანდის, *ad hoc* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების სამართლებრივი საფუძველითა და პრაქტიკით ნაყოფიერი ნიადაგის მომზადება მოხდა იმისთვის, რომ რომის სტატუტის 68-ე მუხლის პირველ, მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილებში მსხვერპლთა დაცვასთან დაკავშირებით დახვეწილი, განვითარებული ნორმების შეტანა გახდა შესაძლებელი<sup>325</sup>.

ამასთან, რომის სტატუტის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილი სპეციფიკურად მიეძღვნა მსხვერპლთა [სისხლის სამართლის პროცესის წარმოებაში ფართო] მონაწილეობას.

აღნიშნულის ფონზე მნიშვნელოვანია ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის შექმნილი ტრიბუნალების სამართლებრივი რეგულირებისა და პრაქტიკის, შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე, ძალზე მოკლე მიმოხილვა რომის სტატუტის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილით

<sup>324</sup> იხ.: Cryer, R., et al (2008) *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, გვ.18-26.

<sup>325</sup> Donat-Cattin, D., (2008) “Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings” in Triffterer, O. (ed.), “Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article”, გვ. 1277.

გათვალისწინებული დებულებებისა და სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზისთვის.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის შექმნილი ტრიბუნალების წესდებებში ტერმინი „მსხვერპლი“ ვიწროდ იყო განმარტებული: მსხვერპლი არის „პირი, რომლის წინააღმდეგ ის დანაშაული იქნა, სავარაუდოდ, ჩადენილი, რომელზეც ტრიბუნალის იურისდიქცია ვრცელდება.“<sup>326</sup>

*ნიკოლიჩის* საქმეში ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილმა სისხლის სამართლის ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ „დასჯამ შესაბამისად უნდა ასახოს სამართლიანობისკენ მოწოდება, როგორც იმ პირებისგან, რომლებიც პირდაპირ გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი, ისე დანაშაულის არაპირდაპირ მსხვერპლთაგან.“<sup>327</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების საფუძველზე წევრმა სახელმწიფოებმა პროცედურებისა და მტკიცებულების წესების მიღებისას მსხვერპლის განმარტების მიღებისას აქცენტი მსხვერპლად გახდომაზე – ვიქტიმიზაციაზე – მოახდინეს<sup>328</sup> და არა იმ შემზღუდავ კავშირზე, რაც ყოფილი იუგოსლავიის ტრიბუნალისთვის შექმნილ მე-2 წესში იყო ასახული.

ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სისხლის სამართლის *ad hoc* ტრიბუნალების შექმნისას კი, საერთაშორისო დონეზე მსხვერპლთა მონაწილეობა შეუძლებლად იქნა მიჩნეული, რაც განპირობებული იყო იმით, რომ „ათობით ათასი“ მსხვერპლი აღმოჩნდა იმ დანაშაულთა სამიზნე, რომლებიც ამ ტრიბუნალების კომპეტენციაში ხვდებოდა. შესაბამისად, ყველა მსხვერპლისთვის ხმის მიცემის შესაძლებლობა ტრიბუნალების ეფექტურობისა და სამართლიანად მოქმედების ხელშემშლელ ფაქტორად განიხილებოდა.

თუმცა თავად ყოფილი იუგოსლავიისათვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მოტივაცია,<sup>329</sup> ტრიბუნალის პირველი ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, ასეთი იყო: „ტრიბუნალ-

<sup>326</sup> მე-2ა წესი, 1991 წლიდან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევებისთვის პასუხისმგებელი პირების სისხლისსამართლებრივი დევნისთვის შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალი, „პროცედურისა და მტკიცებულებების წესები“, მიღებული 1994 წლის 11 თებერვალს, 1993 წლის 25 მაისს გაეროს უშიშროების საბჭოს №827 რეზოლუციით ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მე-15 მუხლის საფუძველზე;

მე-2ა წესი, რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალი, „პროცედურებისა და მტკიცებულებების წესები“, მიღებულია 1995 წლის 29 ივნისს, გაეროს უშიშროების საბჭოს №955-ე რეზოლუციის (1994 წლის 8 ნოემბრის) რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის წესდების მე-14 მუხლის საფუძველზე.

<sup>327</sup> იხ.: Momir Nikolić, ICTY Trial Chamber I, 2.12.2.003, §86.

<sup>328</sup> იხ.: 85-ე წესი, პროცედურისა და მტკიცებულების წესები.

<sup>329</sup> ისევე, როგორც მის პრეცედენტზე დაყრდნობით შექმნილი რუანდის ტრიბუნალის.

მა მორალური პასუხისმგებლობა იგრძნო, სასამართლო საქმისწარმოება დაეწყო შეიძლებისდაგვარად სწრაფად, რომ ყველა მხარეს, როგორც მსხვერპლს, ისე დამნაშავეს, ადგილობრივ მონაწილეებსა თუ დისტანციიდან დამკვირვებლებს, შესაძლებლობა მისცემოდათ, დაენახათ, რომ ადამიანის უფლებების თავზე ხელადებული დამრღვევები დაუსჯელნი არ დარჩებოდნენ.<sup>330</sup>

რომის სტატუტით შექმნილი სასამართლოს სამართლებრივი ბაზისა და შესაბამისი პრაქტიკის ანალიზისას ბუნებრივი ინტერესი ჩნდება, ეს უკანასკნელი გაეროს მიერ შექმნილი *ad hoc* ტრიბუნალების პარალელურად იყოს გაანალიზებული. ეს თუნდაც იმ პრაქტიკით არის განპირობებული, რომლის თანახმად, რუანდისთვის შექმნილი *ad hoc* სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალთან დაკავშირებით, რუანდაში განხორციელებული გენოციდის შემდეგ, „რუანდის საზოგადოებრივი აზრი ხშირად ვერ აღიქვამდა მართლმსაჯულების აღსრულებას, რადგან არ ჩანდა, რომ ეს ასე იყო. ეს კი რუანდის სისხლის სამართლის ტრიბუნალის უმთავრესი პრობლემა გახლდათ.“<sup>331</sup>

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ რუანდაში ტრიბუნალის მიერ „მართლმსაჯულების აღსრულების“ დანახვა ძალიან გაძნელდა, შესაძლოა, სწორედ დანაშაულის მსხვერპლთა პასიური როლი და მის საქმისწარმოებაში მათი შეზღუდული ჩართულობის შესაძლებლობაც იყო. ხლა, უკვე წლების გასვლის შემდეგ, საერთაშორისო სამართლის მრავალი ცნობილი კომენტატორი ნათლად მიუთითებს იმას, რომ მსხვერპლთა მონაწილეობა ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების საქმიანობაში, განსხვავებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსგან, ძალზე შეზღუდულია. პროფესორ *კახესეს* ანალიზის თანახმად, „...მაშინ, როდესაც ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების სამართალწარმოებაში მსხვერპლთ არანაირი ავტონომიური როლი არ აქვთ, რამდენადაც ისინი სასამართლოს წინაშე მხოლოდ მოწმეებად შეიძლება წარდგინდნენ, ისიც მაშინ, თუ მათი გამოძახება სისხლის სამართლის საქმისწარმოების რომელიმე მხარის (ჩვეულებრივ, პროკურორის) ან თავად სასამართლოს მიერ მოხდება, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით მათ რამდენიმე როლი მიენიჭათ...“<sup>332</sup>

<sup>330</sup> იხ.: *Report of the International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the Former Yugoslavia since 1991*, U.N. GAOR, 49<sup>th</sup> Session, U.N. Doc.A/49/342, S/1994/1007 (29 აგვისტო, 1994).

<sup>331</sup> იხ.: David Donat-Cattin, (2008) “Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings” in Triffterer, O. (ed.), “Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article”, გვ. 1277.

<sup>332</sup> იხ.: Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ. 387.

### **6.2.3 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ადმინისტრაციაში მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა**

რომის სტატუტის ხელმოსაწერად გახსნისას გაეროს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა *კოფი ანანმა* განაცხადა, რომ „უმთავრესი ინტერესი მსხვერპლთა და საერთაშორისო თანამეგობრობის, როგორც მთლიანის, [დაცვა...] უნდა იყოს. ...[სასამართლო] სამართლიანობის ინსტრუმენტი უნდა იყოს, და არა გამორჩენის.“<sup>333</sup>

რომის სტატუტის 68-ე(4) მუხლი სპეციალურად ადგენს გასათვალისწინებელი დაცვის ღონისძიებების, უსაფრთხოების მექანიზმების, რჩევის მიცემისა და დახმარების გაწევის შესაძლებლობას, რაც მსხვერპლთა და მოწმეთა განყოფილების მიერ პროკურორსა და სასამართლოს შეიძლება მიეწოდოს.

რომის სტატუტის მე-15(3) მუხლისა და მისი შესაბამისი პროცედურებისა და მტკიცებულებების წესების 50-ე მუხლის შესაბამისად, პროკურორისთვის ან მსხვერპლთა და მოწმეთა სამსახურისთვის ცნობილი მსხვერპლები ინფორმირებულნი იქნებიან, რათა გამოცხადდნენ წინა სასამართლო განხილვის პალატის წინაშე. გამოძიების ინტერესებისა და ცალკეული პიროვნებების უსაფრთხოების გათვალისწინებით, მსხვერპლთა ჯგუფებსაც მიეწოდებათ ზოგადი შეტყობინება.

მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის განყოფილება ასევე შეატყობინებს იმ მსხვერპლთ, „რომლებსაც უკვე ჰქონდათ კომუნიკაცია სასამართლოსთან“, გამოხატონ საკუთარი პოზიცია სასამართლოს იურისდიქციისა ან საქმის დასაშვებობის საკითხებთან დაკავშირებით.<sup>334</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ მსხვერპლთა, ისევე როგორც მოწმეთა დაცვა პრაქტიკაში საკმაოდ ფართოდ არის გამოყენებული. ასეთივე წარმატებით არის ამის განცხადება შესაძლებელი ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის ტრიბუნალებთან მიმართებითაც, მიუხედავად ტრიბუნალებსა და სასამართლოში მსხვერპლთან განსხვავებული მიდგომებისა.<sup>335</sup>

### **6.2.4 რამდენად ეფექტური და რეალურია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დადგენილი მსხვერპლთა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მექანიზმები**

მსხვერპლის როლი მნიშვნელოვნად არის გაძლიერებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში. რომის სტატუტის შესაბამისად, მსხვერპლთა ინტერესების მიხედვით, მათ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლება აქვთ. ამავდროულად, რომის სტატუტის 68-ე მუხლი არ უნდა იყოს გაგებული ვიწროდ, თითქოს მისი მოქმედება მხოლოდ სისხლის სამართლის პრო-

<sup>333</sup> United Nations Press Release, UN Secretary General Declares Overriding Interest of International Criminal Court Conference must be that of Victims and World Community as a Whole, 15 June 1998, <http://www.un.org/icc/pressrel/1rom6ri.htm> (ნანახი: 14/02/2010).

<sup>334</sup> რომის სტატუტი, მე-19(3) მუხლი, პროცედურებისა და მტკიცებულებების წესები.

<sup>335</sup> იხ: Cryer, R., et al (2008), *An Introduction to International Criminal Law and Procedure*, გვ.362.

ცესის წარმოებას ეხება სასამართლოში. ეს ნორმა სასამართლოს მიერ „საქმისწარმოებას“ შეეხება, მისი ფართო გაგებით, და არამხოლოდ სასამართლო განხილვას.<sup>336</sup>

ამას სასამართლოს შექმნის წინაისტორიაც განაპირობებს: ერთიანი, მუდმივმოქმედი, შეძლებისდაგვარად უნივერსალური, სასამართლოს შექმნის იდეა იყო საერთაშორისო, ყველაზე უფრო სასტიკ დანაშაულებზე სწრაფი რეაგირების მუდმივი შესაძლებლობის შექმნა. მიზანი მხოლოდ დამშინებელი მექანიზმის მუდმივ არსებობას არ გულისხმობდა. იდეის საბაზისო ელემენტი ასევე იყო მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის სწრაფად აღდგენის დიდი იდეა.

რომის სტატუტის საფუძველზე, სასამართლო პალატას ფართო უფლებამოსილება აქვს, სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო პროცესის ჩასატარებლად მითითებები გასცეს.<sup>337</sup>

რომის სტატუტით შექმნილი სასამართლოს საწყისი ეტაპის პრაქტიკა იმის მაჩვენებელია, რომ მსხვერპლის მონაწილეობა სასამართლოს საქმისწარმოების პროცესში, რომელშიც მსხვერპლის პირადი ინტერესები შეიმჩნევა, უმნიშვნელოვანესია.<sup>338</sup>

თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში შესაძლო მსხვერპლთა სრულ შემადგენლობასთან იმუშავებს, რაც სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების მხედველობაში მიღებით, მილიონობით ადამიანი შესაძლოა, იყოს, მნიშვნელოვანია იმ მექანიზმების ზუსტი განსაზღვრა, რაც სასამართლოს გადატვირთულობას არ გამოიწვევს დროისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ამავდროულად, ის ფაქტორიც უნდა იყოს აუცილებლად მხედველობაში მიღებული, რომ მოწმეთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ხარჯზე არ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის პროცესში ეჭვმიტანილი და ბრალდებული ადამიანების უფლებათა დარღვევები.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამართლებრივი ბაზა და პრაქტიკა მიმართული უნდა იყოს ადამიანთა – და, ბუნებრივია, სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების მსხვერპლთა – დაცვისკენ, არ უნდა მოხდეს ამ აღმატებული იდეის სახელით თავად ამ პრინციპის დისკრედიტაცია. ამ მიმართულებით ერთ-ერთი საფრთხე, შესაძლოა, ისიც იყოს, რომ მსხვერპლს სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა აქვს მანამდეც კი, სანამ მოხდება კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დადგენა. ეს, შესაძლოა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით გარანტირებული მნიშვნელოვანი უფლებების დარღვევის წინაპირობადაც კი იქცეს.

<sup>336</sup> იხ.: Donat-Cattin, D., (2008), “Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings” in Triffterer, O. (ed.), “*Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article*”, გვ. 1280, §9.

<sup>337</sup> იხ.: Ratner, S. R., et al. *Accountability for Human Rights Atrocities in International Law: Beyond the Nuremberg Legacy*, Third Edition, Oxford University Press, 2009, გვ. 239.

<sup>338</sup> იხ.: მაგ., საქმე ტომას ლუბანგას მიმართ, იხ.: მე-10 სქოლიო, *supra*.



არც იმის უგულებელყოფა უნდა მოხდეს, რომ დაზარალებულის უფლებების დაცვის სახელით არ შეიძლება სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის უგულებელყოფა.<sup>339</sup>

ორ ეტაპად დაყოფილი მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცედურა<sup>340</sup> უფრო მეტად წელავს სასამართლო პროცესს და, სავარაუდოდ, არღვევს იმ მსხვერპლის უფლებებს, რომლის დასაცავადაც შემუშავდა დაცვის მექანიზმები სასამართლოს მიერ. თუმცა, ამ უარყოფით შეფასებასთან ერთად, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ კომენტატორების მიერ პროკურორის არჩეული გზა, რათა მოხდეს მსხვერპლთა იდენტიფიცირების ორი ეტაპის შემოღება, გაკრიტიკებულია. დონატ-კატანი მკაფიოდ აცხადებს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს „პროკურორის განყოფილება მცდარ გზას დაადგა, როდესაც შესაბამისი [მსხვერპლის იდენტიფიცირების] პროცედურა „ორეტაპიან პროცესად“ დაახასიათა, რომლის დროსაც მსხვერპლის, როგორც ასეთის, აღიარება შეიძლება მოხდეს პირველ ეტაპზე, რაც საჭიროებს მეორე სასამართლო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, შეილახა თუ არა მისი პირადი ინტერესები.“<sup>341</sup>

ისიც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რომ რომის სტატუტის 68-ე მუხლის პირველი ნაწილი მთავრდება დებულებით, რომლის თანახმად: „[მოწმის დაცვისა და დახმარების] ღონისძიებები ზიანს არ უნდა აყენებდნენ, ან არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ბრალდებულის უფლებების დაცვას და სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოს.“<sup>342</sup>

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოს ევალება იმის დადგენაც, რომის სტატუტის 68-ე(3) მუხლის შესაბამისად ხომ არ მოხდება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის უფლებების შელახვა, მსხვერპლის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფით.

კასესე შენიშნავს, რომ, მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის ფართო ჩართულობის უზრუნველყოფისა, და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის შექმნილი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების ფონზე, ვერც სისხლის სამარ-

<sup>339</sup> რომის სტატუტი, 68(4)-ე მუხლი.

<sup>340</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით: „ბრალდების მხარის მოსაზრებით, [რომის] სტატუტის 68-ე(3) მუხლი და 85-ე წესი, თუ მათი განხილვა ერთად მოხდება, [სასამართლოს] პალატისთვის აღგენს ორეტაპიან პროცედურას იმის დასადგენად, კვალიფიცირდება თუ არა პირი მსხვერპლად სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის მიღების უფლებით. უპირველეს ყოვლისა, განმცხადებელმა უნდა დააკმაყოფილოს 85-ე მუხლით დადგენილი კრიტერიუმი. ამის შემდგომ [სასამართლოს] პალატა უნდა დარწმუნდეს, რომ ის სასამართლო პროცესი, რომელშიც მონაწილეობისთვის იგი [სასამართლოს] მიმართავს, მსხვერპლის პირად ინტერესებზე პირდაპირ გავლენას ახდენს.“ პროკურორის 25 აგვისტოს პოზიცია a/0047/06 – a/0052/06 განმცხადებელთა მონაწილეობის თაობაზე განაცხადთან დაკავშირებით, 6 სექტემბერი, 2006, ICC-01-04-01-06-390, §10.

<sup>341</sup> იხ.: Donat-Cattin, D. (2008) “Article 68: Protection of the victims and witnesses and their participation in the proceedings” in Triffterer, O. (ed.), “Commentary on the Rome Statute of the International Criminal Court - Observers’ Notes, Article by Article”, გვ. 1287.

<sup>342</sup> რომის სტატუტი, 68-ე(1) მუხლი.

თლის საერთაშორისო სასამართლომ მოახერხა სამოქალაქო სამართლის სისტემის ქვეყნებისთვის ტიპური სისტემის სრულად შემოღება, რაც სამოქალაქო მოსარჩელის სახით სისხლის სამართლის პროცესში ჩართვის უფლებას ითვალისწინებს.<sup>343</sup>

ეს კი, სავარაუდოდ, თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს საქმისწარმოების დროში გაწეული პროცესს წარმოვიდგენთ, შესაძლოა, უფრო დადებით მომენტადაც იქნეს გათვალისწინებული, ვიდრე სასამართლოს რეგულაციების ნაკლად, რადგან სისხლის სამართლის საერთაშორისო ორგანოს საბოლოო მიზანი უნდა იყოს „მართლმსაჯულების დადგენა, მომავალი დანაშაულების თავიდან აცილება და მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნებისთვის ხელის შეწყობა.“<sup>344</sup>

ისიც მხედველობაშია მისადები, რომ მსხვერპლის მონაწილეობა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ წარმოებულ სისხლის სამართლის პროცესში, სამართლიანი, მიუკერძოებელი სასამართლოსა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით, არ უნდა იყოს შესაძლებელი გამოძიების ეტაპზე, სანამ ბრალდებულის იდენტიფიცირება მოხდება. ეს არ უნდა ხდებოდეს თუნდაც იმიტომ, რომ პროკურორის დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს,<sup>345</sup> ან ბრალდებულის საპროცესო უფლებები არ დაირღვეს, ანდა სისხლის სამართლის წარმოება ზედმეტად არ გახანგრძლივდეს.

---

<sup>343</sup> იხ.: Cassese, A. (2003) *International Criminal Law*, გვ. 387.

<sup>344</sup> იხ.: *Report of the International Tribunal for the Prosecution of Persons Responsible for Serious Violations of International Humanitarian Law Committed in the Territory of the Former Yugoslavia since 1991*, U.N. GAOR, 49<sup>th</sup> Session, U.N. Doc.A/49/342, S/1994/1007(29 აგვისტო, 1994).

<sup>345</sup> იხ.: Schabas, W.A. (2007), *An Introduction to the International Criminal Court*, გვ. 55.

**7. აგრესიის განსაზღვრება, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით, და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს განმარტებით**

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე სახელმწიფოთა შეთანხმება ვერ მოხერხდა. ეს საკითხი კი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის ქვაკუთხედის შექმნის წინაპირობა შეიძლება იყოს. როგორც ნაშრომის წინა თავებში აღინიშნა, სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული ოთხი დანაშაულიდან, მხოლოდ სამის დეფინიცია შევიდა რომის სტატუტში, მისი ხელმოსაწერად გახსნისას.<sup>346</sup>

ჩვენი კვლევის საგანსა და ობიექტთან ყველაზე ახლოს მდგარი, გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ურთიერთობისთვის ყველაზე საინტერესო, დანაშაული – აგრესია – სამართლებრივი დეფინიციის გარეშეა<sup>347</sup> მოხსენიებული რომის სტატუტში.<sup>348</sup> როგორც ლეანზა აღნიშნავს, აგრესია „მკაცრად „პოლიტიზებულ“ საკითხად შეიძლება იყოს განხილული, რადგან ამ დანაშაულთან მიმართებით პირის/ორგანოს პასუხისმგებლობა აუცილებლად ეფუძნება იმ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აგრესიის აქტს, რომლის მოქალაქეც არის იგი.“<sup>349</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფართოდ პოლიტიზებულ თემასთან – აგრესიის დანაშაულთან – დაკავშირებით სახელმწიფოთა შეთანხმება ვერ მოხერხდა, იმის უზრუნველყოფა მაინც მოხდა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციიდან ამ დანაშაულის გამორიცხვა საერთოდ არ მომხდარიყო.

ეს კი, როგორც საერთაშორისო სამართლის განვითარებისა და მისი სუბიექტების საერთაშორისო ურთიერთობათა ჭრილში უმნიშვნელოვანესი საკითხი, წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე ერთ-ერთი ძირეული საკითხია.

ასეთი მნიშვნელობა ამ საკითხისა გამომდინარეობს შემდეგიდან: გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს წესდების თანახმად, „უპირველესი პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე“, ისე როგორც იმის განსაზღვრაზე, თუ არსებობს „ნებისმიერი საფრთხე მშვიდობისთვის, მშვიდობის დარღვევისთვის, ან აგრესიის აქტი.“<sup>350</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო კი, მართალია, კომპლემენტარობის პრინციპის<sup>351</sup> გათვალისწინებით, მაგრამ მაინც

<sup>346</sup> იხ.: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება, მე-5 მუხლი.

<sup>347</sup> 2010 წლის მაისის დასაწყისის მდგომარეობით, როდესაც წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა დასრულდა.

<sup>348</sup> იხ.: *Ibid.*

<sup>349</sup> იხ.: Umberto Leanza (2004), “The Historical Background”, in Mauro Politi & Guiseppe Nesi, (eds.), *The International Criminal Court and the Crime of Aggression*, (Aldershot: Ashgate), გვ. 12.

<sup>350</sup> გაეროს წესდება, 39-ე მუხლი.

<sup>351</sup> რომის სტატუტით გათვალისწინებული კომპლემენტარობის წესის შესახებ იხ. ზოგადად: მე-13 სქოლიო, *supra*.

ძირითადი საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოა აგრესიის<sup>352</sup> განხორციელების შემთხვევაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასთან დაკავშირებით. ამ ორი მოცემულობის გათვალისწინებით, ჩნდება იმის საჭიროება, დადგინდეს, რომელ ორგანოს – პოლიტიკურსა თუ სასამართლოს – უნდა მიენიჭოს უპირატესობა, აგრესიის საკითხის საერთაშორისო არენაზე შეფასებისა და განხილვის თვალსაზრისით.

ძირითადი კითხვა კი შემდეგია: რა ურთიერთმიმართება უნდა იყოს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს შორის აგრესიის დანაშაულის ჭრილში?

მიუხედავად იმისა, რომ აგრესია, რომელიც ისტორიულად „მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების“ სახელით იყო ცნობილი<sup>353</sup> და არაერთხელ მოინათლა „დანაშაულთა დანაშაულად“,<sup>354</sup> მე-20 საუკუნის ბოლოს ხელმოსაწერად გახსნილ რომის სტატუტშიც კი არ იყო დეფინირებული.

საერთაშორისო სამართლის სწრაფი განვითარების ფონზე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, რისი საწყისიც „ომის თავიდან აცილება“ გახლდათ,<sup>355</sup> ირონიით აღსავსე ჩანს ის ფაქტი, რომ სწორედ ფართო გაგებით ომის გაჩაღების<sup>356</sup> – აგრესიის განხორციელების – დანაშაულის შემთხვევაში სახელმწიფოთა იმავე საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ მოახერხა მის სამართლებრივ დეფინიციაზე შეთანხმება.

მართალია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო აგრესიის, როგორც დანაშაულის, რომის სტატუტით დეფინიციის შემთხვევაში, უფლებამოსილი იქნებიან, იმსჯელონ ერთსა და იმავე მოვლენასთან დაკავშირებით, ერთი აუცილებელი საკითხი თავიდანვე უნდა იყოს ნათელი: ამ ორი ორგანოს კომპეტენცია ნებისმიერ შემთხვევაში განსხვავებული უნდა იყოს, მათ შორის აგრესიის შესაძლო ფაქტთან მიმართებით. ეს კი იმ მარტივი მიზეზის გამო უნდა გვახსოვდეს, რომ გაეროს უშიშროების საბჭო, პოლიტიკური ორგანო, პოლიტიკური დეფინიციის საფუძველზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებია. ხოლო რაც შეეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ეს ორგანო, მისი წესდების მიხედვით, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაყენების საკითხს უნდა განიხილავდეს.

<sup>352</sup> აგრესიის დეფინიციასთან დაკავშირებით იხ. ზოგადად: *Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua, Merits*, 1986, I.C.J. 14 (June 27)

<sup>353</sup> იხ.: მაგ., ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდება, შორეული აღმოსავლეთისთვის შექმნილი ტრიბუნალის წესდება.

<sup>354</sup> იხ.: Caroline Fournet, *International Crimes*, (London: Cameron May, 2006), გვ. 143; ასევე: ფრაზა „უხედავად ნებისმიერ სხვა საერთაშორისო დანაშაულთან მიმართებით“ გამოიყენება; იხ.: United Nations War Crimes Commission, *History of the United Nations War Crimes Commission and the Development of the Laws of War* (New York: William S. Hein & Co., 2006), გვ.246.

<sup>355</sup> იხ.: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება

<sup>356</sup> აგრესიის დანაშაული არ არის პირდაპირპროპორციული ომის გაჩაღებისა ან მხოლოდ ომის გაჩაღებას არ მოიცავს. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ნიკარაგუა v. აშშ.

ამდენად, ერთი შეხედვით საკმაოდ კომპლექსური საკითხის – უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ურთიერთმიმართების საკითხის განხილვისას აგრესიასთან მიმართებით ეს ერთი ასპექტი მაინც შეიძლება ცალსახად გამოვეყოთ, როგორც გაურკვეველობის არგამომწვევი საკითხი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომის სტატუტის შექმნამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალის წესდებით, ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ცხადად იყო დადგენილი. კერძოდ, ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდების მე-6(ა) მუხლი ნათლად ადგენდა აგრესიის – ან ნიურნბერგის ტრიბუნალის ტექსტის მიხედვით – მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობას.<sup>357</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა ან უშიშროების საბჭოს მიერ აგრესიის დადგენაზე მსჯელობისას რომის სტატუტში ამ დანაშაულის განსაზღვრების არარსებობის პირობებში, საინტერესოა მოკლედ იმ სამართლებრივი საფუძვლის განხილვა, რაც საერთოდ არსებობს ამ დანაშაულთან მიმართებით.

ბუნებრივია, ჩვენი განხილვის თემიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვახდინოთ იმ დოკუმენტების თავმოყრა, რომლებიც გაეროს ფარგლებში ახდენენ აგრესიის განმარტებას ამა თუ იმ ფორმით. ნიურნბერგის პრინციპების სახელით ცნობილი გენერალური ასამბლეის რეზოლუციას აქ აღარ მივუბრუნდებით. გაეროს წესდება, მართალია, არ უზრუნველყოფს აგრესიის სამართლებრივ დეფინიციას, მაგრამ სახელმწიფოს მიერ აგრესიის განხორციელებას კრძალავს.<sup>358</sup> გაეროს წესდების შესაბამისი ნორმები სახელმწიფოების მიერ აგრესიის, მართალია, მისი განმარტების გარეშე, მაგრამ განხორციელების დაუშვებლობას ითვალისწინებს, უშიშროების საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობას, დაადგინოს აგრესიის ფაქტი და გაეროს წევრ სახელმწიფოებს ანიჭებს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლებას, გაეროსავე წესდებით დადგენილი შესაბამისი წესების დაცვით. გაეროს წესდებაში შესულ ამ ნორმებთან ერთად აღსანიშნავია გაეროს გენერალური ასამბლეის ორი რეზოლუციაც, რომელთაგან ერთ-ერთი ადგენს, რომ „აგრესიული ომი მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რაც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, პასუხისმგებლობას იწვევს.“<sup>359</sup> გენერალური ასამბლეის 3314-ე (XXIX) რეზოლუცია კი აგრესიის უფრო დეტალურ განმარტებას მოიცავს. ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად აქ ამ ორი რეზოლუციით დადგენილი დეფინიციების დეტალური ანალიზისა და იმის შესახებ მსჯელობის გაგრძელება, თუ რა სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს ამ ორ დოკუმენტს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა ან გაეროს უშიშროების საბჭოსთვის აგრესიის დე-

<sup>357</sup> აღსანიშნავია, რომ გაეროს გენერალურმა ასამბლემ 1946 წელს ნიურნბერგის წესდების მიერ აღიარებული ნორმები რეზოლუციით განამტკიცა. კერძოდ: ... რეზოლუციით გენერალურმა ასამბლემ აღიარა და გაამყარა „ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებითა და ტრიბუნალის გადაწყვეტილებით აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმები“.

<sup>358</sup> იხ.: გაეროს წესდება, 1-ლი მე-2(4), 39-ე და 51-ე მუხლები.

<sup>359</sup> იხ.: გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2625 (XXV).

ფინიციზე მსჯელობისას. ეს კი განპირობებულია იმით, რომ მსგავსი მსჯელობა სცდება ჩვენი განხილვის საგანსა და ობიექტს.

უფრო უპრიანი იქნება, ამ საკითხზე მსჯელობისას შემოვიფარგლოთ წინა თავებში მოცემული არგუმენტაციით იმის თაობაზე, თუ რა მიაჩნია უშიშროების საბჭოს „მშვიდობად“ და „უსაფრთხოებად“, რომელთაგან ორივეს იგი პოლიტიკურად განმარტავს. ამის სრული საფუძველიც აქვს.

ამავდროულად, ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხის განმხილველი სასამართლოსა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები უშიშროების საბჭოს კომპეტენციების დელიმიტირება ასე მარტივად მაინც არ წყდება.

მართალია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო შეიქმნა სწორედაც რომ მის იურისდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულების ჩამდგნა მიმართ ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დასადგენად, არაფერი არსებულ სამართლებრივ დოკუმენტებში არ ზღუდავს გაეროს უშიშროების საბჭოს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს გადაწყვიტოს სუბსიდიური სასამართლო ორგანოს დაფუძნება, რომელიც აგრესიასთან დაკავშირებით, თუ ამ უკანასკნელის სამართლებრივი დეფინირება მაინც მოხერხდება, იმოქმედოს ინდივიდუალური სისხლის პასუხისმგებლობის დასადგენად.

ამდენად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მხრიდან საქმიანობის კონკურენტულად წარმოებისთვის სამართლებრივი შესაძლებლობა აბსოლუტურად უზრუნველყოფილია როგორც გაეროს წესდებით, ისე რომის სტატუტით, რომელიც ვერ დაადგენს გაეროს წესდებით სახელმწიფოებისთვის დადგენილი ვალდებულების საწინააღმდეგო ვალდებულებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ რაიმე ხერხით მაინც მოხდება რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ გაეროს წესდებით დადგენილის საწინააღმდეგო ვალდებულების შემოღება, ამ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი მექანიზმები მაინც ვერ იარსებებს, გაეროს წესდების 103-ე მუხლით მის წევრ სახელმწიფოებზე დაკისრებული ვალდებულების გამო. იმის გათვალისწინებით კი, რომ რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოები გაეროს წევრები არიან, უფრო მეტიც, გაეროს წევრთა წრე უფრო ფართოა, ვიდრე რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა, რომის სტატუტით ახალი ვალდებულების შემოღება, რომელიც გაეროს წესდებით დადგენილ ვალდებულებას შეცვლის, აბსოლუტურად წარმოუდგენელია საერთაშორისო სამართლის განვითარების ამ ეტაპზე და გაეროს წესდებაში საფუძვლიანი ცვლილებების შეტანის გარეშე.

მიუხედავად მრავალი სახელმწიფოს მცდელობისა, ისე როგორც 1950-იანი წლების დასაწყისიდან, საბოლოოდ, რომის სტატუტის სახელით ცნობილი დოკუმენტის შემუშავებისას წამოყენებული აგრესიის დეფინიციის სხვადასხვა ვერსიისა,<sup>360</sup> 1998 წელს გადაწყდა, რომ რომის სტატუტი ხელმოსაწერად გახსნილიყო აგრესიის დანაშაულის სამართ-

<sup>360</sup> იხ.: წინამდებარე ნაშრომი, თავი: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის საჭიროება და კომპეტენცია.

ლებრივი დეფინიციის გარეშე. ამ დანაშაულის დეფინიცია კი დროში შემდეგი ფორმულით გადაიდო: რომის სტატუტის ძალაში შესვლიდან შვიდი წლის თავზე, სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის შეკრებისას,<sup>361</sup> რაც 2009 წელს უნდა გამართულიყო, შეთანხმდებოდნენ აგრესიის დეფინიციაზე. თუმცა, 2010 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით, ეს არ განხორციელებულა. რომის სტატუტის გადასინჯვის კონფერენცია 2010 წლის მაის-ივნისშია დაგეგმილი, რაც უნდა მიექდვნას აგრესიის დეფინიციის დასრულებასაც. თუმცა გადასინჯვის კონფერენციის გამართვამდე, სულ ცოტა ხნით ადრე, საკმაო სკეპტიციზმი მუსირებს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისა და სასამართლოს საქმიანობით დაინტერესებულ მეცნიერთა წრეებში, რომელთა თანახმად, საეჭვოა, თუნდაც 2010 წლის შეკრებისას, დანაშაულის დეფინიციაზე, ან ამგვარ დეფინიციაზე შეთანხმების შემთხვევაში მისი დროში ეფექტური ამოქმედების თაობაზე, სახელმწიფოთა შეთანხმების მიღწევა. თუ ეს პროგნოზი გამართლდა, აგრესია დარჩება საერთაშორისო დანაშაულად, რომელიც სამართლებრივ პასუხისმგებლობას გარკვეული დროის განმავლობაში ისევ დაუსხლტება.

*ვერბიტსკი* აღნიშნავს, რომ; „მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული სამი დანარჩენი დანაშაულის შემთხვევაში, პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის განსხვავების მოძებნა შესაძლებელია, ამ ორის ერთმანეთისგან განსხვავება აგრესიის შემთხვევაში, უბრალოდ, ნათელი არ არის.“<sup>362</sup>

აგრესიის დეფინიცია<sup>363</sup> ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან ერთად არის პრობლემატური თემა, როგორცაა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ურთიერთმიმართება ამ დანაშაულთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ რომის სტატუტის წევრი სახელმწიფოები სამართლებრივად ვალდებულნი არიან გაეროს წესდების 103-ე მუხლით,<sup>364</sup> ისევე როგორც რომის სტატუტის წესდების კომპლემენტარობის პრინციპით, იბადება კითხვა: როდის უნდა მოხდეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ აგრესიის თაობაზე სიტუაციის განხილვა ან სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება?

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას მოვიშველიებთ, უშიშროების საბჭო არის „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე“, მათთვის საფრთხის შექმნის თავიდან არიდებასა და მათ აღდგენაზე უპირველესად პასუხისმგებელი ორგანო საერთაშორისო ასპარეზზე. ამასთან, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის პოლიტიკური ორგანო, პოლიციური ორგანოს მახასიათებ-

<sup>361</sup> იხ.: რომის სტატუტი, 123-ე მუხლი.

<sup>362</sup> იხ.: Verbitsky, J., (2008) *What should be the relationship between the International Criminal Court and the United Nations Security Council in the crime of aggression?* 4 Rev. International Law and Politics გვ. 148.

<sup>363</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგადად იხ.: Kevin Jon Heller, “Retreat from Nuremberg: The Leadership Requirement in Crime of Aggression”, *European Journal of International Law*, Vol. 18, No.3, 2007, გვ. 477-521.

<sup>364</sup> იხ.: გაეროს წესდება, 103-ე მუხლი.

ლებით, განსხვავებით სასამართლო ორგანოსგან.<sup>365</sup> ამდენად, სასამართლოს წარმატებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კითხვაა: შეძლებს თუ არა სასამართლო გაეროს უშიშროების საბჭოსგან დამოუკიდებლად აწარმოოს სისხლის სამართლის საქმე აგრესიის შემთხვევაში?

ადვილი დასანახავია ის პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც ამ საკითხს ახლავს. გარდა იმისა, რომ ეს საკითხი პირდაპირ კავშირშია როგორც გაეროს წესდების, ისე რომის სტატუტის შემქმნელი საერთაშორისო სამართლის სუბიექტების სუვერენული უფლებებისა და სუვერენიტეტის მარეგულირებელ საკითხებთან, მნიშვნელოვანი და მტკივნეულია საკითხი ორი მძიმეწონიანი საერთაშორისო ორგანოს შორის ურთიერთობის შესახებ.

ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება, გაგაკეთოთ თამამად: რაც არ უნდა იყოს აგრესიის სამართლებრივი დეფინიციის შემადგენლობა და რა პირობებითაც არ უნდა მოხდეს მისი რომის სტატუტში შეტანა, თუ ეს ოდესმე მოხდება, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხით იქნება დაკავებული ამ ქმედებასთან მიმართებით, მაშინ როდესაც მისი კონკურენტი თუ შემავსებელი – კომპლემენტარი – უშიშროების საბჭოს სახელმწიფოს პოლიტიკური პასუხისმგებლობის შესახებ უნდა მსჯელობდეს აგრესიის ჩადენის შემთხვევაში. ბუნებრივია, ისევ რჩება კითხვა: უნდა იყოს თუ არა სასამართლოს მიერ, აგრესიის დეფინიციის შემთხვევაში, ამ დანაშაულთან დაკავშირებით მოქმედების დაწყება გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედებაზე რამე ფორმით დამოკიდებული? ვარაუდის დონეზე შეგვიძლია, მივუთითოთ, რომ ასე იქნება. ძნელი წარმოსადგენია, უშიშროების საბჭოს ხუთმა მუდმივმა წევრმა ეს ბერკეტი ხელიდან გაუშვას. თუმცა, რამდენად ეფექტური იქნება ამგვარად შექმნილი მართლმსაჯულების ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, ეს განსჯის საგნად დავტოვოთ სამომავლოდ.

---

<sup>365</sup> მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ფართო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით უშიშროების საბჭოს ასევე შეუძლია სუბსიდიური სასამართლო ფუნქციის განმახორციელებელი ორგანოს შექმნა, როგორც ეს ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის კონფლიქტებთან დაკავშირებით მოახდინა.



**8. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ურთიერთობა, საერთაშორისო დანაშაულის სავარაუდო ჩადენის შემთხვევაში, საქმისწარმოებასთან დაკავშირებით**

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს აღწერისას უპირველესი მახასიათებლები, რომელთა გამოყენებაც ხდება, შემდეგია: „უნივერსალური“, „დამოუკიდებელი“, „მუდმივმოქმედი“. მართალია, სტატუტის ტექსტით მსჯელობისას ვერ ვნახავთ „მუდმივმოქმედის“ იდეის საწინააღმდეგოს, თუმცა ტერმინები: „უნივერსალური“ და „დამოუკიდებელი“ საკმაო ყურადღებას იმსახურებს. ჩვენი ინტერესის საგანი წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის ტერმინები: „უნივერსალური“ და „დამოუკიდებელი“ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს ურთიერთობის ჭრილში ასევე უკავშირდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ სიტუაციის განხილვის დაწყებას ან სიტუაციის განხილვისა თუ საქმისწარმოების შეჩერებას გაეროს უშიშროების საბჭოს ინიციატივით.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული პროექტი სასამართლოს მოიაზრებდა „პოლიტიკური ზეწოლისა და, განსაკუთრებით, უშიშროების საბჭოს ვეტოსგან დამოუკიდებელს“,<sup>366</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტზე მომუშავე სახელმწიფოების შეთანხმება სასამართლოს სრულ დამოუკიდებლობაზე მაინც ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ფორმალურად დამოუკიდებელი ორგანოა, რომლის შექმნა საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების – სუვერენული სახელმწიფოების – შეთანხმებით, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის მიხედვით მოხდა, რომის სტატუტი საკმაოდ შეიცავს ნორმებს, რომელთა მეშვეობით ნათლად შეგვიძლია დავინახოთ სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვის შესაძლებლობები გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ.

ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება გამახვილდება მხოლოდ უშიშროების საბჭოს ხელთ არსებულ მექანიზმებზე, მოხდეს სასამართლოს უფლებამოსილებაში ჩარევა და ამ თავის მიზნებისთვის სახელმწიფოთა სუვერენულ იურისდიქციასთან დაკავშირებულ „კომპლემენტარობის“ პრინციპს არ შევეხებით.

სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს ურთიერთობის დადებითი მხარის, შესაბამისად, კომპლემენტარულად ფუნქციების განხორციელების ანალიზისთვის მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ სიტუაციის გადაცემის შემთხვევაში სასამართლოს ერთი მნიშვნელოვანი ელემენტიც ემატება: უშიშროების საბჭოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება არა მარტო სასამართლოს ამოქმედების საფუძველი შეიძლება გახდეს, არამედ, გაეროს წესდების ნორმებიდან გამომდინარე, ასევე ავალდებულებს შესაბამის სახელმ-

<sup>366</sup> იხ.: Wells, D., (2005) *The United Nations: States vs International Law*, გვ. 123.

წიფოებს, ითანამშრომლონ სასამართლოსთან. ამ შემთხვევაში სასამართლომ, შესაძლოა, უშიშროების საბჭოს მიერ სუბსიდიურ სასამართლო ორგანოებად დაფუნქციონირებული ორი ტრიბუნალის მსგავსი აღსრულების ორგანოს ფუნქციებიც განახორციელოს, როგორც გაეროს VII თავით მიღებული გადაწყვეტილებით სასამართლოსთვის მონიტჰეზული კომპეტენციის ნაწილი.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის დარ-ფურის სიტუაციის გადმოცემა სწრაფად მიღებული გადაწყვეტილება არ იყო. უშიშროების საბჭოს 1564-ე რეზოლუციით საბჭომ საგა-მოძიებო კომისია დააფუნქცია. 2004 წლის სექტემბრიდან ამ კომისიის მანდატი დარფურში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების შესწავლა იყო.<sup>367</sup> ამერიკის შეერთებული შტატების საყოველთაოდ ცნობილი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, რასაც ჩინეთის უარყოფითი პოზიციაც ემატება, უშიშროების საბჭოში, გაეროს წესდების VII თავის საფუძველზე, მაინც მოხდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის დარფურის სიტუაციის განსახილველად გადაცემა, თუმცა ეს მხოლოდ 2005 წლის 31 მარტს მოხდა.

წინამდებარე თავის მიზნებისთვის, სხვა საკითხების განხილვასთან ერთად, მნიშვნელოვანია უშიშროების საბჭოს მიერ სასამართლოსთვის საქმის გადაცემასთან დაკავშირებული ერთი საინტერესო ასპექტის, კერძოდ, ამგვარ შემთხვევაში საქმის დასაშვებობის საკითხის გან-ხილვა.

უშიშროების საბჭოს მიერ სასამართლოსთვის გამოსაძიებლად გადაცემული საქმის შემთხვევაში, საჭიროა თუ არა იმ კრიტერიუმების ამოწურვა, რომელთა დაცვითაც უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ საქმის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა?

თითქოს, ერთი შეხედვით, და იმის ანალიზით, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთვის სიტუაციის ან საქმის გადაგზავნა უშიშროების საბჭოსაც შეუძლია, უშიშროების საბჭოსთვის ამ პროცესის მინიტჰეზა, ერთი მხრივ, პრიორიტეტული უნდა იყოს სასამართლოსთვის და, მეორე, მხრივ, უშიშროების საბჭოსთვის იმის შესაძლებლობის მიმცემი უნდა იყოს, რომ მოხდეს სასამართლო ფუნქციის განსახორციელებლად უშიშროების საბჭოსთვის დამატებითი სასამართლო ორგანოს შექმნის აუცილებლობის გარეშე სიტუაციის ან საქმის განხილვის დაწყება.

ზემოთ მოცემული პოსტულატები შემდეგ მოცემულობებს ეფუძნება:

ა) საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა.

გაეროს უშიშროების საბჭოსთვის წესდებით მინიტჰეზულ უფლება-მოსილებას თუ მოვიხილოთ, „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრ-თხოებისთვის“ საფრთხის შექმნის თავიდან აცილება და მათი დაცვა, უპირველეს ყოვლისა, უშიშროების საბჭოს ევალება. ეს მისი უმთაფ-რესი ფუნქციაც გახლავთ. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ინტე-რესშიც უნდა შედიოდეს უშიშროების მიერ გადმოგზავნილი სიტუ-აციისა თუ საქმის წარმოებაში მიღება დასაშვებობის საკითხის განხილვის გარეშე;

<sup>367</sup> იხ.: Security Council Resolution 1564, U.N. SCOR, U.N. Doc. S/RES/1564 (18 September, 2004).

ბ) საქმის სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით განხილვა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნისკენ მიმავალ გზაზე არაერთხელ ხდებოდა იმის მითითება, რომ მუდმივმოქმედი სასამართლოს შექმნის შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს საკუთარი ფუნქციების განსახორციელებლად, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, აღარ დასჭირდებოდა დროში გაწეული და ძვირი სტრუქტურების შექმნა საიმისოდ, რომ მართლმსაჯულების ორგანოს ჩართვა მომხდარიყო „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების“ შენარჩუნების გლობალურ განვითარებაში.

გ) უშიშროების საბჭო თავად იხდის იმ ფულს, რაც სიტუაციის განხილვისთვის სჭირდება სასამართლოს.

არსანიანი აღნიშნავს, რომ „შედეგი შესაძლოა სრულად არ შეესაბამებოდეს საწყის განზრახვას, მომხდარიყო უშიშროების საბჭოს აღჭურვა საქმის სასამართლოსთვის გადაცემის უფლებით, რაც *ad hoc* ტრიბუნალების შექმნის საჭიროებას აღმოფხვრიდა. [თუმცა], ამის მხედველობიდან გამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ის ფაქტია, რომ სტატუტის მე-17 და 90-ე მუხლების თაობაზე მოლაპარაკება რომის კონფერენციაზე იურისდიქციის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე მოხდა.“<sup>368</sup>

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რესურსის გამოყენება, და, ამდენად, მისი რესურსის, ენერჯისა და დროის დაზოგვა კარგად გამოიხატა დარფურში 2003 წლის თებერვლიდან განვითარებულ კრიზისთან მიმართებით. კონფლიქტმა 200000-ამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ექვსმილიონიანი მოსახლეობიდან ორი მილიონი ადამიანი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი, მათგან ასი ათასამდე ადამიანი მეზობელ ჩადში გადავიდა.<sup>369</sup> ლტოლვილთა გადასვლამ ჩადში იმის საშიშროებაც შექმნა, რომ კონფლიქტი რეგიონალური მასშტაბის მქონედ შესაძლოა, გადაზრდილიყო. ამ პირობებში გაეროს უშიშროების საბჭომ დარფურთან დაკავშირებით რეზოლუცია მხოლოდ 2004 წლის ივლისში მიიღო,<sup>370</sup> რომლითაც, საკუთარი შეხედულებისამებრ, უპირველესი „დაცვის ვალდებულება“ სუდანის ხელისუფლებას დააკისრა.

სუდანის შემთხვევაში, უშიშროების საბჭომ პირველად მიმართა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და, ამგვარად, გადაწყვიტა საერთაშორისო სისხლის სამართლის გამოყენება საკუთარ დღის წესრიგში დამდგარი საკითხის მოსაგვარებლად. კერძოდ, უშიშროების საბჭოს 1564-ე (2004) რეზოლუციით, მან გადაწყვიტა, საკითხი განსხვავებული ფორმით მოეგვარებინა, ვიდრე წარსულში ოდესმე უმოქმედია: ისტორიაში პირველად, გენოციდის კონვენციის შესაბამისად, უშიშროების საბჭომ სპეციალური საგამოძიებო კომისია

<sup>368</sup> იხ.: Arsanjani, M. H (1999) “Jurisdiction and Trigger Mechanisms of the ICC” in Von Hebel, H.A.M., Lammers, J.G. and Schukking, J. (eds.), *Reflections on the International Criminal Court*.

<sup>369</sup> იხ.: The Report of the Secretary-General of the United Nations, UN Doc S/2004/703, 30 აგვისტო, 2004.

<sup>370</sup> იხ.: Security Council Resolution 1556 (2004).

დააფუძნა, რომელსაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევების შესახებ ინფორმაციის გამოკვლევა და იმის დადგენა დაევა, იყო თუ არა გენოციდის ფაქტები სუდანში.

სუდანის შემთხვევა იყო პირველი საქმე, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის.<sup>371</sup> ეს კი სუდანში მივლენილი საგამოძიებო კომისიის ანგარიშის წარდგენის საფუძველზე მოხდა, რომელმაც დაადგინა, რომ მთავრობას არ განუხორციელებია გენოციდის პოლიტიკა, თუმცა მძიმე დანაშაულები, როგორებიცაა: კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ომის დანაშაულები, ჩადენილი იყო.<sup>372</sup>

დარფურის სიტუაციის გადაცემის შემდეგ, მიუხედავად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს თანამშრომლობის კუთხით, უდავოდ, დადებითი მოვლენისა, კრიტიკა მაინც ბევრი იყო. კრიტიკა კი ისევ და ისევ ადამიანის უფლებების დაცვის, ამ უფლებების დამრღვევთა მომავალი დასჯისა და მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების შეპირისპირების საფუძველზე გაჩნდა. შექმნილ ვითარებას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ არ მოხდა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

ეს კი, თუ გავითვალისწინებთ სასამართლოს ორგანოს საქმიანობის თავისებურებასა და მისი მანდატის განსხვავებას პოლიციური ორგანოს – უშიშროების საბჭოს მანდატისგან, გასაკვირიც არ უნდა იყოს. უპირანი იქნებოდა უშიშროების საბჭოს მიერ დარფურის სიტუაციის სასამართლოსთვის გადაცემის შემდეგ კიდევ ერთი ეფექტური რეზოლუციის დაუყოვნებლივ მიღება, გაეროს წესდების VII თავის მიხედვით. ამ დამატებითი რეზოლუციით, რომელიც სასამართლოს მიერ საკუთარი კომპეტენციის განხორციელების პარალელურად, – მას შემდეგ, და თუ სასამართლო დასაშვებობის საკითხს დადებითად გადაწყვეტდა, რაც ასეც მოხდა, – VII თავით დადგენილი პოლიციური ფუნქციის განხორციელებით, შესაძლოა, ნამდვილად ყოფილიყო უშიშროების საბჭოს გარკვეულწილად წარმატებული მოქმედება.

თავისთავად უსამართლოდ შეიძლება ჟღერდეს იმის შეთავაზება, რომ უშიშროების საბჭოს მიერ სასამართლოსთვის სიტუაციის გადაცემით საბჭოს ჩართულობის ამოწურვა რომელიმე გამძვინვარებული კონფლიქტის განმუხტვის საქმეში, შესაძლოა, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების სწრაფად დამყარებით დასრულდეს. ეს უსამართლო და არარეალისტური ვარაუდი იქნებოდა არა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციის გათვალისწინებით, არამედ იმ ისტორიული განვითარების მხედველობაში მიღებითაც, რაც უშიშროების საბჭოს მიერ საკუთარი – პოლიციური და პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებისას მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარების ან აღდგენის ისტორიას ასახავს.

ამდენად, ამ შემთხვევაშიც გამოირიცხება სასამართლოს მიერ უშიშროების საბჭოს ფუნქციების პრივატიზება. დარფურის სიტუაციის

<sup>371</sup> იხ.: Security Council Resolution 1593 (2005).

<sup>372</sup> იხ.: [www.un.org/News/dh/sudan/com\\_inq\\_darfur.pdf](http://www.un.org/News/dh/sudan/com_inq_darfur.pdf), (ნანახია: 25 იანვარი, 2005).

სასამართლოსთვის გადაცემის მაგალითზეც კი, სხვა მსგავსი პრეცედენტების არარსებობის პირობებში, ნათლად ჩანს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს მჭიდრო თანამშრომლობით არის მხოლოდ შესაძლებელი საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება ან აღდგენა, ერთი მხრივ, და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების დაცვა თუ არა, ამ მასობრივი დარღვევების ჩამდენთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის საერთაშორისო სასამართლო ორგანოს მიერ ეფექტური განხილვა.

მართალია, პრაქტიკაში შემთხვევები ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული შეიძლება იყოს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ერთი რეცეპტის, ან სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს კომპლემენტარული, და არა კონკურენტული, საქმიანობის ერთიანი სქემის შექმნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, თუმცა ჩვენ მიერ განხილული მაგალითებიდანაც ჩანს, რომ თეორიულად სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს კომპლემენტარული საქმიანობა შესაძლებელია და ამგვარი თანამშრომლობა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამკვიდრების კვალდაკვალ ადამიანის უფლებების მასობრივ დამრღვევთა ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შექმნის-დაგვარად ეფექტურად განსახორციელებლად საერთაშორისო ასპარეზზე.

## 9. დასკვნა

დასკვნითი დებულებებისა და შესაბამისი შეფასებების გაკეთებამდე უპრიანია, ერთ მნიშვნელოვან ფაქტს კიდევ ერთხელ გაესვას ხაზი. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი კი ასეთია: საერთაშორისო სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგი, ჯერ კიდევ განვითარების ადრეულ ეტაპზეა. შესაბამისად, მისი რეგულირების საგანსა თუ მის ფარგლებში განვითარებული მოვლენების ანალიზისას კითხვა უფრო მეტი იბადება, ვიდრე ცალსახა პასუხის გაცემაა შესაძლებელი.

ეს, ერთი მხრივ, ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლის, ზოგადად, და, კონკრეტულად, საერთაშორისო სისხლის სამართლის შემდგომ განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, მრავალი პრაქტიკული თავსატეხის გამჩენია.

ნაშრომში გამოვლენილი საკითხების ანალიზისას გადაკვეთის წერტილი ერთია: რამდენად ავსებს ან უშლის ხელს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და გაეროს უშიშროების საბჭო ერთმანეთს საქმიანობაში.

პასუხი, როგორც ნაშრომის შესაბამისი თავებიდან იკვეთება, ცალსახად მოსაძიებელი არ გამოდგა. სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს სამართლებრივი ბაზისა და მათი საქმიანობის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. მართალია, რომის სტატუტის შემქმნელთა მიზანი დამოუკიდებელი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნა იყო, მისი სრული დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე დიდი სახელმწიფოების მცდელობით, სასამართლო გაეროს უშიშროების საბჭოზე იმაზე უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე ეს სასამართლოს საკუთარი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის სჭირდება;
2. მართალია, სასამართლოს საქმიანობის განხორციელებისას მისი სტატუტის ავტორთა სურვილი იყო, სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების შერჩევაში არავინ ჩარეულიყო, რეალურად გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ნება-სურვილი სერიოზულად ბოჭავს სასამართლოს დამოუკიდებლობას;
3. კონკურენციის თვალსაზრისით, ამავედროულად, ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ უშიშროების საბჭოს შეუძლია, ეფექტურად დაბლოკოს სასამართლოს საქმიანობა, იქნება ეს აღსრულების კუთხით უმოქმედობა თუ საქმის განხილვის შეჩერების მოთხოვნა.
4. უშიშროების საბჭოს შესწევს ძალა, გაეროს წესდების VII თავის მიხედვით, სახელმწიფოებს იმგვარი ვალდებულებები დააკისროს, რომლებიც, ამავე წესდების 103-ე მუხლის შესაბამისად, უპირატესი ძალის მქონენი იქნებიან სასამართლოს წინაშე სახელმწიფოთა ვალდებულებებთან მიმართებით;
5. სასამართლოს არსებობა არ უშლის ხელს უშიშროების საბჭოს, შექმნას ახალი სასამართლო ორგანოები. ასეთ შემთხვევაში საინტერესო იქნება იმის ანალიზი, იურისდიქცი-

- ული საკითხი როგორ მოწესრიგდება, თუ უშიშროების საბჭო ამ უფლებამოსილებას გამოიყენებს. ეს განსაკუთრებით საინტერესოა იმის ფონზე, რომ უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალები უზენაესი – უპირატესი – იურისდიქციით სარგებლობენ, მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ეროვნული სასამართლო ორგანოების კომპეტენციასთან მიმართებით უპირატესი კომპეტენცია არ აქვს.
6. მართალია, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი იმუნიტეტს არ ცნობს მასში გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით, მაგრამ უშიშროების საბჭოს ყოველთვის შეეძლება, სასამართლოს განუსაზღვრელი ვადით შეაჩერებინოს გამოძიება იმ პირის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად, ვის დაცვასაც უშიშროების საბჭოს, ძირითადად მუდმივი, წევრი სახელმწიფოები მოინდომებენ.
  7. ამასთან, გარდა აშკარა ვეტოს გამოყენების შესაძლებლობისა, პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, თეორიულად მაინც არსებობს „ფარული ვეტოს“ გამოყენების შესაძლებლობა. ეს შესაძლოა, გამოყენებული იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ დიდ სახელმწიფოს მაინც მოუნდება სასამართლოს საქმიანობის ხელის შეშლა. თუმცა, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეორიულად არსებობს შესაძლებლობა, „ფარული ვეტოს“ გამოყენება სასამართლოს სასარგებლოდაც მოხდეს. ეს შესაძლებელი იქნება, თუ გაეროს უშიშროების საბჭოს ცხრა არამუდმივი წევრი სახელმწიფო არ მოისურვებს სასამართლოს საქმიანობის ხელის შეშლას, ან, უფრო ზუსტად, ეს სახელმწიფოები უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების განზრახვის საწინააღმდეგოდ წასვლას მოისურვებენ;
  8. მართალია, საერთაშორისო თანამეგობრობა უნივერსალური იურისდიქციის მქონე სასამართლოს შექმნას ცდილობდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტზე მუშაობისას, მსოფლიომ სინამდვილეში მიიღო სტატუტის წევრ სახელმწიფოთა ნებაზე დაფუძნებული და მათი ტერიტორიული იურისდიქციით შემოფარგლული სასამართლო, რომლის იურისდიქცია კიდევ უფრო შეიძლება შეიზღუდოს, უშიშროების საბჭოს ნება-სურვილიდან გამომდინარე;
  9. ბედისა თუ სამართლის ირონიით, სასამართლოს ტერიტორიული იურისდიქციის გაფართოება, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების თავის არიდებით, გაეროს უშიშროების საბჭოს ძალუძს. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სიტუაციის სასამართლოსთვის გადაცემა შეიძლება, ცალსახად ჩავთვალოთ კომპლემენტარულ კომპეტენციად, რადგან ამ სახით შესაძლოა, სასამართლოს უნივერსალურობასთან მიახლოების თეორიული შესაძლებლობა მაინც გაჩნდეს.

10. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სასამართლოსთვის სიტუაციის გადაცემა ამავედროულად სასამართლოს დამოუკიდებლობის შეზღუდვად არ უნდა განვიხილოთ: ეს არ ნიშნავს სასამართლოს მიერ საქმის იძულებით წარმოებას, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამგვარ შემთხვევაში სასამართლოს საქმის დასაშვებობის შემოწმება და გადაწყვეტილების შესაბამისად მიღება მაინც შეუძლია.
11. ნაშრომში განხილული საკითხების შეჯამებით შეგვიძლია, თავისუფლად დავასკვნათ, რომ რომის სტატუტით სახეზეა სამწვერა კომპლემენტარობა, ნაცვლად სქემისა: ტერიტორიული სახელმწიფოს ან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია; უფრო რეალისტურია სქემა: ტერიტორიული სახელმწიფოს, სასამართლოს ან უშიშროების საბჭოს მოქმედება და, შესაბამისად, სამგანზომილებიანი კომპლემენტარობა.
12. კომპლემენტარობის სასარგებლოდ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სასამართლოს დიდი მხარდამჭერი უნდა ჰყავდეს უშიშროების საბჭოს სახით აღსრულების მექანიზმის უზრუნველსაყოფად.

დაბოლოს, პასუხს გავცემთ ნაშრომისთვის უმთავრეს კითხვას: როგორ შეძლებს ეს ორი ორგანო – გაეროს უშიშროების საბჭო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის უმთავრესი ფუნქციის განხორციელებას ერთად?

მართალია, მათგან პირველი პოლიტიკური ორგანოა, რომელიც პოლიციური მეთოდებით სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს, ხოლო მეორე, სასამართლო ორგანო – პირთა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხზე მუშაობს, მათი საერთაშორისო არენაზე შეჯახება, დიდი სახელმწიფოების ინტერესებიდან გამომდინარე, გასაკვირი არ იქნება. ამგვარ შემთხვევაში, როგორც ნაშრომში ნაჩვენებია სხვადასხვა მაგალითიდან კარგად ჩანს, სასამართლო ნამდვილად ვერ გაუწევს ეფექტურ მეტოქეობას გაეროს უშიშროების საბჭოს.

სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციების განხილვის შემდეგ უპრიანია იმის მოკლედ ხსენებაც, რომ სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაფუნქციონებული სუბსიდიური საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების საქმიანობებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეიძლება შეგვხვდეს. ეს შენიშვნა, უშიშროების საბჭოს მიერ ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის შექმნილი, ისე როგორც მომავალში უშიშროების საბჭოს მიერ შესაძლოდ შესაქმნელი, ტრიბუნალების მიმართ გამოსაყენებელი არგუმენტია.

სახელმწიფოების ნების გამოვლენით, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე დაფუნქციონებული სასამართლოსა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციით დაფუნქციონებული *ad hoc* სუბსიდიური სასამართლო ორგანოების საქმიანობას შორის განსხვავების უმნიშვნელოვანესი



შედგვი, ამ ნაშრომის ინტერესის კუთხით, იქნება ის, რომ გარდა გამონაკლისი შემთხვევისა,<sup>373</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები არ იქნება უპირატესი სახელმწიფოთა სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. აქ მაგალითისთვის საკმარისია გაეროს წესდებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ხსენება, წესდების 103-ე მუხლის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, სირთულე არ შეექმნება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით დაფუძნებულ სასამართლო ორგანოს. ამ სახით შექმნილი მართლმსაჯულების ორგანოს კომპეტენცია, მისი მანდატის განმსაზღვრელი ორგანოს კომპეტენციიდან გამომდინარე, გაეროს წესდების 103-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოთა სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების გადამწონია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის, ზოგადად, და ამ უკანასკნელის მიერ დაფუძნებული ტრიბუნალების, კონკრეტულად, საქმიანობის ანალიზისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე ყურადღების გამახვილებაც უპრიანია. ეს მდგომარეობა კი შემდეგია: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო იმ ტიპის სასამართლოა, რომელსაც, შესაძლოა, მრავალი პოლიტიკურად მწვავე სიტუაციის გარშემო განვითარებული მოვლენების შესახებ მსჯელობა მოუწიოს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებასთან მუდმივად მჭიდრო კავშირში იქნება იმ „საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების“ დაცვისა თუ შენარჩუნების საკითხი, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს „უპირველესი მოვალეობაა.“

